ჭოროხი

გამოცემის 57-ე წელი | ივლისი-აგვისტო | №4 | 2015 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე
დავით თედორაძე

სარედაქციო საბჭო
ცისანა ანთაძე
როინ აბუსელიძე
გიორგი (იური) ბიბილეიშვილი
გენრი დოლიძე
ანა დუნდუა
რამაზ სურმანიძე
ბელა ქებურია
ვახტანგ ღლონტი
თინა შიოშვილი
მალხაზ ჩოხარაძე
ამირან ხაბაზი
ნანა ხახუტაიშვილი

მთავარი რედაქტორი
სანდრო ბერიძე

რედაქტორი
ლალი კონცელიძე

პროზისა და პოეზიის
განყოფილების გამგე
ანზორ კუდბა

კრიტიკის, თარგმანისა და
პუბლიცისტიკის განყოფილების გამგე
გენრიეტა ქუთათელაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
მალხაზ ფაღავა

გამომცემელი
საქართველოს მწერალთა
კავშირის აჭარის ორგანიზაცია

ჟურნალი გამოდის
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით

ჟურნალი დაიბეჭდა
ს.ს. „გამომცემლობა აჭარის“
პოლიგრაფიულ ცენტრში,
ბათუმი, კლდიაშვილის, 27

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

© „ჭოროხი“, ბათუმი, 2015

რედაქციის მისამართი:
6010, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: (422) 27-15-30

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8).
ამასთან, რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება

შინაარსი

რედაქტორის სიტყვა

ერზაცის დღესასწაული 3

პროზა, პოეზია

გიგა ვეფხვაძე – მოთხრობები 5
შოთა ზოიძე – ლექსები 24
ანზორ კუდბა – მოთხრობა 25
სანდრო ბერიძე – ლექსები 35
გიორგი (გუგული) ძებურია – ლექსები 40

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ტარიელ ფუტკარაძე – ილიას „განდეგილის“ ტექსტი და ქვეტექსტი 41

ესე

დენიზა სუმბაძე – ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად (ანუ: ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის: „დავითიანის“ გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში) (დასაწყისი) 48

ისტორია

უჩა ოქროპირიძე – ეროვნული მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში 1977-1987 წლებში 65
სიმონ გიგიტიძე – კირნათის თემის მოსახლეობის ბრძოლა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ 91

ხალხის ხვედრის და ღვაწლის ენა

თამაზ აბულაძე – „რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“ 101

ხლოვნა

ნუნუ გულიაშვილი-კვაჭაძე – წიგნის მსახური – ჯემალ ხოფერია 106

ჩიდოჟტოჩის ჯეიჩი

ერგაცის დღესასწაული

ჩვენი დროის ლიტერატურულ ცხოვრებაში ღრმად ჩახედული მკითხველი დამერწმუნება, რომ დღეს ღირებულ ლიტერატურასა და ანტილიტერატურას შორის მიმდინარე ღია თუ ფარულ ჭიდილში, ერთი შეხედვით, სასწორის პინა მეორის სასარგებლოდაა გადახრილი.

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა კაცობრიობას გაუგონარ წარმატებებთან ერთად პრობლემებიც უხვად მოუტანა. სავალალოდ დააშორა ერთმანეთს, როგორც ფილოსოფოსები ამბობენ ხოლმე, ნივთიერი (ქმედითი) და სულიერი (ჭვრეტითი) ცხოვრება. დაირღვა ჰარმონია, რის შედეგადაც ადამიანი, მხოლოდ და მხოლოდ, არსებული, რეალური, შიშველი სინამდვილის წინაშე აღმოჩნდა.

არის მეორე სინამდვილე, რომელიც ირეალური ანუ ილუზიური სამყარის სახით არსებობს. იგი ლიტერატურის, მხატვრობის, მუსიკის, კინოს, თეატრისა და ხელოვნების კიდევ სხვა დარგების მეშვეობით იქმნება. რეალური და ილუზიური სინამდვილე უერთმანეთოდ არ ეგების. პირველს ბუნება ქმნის, მეორეს – ხელოვნება. თუკი მათ შორის დარღვეულია ჰარმონიული თანატოლობა, მაშინ მზისქვეშეთის მკვიდრის – ადამიანის სრულყოფილებას, რწმენას, იმედს, სიყვარულს, პატიოსნებას, მეგობრობას, თავისუფლებას და, საერთოდ, სულის სიდიადეს, ერთგვარი სასოწარკვეთილება ეუფლება. ამ შემთხვევაში ადამიანი ხორციელად არსებობს, სულიერად კი ან გაკოტრებულია, ან მკვდარი. ბუნების მიერ შექმნილი რეალური სინამდვილე, რომელშიც ადამიანები ცხოვრობენ, ირეალური ანუ ილუზიური სამყაროს შემქმნელისათვის (მწერლის, მხატვრის, მუსიკოსის და სხვათა), მკვებავი და პირველწყაროა. მწერალი იმიტომ ქმნის იდეალურ სამყაროს, რომ უხეშ და შიშველ სინამდვილეში არსებულ ადამიანს გაუჩინოს და განუმტკიცოს რწმენა, ახალი ენერგიით იბრძოლოს კეთილის დასამკვიდრებლად, ახალი შემართებითა და ძალისხმევით შეალამაზოს და შეამსუბუქოს ცხოვრების სისასტიკე.

ამ ელემენტარული, ანბანური ჭეშმარიტების გამეორება იმიტომ მომიწია, რომ დღევანდელი ქართული მწერლობის ფერადოვან სპექტრში, მეწინავის როლი, რა თქმა უნდა, ე.წ. აგიტატორებისა და ვაიკრიტიკოსების გამოისობით და ხელშეწყობით, გაფილისტერებულ და უხამს მწერლობას დაეკისრა. ფილისტერული მწერლობა კი, როგორც ცნობილია, საგრძნობლად აფერხებს ლიტერატურულ წინსვლას, აბნევს მკითხველს იმ ყალბი ლიტერატურული სუროგატით, რომელიც აღსავსეა ცრუ, ვნებაგაცლილი, გამოფიტული, უემოციო და უშთაგონებო ღირებულებებით. უკულტურო, გაუნათლებელი კრიტიკოს-ჟურნალისტები სენსაციების გამო, რაც, რატომღაც, ყოველგვარი ღირებულებებისადმი ლანძღვა-გინებითა და ლაფის სროლით გამოიხატება, ამკვიდრებენ გაქვავებულ სტერეოტიპს, ლაჩარს – გმირად წარმოაჩენენ, მახინჯს – მზეთუნახავად, ცრუს – მართლად, უსინდისოს – სინდისიერად, წარსულში კომუნიზმის იდეალებსა და საქმეებს სულშეწირული რაიკომისა თუ პარტკომის მდივნები ხევისბრებად ჰყავთ სახელდებულები, ქურდი, მფლანგველი და გარეწარი – „განდობილთა საძმოს“ წევრად იწოდება, მეძავი ეთიკაზე ლექციას კითხულობს, ერისა და მამულის გამძვალტყავებელი პარლამენტარი, სამშობლოს ტკივილზე საუბრობს, ერთ დროს კომუნიზმის მეხოტბე ვაი-მწერალს თავს ეროვნული შარა-

ვანდედი ადგას, წერა-კითხვის უცოდინარი, უცხოეთმოვლილი, გაფუყული, საყურეებიანი ბიჭუნა და თოჯინა-თინეიჯერები წელიწადში სამ უხეირო წიგნს ბეჭდავენ და ქართული მწერლობის ფლაგმანებად გვევლინებიან. სულდაცხრილული და სულიერად მოშიმშილე საზოგადოება კი ერზაცპოლიტიკოსების, ერზაცჟურნალისტების, ერზაცპოეტების, ერზაცაკადემიკოსების, ერზაცპროფესორების, ერზაცმწერლების და ერზაცსასულიეროპირების შემყურე აბსურდის თეატრში ცხოვრობს, სადაც თითოეულ მათგანს მიაჩნია, რომ თავისი მოღვაწეობის სფეროში ის პირველია, უნიკალური და შეუდარებელია. წიგნებიდან დაწერილმა წიგნებმა, გადამღერებულმა, „შვიდნაქმარევმა“ ლექსებმა და მოზღვავებულმა მაკულატურამ წალეკა ნაღდი და ღირებული ლიტერატურა, ფასი დაუკარგა ქართულ სიტყვას.

დიდი და ღირებული ლიტერატურის გვერდით სუროგატი ყოველთვის არსებობდა. დიდ მწერალს ღირებულ ნაწარმოებთან ერთად ზოგჯერ სუსტიც გამოსვლია, შემოქმედებით გამარჯვებას, ზოგჯერ, მარცხიც თან სდევს, რაც ბუნებრივია, მაგრამ, როცა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ტელეკომპანიები და სოკოებივით მომრავლებული ორღობის ჟურნალ-გაზეთები საგანგებოდ და მიზანმიმართულად ხოტბას ასხამენ ანტიმწერალსა და ანტილიტერატურას, ეს არა მარტო საწყენი, დანაშაულიცაა, დანაშაულია იმიტომ, რომ პროპაგანდას უწევენ უნიჭობას. უნიჭობა კი ნიჭიერებისაგან განსხვავებით, ავადმყოფობასავით გადამდებია, თანდათან იპყრობს ადამიანის სულს, ანაგვიანებს გონებას, აკნინებს მას და გადაგვარებამდე მიჰყავს არა მარტო პიროვნება, არამედ მთლიანად კულტურა.

დაბალგემოვნებიან და ახლომხედველ ტელეწამყვანთა, შოუმენთა და ფარსმენთა შეხედულებებით თუ ვიმსჯელებთ, ვისაც სცენაზე გაუვლია ყველა დიდებული არტისტია, ვისაც ორიოდე უნიჭო სტრიქონი დაუწერია, ყველა მწერალი და პოეტია, ვისაც გიტარა ან ფანდური სჭერია ხელში, ყველა სახელგანთქმული მუსიკოსია, ერთი სიტყვით, ვარსკვლავთცვენაა ყველგან, ყველა სფეროში თუ დარგში. არ შეიძლება ყველაფრისადმი ხოტბისა და ოდების ფრქვევა, ამგვარი ქმედებით გამარტივდა და გაუფასურდა ყველაფერი, მათ შორის სიტყვა, რომელიც იყო ღმერთი.

სანდრო ბერიძე
მთავარი რედაქტორი

გიგა ვეფხვაძე

აგვისტოს ომი

– ვახო, ვახო გაიღვიძე. ნახე, რა ამბავია, საქონელს უპატრონოდ ვერ გავუშვებ მინდორში. ადე, შვილო. ადე, ლუკმა გატეხე და გადენე! – დილით ბებიამ გამაღვიძა. – ზემოთ, ტყის პირისკენ, ადენე, რამე რო იყოს...

წუხელ მთელი ღამე ისროდნენ ოსების მხრიდან და როდის-როდის ჩამეძინა. ჩავიცვი, ჯოხი ავიღე და საქონელი წინ გავიდენე. პატარა ხურჯინი დამაწია ბებიამ. ნელა მივდიოდი, ზურგი ისევ მტკიოდა.

– ვახო, როგორ ხარ გენა? – უკნიდან ვაჟას ხმა მომესმა.

– ვა, ქალაქელო? ისევ აქა ხარ? არ გაშინებს ბათქაბუთქი? – ვაჟას ხელი გავუწოდე. ის მოვიდა, ხელი ჩამომართვა და გადამეხვია.

– მაგარია, თავისუფლად დადიხარ, გეტყობა.

– ხო, რავი? ეს ორი დღეა ავდექი და დავდივარ.

– იმხელა ხიდან ჩამოვარდი... კიდე კარგად გადარჩი.

– კიდე კაი, შამბებში ჩავვარდი, თორე... ...მარტო დადიხარ აქეთ?

– რუსლანა ამოდის-ხოლმე.

– მერე, როგორ რიგდებით?

– მაგასთან რა საქმე მაქვს? მამამისის ბრალი ყოფილა, მაგას არ სცოდნია არაფერი.

– რა იცი? მეც მინდოდა, დარწმუნებული ვყოფილიყავი.

– დედამისს ულაპარაკია დედაჩემთან. რუსლანაც ყოფილა და დაუფიცია.

– ხო, ეგ ხო. არ წასულა ეგეც? ხო თქვეს, მთელი ოსები მიდიანო?

– ეგ ხო ნახევრად ქართველია? როგორც უნდა, ოსებთან – ოსია, ჩვენთან – ქართველი. გაიკრიჭა ვაჟა და გვერდზე გაქცეულ დეკეულს გამოუდგა.

ვაჟას დედაა ჩვენი სოფლელი. ადრე მთელი ოჯახი რუსლანის სოფელში ცხოვრობდნენ, მაგრამ მერე ვაჟას მამა მოკლეს, არა, ომის დროს არა, მერე. ხოდა, მისი ოჯახი ქალაქში გადავიდა, რუსთავში, ვაჟას ბიძიასთან. მე, ვაჟა და რუსლანა უკვე 7-8 წელია ვმეგობრობთ. მამამისის ამბავი ორი კვირის წინ გაიგო ვაჟამ; ვაჟამაც და რუსლანმაც. ერთმანეთს ვერ ელაპარაკებოდნენ. მერე მე შევარიგე. მე თვითონ არ ვიცოდი სიმართლე, მაგრამ მაინც, ჩვენ ხომ მეგობრები ვიყავით? შერიგების მერე ბებიამ მსხალზე გამგზავნა და კაი სკუპიც ვქენი...

– ვაა, ვახო?

– ვაა, ეს ჩემზე მაღალი ყოფილა, – გავხედე ამომავალ რუსლანს.

– რუსლან? როგორ ხარ? მე უკვე წასული მეგონე.

– ალბათ, საღამოს წავალთ. მამაჩემმა გამომგზავნა.

– ჩემთან? – გაიღიმა ვახომ.

– არა, იმასთან, – რუსლანმა თითი ვაჟასკენ გაიშვირა, და შენთანაც. წავიდნენო – დამაბარა, ცუდი ამბები იქნებაო.

– მეტი რაღა უნდა იყოს, ავნევი აგიღიათ ღამე.

– მე რა ამიღია? მაგრამ აქაც მოვლენო.

– ვინ? თქვენები?

– სხვები მოვლენ, არც ჩვენები და არც თქვენები.

– სხვები? აფხაზეთს რო ეხმარებოდნენ?

– სხვები მე გითხარი... ვაჟა! – გასძახა რუსლანმა. მე მომიბრუნდა. – შენი მობილური მიწერია.

– სახლში დამრჩა.

– არა უშავს, ხომ მიხვალ? მიწერია. დაგიმესიჯებ, რო გადავალ იქ და ახალ ნომერს რო ავიღებ.

– „ზდრასტი“, ოსო! – მოირბინა ვაჟამ.

– „ზდრასტი“, ვაჟა! აი, შენი დანა ამოგიტანე. არ მინდოდა, გამყოლოდა.

– გქონოდა, რავი... – უთხრა ვაჟამ და მაინც გამოართვა.

სერზე ავედით და ხის ძირას დავსხედით. ხეობის ბოლოსკენ კვამლი მოჩანდა. ბიჭებმა საქონელი ცოტა ზემოთ, ტყისკენ ადენეს და ჩამობრუნდნენ.

– მოდი, ვჭამოთ. – ვუთხარი ბიჭებს და ზურგჩანთას თავი გავუხსენი.

– სექტემბრისთვის ჩამოვალ, ალბათ, სწავლა რო დაიწყება. – თქვა რუსლანმა.

– მე აქ აღარ ვიქნები. დამირეკეთ და ჩამოვირბენ შაბათ-კვირას, – მიუგო ვაჟამ.

ის-ის იყო კიტრი და ყველი ამოვიღე, რომ გამაყრუებელი ხმაური ატყდა. მიწაზე დავწექით სამივენი. ცხინვალის მხარეს ცეცხლი ავარდა. თავს ვერ ვწევდით. არ ვიცოდით, რას ისროდნენ და საიდან. ეტყობა, ახლოს იყო. უცბად მანქანების ხმა გაისმა. დავიბენით, საით გავქცეულიყავით არ ვიცოდით. 3 სატვირთო მანქანა გაჩერდა და სამხედროები გადმოხტნენ, სერის გასწვრივ ჩაწვნენ და ბინოკლები მოიმარჯვეს. 3 სამხედრო ჩვენკენ წამოვიდა.

– ხელები მაღლა!!! – დაგვიძახა სამხედრომ, თუმცა ხელები უკვე მაღლა გვქონდა. – ვინ ხართ?

– მწყემსები ვართ სოფლიდან ამოსულები. – ვუპასუხე მე, რადგან ვაჟაზე უფროსი ვიყავი ორი თვით, მაღალიც ვიყავი ცოტა და ის სამხედროც მე მიყურებდა.

– ქართველები ხართ?

– კი, ქართველები. აი, თქვენ რომ ამოიარეთ, იმ სოფლიდან ვართ. – მივუგე.

– სამივე? – მკითხა

– კი, სამივე! – დამასწრო ვაჟამ.

– კარგი, იჯექით მად და არ გაინძრეთ! – მოცელილებივით დავეშვით.

– აკოპები გათხარეთ! – დაიძახა ჭაღარათმიანმა კაცმა. ყველა ზლაზვნით წამოდგა.

– ბაბუ, აკოპები რად გვინდა, ხო მაინც ქვემოთ უნდა ჩავიდეთ?

– ბაბუს მოგცემთ მე თქვენ. ომში ხართ, „საგულაოდ“ კი არა!

– აქ ხო არ ვმაგრდებით, ბაბუ? – ახლა მეორე მხრიდან დაუძახეს.

– კაი, ჩაწექით! გავიგებ, რა ხდება.

იმ ჭაღარა კაცმა სადღაც დარეკა. ყვიროდა, რადგან არ ესმოდა. მერე – მიდით, ბიჭებო, მიდითო და გათიშა კავშირი. ვიღაცას დაუძახა.

– ჩუმად იჯექით! თქვენი ხმა არ გავიგონო. მე წავუძინებ ცოტას.

– საჭმელზე გაგაღვიძოთ?

– რო გავიღვიძებ, მერე ვჭამ, რა მეჩქარება? თავი მისკდება, გუშინ იმდენი დავლიე, თვალიდან ვერ ვიყურები. კიდე კაი ამ ხმაურს შეჩვეული ვარ...

ორი სამხედრო ჩვენთან ამოვიდა და ჩრდილში წამოწვა.

– თუ ვინმე გამოჩნდა, გაგვაღვიძეთ! გაიგეთ?

– კი კი. – მივუგეთ. ჩუმად ვისხედით. ყრუ სროლის ხმა ისმოდა გაუჩერებლივ ცხინვალის მხრიდან. რამდენჯერმე გადაგვიფრინეს თვითმფრინავებმა, რომლებსაც სამხედროები ხელს უქნევდნენ. ვიღაცამ დარეკა. ჭაღარა გააღვიძეს. ესაუბრა. კავშირი გათიშა.

– ცხინვალი აიღეს ჩვენებმა.

ბიჭებმა ქუდი მაღლა აისროლეს სიხარულით.

– რა გიხარიათ? რაიხსტაგი არ იყოს ეგეც... წავიდა და ისევ დაწვა. რუსლანს გადავხედეთ. რა უნდა გვექნა, არ ვიცოდით. სროლები არ წყდებოდა, მართალია, შორს, მაგრამ მაინც! შეშინებული ვიყავით. ვაჟამ რუსლანს თვალით ანიშნა ტყისკენ, რომელიც ასე, სამას მეტრში იქნებოდა, ჩვენ ზემოთ. რუსლანმა თავი გააქნია უარყოფის ნიშნად, ვაჟამ წარბები შეკრა. რუსლანმა თვალით ჩემზე ანიშნა. ვაჟამ თანხმობის ნიშნად თავი ასწია და ნელა

დაუშვა. ის იყო, უნდა მენიშნებინა ბიჭებისთვის, რომ სამხედროები ადგნენ და მანქანებისკენ დაეშვნენ.

– წყნარად იჯექით! – დაგვიბარეს.

– შენ გაიპარე, რუსლან! – ჩუმად ვუთხარი. – კარგად დარბიხარ და ტყემდე მიირბენ, სანამ შეგვნიშნავენ, ან გახოხდი.

– არა! მერე თქვენ პასუხს მოგთხოვენ.

– არაფერს გვეტყვიან, ჩვენ ქართველები ვართ. როგორმე მიირბინე ტყემდე. მერე კი იცი, შემოვლითი გზით როგორ ჩახვიდე სოფელში.

– არა! საღამოს ხო გაგვიშვებენ?!

სამხედროები მათარებით დაბრუნდნენ.

– გშიათ, ბიჭო? – გვკითხა ერთმა.

– რაა? გაუყოფ? – ჰკითხა მეორემ.

– ცოდვები არიან ბავშვები.

– მაგხელა ბავშვები სოხუმში გმირობებს სჩადიოდნენ.

– კაი თუ ძმა ხარ. ბაბუს ვეტყვი და გავუშვათ, რას გვიკეთებენ აქ?

– მერე პოზიციები რომ უთხრან ვინმეს?

– ვის უნდა უთხრან, ქართველები არიან. – ხო ქართველები ხართ, ბიჭო? – თვალებში მოგვაშტერდა.

– კი, კი. – ვუპასუხე.

– რა გვარი ხარ? – შემომხედა

– ჯავახიშვილი.

– შენ? – შეხედა რუსლანს. რუსლანი შეყოვნდა.

– კოპიაშვილია! – მიუგო ვაჟამ და რუსლანს თავში წამოარტყა ისე, რომ მეც გამეცინა და სამხედროებსაც.

– შენ რა გვარი ხარ თვითონ?

– კოკოითი. – გაიცინა ვაჟამ. ჩვენც და სამხედროებიც ავყევით სიცილში.

– კარგი ცუღლუტი ვინმე იქნები შენ. ისე რა? ცოტა იყვნენ ოსები თქვენს სოფელში?

– ჩვენთან ბევრი არ იყვნენ, მაგრამ ზოგ სოფელში ნახევარი იყო ოსი.

– ომის მერე დაიცალა?

– არა, ომის მერე არა. კი, მაშინაც წავიდა ხალხი, მაგრამ აი, სანამ ერგნეთის ბაზრობა იყო, კიდე მიდი-მოდიოდნენ ჩვენები. მერე სულ დაიცალა. ბავშვებიღა თუ ვთამაშობთ. – წამოსცდა ვაჟას. თუმცა ჩვენი ელდა საჭმელში თავჩარგულმა სამხედრომ ვერ შეამჩნია.

– ქართველები ცხოვრობდნენ ოსურ სოფლებში?

– კი, ჩვენც იქ ვცხოვრობდით, სანამ მამას მოკლავდნენ. – სამხედრომ ჭამას თავი ანება. ადგა, მანქანასთან მივიდა და ერთი დიდი ჯამი საჭმელი მოიტანა და მოგვაწოდა.

– იცი ვინ მოკლა? – იკითხა. ვაჟა დუმდა.

– იცის! – თავაუწევლად თქვა რუსლანმა. სამხედრომ შემოგვხედა.

– თუ ვინმე დაინახეთ, დაიძახეთ ან ამას უთხარით. მძინარე მეწყვილეზე გვაჩვენა და წავიდა.

– ბიჭო, მალე დაღამდება. ცხინვალი თუ ჩვენებმა აიღეს, შენები როგორ გავლენ? – ვუთხარი რუსლანს.

– მამაჩემი უჩემოდ არ წავა. – მიპასუხა.

– აუ, აქ თუ ამოვიდა... – ვთქვი მე და ვაჟას შეცვლილი სახე დავინახე, თუმცა ვერ გავიგე, გაეხარდა თუ....

ქვემოთ ჩოჩქოლი ატყდა. სამხედრომ გაიღვიძა და ქვემოთ გაიქცა. მანქანები დაქოქეს და ხეებს შეაფარეს. ბაბუ დარბოდა და ყვიროდა ტელეფონში, რომელშიც არაფერი ისმოდა.

– ესენი გიჟები არიან! ცხინვალთან ომი მიდის, ხეობაში ბიჭები იხოცებიან და ესენი პარადს მართავენ, იმის მაგივრად, რომ გვირაბი ააფეთქონ. დედამო**ნული კავშირი ვერ გაუმართავთ წესიერად 30 კილომეტრზე, მობილურების იმედზე არიან, რა გინდა რომ მოსთხოვო? ეგაა, სახედრო არავინ დატოვეს ჯარში. და ვინც დატოვეს, იმასაც არ უსმენენ. უცებ ჩვენ შემოგვხედა? სამხედროს მიუბრუნდა და ჰკითხა:

– ესენი ვინ არიან? – იმან მხრები აიჩეჩა. მეორეს შეხედა, მესამეს. მერე, ჩვენთან რომ იჯდა, იმან უთხრა:

– ბავშვები არიან, საქონელს მწყემსავენ.

– მერე? აქ რა უნდათ?

– არ გავუშვით, პოზიციები რომ არ გაეცათ!

– პოზიციები? ტყვეები აიყვანეთ? გიჟები ხომ არ ხართ, ბიჭო? უკვე ღამდება, ამ ბავშვების საძებნად მალე ნახევარი სოფელი ამოვა აქ.

მოკიდეთ ხელი და ჩაიყვანეთ, პატრონს ჩააბარეთ და დროზე დაბრუნდით!... სირბილით!!!

სამხედროებმა ჩაფხუტები დაიხურეს და სოფლისკენ გვიჩვენეს მიმართულება. რუსლანი გაქვავებული იდგა. ხელი გავუყარე და ვუბიძგე სოფლისკენ.

– შენ რა გჭირს, ბიჭო?

– ხიდან ჩამოვვარდი.

– მერე ძმაკაცს დაყავხარ? კარგი ძმაკაცობა გქონიათ. მერე ჩუმად ვიარეთ ტყემდე. უკვე ბინდი მოდიოდა. საქონელი კარგა ხანია დაბრუნდებოდა სახლში. ჩვენ, ალბათ, საბანაოდ ვეგონებოდით უფროსებს. უცბად ტყეში შრიალი გაისმა.

– რომელი ხარ? – ხმამაღლა იკითხა სამხედრომ და ავტომატი გადატენა.

– არ ისროლოთ! ბავშვებს ვეძებ.

– ხელები ასწიეთ და გამოდით!

– გამოვდივარ, არ ისროლოთ, გამოვდივარ. ამ ხმის გაგონება არ მესიამოვნა, მივხვდი, არც – ვაჟას და მითუმეტეს – რუსლანს. რუსლანის მამა ხელებაწეული მოგვიახლოვდა. ვაჟა მას თვალებში უყურებდა გამჭოლი მზერით, ხოლო რუსლანი – ვაჟას.

– ბავშვებს ამოვაკითხე რო დაიგვიანეს. წავიყვან და წავალ.

– რომელს?

– მამაჩემია! – თქვა რუსლანმა და თავი გაიქნია ვაჟას დასანახად,

რომელიც რაღაცის თქმას აპირებდა.

– მამამისია! – ძლივს ამოღერღა ვაჟამ. – კარგი, წაიყვანეთ, ოღონდ მალე და ესენიც პატრონებს მიუყვანეთ. რუსლანის მამა შებრუნდა და ნაბიჯი გადადგა, რუსლანიც წავიდა, ვაჟაც და მეც გადავდგი ნაბიჯი და დავინახე, როგორ ამოიღო ჯიბიდან და გახსნა დანა ვაჟამ. სულ ხუთი ექვსი ნაბიჯი გვექნებოდა გადადგმული, რომ უცებ სამხედრომ დაიძახა.

– გაჩერდით! – ვაჟამ დანა ტანზე მიიკრო. – რა გვარი ხარ? – ჰკითხა სამხედრომ რუსლანის მამას.

– მელაძე! – უპასუხა ღიმილით. სამხედრომ ავტომატი ასწია, რომ ტყიდან სროლა ატყდა და დაეცა. მეორე დაწვა და...

– არ ისროლოთ, ბავშვებს არ ესროლოთ! – ყვიროდა რუსლანის მამა რუსულად. სამხედროები ტყეში ისროდნენ, ტყიდან ტყვიის წვიმა მოდიოდა.

– წამოიყვანე შენი ბავშვი და წამოდი, თორემ ალახს ვფიცავ, ყველას დავხოცავთ. – ყვიროდა ვიღაც ტყიდან გატეხილი რუსულით.

– რას შვრებით?! ბავშვებს არ ესროლოთ!..

ტყვიები ჩვენ გვერდით ზუზუნებდა. მე არ მესმოდა არაფერი. ვხედავდი, როგორ დახუჭა თვალები სამხედრომ, მერე მეორემ ისროლა ტყეში ყუმბარა და იმანაც თვალები დახუჭა. ტყიდან შეიარაღებული წვერებიანი კაცები გამოვიდნენ. რუსლანის მამა მაგრად შეანჯღრიეს და ავტომატი მიაჩეჩეს ხელში. სამხედროები ნახეს, იარაღი აიღეს და მერე ჩვენკენ წამოვიდნენ. რას ლაპარაკობდნენ, არ მესმოდა. რუსლანის მამა წინ გადაუდგა. რაღაც უთხრა. ვიღაცამ ავტომატის კონდახი ჩაარტყა კეფაში. წაიქცა და გონი დაკარგა. წვერებიანმა იარაღი გადატენა და ახლოს მოვიდა. რაღაც გვკითხა. არაფერი მესმოდა, მერე დაიღრიალა.

– ქართველი რომელი ხართ?

– მე! – სამივემ ერთად მივუგეთ? – გაკვირვებულმა შემოგვხედა.

– ამ ლაჩრის შვილი რომელი ხართ?

– ესაა! – რუსლანმა ხელი ვაჟასკენ გაიშვირა. ის ახლოს მოვიდა. დაგვაკვირდა, გაიღიმა და თავი გაიქნია. რუსლანს შეხედა.

– ეგ ქართველია, ჯვარი უკეთია.

რუსლანმა ხელი ჩაიყო მაისურში და ჯვარი ამოიღო. წვერებიანმა პისტოლეტის ლულით მანიშნა, მოდი აქო. მე არ განვძრეულვარ, მაისურში ხელი ჩავიყავი და ჯვარი ამოვიღე. მისი გაკვირვებული თვალები დავინახე. დავინახე პისტოლეტი, როგორ გადატენა და ისროლა. ერთმა ტყვიამ ყურთან გამიარა, მეორე რუსლანს მოხვდა მხარში, მესამემ ვაჟას თავს ზემოთ გადაიარა და მერე ვიგრძენი, ვიღაცა დაგვეტაკა და სამივე ხევში გადაგვყარა. წყალმა აზრზე მომიყვანა. ზემოთ ტყვიების კაკანი და ბათქაბუთქი ისმოდა. ვიღაც ჯარისკაცმა, აქ იჯექით ჩუმადო, გვითხრა და

ზემოთ გავარდა სროლით. მე ვერ ვინძრეოდი. რუსლანი ჩუმად ტიროდა, მკლავიდან სისხლი მოსდიოდა და ხელით იჩერებდა. ვაჟა ისევ დანით ხელში იჯდა. ნახევარი საათი ისროდნენ. თანდათან სროლის ხმა შორიდან მოისმოდა, მერე სულ მიყუჩდა. ალბათ, ორი საათი იქნებოდა გასული, შუქი რომ დავინახეთ. ჯარისკაცი ჩამოვიდა. მე ვერ ვინძრეოდი. ამიყვანა და ზემოთ ავედით. მანქანასთან დამსვა. რუსლანიც იქ მოვიდა. ჯარისკაცმა ჭრილობა ნახა. – ნუ გეშინია, ქორწილამდე დაგავიწყდებაო, – უთხრა და გადაუხვია. ვაჟა დაბოდიალობდა. სამხედროები მიცვალებულებს ასწორებდნენ. 3 ქართველი ჯარისკაცი დაღუპულიყო. 7 – ისინი. ვაჟა ნელ-ნელა ახლოს მივიდა და დაათვალიერა. მერე ჩვენთან მოვიდა. იქით სხვა ჯარისკაცსაც უხვევდნენ ჭრილობას. ჭაღარა რაღაცებს გაიძახოდა და ჯარისკაცებიც დარბოდნენ აქეთ-იქით.

– ის იქ არაა. – გადაუჩურჩულა რუსლანს.

რუსლანის მზერაში ეჭვი გამოკრთა.

– არაა, არ შემეშლებოდა ხომ იცი? – უთხრა ვაჟამ. რუსლანმა თავი დაღუნა, მერე ახედა და გაუღიმა. ვაჟამაც გაიღიმა. მიცვალებულები შავი ცელოფნებით საბარგულში შეალაგეს. ჩვენც დაგვსვეს და სოფლისკენ დავეშვით. ხიდთან მივედით და გავჩერდით, ხიდი ჩანგრეული იყო.

– აი, ძმაო, სამხედროები! აია, ძმაო, ცოდნა? გვირაბი ვერ ააფეთქეს ამ დედამო**ნულებმა. ძნელიაო. გვირაბი თუ არა, ხიდები ვერ უნდა დანაღმო? ექვსი ხიდია გვირაბიდან ცხინვალამდე და ტექნიკური გვირაბი, ის მაინც დაენგრიათ. მოაბრუნე და ზემოდან მოვუაროთ. ომს იწყებ და დიეტოლოგები მეთაურობენ ჯარს. თფუი!...

– ღრმად შევდივართ მასე ხეობაში?

– აბა, რა უნდა ქნა? ქვემოთ ვერ ჩახვალ, ცხინვალისკენ დაგადუგია. რუსები შემოსულან უკვე.

– რუსები კარგა ხანია შემოსულანო. რაღაცას ელოდებოდნენ.

– ეგენი არ ვიცი, მაგრამ ჩვენების გამკვირვებია, რას ელოდებიან?!

– მარჯვნივ ოსების კონტროლირებადი ტერიტორიაა, მაგრამ რამდენიმე კილომეტრში ისევ ჩვენები უნდა იყვნენ.

– როგორც იტყვი, ბაბუ, ისე წავიდეთ.

– რო არ ვიცი, ეგაა! კავშირი როგორ არ უნდა გვქონდეს? – ნახევარი საათი ვიარეთ. მერე ბაბუმ გააჩერა კოლონა და უკან შემოვბრუნდით, თუმცა სხვა გზაზე. ჩამეძინა. რომ გავიღვიძე, რიჟრაჟი წამოსულიყო. ნელა მივდიოდით დაღმართში, როცა ბაბუმ, გააჩერეო, უთხრა მძღოლს. იმანაც დაამუხრუჭა. ბაბუმ კარი გააღო და ცას გახედა. ვერაფერი დაინახა. ცოტა ხანს მიაყურადა.

– დროზე გადმოდით მანქანებიდან! – დაიყვირა. ჩამოხტა. მე მხარზე გადამიკიდა და ტყეში შევარდა. ყველანი ტყეში შეცვივდნენ აქეთ-იქით. ხუთი წამიც არ იქნებოდა გასული, რომ თვითმფრინავმა გადმოიფრინა.

– მანქანები ტყეში შეიყვანეთ! მარცხნივ! აკუმულატორები მოხსენით და წამოიღეთ! თქვენ, ოთხმა, ორმო გათხარეთ მარჯვნივ, ცოტა შიგნით, სადმე ბუჩქთან. აკუმულატორები ჩადეთ, რამე გადააფარეთ და მიწა მიაყარეთ. ნიშანი არაფერს დაადოთ, ისე დაიმახსოვრეთ ადგილი. საწვავიც აიღეთ ორ „კანისტრაში“, დანარჩენი ჩამოცალეთ! დროზე!!! – ყველაფერს რომ მორჩნენ, ორი ჯარისკაცი წინ გაუშვა დაზვერვაზე, მე ხელი ჩამჭიდეს და ტყე-ტყე წავედით. დიდხანს ვიარეთ. შუადღე გადასული იქნებოდა, ჯარისკაცი მოვიდა და ბაბუს უთხრა, რომ წინ ოსური სოფელი იყო. სოფელში არავინ ჩანდა. ბაბუმ კიდე 3 კაცი გაგზავნა დასაზვერად. ასე, ერთ საათში ისინიც დაბრუნდნენ.

– სოფელი სულ დაცლილია. ბოლოში, გასასვლელთან, დგას ერთი სახლი და ერთი ქალი ჩანს მხოლოდ.

– მაშინ ქვემოდან უნდა მოვუაროთ სოფელს.

– პური, იქნებ, ჰქონდეს, ბაბუ, გავწყდით მშიერი.

– ვერ გავრისკავთ. შეიძლება გაგვყიდოს.

– ვისთან?

– ვინ იცის? შეიძლება ერთ საათში რუსები შემოვიდნენ, ან სხვები.

– მე წავალ, პურს ვთხოვ. – თქვა რუსლანმა.

– შენ რას მოგცემს? ერთ პურს?

– ვეტყვი, რომ ბავშვები ვართ და ორს ან სამს ვთხოვ.

– რისკია, სახლში რომ ვინმე იყოს?

– მე არაფერს მეტყვიან, მე ხომ ოსი ვარ? – თქვა რუსლანმა. ყველამ გაკვირვებულმა შეხედა.

– შენ რო გაგვყიდო? – თქვა ვიღაცამ.

– არა, არ გაგვყიდის. მეც გავყვები და წამოვიღებთ. – წამოიძახა ვაჟამ.

– მეც წავალ. – ვთქვი მე.

– დარტანიანი გაკლიათ. – თქვა ბაბუმ. შენ ძლივს დადიხარ, რას წახვალ?

– წავალ! – ისე ვთქვი, რომ უარი აღარ უთქვამთ.

– კარგი, დროზე! აქ გელოდებით. პოზიციები დაიკავეთ, ბიჭებო. ვაჟამ ჩემი ხურჯინი აიღო და წავედით. სახლები დაცარიელებული იყო სულ. არც საქონელი, არც ქათამი, არც ძაღლები. ეტყობა, კარგა ხანია დაცალეს ის. სოფელი დიდი არ იყო და მალე მივადექით სახლს, სადაც არცთუ ახალგაზრდა ქალი ფუსფუსებდა. დაგვინახა და გაჩერდა. ხელები წინსაფარზე შეიწმინდა. ახლოს მივედით. გამოგვხედა. ეზოში მიგვიპატიჟა.

– შემოდით! – თქვა რუსულად.

– გზა აგვებნა, პური გვინდა, თუ მოგვცემთ?

– თქვენ თუ ჯარისკაცებს? – გაიღიმა ქალმა. – ორი დადიოდა აქ და იმალებოდნენ.

– ჩვენ. ქვემოთ სხვები გველოდებიან.

– კარგი, კარგი. – ქალმა ხურჯინი გამოგვართვა და რაც შეიძლებოდა, პური ჩატენა. – ისე, ბევრი თუ ხართ, რაღა ავადმყოფი წამოსულხარ? გავწითლდი. ქალი სახლში შევიდა და კარი ღია დატოვა. რუსლანი ხურჯინს თავს უკრავდა. ქალმა გამოიხედა და ვაჟას ქართულად უთხრა.

– მოდი, ყველს გაგატან. – ვაჟამ სახლში შეირბინა და რატომღაც შუა ოთახში გაშეშდა. გარედან ვუყურებდი და ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა. მეგონა, შიგნით „ბოევიკები“ არიან-მეთქი. მერე დავინახე, როგორ ჩაიყო ვაჟამ ჯიბეში ხელი, დანა ამოიღო და ნელა გაშალა. ამ დროს ქალი მიუახლოვდა. ეტყობოდა, – რაღაცას ეუბნებოდა. ვაჟა არ უსმენდა. მერე ქალმა მხარზე მოკიდა ხელი და შეანჯღრია. ვაჟა უცბად მოტრიალდა და გარეთ გამოვარდა. რუსლანთან გაჩერდა წამით.

– მამაშენია იქ! – თქვა და გზაზე გავარდა. რუსლანმა დააგდო ხურჯინი, გაკვირვებულ ქალს გვერდი აუარა და ოთახში შევარდა. ორ წამში თავი გამოყო, თავი დამიქნია თანხმობის ნიშნად და შევიდა ისევ.

– რა ხდება? – იკითხა ქალმა, რომელიც ვაჟას გამოყვა გარეთ და ხელში ყველი ეჭირა.

– მამამისია! – ვანიშნე რუსლანზე.

– იმას რა მოუვიდა? – მკითხა ვაჟაზე.

– მაგან მამა მოუკლა!

– ვაიმე, შვილო!... მოიცადე! ახლა სამხედროებს მოიყვანს? – იკითხა უცბად ქალმა.

– არა, არ მოიყვანს.

– არა? – იკითხა ქალმა

– არა! – თქვა გარეთ გამოსულმა რუსლანმა. – რა მოუვიდა მამაჩემს?

– დაჭრილი მოიყვანეს, უგონოდ. გვერდზე სოფელში იყო შეტაკებაო. 12 ჯარისკაცს 20 რუსი და 38 ჩრდილოკავკასიელი დაუხოცავთ. რომ ვერაფერი მოუხერხეს, გამწარებულებს თვითმფრინავით დაუბომბავთ მაგათი ადგილი. მერე უნახავთ, სულ პატარა ბიჭები ყოფილან. მერე ერთი დაჭრილი აწამესო... – ქალმა ტირილი დაიწყო. ისე ჯობია, სამხედროებს უთხრათ, რომ მალე მობრუნდებიან, შებინდებამდე.

– მე წავალ, რუსლან, დარჩი, მიხედე მამაშენს!

– ვაჟას უთხარი რამე...

– ვეტყვი რამეს. – ხურჯინი გადავიკიდე. ყველი იღლიაში ამოვიდე, ჯოხს დავეყრდენი და ნელა გავყევი გზას. ასიოდე მეტრი გავიარე, რომ ვაჟა დავინახე – ქვაზე იჯდა და ტიროდა. წინ გადატეხილი დანა ეგდო. დამინახა, თვალებზე ხელი გაისვა. მოვიდა, ხურჯინი გამომართვა და წინ წავიდა.

– რუსლანამ იცოდა, რომ არ წასულხარ... ვაჟამ უხმოდ თავი დააქნია.

წინ ჯარისკაცი შემოგვხვდა. პური და ყველი მოვუტეხეთ და ქვაზე ჩამოვჯექით.

– ის ოსი სადაა? ხო არ გაგექცათ, ბიჭო? ხო არ გაგვყიდის?

– არა! მოვა ახლა, დაგვეწევა. ჩვენ აქ დაველოდებით და დაგეწევით. – ვუთხარით დაბნეულებმა.

– ა, ეგერ მორბის. – თქვა ჯარისკაცმა და ზემოთ მიგვანიშნა. მივიხედეთ და რუსლანი მორბოდა. ჯარისკაცი მიტრიალდა და წავიდა.

– ეტყობა, მიხვდა, რომ პასუხს მოგვთხოვდნენ. – ვაჟამ ისევ თავი დაიქნია. რუსლანი ღობეს მოეფარა. რაღაც ხმა გავიგონეთ. ვაჟამ მიიხედა.

– რაღაცას იძახის. – თქვა თუ არა ეს, მანქანების ღრიალი და ავტომატების სროლის ხმა გაისმა. ატყდა დიდი სროლა. ლიმონკები, ყუმბარები. ჩვენსა და სამხედროებს შორის რუსები და სხვა, სამხედრო ფორმიანები აღმოჩნდნენ.

– ზემოთ გავიქცეთ, – ვთქვი მე, რადგან სხვა მხარეს წასვლის შანსი, უბრალოდ, არ იყო. მუხლის ჩოქებზე დავდექით და ასე გავცოცდით ზევით. როცა სახლამდე მივაღწიეთ მუხლის თავებზე შარვლის ნაფლეთი აღარც ერთს არ გვქონდა.

– მამა უნდა გადავმალო! – თქვა რუსლანმა

– მამაშენს არაფერს ეტყვიან. თვითონ დატოვეს, – თქვა ქალმა.

– ქართველები რომ მოვიდნენ? – იკითხა რუსლანმა. მე მივხვდი, რასაც გულისხმობდა.

– სადმე ახლოს, უკან, ტყეში, დავმალოთ.

– ოთხივე კუთხეში ზეწარში ავწიოთ და გავაჩოჩოთ უკანა გასასვლელში, თქვენ წინ! – მე და რუსლანმა აქეთ-იქით მოვკიდეთ ზეწარს ხელი, – ჩვენ – უკან! ვაჟა არ განძრეულა. – მომეხმარე! – უთხრა ქალმა. მაინც არ განძრეულა. ქალმა სახეში შეხედა. დაბოღმილი, გამწარებული სახის შემხედვარე ყველაფერს მიხვდა, ორივე მხარის კუთხეები შეაერთა და ერთად ასწია. გაგვიჭირდა. ღობემდე რის ვაივაგლახით მივათრიეთ. მე ძალიან მიჭირდა. ვაჟა ცივი სახით უკან მოგვყვებოდა. მერე ჩემთან მოვიდა. ზეწარი გამომართვა, – შენ უკან მიდიო, – მითხრა, ასწია და თავისუფლად დავიძარით. იქვე, ტყეში, ფაცხა დაგვხვდა. შიგნით შევიყვანეთ დაჭრილი.

– თქვენ უნდა წახვიდეთ ჩქარა. – გვითხრა ქალმა. ამ ბილიკს გაუყევით.

– ეს ხომ უკუღმა მიდის.

– სხვა გზა არ გაქვთ სხვაგან გზა მოჭრილია. ერთი შანსია ტყე-ტყე გახვიდეთ ჩრდილოეთით. მერე მარცხნივ წავა გზა. იქ ერთი ქართული სოფელი იყო დარჩენილი, თუ გაგიმართლათ, ვინმე იქნება და გეშველებათ.

– რუსლან, შენ დარჩი!

– ვერა.

– რატო?

– მამაჩემთან ვინც იყო, მე მნახეს თქვენთან ერთად. მე რომ დამინახონ, თქვენ დაგიწყებენ ძებნას. – ვერაფერი ვუპასუხეთ. ქალი წავიდა. ჩვენ ზემოთ, პატარა სერზე, ავედით და სოფელს გადავხედეთ. სროლის ხმა აღარ ისმოდა. ქალის ეზოში უცხოფორმიანები შეგროვდნენ. ეზო ახლოს არ იყო, მაგრამ სამივე მივხვდით, რომ ჩემი ხურჯინი ეკავა კაცს და რაღაცას დაჟინებით ეკითხებოდა ქალს. ხურჯინი გადმოატრიალა, იქიდან პური გადმოცვივდა. მერე გაარტყა სახეში. ქალი დაეცა. ააყენა. კიდე მოუღერა. ქალმა ხელი პირდაპირ ჩვენკენ გამოიშვირა. კაცმა ისევ გაარტყა.

– პირდაპირ ჩვენკენ გამოიშვირა ხელი. – ვთქვი მე.

– სპეციალურად, ეტყობა. აქეთ რომ წამოვიდოდით, ვინ დაუჯერებს?

– რატო?

– ჩვენ დრო რო გვქონოდა, პირდაპირ გორისკენ გავუყვებოდით გზას, ახლა საპირისპიროდ მივდივართ.

– ხო, ეგეც მართალია. – ჩუმად შევტრიალდით და წავედით. დაბინდდებოდა..

სიარული აღარ შემეძლო. ხის ძირას ჩამოვჯექი. ბიჭებიც დასხდნენ.

– მადლობა. – რუსლანმა თავი ოდნავ შეაბრუნა ვაჟას მხარეს.

– შენი გულისთვის არ გამიკეთებია, უბრალოდ, ვერ შევძელი.

– ჩემ გამო ვერ შეძელი.

– არ ვიცი. ძნელი ყოფილა...

– ბიჭო, მგლები! – ვთქვი მე და თითი იქითკენ გავიშვირე, საიდანაც ორი წყვილი თვალი მოჩანდა.

– ტურები იქნება. ამ დროს მგელი არ ჩამოდის აქეთ.

– ტურები იყავყავებდნენ, და ორნი არ იქნებოდნენ.

– სამნი არიან, აგე, – მეოთხეც...

– ვიაროთ! – ავდექით და გავყევით გზას, რომელიც ძლივს ჩანდა. – თუ ახლოს მოვიდნენ, ხეზე უნდა ავიდეთ.

– ცეცხლსაც ვერ დავანთებთ, არა?

– ხო, ვერა, ცეცხლზე ეგრევე გვიპოვიან. ისინი თუ არა, სხვები.

– რო დაგვეწიონ ესენი?

– ასე მალე არ მოვლენ, ჯერ დაგვზვერავენ. ჯერ გვაქვს დრო. იქნებ, რამე შეგვხვდეს. ან ნასახლარი, ან ფაცხა ან... ...ორმა მგელმა თუ ტურამ წინ გადაგვირბინა და გზაზე გაჩერდა.

– ტყეში შევიდეთ! – ასეც მოვიქეცით და გავნაგრძეთ გზა. აქეთ-იქით ვიხედებოდით, სირბილი მე არ შემეძლო და ნელა მივდიოდით. ერთმა უკან გაგვირბინა, გეგონება, ფეხზე უნდოდა კბილის გამოკვრაო. რუსლანმა მოასწრო და ჯოხი გადაარტყა. დაიწკავწკავა და გაგვეცალა მოშორებით.

– მგონი. ტურაა.

– რა მნიშვნელობა აქვს, რა შეგვჭამს?

– არაფერი აღარ ჩანს. სად მივდივართ?

– რა აზრი აქვს? უკვე ექვსნი გახდნენ, ხედავ?

– ცეცხლი ავანთოთ! სულერთი არაა, ესენი შეგვჭამენ თუ ისინი დაგვიჭერენ. რამე იქნებ დავინახოთ. თვალები ახლოვდებოდნენ. უკვე მგლების ღრენა კარგად ისმოდა. ვაჟამ ასანთს გაჰკრა და ალის შუქზე დავინახეთ, როგორ გაკრთა მათი თვალები. ვაჟა შიშით შეხტა, მე და რუსლანს დაგვეტაკა და სადღაც გადავვარდით. მივხვდი, თავდაღმართში მივგორავდით, მაგრამ რამხელა იყო დაღმართი, არავინ უწყოდა. ზურგზე დავეცი და გული წამივიდა. აზრზე წყალმა მომიყვანა. მივხვდი, მდინარეს მივქონდი. გამახსენდა, რომ ვაჟამ ცურვა არ იცოდა.

– ვაჟა! – ვიყვირე, როგორც კი წყლიდან თავი ამოვყავი. ხმა გავიგონე, თუმცა ვერ გავარჩიე – ვისი, რადგან ტკივილისაგან ისევ გული წამივიდა.

– ვახო, ვახო! – ხმაურმა და ძლიერმა ჯაჯგურმა გონზე მომიყვანა. ნახევრად წყალში ვიყავი. ვაჟა მეჯაჯგურებოდა.

– რუსლანი სადაა? სადაა?

– არ ვიცი!

– მე ვინ ამომიყვანა, შენ?

– არა, შენ აქ დამხვდი. რუსლანმა ჯერ მე ამომიყვანა, ასე ორასი მეტრის ზევით, მერე შენი ხმა გაიგონა და გადმოხტა. ეტყობა, ამომიყვანა და ზემოთ წამოვიდა.

– შემხვდებოდა. იქნებ, ვერ ამოვიდა? მგლები?

– მგლები მეორე მხარეს დარჩნენ. რუსლანმა კარგად იცის ცურვა, აქ მდინარე სწრაფი კია, მაგრამ ღრმა არაა.

– ქვები?

– წამო, ქვემოთ ჩავუყვეთ. – მე ფეხზე წამოვდექი. მაგრამ ნაბიჯი როგორც კი გადავდგი, ტკივილისგან მოვიკრუნჩხე და დავეცი.

– რა მოგივიდა?

– ზურგი.

– ვერ დადიხარ?

– არ ვიცი. მომეხმარე. ორი წუთის მერე დავრწმუნდით, რომ დამოუკიდებლად სიარული არ შემეძლო. ხელი გადავხვიე და ნელ-ნელა წავედით. 10-15 წუთი ვიარეთ ნაპირზე. მეტი ვერ შევძელი.

– წადი, მონახე. აქ დაგელოდები

– არა, არ დაგტოვებ. მოდი ზურგზე მომახტი.

– როგორ?! – შენზე დიდი ვარ.

– არა უშავს, ფეხები მოკეცე და ეგაა. – ზურგზე შემისვა, მაგრამ ძლივს მიდიოდა, ფეხები უკანკალებდა. ერთი-ორჯერ კინაღამ ჩაიკეცა. ძლივს პატარა მინდორზე გავედით და დამიშვა. ორივე დავწექით. თავზე ვიღაც დაგვადგა იარაღით და სახეში ფარანი მოგვანათა.

– ვინ ხართ? – იკითხა რუსულად, თუმცა ქართული კილო ეტყობოდა.

– ბავშვები ვართ, დავიკარგეთ. – ვუპასუხე. – თქვენ ვინ ხართ?

– ადექით! წამოდით! – ავდექით. ვაჟამ ზურგზე მომიკიდა ისევ. იარაღიანმა იკითხა, რა მჭირდა და თვითონ მომიკიდა. ახლაღა დავინახეთ ცეცხლი. ცეცხლისკენ მივდიოდით. მის გარშემო 6 სამხედრო ფორმიანი ბიჭი და ერთი მოხუცი იჯდა და საუბრობდა. ერთიც, ნახევრად შიშველი ბიჭი იყო და თავს აქნევდა.

– ჩვენ ალყაში მოვყევით. მერე თვითმფრინავმა დაგვბომბა. მაგან კიდევაც გვიშველა. კვამლში და უბედურებაში გამოვიპარეთ. გვდიეს კარგა ხანს. ღამეც ვიარეთ რამდენი. ჯერ რუსები მოგვყვებოდნენ. მერე – ოსები და „ბოევიკები“. დილით ჩავუსაფრდით მდევარს და გავანადგურეთ.

– ეს ვინაა?

– რეზერვისტია გზააბნეული. ჩვენ ვიპოვეთ, მაგრამ საფარის მერე ესე დაემართა. ჩვენი კაპრალი გადაეფარა და თავზე დააკვდა. იარაღი ხო გადაყარა, ტანსაცმელიც გაიხადა და გადაყარა. ძლივს ვუნახეთ რაღაცები.

– კარგა ღრმად კი შემოსულხართ. ახლა ორი გზა გაქვთ. მაღლა, მთებში, თუ წახვალთ ან ღამე მდინარეს თუ ჩაუყვებით ცურვით. ასე 30-40 კილომეტრი კი მოგიწევთ, მაგრამ... დღისით უნდა დაიმალოთ ხოლმე და ღამით ჩაუყვეთ. ცეცხლი ჩააქრეთ მაინც. არ შეიძლება. ყურადღებას იპყრობს. მდევარიც მოგდევთ, ალბათ.

– ალბათ, მოგვდევენ. ცეცხლი არ უნდა ჩანდეს. ვიყავით გასულები და არ ჩანდა. შენ რა უნდა ქნა, პაპა? – იკითხა სხვამ.

– მე რას ვიზამ, შვილო? ჩემი დედაბერი მოკლეს. მე გინდ მიცოცხლია აწი, გინდ – არა.

– ესენი ვიღა არიან? – იკითხა პირველმა მოსაუბრემ ჩვენს დანახვაზე.

– ჩვენ დავიკარგეთ. გზას ვეძებდით დავგორდით და მდინარეში ჩავცვივდით.

– მესამეც ხომ არ გახლდათ?

– კი. – ერთხმად ვუპასუხეთ. – ხომ არ დაგინახავთ?

– კი, მდინარემ ჩაატარა.

– წავალთ ჩვენ. – თქვა ვაჟამ. ისევ ზურგზე მომიკიდა და მდინარეს გავუყევით. ვაჟა ვეღარ მიდიოდა. არადა, ერთი კილომეტრიც არ გვექნებოდა გავლილი. დავსხედით და მდინარეს თვალს არ ვაცილებდით.

– მე მდინარეში ჩამსვი. აქ პატარა წყალია. უბრალოდ, ღამე არ ჩანს მაგრამ მე ხელებს კარგად ვხმარობ, ცურვით წამოვალ ქვემოთ. შენ ნაპირს დაუყევი სირბილით. თუ გათენდა მერე ვეღარ ვივლით, ტყეში მოგვიწევს შესვლა. ვაჟამ წყალში ჩამიშვა. თვითონ სირბილით დაეშვა ქვემოთ. მივცურავდი და ვუყურებდი. 10-15 წუთში დავინახე, როგორ გაჩერდა. დაიხარა. იპოვა. გავიფიქრე. მეც ორიოდ წუთში მივცურე.

– ცოცხალია? – ვკითხე

– კი, მაგრამ აკანკალებს. გაცივდა, ეტყობა.

– არა, ეგ ნატყვიარის ბრალია. ჩამოუშვი წყალში, მე დავიჭერ, შენ ისევ გამოიქეცი. ტყესთან სადმე გავჩერდეთ. ხუთიოდე წუთში ტყის პირი გამოჩნდა. ნელ-ნელა ავწიეთ რუსლანი და ვაჟამ რის ვაივაგლახით ტყეში შეათრია. მერე ჩამოვიდა, ზურგზე მომიკიდა და მეც მის გვერდზე დამსვა.

– რა უნდა ვუყოთ?

– არ ვიცი. წამალი სჭირდება, ალბათ. სამხედროებს ეცოდინებათ.

– ავალ და ვკითხავ. – ეს თქვა ვაჟამ, რომ უცებ ზემოთ, იქ, სადაც სამხედროები იყვნენ, ყველაფერი განათდა. ატყდა სროლა. ვაჟა გაშეშდა, ვერ გაეგო, რა ექნა.

– ვაჟა, მეორე მხარეს უნდა გადავიდეთ. მენდე, მე გადაგიყვან. ნუ გეშინია!

– არ მეშინია. – მითხრა. გაჭირვებით მიგვიყვანა მდინარესთან. ნელ-ნელა ჩავედით და ნელა გავცურეთ. იქვე, მდინარის პირას, ტყესთან, ავედით. ადგომის თავი არ გვქონდა. ვიწექით და ვუსმენდით სროლებს. დროდადრო ძლიერი აფეთქების ხმა ისმოდა და იქაურობა ნათდებოდა. საათზე მეტხანს გაგრძელდა სროლა. ცოტა ხანში ტანკებისა და მანქანების ხმა გაისმა. მერე – სხვანაირი, უფრო დიდი ხმა. ერთი, ორი, სამი, ოთხი. ცოტა ხანს კიდე კაკანებდა ავტომატი. მერე ისიც გაჩერდა. დაახლოებით ერთი საათის მერე ისევ გაისმა მანქანებისა და ტანკების ხმა, რომლებიც უკან მიდიოდნენ. ირიჟრაჟა. ჩუმად ვისხედით და

ისევ მდინარეს გავცქეროდით. უცბად ვაჟა წამოხტა და მდინარეში შევარდა. ვერ დავინახე, რა იყო, დაეჯაჯგურა და ნაპირთან მოათრია. დავინახე სამხედრო, მხოლოდ შარვალი ეცვა, ისევ შევარდა წყალში და კიდე გამოათრია, კიდე და კიდე. მდინარის პირზე 6 ჯარისკაცის და ერთი მოხუცის გვამი იდო. ვაჟა წყალში იდგა და მდინარეს გასცქეროდა. რეზერვისტი გამახსენდა. არ ვიცი, რამდენ ხანს იდგა ვაჟა. ზემოდან გასროლის ხმამ მოაღწია. ვაჟა შეირხა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა. თხუთმეტიოდე წუთში მდინარემ სრულიად შიშველი ბიჭის გვამი ჩამოიტანა. სულ დასიებული, დასერილი და დამტვრეული იყო. მარცხენა საფეთქელთან პატარა ნახვრეტი ჰქონდა, მარჯვენასთან – დიდი... ვაჟამ ისიც ნაპირთან მოათრია. ერთ სამხედროს „ლაფათქა“ მოხსნა და მე მომიტანა. მუხლებზე დავდექი და მიწის თხრა დავიწყე. ვაჟა თვითონ 50 კილოც არ იქნებოდა და ძლივს მოათრევდა თავისზე ორჯერ დიდ ჯარისკაცებს. წაიქცეოდა, ადგებოდა და ისევ დაეჯაჯგურებოდა... ბოლოს შიშველ ბიჭს ვერ კიდებდა ხელს. ადგა რომელიღაც ჯარისკაცს ქამარი მოხსნა და შიშველ ბიჭს მკერდზე შემოუჭირა. დაეჯაჯგურა და ორმოსთან მოათრია.

– უწამებიათ. – თქვა.

– ეს ხო ვერ ბრძოლობდა. ცოცხალი დაიჭირეს, ეტყობა. – ვაჟა ადგა. სანამ ორმოში ჩაუშვებდა, ყველა სამხედროს ქამრები დახსნა. ვერ გავიგე, რად უნდოდა, მაგრამ არც მიკითხავს. უკვე მზე გადასული იყო, მიწის მიყრას რომ მოვრჩით.

– ჯვარი გავაკეთოთ? – ვკითხე.

– არა, მაგას ვიღაცა შენიშნავს. ჯობია დიდი ქვა მოვაგორო.. – თქვა და ერთი დიდი ქვა ამოაგორა მდინარიდან. მერე ტყეში შევიდა და 6-7 ღერი ხმელი ხე მოათრია.

– ტივს ვერ გავაკეთებთ? – თქვა ვაჟამ. – ერთად შევკრათ. რუსლანს ხელები ზემოდან გადავადებინოთ და დავაცუროთ. შენ მიყევი. მე კი სირბილით წამოვალ. აქ ვერ გავჩერდებით, მგლები შეიძლება მოვიდნენ ისევ.

ვერაფერი ვუთხარი.

ხეები ქამრებით შევკონეთ. ერთი ქამრით კი რუსლანი დავაკარით ზემოდან. წყალში ჩავედით და გავცურეთ. აქ ისეთი ჩქარი აღარ იყო მდინარე და ნელა მივცურავდით. თვალები მეხუჭებოდა.

– ვახო, ვახო! – მოგუდული ძახილი გავიგონე. ნაპირისკენ გავიწიე. – სიმინდი ვიპოვე, ბიჭო! – მოირბინა ვაჟამ. ნაპირზე აიყვანა რუსლანი, მერე – მეც. სიმინდის ტაროები გავარჩიეთ და მხეცივით დავაცხრით. ერთი უცბად შევჭამეთ, მეორეც. მესამე გამიჭირდა, მაგრამ არ ვეშვებოდი. ვაჟას გავხედე და დავინახე, როგორ ჰქონდა კბილები სიმინდის ტაროში ჩასობილი და ეძინა. რაღაც მინდოდა მექნა, მაგრამ თვალები დამეხუჭა.

დილით ვიღაცის ხმამ გამაღვიძა. თავზე იარაღიანი ხალხი გვედგა და მივხვდი, რომ ოსურად გვეკითხებოდნენ რაღაცას. ვაჟასაც თვალები დაეჭყიტა და ვერაფერს პასუხობდა. მერე ქართულად გვკითხეს.

– ვინ ხართ? აქ საიდან მოხვდით?

– ჩვენ მწყემსები ვართ და დავიკარგეთ.

– ქართველები, ხო?

– კი, მაგრამ ეს ოსია.

– ოსი – არა? – დაეჭვებით წარმოთქვა უცნობმა და დააშტერდა რუსლანს, რომელიც ძლიერ კანკალებდა. ეტყობოდა, ეგ მეთაური იყო. ვიღაცას გასძახა. ერთი ახალგაზრდა მოვიდა, რაღაც ილაპარაკეს ხმამაღლა. ეტყობა, ჩხუბობდნენ. ამ დროს სამხედრო ფორმაში ჩაცმული ქალი მოვიდა. ზურგჩანთა მოიხსნა. რაღაცები ამოიღო და რუსლანის ჭრილობის გადახვევას შეუდგა. რომ მორჩა, დიდი ნემსი აიღო და საჯდომზე გაუკეთა. რუსლანი არ განძრეულა.

– ცოტას უშველის, მაგრამ საავადმყოფოშია მისაყვანი. – რატომღაც ქართულად უთხრა კაცს და ჩვენც გადმოგვხედა.

– წავალთ და ჩვენ წავიყვანთ. – ყველას გულიანად გაეცინა. მე და ვაჟას ხელები შეგვიკრეს და საბარგულზე შეგვყარეს; რუსლანიც ჩვენთან ერთად. მანქანა დაიძრა. უკან კიდევ 6 სატვირთო მოგვდევდა. ხიდზე გადავედით და სავარაუდოდ, ცხინვალისკენ დავიძარით.

მალე გავჩერდით. სოფელში თითქმის ყველა სახლი გადამწვარი იყო. ვუყურებდით, როგორ მიადგებოდნენ სახლს, შეესეოდნენ, ყველაფერი გამოჰქონდათ და მანქანებში ტვირთავდნენ. მერე სახლს ცეცხლს უკიდებდნენ და სხვა სახლისკენ მიეშურებოდნენ.

შუადღე კარგად გადასული იქნებოდა, რუსლანმა რაღაც თქვა, ოსურად. ვაჟა ჩახტა და მეთაურთან მიირბინა. იმან სილა გააწნა. გამოჩნდა ის ქალი, რუსლანს ნემსი რომ გაუკეთა. ვაჟა ააყენა და მანქანასთან მოვიდნენ. ქალმა რუსლანს მოუსმინა და კაცს გასძახა. თვითონ ზემოთ ამოვიდა, რუსლანს პირში რაღაც ჩაუდო და წყალი დაალევინა. კაცი მოვიდა. ქალმა ოსურად უთხრა რაღაც.

– ვინაა თქვენი? – ქართულად გვკითხა.

– მეგობარია?

– რა გვარია?

– ზაკაევი, – ვუთხარი.

– რა მოუვიდა?

– გუშინწინ ბოევიკებმა დაჭრეს, მამამისი ძალიან სცემეს.

– მერე, ორი დღეა, თქვენ მოათრევთ?

– ეს მოგვათრევს. – ვანიშნე ვაჟაზე. მეთაურმა თავი გააქნია. ქალს ოსურად რაღაც უთხრა. ვაჟას ხელი გაუხსნა და ანიშნა, გამომყევიო. ქალმა რუსლანს პირში ვაშლის წვენი ჩააწურა და დატოვა. ვხედავდი, როგორ ათრევდა ვაჟა ნივთებს და მანქანაში აწვდიდა. მოსაღამოვდა. უკვე 15-მდე სახლი გადაწვეს. რუსლანმა თვალი გაახილა.

– ვახო. – ძლივს მითხრა.

– რუსლან, როგორ ხარ?

– რამდენი მეძინა?

– ვაჟა! – გავძახე.

ვაჟამ მოირბინა და რუსლანი მანქანიდან ჩაიყვანა. ის ძლივს იდგა ფეხზე. ქალი მოვიდა. რაღაც ტაბლეტი კიდევ დაალევინა. ვაჟამ ვაშლები მოუტანა. ამ დროს სამხედრო მანქანამ ჩაგვიარა, რომელშიც ორი სამხედრო იჯდა. მოშორებით გაჩერდნენ და ჩვენკენ წამოვიდნენ. დაგვხედეს.

– ამათ ჩვენ წავიყვანთ. – უთხრეს ქალს. და მხარში ჩაავლეს ხელი.

– რას ჰქვია წაიყვანთ? – ქალმა ხელი გააშვებინა.

– ამათი გულისთვის 7 კაცი მოკლეს.

– ამათ მოკლეს? – იკითხა ქალმა. ამასობაში სხვებიც მოგროვდნენ.

– ამ ბავშვმა ეს ოსი ბიჭი გადაარჩინა.

– ეს ოსი არაა. ქართველია. – ბოევიკმა გული გადაუღეღა რუსლანს და ჯვარი გამოუჩინა.

– ნახევარზე მეტი ოსი ჯვარს ატარებს. დაანებეთ ბავშვებს თავი. თქვენ საომრად ხართ აქ თუ ბავშვების შესაშინებლად? ჩამოხვედით და მოროდიორობის მეტი არაფერი გაგიკეთებიათ.

„ბოევიკი“ „ბრონეჟილეტში“ სწვდა და თავისკენ მიიზიდა კაცი.

– ჯერ საკუთარ მანქანებს შეხედე და მერე მე მითხარი მოროდიორობა. შენ რა უნდა ასწავლო ამ ბავშვებს? – კაცმა ხელი გააშვებინა, მაგრამ არაფერი უპასუხა.

– ეს ქართველი მომეცი! – მეთაურმა თავი გაიქნია.

– გირჩევნია, არსად გადამეყარო. უთხრა წვერებიანმა ბოევიკმა, მანქანაში ჩაჯდა და გავარდა.

დაღამებულიყო.

– დროზე, დროზე დავიტვირთეთ! – დაიძახა მეთაურმა. ბიჭებს ანიშნა, მანქანაზე ასულიყვნენ. რუსლანი ძლივს აბობღდა, ვაჟა მიეხმარა და თვითონაც ამოვიდა. მეთაური მანქანებს აჩქარებდა. კოლონა ძლივს დაიძრა. ბოლო ჩვენ ვიყავით. ძალიან ნელა მივდიოდით. უკან, შორს, მანქანების შუქი გამოჩნდა. მეთაურმა სიგნალს დააჭირა და გაზსაც დააწვა, მაგრამ წინა მანქანები ვერ მიდიოდნენ. გზაჯვარედინზე გააჩერა.

– ჩამოდით! – გვითხრა. რუსლანი ძლივს ჩავიდა. მე ვაჟამ ჩამიყვანა. აგერ, იქ, მაღლა, ეკლესიაა. იქნებ, შეაფაროთ თავი. – თქვა და მანქანაში ჩაჯდა. კოლონა მარცხნივ მიდიოდა. ის პირდაპირ წავიდა.

– ასე ხომ უფრო დაინახავენ? – იკითხა რუსლანმა.

– მაგიტომაც წავიდა. – მივუგე.

ვაჟამ ამიკიდა და გადამწვარ ორღობეში შევედით. მიტოვებული საქონელი საწყლად ბღაოდა. რუსლანი ძლივს მოლასლასებდა. მანქანებმა ძალიან ჩქარა ჩაიარეს ორღობესთან და პირდაპირ წავიდნენ. რუსლანი წაიქცა. ვაჟამ მე დამსვა, რუსლანთან მიბრუნდა და მხარზე აიკიდა. მე მუცელზე გადავბრუნდი და გავხოხდი. ვხედავდი, როგორ ეკეცებოდა ფეხები ვაჟას, მაგრამ არ ჩერდებოდა. სიმძიმე აქეთ-იქით აქანებდა, მაგრამ მაინც მიდიოდა. შორიდან სროლის ხმა გაისმა. 2 წუთი თუ ისროდნენ. არ გავჩერებულვართ. ვაჟა მიტორტმანებდა, მე მივხოხავდი. თუმცა არც ერთს აღარ შეგვეძლო.

ეკლესიის ჩამოშლილი ღობე გამოჩნდა. ვაჟამ ძლივს გადააბიჯა ქვებზე და შევიდა შიგნით. მე რომ ღობემდე მივედი, ისიც გამოჩნდა.

– გადახვალ? – მკითხა.

– კი. – ვუთხარი. გვერდზე გამიარა. სამიოდე ნაბიჯი გადადგა და მობრუნდა. ხელი მომკიდა და გადამათრია ქვებზე.

– შიგნით შედი. რუსლანი იქაა. – თვითონ ღობეს გადააბიჯა და ორღობესკენ წავიდა. გამიკვირდა, ვერ მივხვდი, სად მიდიოდა

– ვაჟა! – დავუძახე.

– მოვალ! – მომაძახა და ქვემოთ გაიქცა. მანქანების ხმა ახლოს იყო უკვე და შუქებიც კარგად ჩანდა. დავინახე ვაჟა, როგორ მივიდა ჯაჭვით დაბმულ ღორთან, აუშვა და მაგრად მოქაჩა. ვეებერთელა ღორი არ დაიძრა. კიდევ მოქაჩა. ძვრა ვერ უყო. შემობრუნდა. მხარზე გადაიგდო თოკი და გამოსწია. ღორი წამოდგა, მაგრამ არ დაიძრა. ისევ შეტრიალდა და დაქაჩა. ღორი ძლივს დაიძრა. ვხედავდი, როგორ ექაჩებოდა, მაგრამ ღორს წამოსვლა არ უნდოდა. ძლივს დგამდა ნაბიჯს. ნელ-ნელა, ნელ-ნელა მოდიოდნენ. ვაჟას ჯაჭვზე ხელი უსრიალებდა. მანქანების ხმა ახლოვდებოდა. ღორი ნელ-ნელა მოდიოდა. ვაჟა რომ ღობესთან მოვიდა, მე გავხოხდი ეკლესიის კარებისკენ. რის ვაივაგლახით გადმოიყვანა ნანგრევებზე. ჯაჭვს ხელი გაუშვა. გამოიქცა. ხელი მომხვია, ეკლესიაში შევვარდით და ძირითადი შესასვლელიდან მანქანამაც მოანათა კარზე. გაჩერდა. მანქანებიდან გადმოვიდნენ. ფარნები აანთეს და გარშემო დაიწყეს სიარული. ერთბაშად აყაყანდნენ, ეტყობა, ღორის გამო. ფარნების შემონათებას და შიგნით თუ ვინმე იყო, იმის გარჩევას ცდილობდნენ. უცბად განსხვავებული მანქანის ხმა გაისმა. ეს ან ტანკი იყო ან რაღაც მსგავსი. ის თითქმის კარებთან გაჩერდა. ხმა კარგად ისმოდა. კარები ღრჭიალით გაიღო.

– სალამ დასტაპაჩტენნიე (გაისმა ხმა).

– სალამ, სალამ! – უპასუხეს.

– რა ხდება? სროლის ხმები ისმოდა და მოსახმარებლად წამოვედი.

– არაფერი ისეთი. ვიღაცებს ვეძებთ. შესაძლოა, აქ არიან, ეკლესიაში.

– მერე, ვერ ნახეთ?

– ჩვენ არ შევდივართ ეკლესიაში, მითუმეტეს იქ, სადაც ღორი აბია.

– გასაგებია. კარგი, წავედით მაშინ, აქ არაფერი დაგვრჩენია.

– თქვენ ხომ შეგიძლიათ შეხვიდეთ, ამხანაგო პოლკოვნიკო? მითუმეტეს ეკლესიასთან ხართ უკვე მოსული.

– ისე, მართალი ხარ. როგორც გამიგია, ეს ეკლესია 7 საუკუნით ადრეა აშენებული, ვიდრე ოსები აქ დასახლდებოდნენ. – თქვა ვიღაცამ და ეკლესიაში შემოვიდა. ფარანი მოატარა ეკლესიას. გარეთ გაიხედა და გასძახა:

– აქ მხოლოდ ღმერთი და ანგელოზები არიან. – პირჯვარი გადაიწერა და გავიდა.

– ღორს კი ჩვენ წავიყვანთ, თუ შეიძლება.

– წაიყვანეთ.

– თქვენი ხომ არაა?

– ნუ იცინით, პოლკოვნიკო. ამ ქვეყანაში უკვე ყველაფერი ჩვენია.

– მიწაც?

– ოსები თავიანთ დიდ სამშობლოში გაიქცნენ. ქართველებს დასაბრუნებელი აღარსად აქვთ, ყველა სახლი გადავწვით. ასე, რომ შეგვიძლია გავიყოთ.

– ხო, ისე, ზედმეტი მიწა არ არსებობს. – თბვა პოლკოვნიკმა, – თუმცა ახლა, რაც გასაყოფი არაა, იმას წავიღებთ.

სროლის ხმა გაისმა.

– ფედია დროზე დანა მომიტანე, გამოვშიგნოთ. გარედან ყაყანისა და ფურთხების ხმა გაისმა, მერე – მანქანების კარების ჯახუნი და ძრავების ხმა, რომელიც თანდათან გვცილდებოდა.

– ფედია, შუქები გამორთე. ღამის ხედვა ჩართე და პირდაპირ მინდვრებზე დააწექი ქარელისკენ.

– ქარელში რა გვინდა, გორში ხომ არ ჯობია?

– არა, იქ მეგობარი მყავს. ერთად ვმსახურობდით ავღანეთში. ექიმია.

– მეგობარი? მერე გაუხარდება შენი ნახვა?

– როცა მეგობრობა ნამდვილია, ომიც ვერაფერს დაგაკლებს. – თქვა პოლკოვნიკმა და ჩვენ გადმოგვხედა, რომლებიც მოპარულ ნივთებში ვიყავით ჩაკარგულები და წესიერად ვერ გაგვეგო, რა მოხდა ჩვენს თავს...

ვერეს მერე

(2015 წლის ივნისი)

როგორც იქნა, ტელეფონმა დაიჭირა და მაშინვე ამოხტა გამოტოვებული ზარები და მესიჯები:

– სად ხარ? როგორ ხარ? ხომ მშვიდობაა?

გამიკვირდა. პირველად ხომ არ წამოვსულვარ სათევზაოდ ორი დღით? თან ყველამ იცოდა, რომ აქეთ მოვდიოდი. არა, ყველამ არა. ფეისბუქში შევედი და... მივხვდი, რაც ხდებოდა. შევეცადე, რომ ყველასთვის მეპასუხა. ამასობაში კიდევ ორი ზარი შემოვიდა. საშინელი ამბები შევიტყვე, თან გამიხარდა, რომ ჩემზე ზრუნავდა არცთუ ისე ახლობელი ხალხი. ეტყობა, აქამდე არცთუ ისე ახლობელი!...

სახლში მივედი. ბავშვებს ეძინათ უკვე. ფეისბუქში შევედი და... საშინელი სანახავი იყო დანგრეული თბილისი, გაპარტახებული ვერეს ჭალა, დალეწილი მანქანები, დაღუპული ცხოველები და... და გარდაცვლილი ადამიანები...

* * *

– მა, ხუთი ლარი მომე რა. – დილაადრიანად მეცა უფროსი ბიჭი.

– რა ამბავია, ხო იცი არ მაქვს მაგდენი ფული, საჭმელი საყიდელია.

– აუ, მა, მიდი რა. სამი მომეცი მაშინ.

– ჯიბეშია, აიღე. სად მიდიხარ რო?

– ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ.

– ფეხბურთს ფული რად უნდა?

– აუ... – დაფიქრდა. – გაღმა უნდა გავიდეთ და... – ზურგჩანთა აიღო და წყლის გაყინული ბოთლების ჩალაგება დაიწყო.

– სად მიდიხართ ასეთ ადგილას?

– ცხელა რა, იყოს.

– სამაგიერო შედე მაშინ საყინულეში.

– აუ, გავრბივარ, ბიჭები მელოდებიან.

– ასე იცი სულ. – თვალი გავაყოლე. – ბურთი არ მიგაქვს? – მივაძახე კარებში გასულს. ზლაზვნით მობრუნდა, ბურთი აიღო და გაიქცა. ცარიელი ბოთლები გავავსე, მაცივარში შევდგი და კომპიუტერი ჩავრთე. წერილები გადავამოწმე. პასუხები გავგზავნე და ფეისბუქზე შევედი. რა თქმა უნდა, მთავარი საგანი სტიქია და დამნაშავის ძიება იყო. ერთადერთი ნათელი წერტილი ახალგაზრდა მოხალისეები იყვნენ. ავდექი, აივანზე გავედი და ძველი რეზინის ჩექმები მოვძებნე, რომლითაც ადრე სანადიროდ დავდიოდი ხოლმე. შევამოწმე და კარებთან დავალაგე. ჯიბეები მოვიქექე – 14 ლარი ვიპოვე. 5 ლარი სახლში დავტოვე. დარჩენილი გაყინული ბოთლები ზურგჩანთაში ჩავალაგე და გარეთ გამოვედი. მეზობლები ლუდს სვამდნენ. დამინახეს, გაუხარდათ და მიმიწვიეს. ახლოს მივედი. მანქანას, რომელიც იქვე იდგა, საბარგული ავხადე და ჩექმები და ზურგჩანთა შიგ ჩავდე.

– საით მიდიხარ? მოდი, ლუდი დალიე! – მითხრა ნოდარმა.

– არა, თბილისში მივდივარ, მისახმარებლად. ხომ არ წამოხვალთ?

– თბილისში არა... სათევზაოდ მიდიხარ შენ, ეტყობა. – ეს უკვე თენგო იყო, თვითონაც კარგი მეთევზე.

– ხო, სათევზაოდ. – გავუღიმე, მანქანაში ჩავჯექი და წავედი.

– ეგრეც ვიცოდი. – მომაძახა.

* * *

– მე რა გავაკეთო? – მივმართე ახალგაზრდას, რომელიც ეტყობოდა, რომ უფროსობდა.

– ნიჩბები აღარ დაგვრჩა, მოიცადეთ, სანამ მოიტანენ. ან იქით უბანზე ადით. – მითხრა და მიტრიალდა. მერე უცბად შემობრუნდა – შეგიძლიათ, წყალი დაარიგოთ?

– წყალი?

– ხო, აი, ბოთლებით მოგვიტანეს. ხედავთ? ხალხი ჯგუფ-ჯგუფადაა, მიუტანეთ თუ შეგიძლიათ, აგერ იქიდან. – თქვა და ტროტუარისკენ მიმითითა, სადაც სხვადასხვა დაფასოების წყალი იყო.

– ამერიკელებმა გამოგვიგზავნეს? – ვიხუმრე.

– არა, ჩვენებმა, ქართულმა ფირმებმა. – სიამაყე იგრძნობოდა ახალგაზრდის სიტყვებში.

– კარგი, გავაკეთებ და როგორ გავანაწილო?

– ვისაც უნდა, აქ ზედმეტს არავინ აიღებს. – გამიხარდა კიდევ ერთხელ, მივედი ხუთლიტრიანებს დავწვდი და უახლოეს ჯგუფს მივაშურე.

* * *

– აბა, წყალი, ახალგაზრდებო!

– გაიხარე, ბიძა. – მითხრა ახალგაზრდამ, ხელები მაისურზე შეიწმინდა და ხუთლიტრიანი გამომართვა?

– გეყოფათ?

– კი, კი, გვეყოფა.

– არ მოგერიდოთ.

– ლადო მაინც არ დაგვალევინებს. – თქვა უკნიდან ვიღაცამ და ყველა სიცილში აყვა.

– ვინაა ლადო? – გამიკვირდა, რატო არ უნდა დაალევინოს-მეთქი.

– ეგე, ბაყბაყდევი. – გოგონამ შავკანიანი მამაკაცისკენ მიმითითა, რომელმაც ხელი ამიწია. ისევ ყველამ გაიცინა. მე თავი დავუქნიე.

– გრაფიკში ჩაგსვათ? ეგ ნაღდად რუსთაველი იქნება. – ვცადე მეც მეხუმრა.

– რუსთაველი მე ვარ. – მითხრა ბიჭმა, რომელმაც წყალი გამომართვა. – ეგ ნიგერიელია, სტუდენტია ამერიკული ჰუმანიტარული ინსტიტუტიდან, სემი, წყლის დალევა უნდა დაიმსახუროო, ამბობს.

– მართალია, ქართველების გარდა ყველამ იცის წყლის გაფრთხილებაც და მოფრთხილებაც... ჩაო, ლადო – ვთქვი, თავი დავუკარი გულიანად მომუშავე უცხოელს და გზა გავაგრძელე.

* * *

მეორე ჯგუფმა წყალი არ გამომართვა და მოცილებით მდგარ ბიჭებზე მიმითითა, იმათ არ ჰქონდათო. იქითკენ მივაშურე. მივედი. ათიოდე ბიჭი ჩუმად იჯდა და სიგარეტს ეწეოდა.

– წყალი, ბიჭებო! – ვუთხარი და ახლოს მდგომს გავუწოდე. გამომართვა და მადლობის ნიშნად უხმოდ თავი დამიქნია. ახლაღა შევნიშნე, რომ ერთი სველ ალბომს ათვალიერებდა. დანარჩენები ჩუმად უყურებდნენ მას. ბოლოს ერთი სურათი ამოაძვრინა ალბომიდან, დარჩენილი სუფთა ადგილი მოძებნა, ტანზედ გაისვა სურათი, გადაკეცა და გულის ჯიბეში ჩაიდო. მერე ალბომი ნაგვის გროვისკენ მოისროლა. ერთი ადგა, მხარზე ხელით მოეფერასავით, ნიჩაბი აიღო და ტალახის გაწმენდა დაიწყო, მალე ყველა ადგა და მუშაობა გააგრძელეს.

* * *

შემდეგ ჯგუფში 2 მოხუცი ერია, რომლებიც ახალგაზრდებს ხელმძღვანელობდნენ და თავადაც მუშაობდნენ. მოხუცმა წყალი გამომართვა და მადლობა მითხრა. მეორემ გააგრძელა ამბის მოყოლა.

– ხოდა, ჩავჭიდე აქეთ ხელი ნადიას და იქით – გალინას...

– შენ. ბაბუ. სტალინგრადის ომის ამბავს ყვები თუ გუშინწინდელი წვიმისას?

– მაცალე, კაცო, შემეშალა, ნადიას კი არა, ბებიაშენს, თამარას, მოვკიდე ხელი და ისე გამოვიქეცით, ჩემი ნაფეხურები ახლაც ეტყობა ასვალტზე.

– აკი, გალინასაცო?

– კი, გალინასაც კი მოვკიდე ხელი, მარა წყალი რო დაინახა, ჩემზე ოცი მეტრით წინ გარ-

ბოდა. – იღიმებოდა მოხუცი. მერე სახე მოეღუშა – ხევს იქით კაცი ჩანდა, ძაღლი ამოათრია წყლიდან, მოისროლა ღობეს იქით, თვითონ კი წყალმა მიწა გამოაცალა ფეხებიდან...

– იმ ბავშვმა გადამრია, ზემო სახლიდან, სანამ თავისი და იპოვა, ორი მოხუცი გადაარჩინა, მერე ის ბავშვი ამოიყვანა გაგუდული, მერე კიდე დილამდე ძაღლებს დასდევდა.

– დღესაც აქ იყო.

– ხო სულ აქაა და სულ ვიღაცას ეხმარება.

– მამა არ ჰყავს ხო მაგას?

– არა, ბიძა ჰყავს სადღაც გარეუბანში...

ვიღაც უკნიდან მომიახლოვდა და წყალი მთხოვა. ხუთლიტრიანი მივეცი და უკან დავბრუნდი ახალი ბოთლების ასაღებად.

* * *

– აბა, წყალი, ბიჭებო! ცივი არაა, მაგრამ წყურვილს მოიკლავთ. – მივმართე ახალგაზრდებს.

– გულზე დამასხი, ბიძაჩემო, გულზე. – მითხრა ახალგაზრდამ და მაისური გაიღეღა.

– ცოტა ქვემოთაც ჩააყოლე მაგ საწყალს. – იხუმრა მეორემ და თვალით ოდნავ მოშორებით მდგომი მანდილოსნიკენ მანიშნა, რომელსაც ულამაზესი გულისპირი მოუჩანდა ზედმეტად შეხსნილი სპორტულიდან. ქალი არცთუ ახალგაზრდა იყო, მაგრამ მეც კი გამეყინა თვალი წამით. ერთი ხუთლიტრიანი წყალი დავტოვე და იმ ქალისკენ გავწიე.

– გამარჯობა, წყალს ხომ არ მიირთმევთ. – ვკითხე უკვე წელში გამართულს.

– კი, კარგი იქნება, – მითხრა და პირდაპირ მოიყუდა ბოთლი. ზედმეტად გადმოსული წყალი კისერს ჩაუყვა, მკერდზე შეიკრიბა და... ქალმა ბოთლი მოიხსნა პირიდან.

– რაო, ახალგაზრდებმა, მოიკლეს წყურვილი? – იკითხა მხიარულად.

– ახალგაზრდებს კი არა, უფროსებსაც დაახრჩობთ ასე...

– დახჩობა გვეყოფა უკვე. ნახევარ საათში დაღამდება, ალბათ, იხალისონ მანამდე.

– კარგად! – გავუღიმე.

– კარგად! – გამიღიმა.

* * *

ბოლო ბოთლები დავარიგე. დაღამდა. მეტი არც წყალი იყო და წამოვედი. ელბაქიძის დაღმართთან ვერცხლისფერი პიკაპი დამეწია და გააჩერა.

– დაჯე, თუ პირდაპირ მოდიხარ!

– დავსვრი მანქანას.

– არ აკლია დასვრა. – გაეღიმა პატრონს. დავჯექი. უკან ქალბატონი და მამაკაცი ისხდნენ. მივესალმე.

– აქ როგორ მოხვდი? – ვკითხე მძღოლს.

– რაღაცები შევაგროვეთ ჩვენებმა, ჭურჭელი, თეთრეული, ტანსაცმელი, ცოტა საჭმელი და ფული და ის მივიტანე.

– ორგანიზაციიდან ხარ, ალბათ, რო შეგიშვეს.

– არა, ლტოლვილები ვართ, აფხაზეთიდან...

* * *

იუსტიციის სახლთან ჩამოვედი. მოპირდაპირე მხარეს ბოტები გავრეცხე და მანქანისკენ გავწიე. ჩავჯექი და ნელა დავიძარი სახლისკენ. აბანოებს გავცდი და დავინახე, ბიჭები მიდიოდნენ, ტალახში ამოსვრილები. გავუჩერე.

– საით მიდიხართ?

– მანქანას დავსვრით, ბიძა.

– საით მიდიხართ, კაცო?

– ფონიჭალაში.

– დაჯექით, დაჯექით. – ბიჭები ჩასხდნენ.

– აქ პატარა წრეს გავაკეთებ, ცოტა უნდა დავარღვიო, გაზს „გავაზაპრავკებ“ და წავიდეთ, კარგი?

– კარგი, ბიძა. ჩვენ მაინც არავინ გაგვიჩერებდა და ამხელა გზა ფეხით უნდა გვევლო.

მოსახვევზე ორმაგი ხაზი გადავკვეთე და პატრულიც მომადგა უკან. დამისიგნალა და გადავდექი გვერდზე. თანამშრომელი მანქანიდან გადმოვიდა, ქუდი დაიხურა, ტანსაცმელი შეისწორა და ფანჯარასთან მოვიდა.

– საბუთები თუ შეიძლება. – მივაწოდე მართვის მოწმობა და ტექპასპორტი.

– ნასვამი ხომ არ ხართ, ბატონო? – იკითხა და დაიხარა. მერე სალონში ჩაიხედა, ტალახიანი ბიჭები დაინახა. – გმირთა მოედნიდან მოდიხართ?

– კი, გმირთა მოედნიდან.

– მეტი აღარ დაარღვიოთ. – მითხრა, საბუთები მომაწოდა და წავიდა.

– ვაა, ჯიგარ. – თქვა ერთ-ერთმა ბიჭმა. მანქანა დავძარი და გაზგასამართ სადგურზე მივედი.

– უნდა გადმოვიდეთ, ბიჭებო.

– კი, კი. – და ოთხივე სწრაფად გადმოვიდა. ოპერატორი მოვიდა.

– აი, 9 ლარის გაუშვი.

– თქვენთვის უფასოა.

– რაა?

– ამისმა პატრონმა, მოხალისეებს უფასოდ „გაუზაპრავკეთო“.

– ღმერთმა ხელი მოუმართოს, მაგრამ რამდენს „გაუზაპრავკებს“ უფასოდ.

– რავი, დღეს ასზე მეტი კაცი იყო ჩვენთან.

– ზოგი ისეც მოვიდოდა. – თქვა პატარა ბიჭმა.

– არც ერთი. რავი, არც ერთი არ მოსულა ისე. – თქვა „ზაპრავშიკმა“ და გაზი გადაკეტა. – კეთილი მგზავრობა.

ბიჭები ჩასხდნენ. დავქოქე და წავედი.

* * *

რკინიგზის ხიდის ქვეშ გავძვერი, მაღაზიასთან გავჩერდი და პურზე გადავედი. ვიყიდე და რომ ვჯდებოდი, წინ ახალი CL-ის კლასის მერსედესი გაჩერდა. კარები გაიღო და სამი ტალახიანი ბიჭი გადმოვიდა. მადლობის ნიშნად თავები დაუკრეს და კარები მიხურეს. ჯიპი იქვე მობრუნდა და უკან წავიდა.

* * *

აღმართში ავედი და გამაჩერეს. ერთი ბიჭი ჩავიდა.

– დიდი მადლობა. – მითხრა და ბიჭებს მიუბრუნდა. – ხვალ მიხედეთ და მერე შემოგიერთდებით.

– თუ რამეა, მოვალთ ჩვენც.

– არა, იქ მიხედეთ. ბიძაჩემმა ყველაფერი გააკეთა უკვე. – თქვა ჩუმად.

– კაი, მაგრად.

– კარგად, წავედით.

– რა კაცია. – თქვა ერთმა.

– საიდან გაიცანი?

– იქ გავიცანი იმ ღამეს, დას ეძებდა. ხვალ აქვთ გასვენება...

* * *

მანქანა ისევ იქ გავაჩერე, სადაც მანამდე იდგა. გადმოვედი. ნოდარი და თენგო ისევ იქ ისხდნენ, სადაც დავტოვე, ეგაა ლუდს აღარ სვამდნენ. დამინახეს და ხელი დამიქნიეს.

– შენ ახლა გამოცდილი კაცი ხარ. – დაიწყო ნოდარამ. – აი, დღეს თენგოს გარაჟი საჭმელებით, ტანსაცმლით და რაღაც-რაღაცებით გავავსეთ, სუ კაი რამეებია, გადარჩეული, ამან თავისი ტელევიზორიც ჩამაიტანა, მაინც სულ გაზის ბალონივით ეზოში ვაგდივარო და... ხოდა, ჩვენ იქ რა გამოსაჩენი ხალხი ვართ და შენ უნდა ჩაიტანო ხვალე, მანქანის ფულიც აკრეფილია...

– კარგი, დილით აქ ვარ. – ვუთხარი, ორივე გადავკოცნე და სახლში ავედი.

* * *

კარები ფრთხილად შევაღე. კორიდორში გაკრიალებული ბურთი და უფროსი ბიჭის ლაფში ამოსვრილი ბოტასები ელაგა...

შიმშილი

– შემდეგს უთხარი, შემოვიდეს. – უთხრა მომსვლელს, ხელი ჩამოართვა და ბაბუის ნაჩუქარ ოქროს საათზე დაიხედა. 8 საათი გამხდარიყო. მაცივრიდან წყალი გამოიღო და ჭიქაში ჩაასხა. კარებთან მივიდა, კოროდორში გაიხედა. არავინ იყო. დღეს ადრე დავამთავრე, გაეღიმა. სავარძელში ჩაეშვა. ისე, რა სიჯიუტეა, ერთი მდივანი რა პრობლემაა, ან თანაშემწე. საბუთებს დაულაგებდა სხვა თუ არაფერი, შეახსენებდა საქმეებს. ეგე, კიდე კაი

გაახსენდა, რომ რესტორანში იყო მიწვეული, ქალაქის მთელი ელიტა იქ იქნება. ელიტა! გაეღიმა. ტელეფონი ამოიღო, აკრიფა, მოუბოდიშა, ბავშვია ცუდადო. მერე სახლში გადარეკა მეუღლესთან, ხომ გახსოვს, გვიან მოხუცთა სახლში ვართ მისასვლელები, ოთახის შეღებვა უნდა დავასრულოთო. ადგა, კორიდორში გავიდა. ნიავი კარგად აგრილებდა აქაურობას. ჩამოჯდა კორიდორში და თავის კარებს დააკვირდა...

* * *

კარები გაიღო. ჰალსტუხიანი კაცი გამოვიდა, მივიდა რეზოსთან და ხელი ჩამოართვა. ოთახში შევიდნენ, მდივანმა გოგონამ ყავა მიართვა. ისაუბრეს რაღაც თემებზე, ზედაპირულად. მერე სიჩუმე ჩამოვარდა.

– ბატონო რეზო, მე ვესაუბრე და მგონია, რაღაც შეცდომაა. გაერკვევა მალე, ხომ იცით ახალი კაცია, უცხო. თან ამხელა გადატრიალება მოხდა, ყველას ყველასი ეშინია. ნდობა.. არა, თქვენზე არაა საუბარი, ყველამ იცის, რომ თქვენ პოლიტიკურად ნეიტრალური იყავით, თუმცა ზოგჯერ არც ნეიტრალიტეტი ყოფილა მოგებიანი. არა, თქვენი პროფესიონალიზმი, ურთიერთობები და პატიოსნება ახლა რომ გვჭირდება, ისე, ალბათ, არასოდეს სჭირდებოდა ქვეყანას... – გარეთ გამოვიდა. ჩრდილში მდგომ ხალხს თავი დაუკრა და ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა. „ცუდია მანქანის გარეშე“ – იფიქრა, კოსტიუმს და ჰალსტუხს ჩავდებდი... ხო, ასე აკეთებდა და ფეხით მიუყვებოდა ხოლმე სახლისკენ გზას. ბევრი აქ ხვდებოდა და განცხადებას აქვე აწვდიდა. ეს აფთიაქი კი მისთვის და მისი მეგობრებისთვის საყვარელი ადგილი იყო, რადგან თვითონ ამარაგებდნენ უფასო წამლებით. „მალამო“. არა, შიგნით არასოდეს შედიოდა, მხოლოდ მაშინ, თუ ცარიელს დაინახავდა, რომ ეკითხა წამალი ხომ არაფერი შემოგაკლდათო...

* * *

3 თვე გავიდა, ალბათ. კარები გაიღო, ახალგაზრდა კაცმა ოთახში მიიწვია. უთხრეს, რომ იციან და სწავლობენ მის საკითხს, იმედია, რომ რაღაც შესაფერისი გამოჩნდება და მისი ცოდნა არ დაიკარგება... ისევ ფეხით მივიდა სახლში. ცოლი ატირებული დახვდა. უთხრა, რომ მისი დეიდა გამხდარა ცუდად. დაამშვიდა, გზის ფული მისცა...

* * *

– რომელი საათია? – ჰკითხა კორიდორში გამვლელმა. მექანიკურად ხელზე დაიხედა, მერე თავი გაუქნია უარყოფის ნიშნად. ბევრი იარა, სახლში რომ გვიან მისულიყო. გაუხარდა, ცოლ-შვილს რომ ეძინა. „ნეტა, საჭმელი ჰქონდათ?“ – გაიფიქრა და ტახტზე დაწვა.

* * *

– დღეს ვერ მიგიღებთ, სტუმრებს ელოდება. – გამოტრიალდა. არადა, თავადაც ხომ იღებდა ხოლმე სტუმრებს, ნეტა, მალე გამეშვა ხოლმეო, გაიფიქრა გულში და კიბეებს დაუყვა. ქვედა სართულზე კიბეებზე ხარაჩოები დაეყენებინათ და ისევ კორიდორით მოუწია გასვლა. გაეღიმა, თავისი პირველი კაბინეტის გვერდის ჩავლისას. იქ კი ორი წელი ვიჯექი, – გაიფიქრა ბოლოში კარების დანახვისას.

– ჰე, დროზე წავედით, წავედით, ხალხი გველოდება ბუნებაში, მე ავალ, ნიკალაევიჩს დავუძახებ, თორე ხომ იცი მაგის ამბავი? – ოთახიდან გამომსვლელმა ისე ჩაუარა გვერდი, იცნო თუ არა რომ ვერ გაიგებს კაცი. „სტუმრები“ – ცოტა გული ეტკინა, მაგრამ ფეხს აუჩქარა.

– დეიდა დაიღუპა. – უთხრა ცოლმა. – საწყალმა წელიწადზე მეტი იწვალა. როგორ უნდა წავიდე?

– რაღაცას ვიზამთ? – უთხრა კაცმა. – გზის ფულს მაინც გიშოვი. ფული იშოვა. ქალი არ წავიდა. – ბავშვი სკოლაში მიდის და ფეხზე არაფერი აქვსო... ტელევიზორი გადმოცემდა, რომ ახალი ჩქაროსნული გზა გაიხსნა...

* * *

– კაცო, შენ გადამრევ, რაღაც გამოჩნდება, მშენებლობაზე ხომ არ დაგაწყებინებთ მუშა-

ობას? – გონზე რომ მოეგო, უკვე კორიდორში იყო, იყოს მშენებლობა, უნდოდა ეთქვა, მაგრამ ყელში გაჩრილი ბურთი ხმის ამოღების საშუალებას არ აძლევდა. „პრარაბმა“ უყურა, უყურა და გვერდზე გაიყვანა.

– აი, შენ დღევანდელი დღის ფული და წადი რა, ძმაო, შენი ჯანმრთელობა აქაურობას ვერ გაუძლებს. გამოიცვალა და წამოვიდა. გზად ზეთი, კარტოფილი, კვერცხი, ვერმიშელი და 2 ცალი ნაყინი იყიდა. სახლში მივიდა. არავინ გაუღო. თავისი გასაღებით შევიდა და ყველაფერი მაგიდაზე დააწყო. უცბად ელდა ეცა, ნეტა, სად არიან? იმათ მოსვლამდე ხომ სულ გალღვება ნაყინი? მაცივარი რამ გამაყიდია... კარები გაიღო, ჯერ ბავშვი შემოვარდა და გულზე მოეხვია, უკან მეუღლე მოყვა. ნაყინი ბავშვს გაუხსნა და მისცა, მეუღლესაც მიაწოდა.

– შენ? – ჰკითხა მან.

– მე გზაში შევჭამე.

მეუღლემ ნახევარი ნაყინი შეჭამა და ნახევარი მიაწოდა...

* * *

– ჩამო ძმაო, ჩამო, ბოლო გაჩერებაა, აქ „სპალნი“ ვაგონი კი არაა? – ვერც გაიგო, სამარშრუტო ტაქსიდან, როგორ ჩამოსვა ახალგაზრდა კაცმა და ფეხებთან მოზრდილი ჩანთა მიუგდო.

– ეს ჩემი არაა! – მიაძახა მაგრამ „მარშუტკა“ ღმუილით მიდიოდა უკვე. გაოცებული იდგა ჩანთასთან. – ჩემი არაა. – ეს უკვე თავისთვის თქვა და გარშემო მიმოიხედა. მერამდენე წელია, აქეთ გადმოვიდნენ, მაგრამ ვერაფრით შეეგუა ამ რაიონს. მართალია, სულ ქარია, მაგრამ ყველაზე იაფად აქ იყიდა ერთოთახიანი და ახლა მთელს ქალაქს ზემოდან დასცქერის. ამ დროს და ამ სიცივეში აქ ხალხი იშვიათად დადის. – რა ვქნა? – იფიქრა? დაიხარა და ჩანთა გახსნა. თბილი ხორცის სუნი ამოვარდა ჩანთიდან, ყველის და ვაშლის სუნთან შეზავებული. კაცმა ხორცთან და ყველთან ერთად ორი დიდი დედალიც დაინახა. „ახალი წელი მოდის“ – გაიფიქრა. ჩანთა შეკრა და ისევ გახედა გზას. „ვინმე მოვა, ალბათ“. – საშინლად ცივა. – გაიფიქრა. ჩანთა გახსნა და ვაშლებს დახედა. შეკრა ისევ. თითქმის დაბნელდა. მომსვლელი მოვიდოდა უკვე. ჩანთა გახსნა და ერთი დიდი წითელი ვაშლი ამოიღო. მიკროავტობუსმა შემოანათა გზაზე. ეტყობა, წინა გაჩერებაზე დაცალა ხალხი და იქიდანვე მიბრუნდა. ვაშლი ჯიბიდან ამოიღო და ისევ ჩანთაში ჩადო, მერე ისევ ამოიღო და ჯიბეში ჩაიდო. მოსახვევში მანქანა შემოვიდა და პირდაპირ მისკენ წამოვიდა.

– აი, ამან მომპარა ჩანთა. – ყვიროდა მანქანიდან გადმოსული ქალბატონი.

– ნახევარი საათია გელოდებით, – ძლივს ამოთქვა კაცმა.

– ამან მომპარა! – არ ცხრებოდა ქალი.

– ქალო, მოპარვა რომ ნდომოდა, აქ დაგელოდებოდა? – უთხრა კაცმა, ალბათ, შვილმა. ქალი ჩანთაში იქექებოდა.

– ამას უნდოდა მოეპარა.

– მოპარვა რო ნდომოდა, აქ აღარ იქნებოდა, რით ვერ გაიგე?

– საფულეც აქაა, – თქვა ქალმა, კიდე კაი დავეწიეთ.

– ქალო, არსად არ წასულა კაცი, ვერ ხედავ? – მკაცრად უთხრა შვილმა და მადლობის ნიშნად კაცს ხელი გაუწოდა.

– მოვიპარე, – ამოილუღლუღა კაცმა და გაწვდილ ხელს ჯიბიდან ამოღებული წითელი ვაშლი შეაგება.

– ეგე, ხომ გითხარი, მოიპარა-მეთქი. – თქვა ქალმა ნიშნის მოგებით. ბიჭმა ვაშლი თოვლში მოისროლა, – გაჩუმდი, ქალო! – უღრიალა დედას და ქალი მანქანაში ძალით ჩატენა. მანქანა წავიდა. კაცი გაშტერებული იდგა. მერე ვაშლი აიღო და წავიდა.

* * *

სახლში ყველაფერი ის მიიტანა, რაც ცოლს და შვილს უყვარდა. გახარებულები იყვნენ ყველანი.

– ძალიან ხომ არ იღლები?

– არა, მთელი დღე ვზივარ, – უთხრა კაცმა. ბავშვს წიგნები შეუცვალეს, დახეულებში

აღარაფერი ჩანდა, მერე ახალი კაბა უყიდა ცოლს. უხაროდათ ძალიან.

– ახალი ჯინსები იყიდე, გაცვდა უკან სულ.

– ხო, სულ ვზივარ და რა იქნება? ოღონდ არ მკითხო რას აკეთებო?

– როდისმე მიკითხია? – გაუღიმა ქალმა.

მაცივარი იყიდეს, ნახმარი, მაგრამ მაინც არა უშავდა, სადაცაა ზაფხული მოვიდოდა.

– ეს რაა? – ერთ დღეს გაოცებულმა ქალმა ჰკითხა კაცს და შარვლიდან ამოღებულ ორ პეშვ ხურდაზე მიუთითა. კაცი დაიბნასავით.

– კარტი ვითამაშეთ სამსახურში, საქმე არ გვქონდა, კაცი გაწითლდა.

– კარგი, ნურაფერს მეტყვი. – ქალი არ განძრეულა.

– კარგი, გეფიცები, შენ თავს ვფიცავარ...

* * *

– კვირასაც არ გასვენებენ? – ჰკითხა ქალმა.

– ხო, რა ვიცი, მაგრამ, სამაგიეროდ, მეტია გამომუშავება, გავიქეცი, დამაგვიანდა.

– ჩვენ სკოლიდან ცირკში მივდივართ, მერე არ ვიცი, სად გავისეირნებთ. – მიაძახა ქალმა გაქცეულ კაცს.

ისედაც ძალიან ცხელოდა და ვიწრო ქუჩებში იკარუსით სიარული საშინელება იყო. მძღოლი კი საერთოდ ისე წუწუნებდა, რომ არა შეძენილი ბილეთები, ფეხით წასვლა აჯობებდა. გოგონა ფანჯარასთან იჯდა და მაღაზიის ვიტრინებს ათვალიერებდა.

– ისედაც ვიწრო ქუჩაა და რაც ეს ეკლესია ააშენეს სულ ასეთი საცობებია. – ამბობდა მძღოლი. იკარუსი ეკლესიის კარიბჭეს მიუახლოვდა.

– რა ლამაზია, – თქვა გოგონამ. მერე გაჩუმდა და დედას მოუბრუნდა – დედა, მამა?! – და ახლა შენიშნა, რომ დედას თვალებზე ცრემლი ჩამოსდიოდა. ქალი კი ეკლესიის კარიბჭესთან მჯდომ კაცს უყურებდა, კაცს, რომელიც მას უყურებდა და თვითონაც ტიროდა...

* * *

– შეიძლება, რეზო ბატონო? – კარებში მოხუცი იდგა. – ლიფტი მაინც ჰქონდეს ამ შენობას. მეოთხე სართულზე ამოსვლას 2 საათი მოვუნდი. რეზო ფიქრებიდან გამოერკვა, წყლიანი ჭიქა მაგიდაზე დადო, სწრაფად წამოდგა სავარძლიდან და კარებში მდგომ მოხუცს მიეგება.

– რა კარგია იცი, კარები სულ ღია რომ გაქვს? იმედია ყოველთვის...

ფოთა ფაღავა

ინციდენტი, რომელიც შეემთხვა პოეტ მამია ვარშანიძეს ინტურისტის კაფეში

მამია ვარშანიძეს უყვარდა დედულეთი,
დედულეთი უყვარდა მამულის თანაბრად,
და მაგონდება ინციდენტი ერთი,
როცა პოეტი თოფივით გავარდა.
გავარდა მარა, რა გავარდა,
დედულეთი აუგად უხსენეს როცა,
მავანი სკამიდან გადავარდა,
წამოდგა და დაუწყო მუხლებზე კოცნა.
მუხლებზე საკოცნელად არ მიუშვა,
მავანი მისგან სამუდამოდ გარიყა.
დაჩოქილმა მავანმა მოუხადა ბოდიში,
დაჩოქილი მავანიც პოეტი იყო.

2015 წ.

ნოდარ ძირკვაძის გახსენება სოფელ დიოკნისში

ბაგეებს შლიდა თეთრი გვირილა
ნ. ძირკვაძე

მოდი და მკითხე, მაგრამ არ მახსოვს,
როდის რა მკითხე და რატომ მკითხე,
ძალიან დიდხანს ვეძებდი პასუხს,
პასუხს ელოდი ძალიან დიდხანს
და როგორც იქნა, გავტეხე ნავსი,
პასუხი იყო რბილი და მშვიდი,
მიდამო იყო იებით სავსე
და გვირილები ბაგეებს შლიდნენ.
ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ,
სიტყვას ამოსდე რკინის ლაგამი,
მერე მოვიდა ქარი და წვიმა
და ყველა ნაკვალევი აღგავა.

2015 წ.

* * *

მალხაზ ფაღავას

ვარ უფლის სახლის წიქაროსანი,
შაშვია უფლის სახლის მგოსანი,
მე მიყვარს შავი შაშვის ოსანა,
მე ვარ შეგირდი ფრიადოსანი.
მე განსაცდელი ვერ დამეწევა,
შენი ზვავი ვარ, შენი მეწყერი,
ჩემი სიცოცხლე ახლა იწყება,
მალე იესო სახლში მეწვევა.
არ მომიძღვნია შენთვის ოდები,
მე შენს წიგნებში გავმეორდები,
მეტაფორების ფარას მოვდენი
და ეს იქნება ჩემი ორდენი.

2015 წ.



ანზორ კუდაბა

...გზა...

საიდან, საიდან დავიწყო?

იქიდან ხომ არა, სულ ბავშვობიდან?

...მეორე კლასში ვიქნებოდი, როცა ტატიანა მასწავლებელმა საკლასო ჟურნალი გადაშალა და ჩემს გვარზე შეჩერდა: – ანზორ კ..ბა – თქვა და სუნთქვა შეიკრა, – დაკვირვებით შემათვალიერა და გამიღიმა, მერე კლასს მიუბრუნდა და გაირინდა.

სუნქვა შეგვეკრა ყველას და მასწავლებელმაც: – იცით, ბავშვებო, ჩვენს კლასში აფხაზი ბიჭიცაა.

ნერწყვი გამიშრა პირში, თითქოს გონებაც კი დამებინდა, ნეტა რომელი უნდა ყოფილიყო ის აფხაზი ბიჭი და მასწავლებლის ხმაც მომწვდა თითქოს შორიდან, ძალიან შორიდან: – აფხაზია ანზორი...

გავშრი, თითქოს გავიყინე, მაგრამ ვფიქრობდი: – კლასში ერთი ანზორია და იგი მე ვარ...

მე – ანზორ კ..ბა აფხაზი ვყოფილვარ თურმე...

თავს რეტი დამესხა: „ყველა ქართველი და მე ერთი – აფხაზი... არაქართველი და ვინ არის აფხაზი?

შევწუხდი და ავტირდი, როგორღაც დამცირებული. ცრემლები ღვარად გადმომსკდა. თავი ჩავქინდრე, მე მრცხვენოდა...

– მაგრამ... – ფიქრებიდან ისევ მასწავლებლის ხმამ გამომიყვანა: ანზორს დედა ქართველი ჰყავს, ჩვენი ანზორი აფხაზიცაა და ქართველიც, ანზორ კ..ბა სრულიად საქართველოა! ჰო, ჩემო ანზორ, – დამიყვავა ტატიანა მასწავლებელმა და თვითონ მომწმინდა ცრემლები, – სატირალი, აბა რა გაქვს?!

ახლა მხარზე დამადო ხელი და გაკვირვებულ ბავშვებს ასე მიმართა: – მეოთხე კლასიდან ისტორიის საგანიც დაგეწყებათ და შეისწავლით ჩენი ქვეყნის ისტორიას, საიდანაც შეიტყობთ, რომ საქართველო ქართველთა და აფხაზთა ქვეყანაა, რომ ქართველებსა და აფხაზებს ერთი მიწა გვაქვს, ერთი სამშობლო და მას გაფრთხილება უნდა თვალისჩინივით.

მე კი მდის ცრემლები, განვიცდი, რომ კლასში ერთადერთი აფხაზი ვარ, ყველასაგან განსხვავებული, არაქართველი მაინც, თითქოს სხვა ვიყო, უცხო ვინმე და... – აქ სიტყვები აღარ მეყო იმის ამოსათქმელად, რასაც განვიცდიდი, თითქოს ფოთოლი ვიყო მოსაწყვეტად განმზადებული, ათრთოლებული და შიშისგან მობუზული.

სახლამდე ტატიანა მასწავლებელმა მიმაცილა.

იცნობდა თურმე დედაჩემს.

მოუთხრო, რაც მოხდა კლასში და ხელზე ხელი მოუჭირა დედაჩემს: – აბა, შენ იცი, თამარ, შენ უფრო აუხსნი შენს შვილს ამ ყველაფერს, შენი იმედი მაქვს, – მომეფერა და წავიდა.

აღარ ვიცოდი, მძულდა თუ არ მძულდა ტატიანა მასწავლებელი.

მეორე დღეს სკოლაში აღარ წავსულვარ. სიცხემ ამიწია, კრიჭაც შემკვროდა და ხმა ვეღარ ამომეღო.

მხოლოდ მეშვიდე დღეს წამოვდექი. აღარ მაკანკალებდა.

მზე სადაცაა უნდა ჩასულიყო, რომ მამაჩემიც მობრუნდა სამსახურიდან.

თვალი გამისწორეო, მითხრა და მეც გავუსწორე თვალი. – მომისმინო უნდა... – ვერ მივხვდი, მიბრძანებდა, თუ უბრალოდ: მთხოვდა.

გისმენ-თქო, ვუთხარი.

– აგერ დედაშენი, აგერ მე და აგერ – შენც. მე აფხაზი ვარ ეროვნებით, დედაშენი – ქართველი... შენ კი... – აქ ენა დაება და შეყოყმანდა.

– მაგრამ „რა განსხვავებაა აფხაზსა და ქართველს შორის?“ – ზუსტად ასე მიკითხავს მისთვის, მაგრამ ამას როდი ვგულისხმობდი?

ჩემმა კითხვამ ჩააფიქრა მამაჩემი, არც კი იცოდა, როგორ ეპასუხა ჩემთვის, მე კი სულშეგუბებული ველოდი მის პასუხს.

– კარგი... რადგან ასე ძალიან გაინტერესებს შენ ეს ამბავი... ასე მოვიქცეთ: ფერიაში ბიძაშვილი მყავს ერთი ხურშუტ კ..ბა არდადეგებზე მასთან გაგგზავნი და იქ გაიგებ ვინ არის აფხაზი, ხურშუტის ოჯახში გაეცემა შენს კითხვას პასუხი.

მეც ერთი სული მქონდა არდადეგების დადგომამდე.

* * *

ფერიაში ვარ.

ხურშუტ კ..ბა თავისებური კაცი გახლდათ: ამაყი და შეუვალი, მუდამ თავაწეული დადიოდა, თვალს ვერ გაუსწორებდით. შეხედავდით და გიმორჩილებდათ თითქოს. მეც შევხედე და გულში ავუჯანყდი. თავზე დამადო ხელი და ჩაეცინა.

აღარაფერი უთქვამს, ისე გამშორდა.

მზე ჩადიოდა და ის ჯერაც არ დაბრუნებულიყო.

გული ამიძგერდა მის მოლოდინში.

მეზობლებიც გადმოსულიყვნენ, ალბათ სალაპარაკოდ.

ისიც გამოჩნდა და მიესალმა მეზობლებს. ისინი კი რკალად შემოერტყნენ ოჯახის უფროსს.

ქართულად გამართულად მეტყველებდა, მაგრამ რაღაცნაირი, ჩემთვის თითქოსდა სასწაული აქცენტით, რითაც ყველასგან გამოარჩევდით (მერე მისი აფხაზური რომ მოვისმინე, ყველაფერს მივხვდი. აფხაზს, რომელიც სრულყოფილად ფლობს აფხაზურს, სხვა კილო თუ ტონი არც შეიძლება ჰქონდეს).

ამასთან: დიდებული მთხრობელი გახლდათ: როგორღაც გიმორჩილებდათ და თქვენც ფიქრად ქცეულნი მიჰყვებოდით უსიტყვოდ. ვუსმედი მეც მთლიანად დატყვევებული... იგი იმ დღესვე გაიზარდა ჩემს თვალში, თითქოს ყოვლისშემძლე ყოფილიყოს და ყოვლისმცოდნეც. ჩემი აზრით ყველაფერი შეეძლო ხურშუტ კ..ბას და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდა სოფელში.

მისი სიტყვა სიტყვა იყო. არასოდეს ყოფილა, სიტყვა არ შეესრულებინოს.

საღამო ხანს სუფრა გაიშალა თუთის ხის ქვეშ.

ხურშუტ კ..ბა თამადობდა.

მეზობლებმა თხოვეს ბოლოს, რომ მისი გვარის ისტორიაზე მოეთხრო მათთვის. შევამჩნიე, ფიქრი მოეძალა თვალებში, ეს ძველი ისტორიაა, მაგრამ აღარ მოეშვნენ მეზობლები და იმანაც დააკმაყოფილა მათი ცნობისმოყვარეობა.

იმ დღეს შევიტყვე მე ჩემი წარმომავლობის შესახებ: თურმე საკუთარი ადგილ-მამული გვქონია აფხაზეთში. მდინარეც ჩვენი გვქონია...

– ჩვენი გვარი, ცნობილი გვარი ყოფილა აფხაზეთში, თურმე ჩვენი საკუთარი ღერბიც გვქონია! ეს ის დრო იყო, როცა ჩრდილოეთიდან კაზაკები გვავიწროვებდნენ, – ხმა დაუნაღვლიანდა ბიძაჩემს, – ჩემი დიდბაბუადან მსმენია, რომ მომხდურს ვებრძოდით, ჩვენ ჩვენს მიწას ვიცავდით, ბევრი ჩვენი თანამოგვარე დაეცა ბრძოლის ველზე.

ბოლოს, ვინც კი ცოცხალი დარჩა, რუსებმა კანონგარეშედ გამოაცხადეს და ვადაც დაუთქვეს, რომ დაეტოვებინათ აფხაზეთი, თორემ სიკვდილით დაისჯებოდნენ.

ასე რომ, გეჩბებთან და აცანბებთან ერთად ჩვენც გადმოვიხვეწეთ ჩვენ-ჩვენი მამულებიდან, დავტოვეთ ასე აფხაზეთი. ბედმა სად არ გვატარა და, რის ვაივაგლახით სამმა ძმამ ბათუმამდე ჩამოაღწია, ორი მათგანი სოფელ

ფერიაში დასახლებულა, ერთს, ქერემს კი თურქეთისკენ უქნია პირი.

ეს უკვე სხვა, მაგრამ მაინც ჩვენი ისტორიაა. ასე დავეკარგეთ ერთმანეთს. მხოლოდ ის ვიცი, რომ ქერემ კ..ბა ასკერში გაუმწესებიათ. ბოლოს თავი დაუღწევია სამხედრო სამსახურისთვის და სოფელ ყარადერეში დამკვიდრებულა, მოუძებნია თავისი ცოლ-შვილი და კერა გაუჩაღებია.

საოცარია და ყარადერეს ღელე ჩაუდის ისეთივე, როგორიც ჩვენს სოფელს აფხაზეთში. ჩვენი ფერიაც ჩვენს აფხაზურ სამკვიდროს გვაგონებსო, მსმენია ჩვენი წინაპრებისგან...

ნადიმმა გვიან ღამემდე გასტანა.

ბოლოს აიშალა სუფრა და მართა ბიცოლამ შინ შემიყვანა, შენი ძილის დროაო, ქართულად მითხრა და ძილი ნებისა მისურვა, თან ასე დააყოლა: – აბზიარაზ, კარგად მეყოლეო, დამემშვიდობა, აფხაზურად ასე ჟღერს დაახლოებით.

მე კი ბიძაჩემზე ვფიქრობდი, მეამაყებოდა, რომ პატივსაცემი ადამიანი გახლდათ სოფელში.

ასე რომ, იმ დღემ მშვიდობიანად ჩაიარა ჩემთვის.

მაგრამ მეორე დღეს ყველაფერი შეიცვალა:

მელაპარაკებოდნენ, მაგრამ მე არ მესმოდა მათი.

მე დუმილით გამოვხატე ჩემი პროტესტი.

ვიჯექი თუთის ხის ქვეშ და ხმას არ ვიღებდი.

ისევ მართა ბიცოლა მომეშველა და ქართულად გამომელაპარაკა: – შენ ხვდები ალბათ, რომ აფხაზურად გელაპარაკებიან. ჩვენ აფხაზურად ვლაპარაკობთ სახლში. შენ აფხაზი ხარ და მამაშენის სურვილია, ისწავლო აფხაზური. ასე რომ, გული არ გეტკინოს...

დადგა მეორე დღეც. მისი გათენება მაინც და მაინც არ მიხაროდა, რადგან ვიცოდი, რომ ქართულს ვერც დღეს გავიგონებდი და წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული, როცა ხურშუტ ბიძია ქართულად გამომელაპარაკა. როგორც ისურვებო, მითხრა და მოწყენილი გავიდა.

მერე მოხდა ისე, რომ ამ მართლაც ტრადიციულ აფხაზურ ოჯახში აფხაზური მთელი კვირა არ გამიგონია. მე გამარჯვებას ვზეიმობდი გულში...

ერთ მშვენიერ დღეს თუთის ქვეშ ვიჯექი ისევ და, როგორც ყოველთვის, ვინ იცის, რაზე არ ვფიქრობდი.

– ანზორ, ეს წერილი მამაშენს გადაეცი პირადად ხელში, – მითხრა ღიმილით და ლოყაზე მომითათუნა ხელი ხურშუტ კ..ბამ: – შენგან ბევრი რამ ვისწავლე... ითაბუპ... მადლობას გეუბნები აფხაზურად.

* * *

ნაშუადღევს სახლში ვიყავი უკვე.

ძლივს არ მოვითქვი სული?!

მომეხსნა დაძაბულობაც. მაგრამ: არ ვიცი, რატომ და ხასიათი გამიფუჭდა ისევ.

თავი ახლა ვიგრძენი როგორღაც უხერხულად.

მართალი არ ვიყავი, როცა წმინდა აფხაზურ ოჯახში აქეთ მოვითხოვდი: თუ გინდათ მესმოდეს თქვენი, იმ ენაზე მელპარაკეთ, რომელიც მე მესმისო.

გზაში, აზრადაც არ მომსვლია, გამეხსნა წერილი და წამეკითხა.

თუმცა ერთი სული მქონდა, გამეგო, რა ეწერა წერილში.

მამაჩემმაც გაშალა წერილი და ხმამაღლა ჩაიკითხა.

რაც ამ წერილიდან შევიტყვე, ის იყო, რომ ხურშუტ ბიძია ბოდიშს უხდიდა მამაჩემს, ვარღვევ შეთანხმებას და ნაადრევად გიგზავნი უკან შენს შვილს, ასე რომ არ მოვქცეულიყავი, სულ მალე გურულად ავმეტყველდებოდით ყველანიო.

ასე დასრულდა ჩემი აფხაზურ ოჯახში სტუმრობა.

ერთ კვირაში გურიაში ვიყავი უკვე, თებრონე ბებიასთან და დომენტი ბაბუასთან ლესაში.

ეზოში შაქრის ვაშლის ხე იდგა, უზარმაზარი, მის ჩრდილქვეშ მთელი ლესა იყრიდა თავს: გალოგრეები, უგრეხელიძეები, პატარაიები, კუნჭულიები, იმნაძეები, ქვეყნის ამბავს ჰყვებოდნენ და შეექცეოდნენ ვაშლს. ვაშლის

ხეზე ასვლაც არ გვჭირდებოდა, მოუბერავდა ზენაქარი და იმდენ ნაყოფს ჩამოყრიდა ძირს, რომ ყველას ჰყოფნიდა.

დილით უთენია ვდგებოდით და ბიჭები ჭვათირის წყალზე მივდიოდით საბანაოდ.

ჭვათირის წყალზე ასეთი ლეგენდა დადიოდა სოფელში:

ამ ადგილზე, სადაც დიდი წყალია დაგუბებული, ძველად დიდი, გუმბათიანი სახლი იდგა. იგი სოფლის მამასახლისს ეკუთვნოდა. ყველაზე დიდი მამულის პატრონის გული კი ვერა და ვერ გამძღარიყო. სულ უნდოდა და უნდოდა და ეუფლებოდა კიდეც ყველასა და ყველაფერს. ძუნწიც იყო წარმოუდგენლად, ისეთი ძუნწი, ჩვენში რომ იტყვიან: დიდთოვლობის ჟამს თოვლსაც ვერ გაიმეტებსო.

...ჰოდა: ერთ დღეს გლახა ეწვია მამასახლისს, ჩამოძონძილი, ფეხშიშველა.

– რატომ მოსულხარ? – შეუღრენია მამასახლისს გლახასთვის.

– მშიერი ვარ, ბატონო, სამი დღეა ლუკმა არ ჩამსვლია პირში და ჭადის ნატეხს რომ გამოიმეტებდეთ, ღმერთი დაგიფასებს.

სახლიდან ორსული ქალი გამოსულა, ცივი ჭადი ჭერია ხელში და გლახასთვის მიუწოდებია.

– არ გაბედო! – დაუღრიალა ცოლს ქმარმა, ჭადის ნატეხი ხელიდან გამოგლიჯა და ენაგადმოგდებულ ძაღლს მიუგდო.

– რატომ არ შეიბრალებ ასე შეჭირვებულს? – ლამის ატირებულიყო გლახა.

– შეგიბრალო?! – გადაიხარხარა მამასახლისმა და ცოლს თითი დაუქნია, – ბალღი რომ ტირის, არ გეყურება?! სამამდე დავითვლი და აქ აღარ იყო! – უბრძანა ქალს და მასთან საუბარი დამთავრებულად ჩათვალა.

– უიმე, ტირის... წავალ, აკვანს წავურწევ! – ატირებულმა ქალმა აივანზე აირბინა და აკვანს დაურწია.

ტიროდა გლახა სიმწრისგან.

– ჩემმა თვალებმა არ დაგინახოს! – მამასახლისმა ყურში ჩასძახა გლახას და ხელიც წაუბიძგა. გლახამ წაიბორძიკა, ვეღარ შეიმაგრა თავი და წაიქცა. გაჭირვებით წამოდგა სულ გასისხლიანებული. სახლისკენ მიბრუნდა და მამასახლისის მახვილ ყურს ესმა: აკვანში ტიროდა ჩვილი, ტკივილებისგან იგრიხებოდა ორსული ქალი და შესაბრალისად კვნესოდა. ერდოზე შემომჯდარი მამალი აყივლებულიყო.

გონს რომ მოეგო მამასახლისი, გლახა აღარსად იყო.

შეცბა მამასახლისი და მიწაც იძრა.

შეირყა იქაურობა, მიწა გადაიხსნა და... სახლიც გაქრა, მიწამ უყო პირი.

ამბობენ: მამასახლისის გარდა ყველა გადარჩაო...

და რაც მთავარი: წელიწადში ერთხელ ცა მოიწმინდება რაღაც სასწაულად, დაიწმინდება წყალიც და გამოჩნდება შიგ ჩაძირული სახლი... სახლი გუმბათიანი... აივანზე აკვანს არწევს დედა, ერდოზე შემომჯდარ მამალს ხმა ჩახრენწია, მაგრამ როგორ იქნება ახალი დღის დადგომა არ აუწყოს სოფელს?!

სოფელი ლესა... ჩემი დედულეთი...

კიდევ ერთი მოგონებაც: 1949 წელია თუ 1950...

შუა აგვისტო...

თებრონე ბებია ცუდადაა. გული მიკვდება. გავიგონე, დედაჩემს რომ ეუბნებოდა ლანჩხუთიდან ჩამოყვანილი ექიმი, ორ-სამ დღეს თუ გასტანსო...

„რა მეშველება თუ მოკვდაო?!“ – გული მიწუხდა.

– საცივის წყალი ინატრა ბებიათქვენმაო, გადმოგვძახა ნინიკა დეიდამ.

ქვევით სულ დეიდაშვილები ვართ... ექვსნი ვართ, სულ ბიჭები და მეშვიდეც გოგო, სულ პატარა, ისიც დეიდაშვილი, მაგრამ ისე პატარაა, სათვალავშიც არ ვღებულობთ.

– ნიჟაის საცივიდანო... – გაგვაფრთხილა ნინიკა დეიდამ და თუნგი მოგვაჩეჩა.

ჩვენც მივირბინეთ ნიჟაის საცივთან, გავავსეთ თუნგი და სირბილითვე გამოვწიეთ უკან.

მივუსწარით.

მოსვა საცივის წყალი თებრონე ბებიამ, ღმერთი გაგახარებთო და მიიძინა სამუდამოდ.

არასოდეს დამავიწყდება ის დღე, თვალწინ ამომიტივტივდება და სევდის სამოსელში გაეხვევა.

მერე, მრავალმა წყალმა ჩაიარა...

ახალი დრო ჩამომდგარიყო.

9 აპრილი, 1989 წელი.

ქართველმა ერმა გამოიღვიძა, ამოიფშვნიტა თვალები და გონებაც გაუნათდა:

ხალხი დამოუკიდებლობას ითხოვს, უკან დახევას აღარ აპირებს და: რუსული ჩექმაც აღიმართა, ცდილობს გასრისოს იმპერიის ყველაზე ურჩი ხალხი.

როდიონოვმაც ბრძანა და რუსული ჩექმაც ამოძრავდა; თავისუფლებას მოწყურებული ერი კი არ ფიქრობს დათმობას, და ქართული მიწა მოირწყა ახალგაზრდული სისხლით.

თითქოს და ჩაცხრა ქართული სისხლი, მაგრამ მარცხი იწვნია თვითონ რუსულმა ჩექმამ, მას წინ აღუდგა ქართული სული – ყოვლისშემძლე და ერთხელ აღმდგარს ვერავითარი უკეთური ძალა ვეღარ დაიმორჩილებდა. ერმა გადაწყვიტა და შეუვალია ნება მისი...

ღმერთმაც მოწყალე თვალით გადმოგვხედა და ასე ჩამოდგა 1990 წლის 28 ოქტომბერი – აღსრულდა ქართველი ერის ნება: არჩევნებში ქართულმა ეროვნულმა ძალებმა გაიმარჯვეს და მე – ანზორ კ..ბა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს დეპუტატი ვარ, 1991 წლის 9 აპრილს კი ხელს ვაწერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს:

ეს მე ვარ, ტატიანა მასწავლებელო, ანზორ კ..ბა – აფხაზი ბიჭი, რომელსაც ამიხილეთ ერთხელ თვალები და სინამდვილეს მაზიარეთ, რომ ჩემში ორი ერის, აფხაზისა და ქართველის სისხლი ჩქეფდა და მე ვიყავი სრულიად საქართველო, ერთიანი, მთლიანი, რომელიც ოდესმე უნდა გაბრწყინებულიყო.

მაგრამ მტერს არ ეძინა, ჩვენს ირგვლივ საეჭვო ქსელს ხლართავდა და შედეგმაც აღარ დააყოვნა.

იდგა 1992 წელი, რომელიც შავი ასოებით შევა საქართველოს ისტორიაში.

სწორედ რომ ეშმას ძალისხმევით დაიწყო ძმათამკვლელი ომი ქართველებსა და აფხაზებს შორის. აქ ყველაფერს გაბოროტებული რუსული ჩექმა განაგებდა. ერთმანეთის სისხლი დაღვარეს ქართველმა და აფხაზმა.

ეს იყო არნახული ცოდვა: შევცოდეთ ორივემ: ქართველმაც და აფხაზმაც...

კარგად მახსოვს და რა დამავიწყებს:

თითქოს ზეცა დამხარხარებდა თავს, მისი ხმაც მომწვდა: შეიძლება აღარ დარჩეს სრულიად საქართველო!

ჩაიხედე სულში! შენშიც ჯანყია დიდი! ერთმანეთს ებრძვიან ქართველი და აფხაზი, ზურგი შეგიქცევიათ ერთი მეორისთვის!

და: როცა აფხაზის ხელით კვდებოდა ქართველი, კვდებოდა ჩემში ქართველი;

კლავდა ქართველი აფხაზს და აფხაზი კვდებოდა ჩემში...

ჰოდა: ვკვდებოდი და აღარც ვკვდებოდი მე – სრულიად საქართველო...

ღმერთი თუ გაგვიწყრა და ეგ არის(!)

ნიჰილიზმს მოეცვა დანაწევრებული ვერსრულიადი საქართველო.

საშველი აღარსაიდან(!)

ძაძებში გახვეულ ქართველ და აფხაზ დედებს ცრემლს რა გამოულევთ!

სისხლისფერი ენგურიც თავის ჭეშმარიტ ისტორიას წერდა.

გამოღმით: ქართველი კვნესოდა, გაღმით – აფხაზი, და ესმოდა ორივეს ენგურის მოთქმა.

მაგრამ ასე როდემდე?

ეშმაკი თუ დაგვცინის: ხელისუფლებაში მოდის გაბოროტებული ახალგაზრდობა, ეგრეთწოდებული ოკეანგადაღმელები...

მოსულან, რომ საბოლოოდ ჩაკლან ისედაც დაცემული ქართული სული, იქ – ენგურს გაღმაც აღარ ულხინთ აფხაზებს, მათი ბედიც კარგახანია რაც სასწორზეა შეგდებული...

ადამიანებს ალბათ, ასე არსად და არასდროს გაჭირვებიათ, დადიან შუბლშეჭმუხვნი-

ლები, შავად შემოსილები, გაუხარელი სახეებით, მომავლის პერსპექტივა – ნული!

მაგრამ ადამიანი, აბა, რისთვისაა?! არ შეეგუები თავის გაუხარელ ყოფას?!

და მაინც ისადგურებს შიში ადამიანის სულში. იგი თანახმაა იცხოვროს ისე, როგორც ზემდგომი... დაუწესებს, ოღონდ აცოცხლონ და თვალს დახუჭავს ყველაფერზე, დაიგმანავს ყურებს, რომ არ გაიგონოს.

და მიჩაქჩაქებს ცხოვრებაც თავისი გზით, რიტმდარღვეული, მაგრამ მოდუნებული.

ნეტა შემოდგამს კი ოდესმე ფეხს ფერადოვანი გაზაფხული?

გული მეუბნება, რომ ღმერთი მოწყალეა, მაგრამ ხელი ხომ უნდა გავანძრიოთ?!

არა, ჯერ არ დამდგარა ამის დრო, მაგრამ დადგება! და ამიჟღრიალდება აკაკისეული სიტყვები ყურში:

„...იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთა გმირი, სიხარულით შეეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი...“

ღმერთმა ნუ მოგვიშალოს იმედი!

მაგრამ ცხოვრება გრძელდება! სულს ველარ ამოგვხდიან მაშინაც კი, როცა საკუთარი ხელისუფლებაც კი ასეთ დღეში გვამყოფებს. ნეტა საიდან ეს ხალხი, რომელმა დედამ შობა?! და შობა იმიტომ, რომ საკუთარი ხალხისთვის სულში ჩაეფურთხებინა?! ხოლო ღვაწლმოსილი ადამიანები: მწერლები, მეცნიერები, ხელოვნების მუშაკნი და თითქმის ყველა, მთელი საზოგადოება ერთი ხელის მოსმით ჩაერეცხა!

ნეტა ამ ცოდვას როგორ მოინანიებს არსებული ხელისუფლება?

აქედანვე ხომ ცხადია: ეს გაბოროტებული ადამიანები, თუკი სულში არ ჩააფურთხებინე, აუჯანყდი და დაიცავი შენი ერი, ეროვნება, ქსენოფობიას დაგწამებენ, გაგანადგურებენ...

* * *

და როგორ არ უნდა მოიცალო შენ ამ დროს ფიქრისთვის?! ფიქრმა კი შეიძლება ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით გადაგისროლოს, იქნებ ცხრა დროს იქითაც გადაგტყორცნოს და:

გატანჯული ქერემ კ..ბა წარმომიდგება ამ დროს: ასკერიდან დაუღწევია თავი და თავის ცოლ-შვილს დაეძებს.

ეს ამბავი თურქეთში ხდება, სადღაც ქალაქ იზმითთან ახლოს, ერთ მივარდნილ სოფელში, უფრო სოფლის განაპირას.

„მგონი მოვედი, მახსოვს, აქ დავტოვე ცოლ-შვილი, მაგრამ რაღას მიცნობენ თითქმის ხეირბარს...“

მერე ცხენიც ეცნო, ღელის პირას რომ ძოვდა, ორი ბავშვიც, – ნუთუ ჩემი შვილები არიან? – შეეშინდა, ვაითუ ვერ მიცნონო.

ცხენთან მივიდა გულისფანცქალით და იცნო ცხენმა, თავი მხარზე ჩამოადო და აჭიხვინდა.

ბავშვები სოფელში გაიქცნენ და დედას ამცნეს ყველაფერი.

ისიც გამოჩნდა და შედგა გაოგნებლი: „ნუთუ ქერემია?! მაგრამ ასე რამ შეცვალა? თითქოს ქერემია და არცაა ქერემი...“ – ჭოჭმანობდა ქალი და შვილებს გულში იკრავდა გამეტებით.

ამასობაში ქერემიც მიუახლოვდა შეცბუნებულ ქალსა და ბავშვებს. ცხენს მიეფერა და ენის ბორძიკით თქვა ხმადაბლა, მაგრამ მაინც გასაგონად:

– აგერ... ჩვენი ცხენი...

და ქალმა ხმაზე იცნო ქერემი, ქმარი თავისი და მისი შვილების მამა...

აქ ხილვა შემიწყდა და ფიქრმა წამიღო: „ვიცი, რომ არიან კ..ბები თურქეთში, მაგრამ როგორ არიან და რასა იქმენ? გვგავენ ჩვენ თუ...“

თავიდან მოვიცილე ფიქრი.

საღამოს კი: შევედი ინტერნეტში და რას ვხედავ, თვალს მისწორებს ვინმე თავანი, იბრაჰიმი ჰქვია.

თითქოს ნაცნობია ჩემი, იქნებ ახლობელიც: ხურშუტ კ..ბას ალიკვალია და გულმა რეჩხი მიყო:

„იმ ქერემ კ..ბას შთამომავალი ხომ არ არისო?!“ – გამიელვა და სურათს დავაკვირდი: იქვე ახალი წარწერა გაჩნდა, იბრაჰიმ თავანი – იბრაჰიმ კ..ბა.

„ჰო, ჩვენები არიან... ჩვენ ვიპოვეთ ერთმანეთი!“ – წამოვიძახე გულში.

* * *

და აი, ბათუმშია იბრაჰიმ კ..ბა.

– ეს ბიძაშვილია ჩემი – მუსა კ..ბა, ეს კიდევ იზმითელი ქართველი, ნური ალმასი, აბაშიძეა მისი ნამდვილი გვარი.

იბრაჰიმს ვაკვირდები. მართლაც ჰგავს ხურშუტ კ..ბას. ხომ მაღალი იყო ბიძაჩემი, მაგრამ იბრაჰიმი ბევრად მაღალი ჩანდა, ხმელ-ხმელი და მხრებში გაშლილი. ჩოხა დაშვენდებოდაო, გავიფიქრე უნებლიეთ.

ორმოცდაათს გადაცილებული ბევრად ახალგაზრდად გამოიყურებოდა.

მუსაც მაღალი იყო, მაგრამ იბრაჰიმის ხელა ვერა, ოღონდ უფრო – ძვალმსხვილი. ასაკით უფროსი უნდა ყოფილიყო. იმასაც თბილი გამოხედვა ჰქონდა.

ლაპარკობდნენ, რაღა თქმა უნდა, თურქულად.

– ჩვენ აფხაზური ყველამ ვიცით, ესაა: უმცროსი თაობა კარგავს თავის ენას... იციან ინგლისური...

ნური ალმასმა იცის ქართული და ქართულად გველაპარაკება, თარჯიმნობასაც ის გვიწევს კ..ბებს კ..ბებთან. მაგრამ უარი თქვა თარჯიმნობაზე, დავიღალეო, – ჩემი და თქვენი ქართული ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან, – გვითხრა და დაირცხვინა, – ჰო, მართლა, იბრაჰიმი და მე ადვოკატები ვართ. საადვოკატო კანტორა იბრაჰიმს ეკუთვნის და იმედი მაქვს, რომ ერთხანს ვიმუშავებთ ერთად, მუსა კი წარმატებული ბიზნესმენია... ჩვენ: აფხაზები და ქართველები ვმეგობრობთ თურქეთში, ერთმანეთს მხარში ვუდგევართ. ახლა კი ვწყვეტ თარჯიმნობას და ამ მოვალეობას ნამდვილ თარჯიმანს, პროფესიონალს გადავაბარებ და თარჯიმანიც შეუდგა თავისი მოვალეობის აღსრულებას.

პირველი დღე კონფერენციას დაეთმო. სტუმრები გვყავდა თბილისიდან. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აჭარაში მცხოვრებმა აფხაზებმაც.

ბევრი რამ ითქვა იმ დღეს მუჰაჯირობაზე, დღევანდელობაზეც ითქვა დიდი გულისტკივილით: თითქოს და ერთმანეთს ვუბოდიშებდით ქართველები და აფხაზები, რომ დიდი უბედურება მოხდა ჩვენს ცხოვრებაში, დიდი გაუგებრობა, ძმამ ძმის წინააღმდეგ გაილაშქრა, მახვილი შემართა მოყვასზე მოყვასმა, დაიღვარა მოძმეთ სისხლი – გამოუსწორებელი შეცდომა, დიდი ცოდვა! ჩატყდა ქართველებსა და აფხაზებს შორის უხსოვარი დროიდან გადებული ერთადერთი ხიდი და რაოდენ საწყენია, რომ უკვე აღარც გვიჩანს ერთმანეთისკენ მოსაბრუნებელი გზა, გადაშლილია ყველა ბილიკი.

გაჭრილად ითქვა, რომ აღსადგენია ჩატეხილი ხიდი, აფხაზთა და ქართველთა დიდი და მტკიცე ხიდი: ამას მოითხოვს აფხაზთა და ქართველთა გადარჩენის სამომავლო აუცილებლობა.

ნეტა როდის მივუბრუნდებით ერთმანეთს ქართველები და აფხაზები?

იქნებ (საერთო მომავლისთვის) გვეპატიებია ერთმანეთისთვის შეცოდებანი ჩვენი, მაგრამ იქამდე ხომ უნდა მოვინანიოთ და შევუნდოთ ერთმანეთს, დაიწმინდოს შელახული სისხლი, დაცხრეს დამდუღრული სული!

რატომ არ გავიხსენებთ ჩვენ ამ დროს დიდი ხევისბერის სიტყვებს: „მოძმეთ სისხლი ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს!“

სამართალი დიახაც რომ დასადგენია და სიმართლესაც უნდა გავუსწოროთ თვალი!

ჩემს მომავალში უკვე ვხედავ დიდი შერიგების სცენას. იმ დღეს სასოებით მოველი.

ჩემში მყოფი ქართველი ხელს უწვდის ჩემშივე არსებულ აფხაზს. ერთმანეთს ეხვევიან და სდით სიხარულის ცრემლები.

...დასრულდა პირველი დღე:

30 მაისს მუჰაჯირობის დღეა.

აქ შევკრებილვართ აფხაზები და ქართველები. ვსხდებით მომცრო კატარღაზე და გავდივართ ზღვაში.

უკვე კილომეტრი გვაშორებს ნაპირს. კატარღა სვლას უკლებს და ძრავაც გამოირთო.

– მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებში აფხაზეთიდან დედა-ბუდიანად აყრილი აფხაზები სწორედ ამ დღეს მოადგებიან ფელუკებით ბათუმის სანაპიროს და იწყება მათი წინასწარ დაგეგმილი ხოცვა-ჟლეტა, ეს საშინელება რუსული პროექტით იყო გათვალისწინებული, რასაც სიხარულით შეხვდა თურქეთის იმდროინდელი ხელისუფლება.

– და მაინც გადავრჩით! – ამბობს იბრაჰიმი, – ჩვენი წინაპარი ქერემ კ..ბა თურქეთში აღმოჩნდა, მისმა ძმებმა კი ბათუმში არჩიეს დარჩენა. მაშინ ბათუმი თურქეთს ეკუთვნოდა.

– მაგრამ დღეს ერთად ვართ... იმ სამი ძმის შთამომავლები, – ამას მუსა ამბობს.

– ასეა და ძალიანაც მიხარია თქვენთან შეხედრა, მაგრამ მეხსიერებიდან როგორ წარიშალოს ის ჩენი ტრაგიკული წარსული, როცა კ..ბების ბედი ძაფზე ეკიდა...

დაღუპული სულების მოსახსენებლად ყვავილების თაიგული ჩავუშვით ზღვაში.

დაუვიწყარია ის დღე ჩვენთვის ყველასთვის: თითქოს მოწმენი ვყოფილიყავით იმ გაუგონარი ტრაგედიისა, რომელიც ბათუმის მისადგომებთან დატრიალდა იმ ავადსახსენებელ დღეს.

ასე მოვიხადეთ ჩვენ ჩვენი ვალი სვებედგამწარებული წინაპრების წინაშე.

ტყუილუბრალოდაც არ შემოუნახავს ვინმე ჩურკინს, იმ დღეთა თვითმხილველს, ასეთ გამონათქვამი: „ჩვენ დავამარცხეთ აფხაზები, მაგრამ ვერ დავიმოჩრილეთ!“

იბრაჰიმ და მუსა კ..ბების დიდი წინაპარი ყოფილა ის ქერემ კ..ბა, ბრძოლით რომ განვლო გზა აფხაზეთიდან თურქეთამდე. ბოლოს, მიზანი მიღწეული ეგონა თავისუფლებისმოყვარე აფხაზს, მაგრამ შეიპყრეს თურქებმა და „ასკერში“ გაამწესეს. მის ოჯახს კი თვითონ მოუწია ბრძოლა არსებობისთვის.

მაგრამ ქერემ კ..ბას მაინც დაუღწევია თავი ასკერობისგან, მოუძებნია თავისი ოჯახი. მოუთათბირებიათ და დაუტოვებიათ სოფელი, რომლის სახელიც აღარ ახსოვთ და მეზობელ სოფელ ყარადერეში დამკვიდრებულან.

– ქერემ კ..ბა, – წამოიწყებს იბრაჰიმ კ..ბა, და იტყვის მერე: ყარადერე ჩემს მშობლიურ სოფლებს კუდეფსტასა და კუდურხვას მაგონებდა, იქ აფხაზეთში რომ დაგვრჩა ჩვენს გვარს. და როგორც კუდურხვაში კუდურხვის ღელე ჩამოგვიდიოდა, ყარადერეშიც ჩვენი ღელე ჩამოგვდის – ყარადერე (შავი ღელე).

– ყარადერეში ახალი გვარი – თავანი მივიღეთ, მაგრამ ჩვენი სალოცავი გვარი მაინც კ..ბაა, – ამას მუსა კ..ბა ამბობს, – გვეამაყება, რომ კ..ბები ვართ!

ამაში მაშინვე დავრწმუნდი, როცა 2011 წლის 3 ივლისს, ყარადერეში კ..ბების დამკვიდრების დღეს, უკვე მშობლიურ სოფელში გვარის დღესასწაულს დავესწარი.

გვარის პატრიარქი იაჰია (კ..ბა) თავანი თავის მამულში მასპინძლობს „მთელი დუნიიდან ყარადერეში შეკრებილ კ..ბებს: აქ არიან თავანები, საჰკოლები, შენონები და აქურტები (დღეს ამ ოთხ გვარს ატარებენ კ..ბები თურქეთში).

აქ ვართ ჩვენც: ანზორ კ..ბა, მუჰამედ კ..ბა – ჩემი ბიძაშვილი და ჩვენი მეზობელი ლევან აიკუცბა, რომელიც სრულყოფილად ფლობს აფხაზურ და თურქულ ენებს. იგი თარჯიმნობას გვიწევს.

უნდა ითქვას, რომ თურქეთში მცხოვრები აფხაზები და განსაკუთრებით სოფლებში, სრულყოფილად ფლობენ აფხაზურ ენას, შემოუნახავთ კიდეც აფხაზური ტრადიციები, წეს-ჩვეულებანი და უფრთხილდებიან კიდეც.

დიახ: ყარადერეში ვართ.

ჩვენს თვალწინ გადაიშალა დიდი ეზო, დიდებული მწვანე მოლი და აფხაზური სახლი, სულ ახალთახალი.

– ძველი მიწისძვრამ დაგვიზიანა, – ხმა დამწუხრებია იაჰია კ..ბას: – აქ გვავიწყდება, რომ თავანები ვართ დღეს. ჩვენ ჩვენი კ..ბობით ვხარობთ აქ და გვეამაყება, რომ კ..ბაა ჩვენი გვა-

რი! დიდი ხანი არაა, რაც ახალი სახლი ავიშენეთ, ძველი მიწისძვრამ დაგვინგრია.. ჰო, იმ დიდმა მიწისძვრამ, მრავალი სიცოცხლე რომ შეიწირა... ახალ დროებას ჩვენც ავუწყვეთ ფეხი, საცხოვრებლად ქალაქ იზმითში გადავედით, მაგრამ ვერც აქაურობას შევლევივართ. ამ აფხაზურ სახლში დღეს ჩვენი მამულის მოურავი ცხოვრობს ოჯახით, ეროვნებით თურქი. მისით კმაყოფილი ვარ. პატიოსანი კაცია და იცის საქმე. ამხელა თხილის პლანტაციას მტკიცე მეურნის ხელი ჭირდება.

– მიხარია აქ ყოფნა, – ამბობს იაჰია კ..ბა, – დღესასწაულებს აქ ვატარებთ. ვერ წარმოიდგენთ როგორ გვიხარია, თითქოს აფახზეთში ვიყოთ, ჩვენს მშობლიურ კუდურხვაში.

სანამ ცოცხალი ვარ, მინდა მოვინახულო ჩემი აფხაზეთი. ჩემი მშობლიური სოფელი, ისე ნუ მომკლავს ღმერთი.

ღმერთო, აუსრულე ნატვრა ოთხმოცდარვა წლის მუჰაჯირს, აფხაზს სულით და ხორცით, იაჰიაჰ კ..ბას, გვარში უხუცესს, ერთხელ მაინც რომ შეავლოს თვალი ჩვენი კ..ბების სალოცავ მიწას.

ჰო, დღეს თავანები, საჰკოლები, შენონები და აკურტები ვართ, სამწუხაროა, მაგრამ... – შეგვათვალიერა იაჰიაჰ კ..ბამ კ..ბები საქართველოდან, – სანამ დავსხდებოდეთ პურის საჭმელად, მინდა ჩვენი სასაფლაო განახოთ. ეს აუცილებლად მიმაჩნია!

სასაფლაო შორს არ იყო (კ..ბების) თავანების სამოსახლოდან.

თხუთმეტ წუთში იქ ვიყავით.

იაჰიაჰ (კ..ბა) თავანმა სიამაყით შეავლო თვალი საფლავებს და ხმამაღლა, ყველას გასაგონად ამოიძახა, მიცვალებულთა გასაგონადაც: აქ ყველა კ..ბა ხართ... ვკვდებით და ჩვენეულ ჭეშმარიტ გვარს ვიბრუნებთ.

და მართლაც: მიცვალებულები კ..ბები იყვნენ ყველანი. გვარდაბრუნებულებს ეძინათ მშვიდად...

ვუბრუნდებით აფხაზურ სახლს, თითქოს საიქიოდან სააქაოს მოვბრუნებულიყავით.

მწვანე მოლზე გაშლილი სუფრა გველოდა კ..ბებს...

* * *

გამოსათხოვარ სიტყვას უხუცესი იაჰიაჰ კ..ბა ამბობს: – დამილოცნიხართ კ..ბები ყველა, დამილოცნიხართ კ..ბები ყველგან და ყოველთვის.

მიხარია, რომ შევინარჩუნეთ აფხაზობა და აფხაზური ტრადიციები.

აქ ყველა ვლოცულობთ აფხაზეთზე, დაე, წამომდგარიყოს, ფეხზე დამდგარიყოს, ჩამდგარიყოს ცხოვრების დიდ ფერხულში და ეთქვას თავისი აფხაზური სიტყვა!

ჩემი უსპეტაკესი სურვილია, რომ შერიგდნენ აფხაზები და ქართველები, ასე უბრად ყოფნა ავნებს ქართველსაც, ავნებს აფხაზსაც.

ვიმედოვნებ: მოვეგებით გონს ერთიც და მეორეც!

ეს ასეც იქნება! ჩვენ გადავრჩებით!

გამოსათხოვარ სიტყვას ვამბობ მეც.

მოვუბოდიშებ ყველას, რომ აფხაზი აფხაზებს აფხაზურად ვერ მივესალმები, მაგრამ გპირდებით, რომ მეორედ სტუმრობისას თარჯიმანი აღარ დაგვჭირდება.

ბათუმში გავხსენით აფხაზური საკვირაო სკოლა და სალაპარაკო აფხაზურს, სიტყვას გაძლევთ, რომ დავეუფლებით.

ვემშვიდობებით ერთმანეთს.

ვტოვებთ ყარადერეს.

ჰო, მართლა: ფერია, რომელიც სამკვიდრებლად აირჩიეს აფხაზეთიდან გადმოხვეწილმა კ..ბებმა, ასე ჰგავს სოფელ ყარადერეს, უფრო საყვარელი ხდება ჩვენთვის, იქ ახლაც ცხოვრობენ ჩემი ბიძაშვილები ლეილა, რევაზ, თემურ და მუჰამედ კ..ბები.

იაჰიაჰ კ..ბაც გვთხოვს მისი და ყველა კ..ბას მოკითხვა გადავცე სოფელ ფერიას, ფერიელ კ..ბებს და ყველას, ვისაც აქაური, ყარადერელი კ..ბები ემახსოვრება.

ამ ფიქრებში გადმოვცდებით თურქეთის საზღვარს და შემოვდივართ ბათუმში, გული

მიძგერის სიხარულისგან, მშობლიური ქალაქიც სიყვარულით მეგებება. ქართული მზით გამთბარი და მოღონიერებული...

სიტყვა, რომელიც ჯერ არ მითქვამს

(დამატება)

ქართველები და აფხაზები იმდენად ახლობლები ყოფილან ერთმანეთისთვის, რომ ბევრს ახლაც მიაჩნია, ისინი ერთნი არიან სისხლითაც და სულიერებითაც. მე, რასაკვირველია, ამის გასარკვევად აღარ მივუბრუნდები ისტორიას და მის ანალებში არ დავიწყებ ძიებას, მაგრამ თავს აქვე შევახსენებ, რომ საქართველოს მეფენი და მათ შორის უდიდესი და უბრწყინვალესი დავით IV აღმაშენებელი, იწოდებოდნენ „მეფე აფხაზთა, ქართველთა, სომეხთა, რანთა და კახთა და კიდევ სხვათა და სხვათა“ მეფეებად.

ცხადია: ქართველები და აფხაზები ერთი ქვეყნის შვილები ვყოფილვართ ოდითგანვე: ერთი საერთო ჯამი გვქონია და წყურვილსაც ისევ ერთი წყაროდან ვიკლავდით. სულიერი საზრდოც ერთი გვქონია და რა წაგვახდენდა?!

და სანამ ასე იყო, არც არასოდეს გაჭირვებია სრულიად საქართველოს, მაგრამ ისტორიის ჩარხი უკუღმა შეტრიალებულა და ქვეყანაც არეულა, მოყვასმა მახვილი აღმართა მოყვასზე და დაიღვარა მოძმეთა სისხლი. ეს ომიც ძმათა მკვლელი ომის სახელდებით შესულა საქართველოს ისტორიაში.

მერე: ქვეყანა საღათას ძილს მისცემია, ძინავს ახლაც და ესიზმრება, თითქოს და რიგზე იყოს ყველაფერი. თვლემს საქართველო... და თუკი ვინმეს ეზეიმება ქვეყნის იავარქმნა, ეშმა იქნება იგი!

„გიყვარდეთ მოყვასი თქვენიო!“ – მოგვძახიან საღვთო წიგნიდან და თუკი ერთმანეთს არ მივუტევეთ, როგორღა გვეყვარება ერთი მეორე ქართველს და აფხაზს?!

ერთი მეორის აღარ გვესმის, ერთმანეთს ვეღარ ვხედავთ; დავყრუებულვართ და დავბრმავებულვართ კიდეც.

თავი ბაბილონის გოდოლში მგონია(!)

თითქოს და ბაბილონური დღეები გვიდგას.

იქ, ბაბილონშიც სხვადასხვა ენებზე მეტყველებდნენ, ვერა შეესმინათ რა ერთმანეთისთვის და გოდოლიც ჩამოიქცა.

ასე დაეცა ბაბილონი და დროზე თუ არ გამოვფხიზლდით და გონს არ მოვედით, ჩვენც ჩამოგვექცევა ქვეყანა თავს და... გადავშენდებით.

და ჩვენაც რომ ბაბილონელთა ბედი არ გავიზიაროთ, თავზე არ ჩამოგვექცეს საქართველოს ზეცა, უნდა გამოვიღვიძოთ, თავი დავაღწიოთ საღათას ძილს, მოვუხმოთ ჭკუას და სინამდვილეს გავუსწოროთ თვალი.

სწორედ ამისკენაა მიმართული პატრიარქის ძალისხმევა, გულიც და მზერაც;

ჯერ იყო და აჭარასა და დანარჩენ საქართველოში მცხოვრები აფხაზები მიგვიწვიეს საპატრიარქოში, დაგვიყვავეს და გვაგრძნობინეს სულიერი სითბო და სიყვარული, რომ აფხაზებიც მისი ღვიძლი შვილები ვართ, შემდგომ ამისა ბათუმშიც შეგვხვდა და ღვთისმშობლის ტაძარში ნათლობა მოგვიწყო. იმ დღეს ქართველებთან ერთად აფხაზებიც მოინათლნენ, მეორე დღეს კი აფხაზთა ჯვრისწერაც მოაწყო.

და თუკი ინება უფალმა, აფხაზეთსაც ეწვევა ჩვენი პატრიარქი, დაამწყალობებს იქაურობას, დააშოშმინებს და სიყვარულის თესლსაც მიმოაბნევს დღეს ასე გაუცხოებულ მიწაზე. გაღვივდება ის თესლიც ღვთის წყალობით, იხარებს და ნაყოფსაც გამოიღებს სიკეთითა და სიყვარულით შეზავებულს.

...ყოველივე ამის თქმა მომინდა დღეს და მჯერა, რომ გალხვება ჩვენს შორის ჩამოწოლილი ყინული, გადნება და ცხოველი მდინარეც ყველა თავისი შენაკადითურთ გააგრძელებს თავის ჩვეულ გზას.

უფალს ასე სურს და წინ რა დაუდგეს მის ნება-სურვილს.



საბდრო ბერიძე

თბილისში რომ ჩავალ...

თბილისში რომ ჩავალ...
გაშვილებული ბავშვის თვალებით,
პროვინციული მზერითა და კუშტი სიფათით,
როგორც ჯიუტი,
ჯმუხ-გაქირი
და უჯიათი,
არ მივაკითხავ მაჩაბლის 13-ს,
სადაც ბინადრობს
და განისვენებს,
საბჭოთა დროის საქ. მწერ. კავშირი,
არ მივაკითხავ კი არა და... არც გავიხედავ,
რადგან იქ, ოთარ ჭილაძის შემდეგ
პროლეტკულტელთა დროება და პათოსი
ცხოვრობს.

თბილისში რომ ჩავალ...
გაოცებული რომ მოვძებნი თბილისში
თბილისს,
როგორც კომბალი,
იმნაირად მომხვდება შუბლში,
ლოზუნგი: „ჩაწვდით ამერიკის სულს“.
(ნეტა, სადა აქვს
ვინ მისცა ან ვინ მიაშავა,
ან სული ანდა გული ამიგოს).
მაშინ, როდესაც ქართული სული,
მაშინ, როდესაც ქართული გული,
ქართული გონი, აზრი და ფიქრი,
როგრც დაღვრილი ვერცხლისწყალი,
ისე მიგორავს,
სამშობლოს გარდა,
ოთხივე მხარეს,
ან კიდევ, სულაც ექვსივე მხარეს.

თბილისში რომ ჩავალ...
სინანულის და სიმწრის შუა პოზით შევხედავ,
ერთ დროს
სამშობლოს ზურგზე წამომჯდარ,
გაქსუებულ და გაზულუქებულ,
მაძღარ მწერლებს და მაძღარ პოეტებს,
მაძღარ მხატვრებს და მაძღარ არტისტებს,
მაძღარ მომღერლებს და მუსიკოსებს,
ჟურნალისტებს და კომპოზიტორებს,
ე.წ. ინტელიგენტებს,
უკვე ბებრებს და ჩახჩუებულებს,
ანუ ჩაფსმულ და ჩასვრილ ელიტას,
ძილ-ღვიძილში რომ ახლაც აბოდებთ,
ნოსტალგიები ბლეყერა რუსზე.

თბილისში რომ ჩავალ...
რკინიგზის სველ და ბინძურ ბაქანზე,
ქმარ და შვილ მკვდარი,
შაოსანი მეყვავილისგან,
თავშლის ყურში რომ სოხუმი აქვს
გამოკოჭილი,
და აგერ უკვე...
აგერ კი არა,
ბარემ ოცი და კიდევ ორი წელიწადია,
სამშობლომ, როგორც ძუკნას და მეძავს,
მიუჯახუნა კარები ცხვრწინ,
და ახლა თავის გადასარჩენად,
კორდზე დაკრეფილ ყვავილს რომ ყიდის,
ვიყიდი მისგან ყვავილების ფერად თაიგულს
და მოკრძალებით მასვე ვაჩუქებ.

თბილისში რომ ჩავალ...
ფეხი კი არა,

მხოლოდ ნაზი ფიქრი მიმიყვანს,
ბარათაშვილის ხიდზე გადავლით,
მარჯანიშვილის N-N ნომერში,
სადაც ამაყი ერატო ცხოვრობს,
თეთრი ლეგენდის შემქმნელი და
დამამხობელი.

თბილისში რომ ჩავალ...
მთაწმინდაზე ავალ!

გაბნეული მეილი

ხუთია დილის, ისევ ზეზე ვარ,
გადაფასებულ წიგნებს ვალაგებ.
გარეთ კი თურქულ ჩილიმს ეწევა,
სიყვარულის და წყევლის ქალაქი.

დგას დაჭმუჭნილი ბოთლების მოდა,
მიდის სეზონი ბულის და ბურდის.
აქ არა მარტო ლექსი გაკოტრდა,
აქ პარნასს შარდის სუნი აუდის.

სცენას ორი გზა გულში გასჩრია,
ყრუ მდუმარება მიაქვთ კულისებს.
აზიური ტყის იდუმალ შრიალს
იჭვით უყურებს ევროპული მზე.

მინის სული აქვთ ფერებს და საგნებს,
და გულგრილობა მეფობს სრულიად.
სახლი, რომელშიც შენ რილკე თარგმნე,
ის სახლი უკვე დანგრეულია.

გუშინწინდელზე ხვალე შორია,
უბერებელი ჟამიც შებერდა.
შენ-თბილისური გმოსავს გლორია,
მე-ბათუმური დამრჩა ლეგენდა.

აცვია ზეცას ცელოფნის ნარმა,
შეცვალა წესი უწესო წესმა.
„დამქროლა ქარმა, დამქროლა ქარმა,
დამქროლა ქარმა, უსასტიკესმა“.

ჩემს გოგოს...

ჩემს გოგოს,
სამოქალაქო კოდექსებით გამოზრდილ
გოგოს,
სიცილ-კისკისში
ჩამალული ცრემლი და სევდა,
როგორც წყევლა და როგორც სასჯელი,
ედემის ჭიშკარს გამომცდარმა
მარადი მაყარივით რომ გამოიყოლა,
ველური კატის მოქნილობა და
ხეზე თამამად ასული თხის თვალები ჰქონდა.

ჩემს გოგოს,
გველივით ჭკვიან და ჩურჩუტ გოგოს,
ფერად-ფერადი ეშმაკობები
და მისივე თმებივით
აბურდულ-დავარცხნილი საიდუმლოებები,
ლამაზ-ლამაზი და მსუბუქი სულელობებით
აფუებული ბალიშის ქვეშ
ბლომად ელაგა.

ჩემს გოგოს,
ღმერთის და ეშმას მარტოობით დალოცვილ
გოგოს,
ეშმას და ღმერთის ცალმაგობით
დაწყევლილ გოგოს,
პოეტი-ევად გაჩენილ გოგოს,
დედოფლის ქოში ადიდასზე რომ გადაცვალა,
მეჯლისებზე თუ კარნავალებზე,
ბალ-მასკარადზე თუ პანაშვიდზე,
ყველა გოგოსგან გამორჩეულად,
ჰაიკუების მინი იუბკა და
ტრიოლეტების კოპლებიანი მაისური ეცვა.

ჩემს გოგოს,
გრძელფეხება და წელწვრილა გოგოს,,
არამქვეყნიურს და მიწიონელს,
ქალღმერთისა და მეძავის ნაზავს,
დაცინვასა და ღიმილს შუა დაბანაკებულს,
მსხვრევად ცრემლსა და ღალატთან ერთად,
ჰქონდა ბავშვივით ნეკის თითები,

ცხრამაგხაზიანი ხელის გულები
და სხვა სურნელით გაჟღენთილი იღლიის
ოფლი.

ჩემს გოგოს,
რომანტიულ და პრაგმატულ გოგოს,
სიყვარულივით საძაგელ გოგოს,
ერთგულებით და ცბიერებით შეკაზმულ
გოგოს,
როგორც ჩანთაში ტუალეტი და კოსმეტიკა,
საფულის მეცხრე ჯიბეში ეწყო,
განცდა, მსჯელობა და ემოცია.

ჩემს გოგოს,
შვიდი მარტივით ბუტია და ფოი-ფოი გოგოს,
მშვენიერებამისჯილობით თავმობეზრებულს,
ლამაზ შტერს,
მაგრამ მბრძანებელს და გამაშტერებელს,
მეგვირაბედ და ცის კიბედ რომ გამომიყენა,
მე რომ თავკერძა მესაკუთრის ჟინით
მიყვარდა,
მას სეზონური ერთგულების ჯიბრით
ვუყვარდი.

ჩემს გოგოს,
ყველა დროის და
ყველა სივრცის ბინადარ გოგოს...

ცალმხრივი

ხომ გთხოვე, ღმერთო,
ქვის გული მომეცი,
ძალიან მჭირდება-მეთქი.

ამ ჩემს ქალაქში,
მოყურადებულ და ყრუ ქალაქში,
სადაც მე ვცხოვრობ...
კი არ ვცხოვრობ, არამედ ვცოცხლობ,
ყველა ძირ-ძველი
და ძველ-ძირი ქალაქელია,
მე და ჩემი ტალახიანი ბათინკების გარდა.

ამ შეშლილ ტყეში,
პოეზიის და ლექსის ტყეში,
სადაც გამჩენმა
წვიმის კიბით ჩამომაძევა,
ყველა პოეტია,
მე და ჩემი გაბუტული ლექსების გარდა.

სასაფლაოზე,
ურიგო და არმიწიერ სასაფლაოზე,
გაოცებების ჯგრო რომ მარხია,
დრომ – მეკუბოვემ და მესაფლავემ,
მოგვიჯახუნა თვალწინ და ცხვირწინ,
ჟანგიანი რკინის ჭიშკარი,
მე და ჩემი თანამდევი მხრების აჩეჩვას.

ხომ გთხოვე, ღმერთო,
ქვის გული მომეცი,
ძალიან მჭირდება-მეთქი.

ჩემს ძველ მეგობრებს,
კმაყოფილ და მაძღარ მეგობრებს,
ვერ გავაცანი,
ვერ ვარწმუნე,
ვერ მოვაწონე,
იმედით ჩემი მშიერი მე და
ჩემეული მეს დიდი მარტოობა.

აქ – კულისებში,
სცენაზე და ავანსცენაზე,
გუშინწინ,
გუშინ,
დღეს
და ხვალე გამოცხადებულ,
ეთიკის ნორმად
და ცხოვრების წესადქცეულ მაჟორ-შოუზე,
როგორც უცხო და მეძველმოდური,
ახლოს კი არა, შორეთშიაც არ გაგვიკარეს,
მე – მინორი და ჩემეული ტანჯვის ზეიმი.

ამ სამყაროში,
მარადიული გარსისა და
სავალდებულო სიკვდილს გამოღმით,

ღია ცასავით ღიაა ყველგან,
გამოუსვლელი შესასვლელები –
ჩამოუსვლელი ასასვლელებით.

ხომ გთხოვე, ღმერთო,
ქვის გული მომეცი,
ძალიან მჭირდება-მეთქი.

ჩემი სალამი, მოთმინებავ!

ჩემი სალამი, მოთმინებავ!

მე, ჯერ-ჯერობით,
ისევ აქ ვიმყოფები,
ამ სამყაროში,
ამ გამოფიტულ და ბებერ მიწაზე,
სავალდებულო სიკვდილს გამოღმით,
სადაც ადამის უხეირო ასლს,
შავი ჭირივით ემუქრება თეთრი ფსიქოზი,
უმზემთვარობის ცივი სითბო და
თერმობირთვული დაზამთრების ცხელი
სიცივე.

ჩემი სალამი, მოთმინებავ!

ერთი შენ იცი,
რომ ჩემნაირი დაწყევლილის ბედნიერება,
როგორც კუთვნილ გზას აცდენილი
გვიანი მგზავრი,
გაჩენის დღიდან მუდამ გზაშია,
და ერთნაირი ფერის თვალებით,
ერთმანეთისთვის გაჩენილები,
ისე მოვკვდებით ცალ-ცალკე და
გადავეგებით,
რომ ვერასოდეს ვერსად შევხვდებით.

ჩემი სალამი, მოთმინებავ!

შენ ერთს ძალგიძს და შენ შეგიძლია,
მასესხო, ანდა, შთამბერო ძალა,
რომ ამ გულიდან, ამ დალუქულ სკივრიდან და
ფოლიანტიდან,
ამოვაწყო და ამოვალაგო
გადანახული სიტყვის ლოდები,
რომლებიც მკლავენ,
სუნთქვას მიხშობენ
და ყელზე სევდის მარყუჟჩამოცმულს,
როგორც ზღვის ფსკერზე, ისე მძირავენ,
ზე-სკნელის მაღალ სახრჩობელადან,
ქვე-სკნელის დაბალ სახრჩობელამდე.

ჩემი სალამი, მოთმინებავ!

ასე მგონია,საცნაურიც და უცნაურიც,
ყველა ერთბაშად,
ერთდროულად,
გაერთებულად,
ნიშნისმოგების ნოტით დასრულდა.

რას ვიფიქრებდი, რომ სიყვარული,
მე – მისი ენით მეტყველს კი არა,
მოლაპარაკე დუმილსაც თუ გამიუტყვებდა...

და რადგან,
მოჩანს მიღმიეთის უჰაერობა,
და რადგან,
უკვე იკეცება ბოლო გზა-შარა,
გამოტირებულს ერთხელ კიდევ
გამოვიტირებ.

ჩემი სალამი, მოთმინებავ!

ეს,
რახანია,
გამჩენს,
(ამაოდ),
ხის ნერვებსა და რუხი ქვის გულს
ვემუდარები!

(მაი სფეისში)

ამ გვირაბს იქით,
ვირტუალური დროისა და სივრცის ქალაქში,
სადაც ცხოვრება გარუტინულდა,
ერთმანეთს ისე შეეზარდნენ და დაემსგავსნენ
რეალობა და ირეალობა,
როგორც თანაბრად გაკრეჭილი ჩაის ბუჩქები,
როგორც ფერადი მარმელადები.
აქ, რახანია, სიკვდილთან ერთად,
გაკოტრებული დადის სიცოცხლე,
ყველაფერია ჩვეულებრივი, არაფერია
გასაოცარი,
რის გამოც, დღისით, თვალს და ხელს შუა,
აღმოჩენილის აღმოჩენას ჰქვია ახალი.

ამ გვირაბს იქით,
ვირტუალური დროისა და სივრცის ქალაქში,
შენს შემდეგ, ყველა და ყველაფერი,
შენდარია და შენეულია,
გარდა ერთისა, როცა სიკვდილმა,
დღედალეული შემოდგომის ბოლო საღამოს,
რომ იძინებდა თეთრი ქალაქი,
ზღვის ცივ ბალიშზე თავმიდებული,
თავისუფალი ლექსების უნომრო
ავტომანქანამ,
რომლის საჭესაც ძლივს მართავდა
უიტმენის და ტცარას ლექსებით მთვრალი
ვერ-ლიბრი,
რაინერ მარია რილკეს პროსპექტზე,
შემთხვევით მოკლა პოეტი ფლე-ში,
პროფან-პორტალთა ხორკლიანი ლირიკის
გმირი,
გაბომჟებული არისტოკრატი...

მკვდარი,
(პოემა-პატრულის ცნობით,)
გადაასვენეს, (თეთრი ლექსის კატაფალკათი),
ტრიოლეტების პრესტიჟულ მორგში,
საიდანაც კი, როგორც სოფლელს და
როგორც მოდიდან გამოსულ პოეტს,
მიასვენებენ და დაკრძალავენ
სონეტების და ერზაცრითმის სასაფლაოზე.

ამ გვირაბს იქით,
ვირტუალური დროისა და სივრცის ქალაქში,
აღარაფერი აღარ დარჩა საინტერესო.
ათასწლოვანი მარტოობის ტოლი და დარი,
ისე წავიდა
ამ სოფლიდან და გადაეგო,
რომ საღმერთებელ მარიოტასგან,
მთელი ცხოვრება ვისიც იყო ანტივირუსი,
ნედლი ლექსი ან ნედლი ლექსის ცრემლი კი
არა,
ხმელი სიტყვების
ნეკროლოგიც კი არ ეღირსა.

არადა, მუდამ, როგორც ბავშვი და მიამიტი,
აღფრთოვანებულ დუმილს უთვლიდა
პაუზის კიბით ცისკენ წასულ სიურრეალიზმს.



გიორგი (გუგული) ქებურია

ბერ თუშის სიმღერა

მიყვარს და ვინ კი არ ვიცი,
ერთგული ჯერ არ მყოლია,
ობლად შემომრჩა ოცნება,
ჭაღარის თანატოლია.

შავო ღრებელო, სად გარბი?
რად არ იწვიმებ აქაო?
განა ჩემსავით დამწვარი
სხვა გეგულება მთასაო?

პატარა კაცი სუსტია,
აღმართ ვერ დაეჭიდების,
მისი ბუხარი ფუჭია,
ცეცხლი არ მაეკიდების.

ნამდვილ სიყვარულს დასაწვავს
სიცოცხლე არ ენანების,
გრძნობის მორევში ჩაგითრევს
ტალღებში გეთამაშების.

ქორწილ ვახარებ მყინვართწვერთ,
თოვლსაც დავადნობ მთაშია,
ალაზან ადიდებული
კალმახ მამიგდებს კარშია.

მალ-მალ ბიჭ დაიბადების,
კარგობა აღორძინდება,
თუშურ სიმღერის ჰანგებზე
მტერსაც კი გაეღიმება.

მიიჩქარიან ღრუბლები,
ხანძარს აქრობენ ვისაო?
სიზმრად თუ დამიბრუნდები
ჩამონაბერო მთისაო.

P.S.
ვინ რას გაიგებს ბედობას
იდუმალ წუთისოფელის.
ვიდრე კალმახსა იჭერდე,
გაგისხლტებოდეს, გარბოდის.

ჭაბუა ამირეჯიბის – ბერი დავითის ხსოვნას

სევდა კიდევ ერთხელ მომეძალა,
კიდევ ერთი ძმა დააკლდა სულს,
განშორების კვალი, ვით იარა
სინანულით დაამძიმებს გულს.

რაღა დამრჩა – მხოლოდ მოგონება,
წარსულს ჩვენსას ვერ წაგვართმევს დრო
შენი დათა ხშირად მაგონდება,
სიმართლის გზას რომ უხსნიდა ბრბოს.

არ თავდება ჩვენი მეგობრობა,
შენი სიტყვა კვლავ გვინათებს გზას.
შენ იცოდი სულის მკურნალობა,
ამიტომაც ეყვარები ხალხს.

მე სათქმელი არ გამომელევა,
ვიცი მალე შემოგიღებ კარს.
კაცს სიცოცხლე სულ არ ენაღვლება,
როცა გზაზე ვეღარ ტოვებს კვალს.

ცაბრიელ ფუტკარაძე

ილიას „განდეგილის“ ტექსტი და ქვეტექსტი

...ამპარტავანი, საწყალობელი, უიდეო, უპიროვნო, ბრმა ფანატიკოსი, ეგოისტი, ბოროტი, უსაქმო მლოცველი, ლაჩარი, თვითმკვლელი, დაცემული, დამარცხებული, დაღუპული, არაქრისტიანი[1]... **კრიტიკოსთა უმრავლესობა დღემდე ამ ტერმინებით „ამკობს“ ბეთლემელ მწირს,** არადა, ჩემი აზრით, თავად ავტორი - წმინდა ილია მართალი - **ბეთლემელ მწირს ღვთის კაცად ხატავს** (რომელიც რწმენისათვის მოკვდა!) და შთამბეჭდავად აღწერს XVIII-XIX საუკუნეების საქართველოში **ზნეობრივ დაღმასვლას;** წმინდა ბერის ფონზე პოეტი თანამედროვეთ (თუ მომავალ თაობებს) სთხოვს, წუთისოფელში ხორციელი ვნებების დათრგუნვასა და რწმენის სიმყარეს, ვინაიდან მხოლოდ ამ გზით გადარჩება ქართველი ერი.

ვფიქრობ, ილიას უკანასკნელი პოემა სწორედ იმიტომაა გამორჩეული ქმნილება, რომ აქ ოსტატურადაა გადაჭრილი ადამიანში (ერთ პერსონაში) სულიერი და ხორციელი საწყისების დაპირისპირების მარადიული პრობლემა; კერძოდ, **წმინდა ილია მართალმა „განდეგილში“ განიხილა სამი ცნობილი თეზა:**

I. ხალხის რწმენის დაკნინების გამო, მოცემულ სახელმწიფოს განადგურების საფრთხე ემუქრება. ილია ჭავჭავაძის აზრით, მლოცველებისგან დაცარიელებული ბეთლემი საქართველოა;

II. მხოლოდ მაღალზნეობრივ ადამიანს შეუძლია, ამაღლდეს ხორციელ ვნებებზე.

წმინდა ილია მართლის განდეგილი წმინდა ანტონ დიდის (და სხვა წმინდანთა) სულიერი მემკვიდრეა, შესაბამისად, ამქვეყნიური ზნეობის სახე-სიმბოლოა;

III. ადამიანში სულიერი და ხორციელი საწყისების მარადიული ჭიდილია; ცოცხალ ადამიანს არ ძალუს, სრულად უარყოს თავისი ხორციელი საწყისი.

ავტორის ტექსტის საფუძველზე განვიხილოთ თითოეული წახნაგი:

I თეზა: ზნეობადაკნინებული ერი დიდი საფრთხის წინაშე დგება.

პოემის შესავალისა და დასკვნითი ნაწილის შეპირისპირებით ცხადლივ ჩანს „განდეგილის“ დედააზრი (მთავარი მიზანი): საქართველოში ზნეობრივი კრიზისია; ზნეობადაკნინებული ერი კი დიდი საფრთხის ქვეშაა:

შესავალი:

„აქა ყოფილა უწინ კრებული
ღვთისთვის ქვეყნიდამ განდეგილ ძმათა
და მყინვარს ამას უდაბნოს თურმე
ისმოდა ქება წმინდა-წმინდათა“.

დასკვნა:

„...და იქ, სად წმინდანთ უდიდებიათ
ღმერთი მსჯავრის და ჭეშმარიტების...
მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის“.

ილიას მიერ დახატული ბეთლებელი მწირი - ზნეობრივი სისპეტაკის სიმბოლო - რწმენისათვის კვდება. ზნეობრივი გმირის გარდაცვალების შემდეგ მის სამყოფში ნადირი იბუდებს; ამ ფონით ავტორი გვეუბნება:

[1] მაგ., გ. ჯიბლაძე წერს: „განდეგილობა ეგოიზმს ემყარება და ბოროტებას განასახიერებს... განდეგილმა ბუნება ვერ გააუქმა, ხოლო ბუნებამ თვით განდეგილი მოსპო“ (მსჯელობისა და ლიტერატურის მიმოხილვისათვის ვრცლად იხ., ტ. ფუტკარაძე, გამარჯვება გლოვის ღელეში, თბ., 2013.

ქართველი ერის შვილები თუკი ქვეყნისათვის მლოცველნი არ იქნებიან, საქართველოს კატასტროფა მოევლინება - საქართველოში მხეცი დაიბუდებს.

წმინდა ილია მართალი თავის წერილებშიც ავითარებდა ამ თვალსაზრისს; მაგ., 1887 წლის 16 აპრილს გამოქვეყნებულ სტატიაში: **„ზნეობრივი სიწმინდის მნიშვნელობა ერის მერმისისათვის“** ის წერს:

„თუ რენონის მიერ ჩამოთვლილი სათნოებანი დედაკაცობისა, თუ მამაკაცობისა, აქა-იქ საზოგადოებაში დარჩენილნი, არ არიან თავმდებნი ბევრ წილად მიხრწნილის ერის გამოკეთებისა, გამობრუნებისა (ხაზი ყველგან ჩემია - ტ.ფ.), ამ სათნოებათა არქონა კი უსათუო ნიშანია, რომ ერი ქვეყნის ზურგიდან ასაგველად გადადებულია... ამიტომ ერს, რომელსაც დღეგრძელობა და მერმისი ჰსურს, ერთი ფიქრი უნდა ჰქონდეს: სათნოება დარგოს და ახაროს თავის გულში, თავის ოჯახში. ამისათვის საჭიროა ზნეობის ამაღლება და გაწმენდა. ამაზედ უნდა მოიქცეს მთელი ღონე ერის გულშემატკივარის კაცისა...“[2].

უშუალოდ „განდეგილთან“ კავშირში ილიას მსგავსი აზრი გამოუთქვამს თავის ბიოგრაფთან - გრ. ყიფშიძესთან - პირად საუბარში; კერძოდ, გრ. ყიფშიძის ხელნაწერში ვკითხულობთ: „... ილიას აზრი ეს იყო და ეს გვიანდერძა თავისი განდეგილით: გიყვარდეთ თქვენც თქვენი უმაღლესი სარწმენი, როგორც უყვარდა განდეგილს ღმერთი და სიწმინდე სულისა და თუ რამე დააშავეთ რამ იმ სარწმენის წინაშე, წინაშე თქვენის იდეალისა, თუ სასიცოცხლო პირი გექნებათ, სულის აღშფოთებამ, თქვენმა სულის მხილებამ ისე უნდა გაგაქროთ, როგორც გააქრო განდეგილი...“[3]

შდრ.: სულის მხილებამ ხორციელად გააქრო განდეგილი (განდეგილში სულიერებამ გაიმარჯვა).

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მწირის შესახებ პოემად ჩამოძერწილი ლეგენდა ეძღვნება ილიას დიდ მეგობარს - მეუღლესა და თანამოაზრეს - ოლღა ჭავჭავაძისას; ვფიქრობთ, ამ მიძღვნით პოემაში თავიდანვე ცხადდება ილიას აქცენტები მაღალ ზნეობასა და საქვეყნო წუხილზე (ამ პოემაში ნამდვილად არ ჩანს მყინვარისა და თერგის დაპირისპირების მსგავსი ოპოზიცია ასკეტიზმისა და „აქტიური ყოფითი ცხოვრების“ სახით).

ნაწარმოების 28 თავიდან პირველი ექვსი პოემის შესავალი ნაწილია; აქ მოთხრობილია ბეთლემის, სიმბოლურად, საქართველოს სულიერი ისტორია, რომელიც მოკლედ ასე გადმოიცემა:

გასულ საუკუნეებში „ბეთლემში“ უფლისა და ქვეყნისთვის მლოცველი ბევრი ბერი იყო; ისინი „გასულან ამა ქვეყნით“; შემდეგ იქ დამკვიდრებულა ერთი წმინდა ბერი, რომელიც უფალს ლოცვით შესთხოვდა, ეხსნა ქვეყანა.

მომდევნო VII-XXVIII თავებში წარმოჩენილია ამ ერთადერთი მლოცველის შინაგანი სიმართლე და უზომო პატიოსნება:

ბერმა მძაფრად განიცადა (შეინანა!) ხორციელი ცდუნების პერსპექტივა (ბერი ქალს არც კი შეხებია!) და ეპატია კიდეც წამიერი გაორება; შდრ., მსოფლიოში არსებულ მსგავსი თემატიკის სხვა ნაწარმოებებში ბერი/მღვდელი ქალს კოცნის, აფეხმძიმებს... და მაინც მიეტევებათ! უფლისგან პატიების მიუხედავად (ნუგეშით გადმომზირალი ღვთისმშობლის ხატი!) უსპეტაკესმა მწირმა სულ დათმო ხორციელი ქვეყანა და უფალს მიებარა.

ილიასთვის განდეგილობა საღვთო საქმეა და მისი მოშლა ქვეყნისთვის უბედურებაა. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ერთ-ერთ ვარიანტში მწირის სინონიმად, ღვთის კაცი აქვს გამოყენებული. თავად ილიასაც ახალგაზრდობაში ბერად შედგომა სურდა.

თანამედროვეებმა და მომდევნო - მეწშევიკურმა თუ საბჭოთა - თაობებმა ვერ გაუგეს ილიას და ვერც გაუგებდნენ:

1907-მა, 1918-მა (დამფუძნებელი კრება) და შემდგომმა წლებმაც დაადასტურა, რომ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში შემოსულმა და დამკვიდრებულმა ანტიღვთაებრივმა სოციალურ-დემოკრატიულმა „გლობალიზმმა“ თითქმის ერთი საუკუნით უკანა პლანზე გადას-

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტომი IX, 2006, გვ. 247-248.

[3] ვიმოწმებთ დ. გამეზარდაშვილის ნაშრომიდან: „ილია ჭავჭავაძის ორი სადავო ფსევდონიმის შესახებ“; განთიადი, №3, გვ. 117

წია **ეროვნული და ქრისტიანული ღირებულებები.**

ათეისტურ ველში „განდეგილის“ ვერგაგება ნიჭიერად გაამრავალფეროვნეს საბჭოთა პერიოდის კრიტიკოსებმა: მწყემსი ქალი გააიგივეს თერგსა და დღესთან, ხოლო განდეგილი - უძრაობასა (პასიურობასა) და ღამესთან... სინამდვილეში თერგი ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიური მოღვაწეობაა, მწყემსი ქალი - პრიმიტიული ყოფითი სიცოცხლის სიმბოლოა, ხოლო **განდეგილი** - აქტიური სულიერი მოღვაწეობის სიმბოლო.

ილიას მიერ დახატულ წმინდა მეუდაბნოეს, წინამორბედთა მსგავსად, „ხორცი სულისთვის უწამებია“, კერძოდ, „ვით ჭურჭელი იგი წყმედილი, ცრემლით ურეცხავს, უსოვლებია“ - უკეთ შეუძლებელია ადამიანის განწმენდის პროცესის მაღალმხატვრული აღწერა.

ბეთლემში მწირის მისვლით გაგრძელებულა “მუნ ლოცვის ცრემლი“ ანუ კაცობრივი სინანული უფლის წინაშე:

„დღე-და-ღამ სულთქმა და ღაღადება
მოჰფენია კლდეს ყინულისასა
და არ შემწყდარა მუნ ლოცვის ცრემლი,
ვითა ღელესა მას გლოვისასა“...

აქ არსებითი მნიშვნელობისაა ბიბლიური თემის შემოტანა:

ლოცვის ცრემლი არ შემწყდარა ღელესა მას გლოვისასა.

ვფიქრობ, სწორედ ეს ფრაზაა მთავარი „გასაღები“ ნაწარმოების დედააზრის გასახსნელად:

მწირის გარდაცვალების შემდეგ „ლოცვის ცრემლი“ წყდება „ღელესა მას გლოვისასა“...

აშკარაა, რომ ილიასთვის „ლოცვის ცრემლი“ ანუ მონანიე ცრემლიანი ლოცვა განწმენდის გზაა, რომელმა გზამაც უნდა იხსნას **ეროვნული სიცოცხლე გლოვის ღელეში**.

რას ნიშნავს „გლოვის ღელე“?

მხატვრული სახე „გლოვის ღელე“ გვხვდება „დავითნის“ 83-ე ფსალმუნში, კერძოდ, მე-6-8 მუხლებში ვკითხულობთ:

„ნეტარ არს კაცი, რომლისა შეწევნა მისი შენგან არს; აღსლვა გულსა თვისსა დაიდვა ღელესა მას გლოვისასა, ადგილსა მას, რომელსაცა აღუთქვა, და რამეთუ კურთხევაი მოსცეს, რომელმანცა შჯული დადვა. ვიდოდიან იგინი ძალითი ძალად, და გამოუჩნდეს მათ ღმერთი ღმერთთა სიონს...“

ბიბლიის კომენტარების მიხედვით, გლოვის ღელე, გლოვის მხარე არის დევნილობის მხარე, ანუ სამოთხიდან გამოძევებული ადამიანის საცხოვრისი. გლოვის ღელე ცოდვილი წუთისოფელია, სადაც სინანულიანი ლოცვა ადამიანის მთავარი მოვალეობაა; ე. ი. დედამიწაზე/საქართველოში ლოცვა არ უნდა შეწყდეს!

ბერები ქვეყნისთვის (მოყვასისათვის) ლოცულობენ, კაცობრივ ცოდვებს ინანიებენ; ერთი მონანიე, მლოცველი ბერის არსებობაც კი ამქვეყნად ადამიანური სინანულის უწყვეტობის გამოხატულებაა; შესაბამისად, ილიას მწირის გულწრფელი ლოცვა საქვეყნო სინანულია (წმინდანის ლოცვა ყველას გადასარჩენი ლოცვაა)...

ილიას პოემაში ხაზგასმითაა ნათქვამი:

ბეთლემელი მწირის ტაძარში მისვლის შემდეგ **“გლოვის ღელეში“** ადამის ძის ლოცვა და სინანული გაგრძელებულა.

აშკარაა: ილია ჭავჭავაძისთვის ბერმონაზვნობა უდიდესი ეროვნული ღვაწლია.

II თეზა: ძლიერ პიროვნებაში სულიერი საწყისი იმარჯვებს.

განდეგილის ერთ-ერთი მთავარი თემა ადამიანის იმანენტური /ბუნებრივად კოდირებული/ გაორებული არსის ჩვენება და ამ გაორების დაძლევაა. ბიბლიისა და „დავითნის“ კარგად მცოდნე წმინდა ილია მართალის ბეთლემელი მწირი წმინდანის დარად დასძლევს ხორციელ საწყისს. ამის დასაბუთებას ეძღვნება „განდეგილის“ VII-XXVIII თავები. პოემის ამ მონაკვეთის მოკლე შინაარსი ასეთია:

ღვთის სახლში (ბეთლემში) წმინდა ბერია. ბერის სიწმინდის დასტურად ილიას ნაწარმოებში ქალი შემოჰყავს - ეპიზოდური პერსონაჟი, წუთისოფლის სიმბოლო (და არა „ქრისტიანობის სიმბოლო“ თუ „ღვთისმშობლის სახე“, როგორც ეს ზოგ თანამედროვე კრიტიკოსს ჰგონია). ხორციელი ქალის მშვენება ააქტიურებს ბერში ამქვეყნიურ ფიქრებს, ხორციელ განცდებს; შემდეგ ბერს სატანაც ეცხადება და ხარხარით

ცდილობს, დათრგუნოს განდეგილი /ასეთ დროს წმინდანიც კი შეიძლება გაორდეს/...

ბერი მალევე მოერევა ხორციელ მეს და მწარედ განიცდის ამ გაორებას: გარეთ გავარდება იმ ოთახიდან, სადაც ქალს მაცდურად ეძინა და ქარიშხლიან ღამეში დილამდე კლდე-ღრეში იხეტიალებს; დილითაც იქ ჩანს:

„ეს ვინ ჰრბის, დაძრწის? ეს ვინ ჰტანტალებს
იმ კლდეებშია თმააბურძგნული?
ნუთუ მწირია?.. იგია, იგი,
ვითა სიკვდილი გაფითრებული...“

ვფიქრობ, ეს ეპიზოდი ილიასეული მწირის **მძაფრი სინანულის** ამსახველია: მწირი ღმერთს მიბარებული მონანიე ცოდვილია და არა - „ხიბლში ჩავარდნილი ამპარტავანი“ (ზ. კიკნაძე). ვფიქრობთ, პოემაში ამ სინანულის გამო ეპატია ბერს და, ნიშნად ამისა, ეჩვენა მადლით გადმომზირალი ღვთისმშობლის ხატი.

ანალოგიური ხასიათის ნაწარმოებებს შორის (ემილ ზოლას „აბე მურეს შეცოდება“, ანატოლ ფრანსის „თაისი“, ლევ ტოლსტოის „მამა სერგი“, მიხეილ ლერმონტოვის „დემონი“, დე ვინის „ელოა“, გუსტავ ფლობერის „წმინდა ანტონის განსაცდელი“...) ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ გამოირჩევა შეცოდების **აბსოლუტური პირობითობით**:

ევას მიერ ადამის შეცდენის უძველესი თემა ნაწარმოებში სახარებისეული სიმაღლითაა გაშლილი და გადაწყვეტილი: შეცოდება იმპულსურ, არაცნობიერ დონეზეა; მწირს ფიქრშიც კი არ დაუშვია ქალის ალერსი; მხოლოდ ერთხელ მექანიკურად დაიხარა საკოცნელად და **„უცებ გაშეშდა... ეჰა, წაწყმედავ“!** გაორება იმწამსვე დაიძლევა:

„არა და არა! არ აიყრის მადლს,
და სულს, ღვთისაგან უკვე მიჩნეულს,
არ ანაცვალებს და არ დაუთმობს
ხორცს, ესდენ ღვაწლით და ტანჯვით ძლეულს!“

ხორცი სულისაგან წამშივე (და)იძლევა; მაცდური ხორციელება კი უკიდურესი ზომით ისჯება - მწირი სამუდამოდ განეშორება ხორციელ სამყაროს. მანამდე, ილიას ამ გენიალური ქმნილების გმირი - ღვთის კაცი ბერი - გაორებისა და **ცდუნების ოთხ საფეხურს** გაივლის:

1. პირველ ეტაპზე ბერი მხოლოდ წამიერად დატყვევდა ავდრისწინა მზის სილამაზით:

„მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად
მთისა გადაღმა არ დასულიყო
და მთის წვერზედ, ვით ცეცხლის ბორბალი,
ირგვლივ სხივგაშლით ანთებულიყო.
ცისა ლაჟვარდი, ვით ნაკვერჩხალი,
წითლად და ყვითლად მზისგან ჰღუვოდა
და განმსჭვალული მისით ღრუბელი
შორს ათასფერად სხივებში ჰთრთოდა.
ამა უბიწო დიადის ხილვით
წარტყვევნილ იქმნა განყენებული
და ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას,
შესცქერდა მზესა განცვიფრებული“.

ავტორის მიერ მიზანმიმართულად გამოყენებული ფრაზა: **„წარტყვევნილ იქმნა“** გვიჩვენებს, რომ განდეგილი მისდაუნებურად გვერდიგვერდ აყენებს უფლის ხატსა და ამქვეყნიურ „ხორციელ“ მზეს. ეს ეპიზოდი არის მწირის გაორების პირველი ეტაპი.

2. გაორების მეორე ეტაპი არის ფრაზა: „მე უბედურსა“:

სიბნელიდან შემოხეტებულ მწყემს ქალთან საუბარისას მწირს გაახსენდა წუთისოფლის სიამენი, თუმცა იქვე თქვა, რომ „სული ტყვე არის წუთისოფლისა“; ამის მიუხედავად, მაინც წამოსცდა გაორების ნიშანი-ფრაზა:

„ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა
ესეთი მერგო მე... უბედურსა...“

თუმცა მან ეს წამონაცდენიც მაშინვე მოინანია.

3. გაორების მესამე ეტაპზე ბერი უკვე ქალის ხორციელმა სილამაზემ დაატყვევა:

„და რაღაც ძალით ქალზედ კვლავ დარჩა
თვალი ტყვექმნილი, გაშტერებული.
რად შეემსჭვალა თვალი იმ სახეს?
ის სახე ატკბობს თუ ეოცება?
მორიდება ჰსურს და ნეტა თვალი
რად ეურჩება და არ ჰნებდება?!“

შდრ.:

„სული გულს იწვევს ღვთისა ვედრებად,
გული სხვას ამბობს, არა ჰნებდება...“

ქალის სილამაზე საკოცნელად იწვევს:
„და იმა წვევის მაცდურებასა
ზე-არსთა ძალიც ვერ გაუძლებდა...“

მწირმა კი გაუძლო:

ამ შემთხვევაშიც წამიერი გაორება დაიძლია, ვინაიდან მწირმა მაშინვე დათრგუნა კოცნის სურვილი. ცდუნების დაძლევის შემდეგ ხორციელი გული „მკვდარია“ /შეცოდება გაცნობიერებულია/:

„არა და არა!.. არ აიყრის მადლს,
და სულს, ღვთისაგან უკვე მიჩნეულს,
არ ანაცვალებს და არ დაუთმობს
ხორცს, ესდენ ღვაწლით და ტანჯვით ძლეულს!

მაგრამ ეს რაა?.. წაწყმდა თუ არა!.. -
ეს ვინ ჩასძახის ნიშნგებით ყურში!
დაგძლიე თუ არ!.. - ეს ვინ გაჰკივის
გახარებული იმის მკვდარ გულში!“

უნდა ითქვას, რომ ამ მომენტში მწირის არსში ყველაზე მძაფრია (ტრაგიკულია) ხორციელებისა /მზე, წუთისოფელი, ქალი/ და სულიერი საწყისის დაპირისპირება; თუმცა, რამდენადაც აქვე გული უკვე მკვდრადაა განხილული, ნაჩვენებია, რომ სულიერებამ გაიმარჯვა - ხორციელი მისწრაფება დამარცხებულია.

პოემის ერთ-ერთ ვარიანტში ამ ადგილას ილია **„ქალი წყეულის“** ნაცვლად წერს: **ქალი ლამაზი.** თუკი ამ ეპიზოდში ავტორი დატოვებდა „ლამაზს“, ე.ი. გაორებისთვის წერტილი სხვაგან უნდა დაესვა. პოემის ბოლო რედაქციაში სიტყვა-ფორმით: „წყეული“ წმინდა ილია მართალმა მწირის გაორება დაასრულა ღთისმშობლის ხატთან, მაგრამ ღვთისმშობელი მას მაინც არ ეჩვენა. მწირის გამოცდისა თუ გაორების მეოთხე ეტაპი - ეშმაკის ფსიქოლოგიური ზეწოლა - წინ იყო; პატიებამდე ბერს ეშმაკის ზემოქმედებისთვისაც უნდა გაეძლო.

4. ეშმაკის ფსიქოლოგიურ ზეწოლას ილია ასე გადმოგვცემს:

„აბა სძლიეო!.. და კვლავ ვიღაცამ
გაიხარხარა იმის სენაკში...
აწ იმა ხარხარს ვეღარ გაუძლო
და როგორც გიჟი გავარდა კარში“.

განდეგილი ისევ დროებით ითრგუნება; იგი მალე, ერთ ღამეში, ძლევს ეშმაკს (სხვა ავტორთა სასულიერო პირები დღეებისა თუ თვეების მანძილზე ვერ ერევიან ხორციელ ვნებებს):

„ამოვიდა მზეც... მსწრაფლ უკუიქცა,
შევარდა სენაკს გახარებული,
და კვლავ მზის სხივი იმავე სვეტად
ჰნახა სარკმლიდამ გადმოშვებული.
გულზედ მოეშვო... კვლავ სითბოებით
დედა-ღვთისასა მიაპყრა თვალი,
კვლავ ჰნახა იგივ ცხოველი ხატი
მადლით, ნუგეშით გადმომზირალი.
არ შერისხულა, სჩანს, ჯერედ ღვთისგან!..
და ღმერთს მადლობა ცრემლით შესწირა...“

მწირი ქალს გაერიდა და გათენებამდე იხეტიალა კლდე-ღრეში. საღამოს ღვთისმშობლის ხატში ქალს თუ ხედავდა, დილით „კვლავ ჰნახა იგივ ცხოველი ხატი მადლით, ნუგეშით გადმომზირალი“... შესაბამისად, გათენებამდე ხეტიალი ავტორის მიერ სინანულადაა გააზრებული (შდრ., ნოდარ გრიგალაშვილის ინტერპრეტაცია); სინანულის შემდეგ ეჩვენა ღვთისმშობლის სახე; მსგავსი ეპიზოდია აბე მურესთანაც:

წუთისოფლის ვნებების კონცენტრირებულ სახე-სიმბოლოსთან - ქალთან - წამიერ მიახლოებას (არც კი უკოცნია!) ინანიებს ილიას განდეგილი; **სინანულის ნიშნად ის დილამდე ქარაშოტში „ჰრბის, დაძრწის, ტანტალებს“**... გათენებამდე მისი ხეტიალი მორწმუნისათვის აუცილებელი სინანულია - პოემაში სინანული ხანმოკლე, მაგრამ მძაფრი ეპიზოდითაა გადმოცემული (და არა აგიოგრაფიული ნაწარმოებისთვის დამახასიათებელი სტილით). ვფიქრობ, პოემის სწორედ ეს ეპიზოდი შეიცავს მწირის „თვალთდაბნელების“ შემდეგ აღძრულ დავითისეულ სინანულს:

„უფალო, შენ წინაშე არს ყოველი გულისთქმა ჩემი და სულთქმა ჩემი შენგან არა დაეფარა. გული ჩემი შეძრწუნდა და დამიტევა მე ძალმან ჩემმან, და ნათელი თუალთა ჩემთა, და იგიცა არა დაადგრა ჩემ თანა... ნუ დამაგდებ მე, უფალო ღმერთო ჩემო, და ნუცა განმეშორები ჩემგან. მოიხილე შეწევნად ჩემდა, უფალო ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო“ (დავითნი, 37, 10-11, 39-40).

შდრ., მსგავსი ეპიზოდი წმინდანთა ცხოვრებიდან:

„წმ. ისააკი პატარა გამოქვაბულში ცხოვრობდა 7 წელი. ერთხელ, საღამოს დაინახა ორი მშვენიერი ყმაწვილი, სახე მზესავით უბრწყინავდათ. მათ უთხრეს, რომ უფლის ანგელოზები იყვნენ, თან სხვა მრავალი მათგანიც აქვე იყო. ბერმა მათაც მისცა შემოსვლის კურთხევა. მალე სენაკი ეშმაკებით აივსო. მათ დაიწყეს ხარხარი, კივილი და აქეთ-იქით ხტომა. ისააკიც მათთან ერთად ხტოდა. ცოტა ხნის შემდეგ ეშმაკებმა ხარხარით დატოვეს იქაურობა. ისააკი სამი წელი ცოცხალ-მკვდარი იყო და ბერები უვლიდნენ. გამოჯანმრთელებისა და განსაწმედელი ლოცვების შემდეგ მას ღვთისაგან მიენიჭა მადლი ელოცა შეპყრობილი ადამიანებისათვის და განეკურნა ისინი... უდაბნოში მარტოდ მყოფმა წმინდა ანტონ დიდმაც მსგავსი რამ გადაიტანა“[4].

III **თეზა: ცოცხალი ადამიანი სრულად ვერასოდეს დათრგუნავს ხორციელ ვნებებს.**

მონასტერში დილით შებრუნებულ მწირს და პარადუდან მეორედ დაბრუნებულ მურეს აღარ ახსოვთ არც საკუთარი ხორციელება და არც მაცდური, წყეული ქალი; მათში საუკუნოდაა გამარჯვებული ღვთაებრივი სულიერება. წესით, ფრანგი თუ სხვა ავტორების მსგავსად, ქართველი ავტორის ნაწარმოებიც ამ ტონზე უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ილია აგრძელებს სხივის ეპიზოდს და გვეუბნება: წუთისოფელში სულს არ შეუძლია ხორცისგან სრულიად გათავისუფლება; ადამიანის სრულყოფას საზღვარი არა აქვს, სანამ ის ხორციელ გარსშია, რომ სულის სრული განწმენდა მხოლოდ სიკვდილით, მოწამეობრივი სიკვდილით ხდება.

შდრ. დ. უზნაძე: განდეგილმა თავისი ძლიერი ნებით მხოლოდ ზეციურისკენ იწყო ლტოლვა, მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ადამიანის ნება მაინც ადამიანისაა და მისი აბსოლუტური სრულყოფა შეუძლებელია..

სხივის მიერ ლოცვანის „არ დაჭერის“ ეპიზოდმა შექმნა შთაბეჭდილება, რომ მწირი დამარცხდა. ვფიქრობ, განსხვავებულადაც შეიძლება ამ ეპიზოდის გააზრება:

ილია გვეუბნება: ღმერთს შეუწირავს ბეთლემელი მწირის ლოცვა-ვედრება და ბერის მადლის ნიშნად მოუვლენია სასწაული: დილაობით ბერი თავის ლოცვანს სხივს მიაყრდნობდა:

„როს ჰლოცულობდა, იმ სხივსა თურმე
თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდენდა,
და ხორცთუსხმელი მზის სხივი იგი
უფლის ბძანებით ზედ შეირჩენდა.
ეგრე ვიდოდნენ დღენი და წელნი,
ეგრე უბიწოდ იგი სცხოვრებდა...
და თვის სიწმინდეს ყოველდღე თურმე
ამ სასწაულით შეიმოწმებდა“.

ბერის მყისიერი გაორების შემდეგ სასწაულთმოქმედი სხივი სვეტად კიდევ ჩამოეშვება, მაგრამ ლოცვანს აღარ დაიჭერს:

ხორციელი მეს წამიერი გაბრძოლების გამო მწირმა დაკარგა უფლისმიერი სასწაულის ხილვის უნარი, მაგრამ სინანულის შემდეგ მას ეპატია შეცოდება: სვეტად ჩამოშვებული სხივი ლოცვანს აღარ იჭერს, მაგრამ სხივი სვეტად ისევ ეშვება და ბერს ნუგეშით ისევ გადმოჰყურებს ღვთისმშობლის ხატი (რომელიც გაორების ჟამს ემალებოდა; იხ., ზემოთ).

აშკარაა, რომ ილიას მიხედვით, განდეგილმა ღვთისგან პატიება მიიღო; პოეტი წერს:

„კვლავ ჰნახა იგივ ცხოველი ხატი
მადლით, ნუგეშით გადმომზირალი.
არ შერისხულა, სჩანს, ჯერედ ღვთისგან!..
და ღმერთს მადლობა ცრემლით შესწირა“...

თუმცა, მწირმა სხვა ხორციელისთვის მიუწვდომელი სასწაულის ნიშანი დაკარგა, დაკარგა ღმერთთან იდუმალი შერწყმულობა. ამის გაცნობიერებისთანავე განდეგილს დაუბნელდა თვალი (მაცდური) და „ღმერთოს“ ძახილით, ანუ მხოლოდ უფალზე ორენტირებით, „უტევა სული“. ბერი სრულად გათავისუფლდა ხორციელებისგან; უფალთან მისაახლებლად ბერმა ხორციელი „სამოსი“ საბოლოოდ დათმო:

„ერთი საშინლად შეჰბღავლა ღმერთსა და იქავ სხივქვეშ უტევა სული“.

ვფიქრობ, ილიას ეს ფრაზა ალუზიაა განკაცებული უფლის ბოლო სიტყვების:

[4] დეკანოზი ალექსანდრე, ეშმა და ეშმაკეული, წიგნიდან „ლაზარეს აღდგინება“, ტ. V, გვ. 191, თბ., 1991

„ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისათვის დამიტევე მე“.

ამ ფრაზის სხვადასხვაგვარი გააზრებაა ცნობილი; თუ საკუთრივ წმინდა წერილიდან ამოვალთ, რთული არ არის მიხვედრა, რომ სახარებისეული ფრაზა ორ სწავლებას შეიცავს:

- ამქვეყნიური სამყარო - ხორციელი სამყარო - „სულის მახეა“; ხორციელ სამყაროში ხორციელი ვნებები ბობოქრობს; წარმწყმედი ვნებებით სავსე ამქვეყნიურ სამყაროში - წუთისოფელში - წარმავალი სიცოცხლე არაფერია; მთავარია მარადიული სამყაროსთვის მზაობა; ხორციდან გასვლა კი სულის გათავისუფლებაა.

- განკაცებულ ღმერთსაც კი არ შეუძლია ხორციელი ტკივილისა თუ ვნების სრული იგნორირება.

შეგვიძლია დავასკვნათ:

ადამის შვილებიდან მოყოლებული, ადამიანი ცდილობს, ხორციელი ვნებების დათრგუნვით თვითხსნას; თვითხსნის პარალელურად, ძლიერი პიროვნება სხვების გადარჩენისთვის ზრუნავს; **ზრუნვის აღმატებული სახეობა ლოცვაა, ზოგადად თუ ვიტყვით, ადამიანად ყოფნის ყველაზე მაღალი მდგომარეობაა ბერ-მონაზვნობა[5]**; სწორედ სხვისთვის ლოცვა ადამის მოდგმის **მეოთხე უმთავრესი თვისებაა**[6]. უფლის მიერ ადამიანის ჩამოძერწვის უკანასკნელი სიმაღლე კი **რწმენისათვის სიკვდილია** - სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვაა (ქრისტეს მისტერია!):

რწმენისთვის სიკვდილი ადამიანში ღმერთის საბოლოო გამარჯვება და სხვების (სამშობლოს, კაცობრიობის...) ხსნისკენ გადადგმული შთამბეჭდავი ნაბიჯია. **ამ ადამიანურ მწვერვალს მიუძღვნა წმინდა ილია მართალმა თავისი უკანასკნელი პოემა.**

---

[5] ჩვენეულ ადამიანურ „იერარქიაში“ ყველაზე მაღლა არიან წმინდანად შერაცხილნი; შემდეგ: ბერ-მონაზვნები, დიდი მეფეები და საზოგადო მოღვაწეები (ფარნავაზი, ქუჯი, იოვანე მარუშისძე, სოლომონ ლიონიძე... აკაკი, იაკობი...), ეროვნულ და საკაცობრიო ღირებულებებზე ორიენტირებული მეცნიერები, შემოქმედნი (მწერლები, პოეტები, მხატვრები, მუსიკოსები...); შემდეგ სახელმწიფოს ინტერესების დამცველი პოლიტიკოსები და სხვ.

[6] შდრ. ადამიანის სხვა მარკერები: მდედრი/მამრი, კეთილი/ბოროტი, ენა/ეროვნება.

დეზიკა სუმბაძე

ინფორმაციული ომი საქართველოს ისტორიული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად

(ანუ: ქართველ ბაგრატიონთა სამეფო ტიტულის: „დავითიანის“ გაგებისათვის დღევანდელი მსოფლიოს ახალი წესრიგის ჭრილში)

წაკითხულ იქნა მოხსენებად ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო კონფერენციაზე, ბათუმში, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2013 წლის 26 სექტემბერს, საკონფერენციო მოხსენებისთვის განკუთვნილი დროის შესაბამისი, მოკლე ვერსიით.

ავტორის წინასიტყვა

მკითხველი მინდა წინასწარვე გავაფრთხილო, რომ ჩემი წინამდებარე ნაშრომი ერთგვარი მცდელობაა ჩემივე განცხადების განმარტებისა, რომელიც წარმოვთქვი ამ სამიოდე წლის წინ, წმინდა სამების საკათედრო ტაძარში, ახალგაზრდობის სულიერი განვითარების ცენტრში, როდესაც საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, მისი უწმინდესობა ილია მეორე ხვდებოდა ჩვენი საზოგადოებრიობის წარმომადგენლობას და პატივი დამდო ჩემი პოზიცია გამეხმამაღლავებინა: „საქართველოს ეკლესიურიცა და საერო ცხოვრებაც, მისი „დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის“ პერსპექტივითა და მონარქისტული იდეით, შევიდა ძალზედ სახიფათო ფაზაში“. ასეთი გახლდათ ფორმულირება ჩემი განცხადებისა. ამ საკითხებზე ჩემი თვალსაზრისების დაწერისათვის ლოცვა-კურთხევა იქვე, საჯაროდ და ყველას გასაგონად მიბოძა მისმა უწმინდესობამ. ამდენად ეს გამოკვლევა ერთგვარი პასუხიც გახლავთ საქართველოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევაზე იმის შესახებ, თუ რას ვგულისხმობდი „ჩვენი ეკლესიური და საერო ცხოვრების სახიფათო ფაზაში“. ღვთის წინაშე პასუხისმგებლობას ვგრძნობ ჩემი ხედვა ავუხსნა ეკლესიასაც და ჩემს ხალხსაც და სანამ შესაძლებლობა არ ამოწურულა დიდი ეროვნული დანაშაულის აცილებისა, რაზედაც წინამდებარე გამოკვლევაში მექნება საუბარი, ეკლესიის პირისპირ მარტოდ დარჩენილმა, საჭიროდ ჩავთვალე, მშველელად ვუხმო ქართველ ხალხს, გადარჩენილ ქართულ საზოგადოებრიობას.

შესავალი, ანუ: საკითხის დასმისათვის

დამეთანხმებით ალბათ, რომ ისევე, როგორც მთელი კაცობრიობის ისტორიაში, ცალკეული ერის ისტორიაშიც შეიძლება უამრავი რამ იყოს აუხსნელი და იდუმალებით მოცული. პრობლემა, რომელსაც უნდა შევეხო, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელგანთქმულ მეფეთა დღემდე აუხსნელსა და საიდუმლოებად დარჩენილ სამეფო ტიტულს

– „დავითიანს“ – შეეხება, იგი, ეს ტიტული, არ გახლავთ სამუზეუმო, თვალ-მარგალიტით მოჭედილი მამა-პაპეული სკივრიდან ამოღებული, არავისთვის საჭირო და გამოუყენებელი სამკაული. ეს გახლავთ სრულიად აქტუალური, შეიძლება ითქვას, ისტორიოსოფიურთან ერთად საკმაოდ პოლიტიკური, თანამედროვე მსოფლიოს მსოფლმხედველობრივად მამოძრავებელ ძალებთან დაკავშირებული, და, მართალია, ქართული საზოგადოებრიობისა და ქართველი ხალხის მიერ ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი, მაგრამ სადღეისოდ უჩვეულოდ მტკივნეული, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი ეკლესიურ-სულიერი და ეროვნულ-სულიერი ცხოვრების ცხელ ხაზზე გამავალი პრობლემა: საკითხი ეხება საქართველოს მეფეთა წოდებას „დავითიანებად“, უფრო ზუსტად: საქართველოს მეფეთა ერთერთი დინასტიის, ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენელ მეფეთა სამეფო ტიტულატურის სახით არსებულ ისტორიულ განსაზღვრებას. და, როგორც ირკვევა, იმისათვის, რომ „დავითიანის“, საქართველოს მეფეთა ტიტულატურის ეს სიღრმისეული და ნამდვილი მნიშვნელობა ავხსნათ, ჯერ ქართველი ერის ეროვნული მეობის, მისი ისტორიული სულიერი მისიისა და ღვთით მონიჭებული, ეპოქალური საკაცობრიო დანიშნულების ამოხსნა უნდა შევძლოთ. ფაქტობრივად, საკითხი ეხება თავად ქართველი ერის ფენომენალური რაობისა და ვინაობის ისტორიულ ასახვას საქართველოს მეფეთა ტიტულში, რაც ძალზედ აქტუალური და მნიშვნელოვანია; მნიშვნელოვანია, ერთი შეხედვით, ფარულად, ხოლო, თუ ჩავუკვირდებით, სრულიად აშკარად და ღიად, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე, დღევანდელი სახელმწიფოებრივი პროცესების კონტექსტში; თუ ჩავუკვირდებით, ძალზედ მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ ქართველი ერის ფენომენალური ვინაობის სადღეისო განსაზღვრებისა და შემეცნებისათვის, და, აქედან გამომდინარე, მისი საკაცობრიო მისიის აღსრულებისათვის, არამედ თავად საქართველოში მიმდინარე პროცესების რეალური მნიშვნელობის გადაუდებელი ამოკითხვისა და გაცნობიერების აუცილებლობისათვისაც. ჩემი დღევანდელი მოხსენება, მთავარი პრობლემა ჩემი მოხსენებისა, ცნობილი ტერმინი რომ გამოვიყენო, არ მინდა წარმოგიდგინოთ შეფუთული ბიზანტინოლოგიური მეცნიერების „ლურჯ ჩულქებში“. იგი აუცილებელი პასუხია იმ სადღეისო მსოფლმხედველობრივ გამოწვევებზე, რომლებზეც პასუხისმგებლობა ქართულ მეცნიერებას ეკუთვნის.

გამოწვევა ბაგრატიონთა „დავითიანობის“ ახსნისათვის, ანუ რას ვგულისხმობ“ ცხელ ხაზზე გამავალ პრობლემაში“?!

მკითხველი უნდა თავიდანვე გავაფრთხილო, რომ სანამ საკუთრივ ბაგრატიონთა დავითიანობას შევეხებოდეთ, საკმაოდ ვრცელი წიაღსვლები დაგვჭირდება იმ რეალობის საჩვენებლად, რომლის ჭრილშიაც უნდა გახდეს გასაგები „დავითიანობის“ ნამდვილი შინაარსიც, სადღეისო გამოწვევის მიზანიც და აქედან გამომდინარე, მნიშვნელობაც პრობლემის ახსნისა.

სათქმელის წანამძღვრად მინდა ქართული მეცნიერების ისტორიაში მომხდარი ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი გავიხსენო:

მე-20-ე საუკუნის 40-იან 50-იან წლებში, როდესაც მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე, ქართველმა აკადემიკოსმა, **შალვა ნუცუბიძემ და ბელგიელმა აკადემიკოსმა ერნესტ ჰონიგმანმა,** ეკლესიის მამათა აზროვნებაში ყველაზე მნიშვნელოვან თხზულებებად მიჩნეული არეოპაგიტული თეოლოგიური ტრაქტატების ავტორად საუკუნეთა განმავლობაში დაფარული და საიდუმლოებად აღიარებული პიროვნება გააცხადეს და ეს დაფარული და საიდუმლო პიროვნება აღმოჩნდა ბიზანტიაში მოღვაწე ქართველი უფლისწული, პეტრე

იბერი, ევრო-ამერიკულ სამეცნიერო სივრცეში, დაისვა საკითხი, აღმოჩენილი ავტორის ეროვნული ვინაობის გარკვევისა: საკითხი „პეტრე იბერის“ ფენომენიდან გადატანილ იქნა „იბერობის“ ფენომენზე: შეეძლო თუ არა იმ ერს, რომლის წარმომადგენელიც პეტრე იბერი იყო, თავისი სულიერი და ინტელექტუალური პოტენციალით, თავისი სულიერი განვითარების დონით, მეხუთე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ, მსოფლიოსთვის მიეცა იმხელა მოაზროვნე, რომელიც წინ წაუძღვებოდა ახალ ქრისტიანულ მსოფლიოს, წაუძღვებოდა არა მხოლოდ ამქვეყნიურ ეკლესიურ იერარქიულ ცხოვრებაში, არამედ ყველაზე იდუმალი ყოფიერების, ქვეყნიერების ყველაზე იდუმალი, ყველაზე მიუწვდომელი მიღმეთების წვდომაში?! საკითხის ამგვარი დაყენება, ცხადია, ამზეურებს მსოფლიო საზოგადოებრიობის ყველაზე მაღალი შრეების დონესაც ქართველი ხალხის ვინაობის ცოდნაში.

მოგეხსენებათ, თანამედროვე მსოფლიო რეალობაში, საქართველო, საუკეთესო შემთხვევაში, ცნობილია, როგორც ერთერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანა. **ქართველი ერის, თავისი უფალივით ჯვარცმული ერის** ბრწყინვალე ორიათასწლეულმა ქრისტიანულმა ისტორიამ მართლაც გადაფარა მისი წინარექრისტინული წარსული, რითაც ერთგვარად დააზარალა კიდეც მისი, ქართველი ერის ამ წინარექრისტიანული წარსულის მსოფლიო-ისტორიული რეიტინგი. შეიქმნა მომხიბლავი შთაბეჭდილება, თითქოს საქართველო იწყება ქრისტეს მოვლინებასთან ერთად, მაშინ როდესაც ქრისტიანულ საქართველოს წინ უძღვის ქართველი ერის, თითქმის კაცობრიობის ისტორიის ტოლი, საკუთარი ბიოგრაფია, საკუთარი რელიგიური ცნობიერების უმდიდრესი ევულუცია და ისტორია. სრულიად განადგურებულია მისი წინარექრისტიანული ნივთიერი წერილობითი ძეგლები... არქეოლოგიამ ვერ შესძლო ამაღლება საქართველოს ტერიტორიების სათანადო სიღრმეებისათვის... თავის დროზე, **შლიმანმა,** მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგმა, რუსეთის იმპერიული ხელისუფლებისაგან ვერ მიიღო ნებართვა საქართველოს ტერიტორიაზე გათხრების საწარმოებლად... მეოცე საუკუნის დასასრულს კი, ევროპას, რუსეთისაგან გამოთავისუფლებული და დამოუკიდებელი საქართველოსაგან, ბაქო-ჯეიჰანის ნავთსადენებისა და გაზსადენების ჩაწყობა აინტერესებდა მხოლოდ საქართველოს მიწაში... ქართველი ერის უძველესი ისტორია ენათმეცნიერული „არქეოლოგიური გათხრების“, მითებისა, ეთნოგრაფიული და ხალხურ-ზეპირსიტყვიერებითი საგანძურის ანაბარაა დარჩენილი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრი თავის კვლევაში შეეცადა აღედგინა კავშირი წინარექრისტიანულ ქართულ თეოლოგიურ აზროვნებასა და ქრისტიანულ აზროვნებას შორის. ჯერ კიდევ 1979 წელს გამართულ ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე ჩვენ შევეხეთ ნეოპლატონური „ერთის“ გაგებას, როგორც ქალდეური თეოლოგიიდან მომდინარეს, რაც მხედველობიდან არ გამორჩენია ნეოპლატონური აზროვნების შემაჯამებელი თხზულების: პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის პირველსაფუძვლების“ ცნობილ ინგლისელ კომენტატორს, ბ-ნ დოდდს. აღნიშნულ სიმპოზიუმზე წარდგენილ მოხსენებაში: „დედაუფლისათვის, ანუ გელათის აკადემია და ბერძნული ფილოსოფიის დასასრული“, სრულიად დამოუკიდებლად მსოფლიო მეცნიერებისა, ჩვენ დავიწყეთ ძიება სათავისა, რომელიც ბიბლიურ თეოლოგიაში ახსნიდა ლოგიკურ შეუსაბამობას სამყაროს შემოქმედ მამა ღმერთსა და მის მიერ მამაკაცად და დედაკაცად შექმნილ ადამიანს შორის: „ხატად და მსგავსად ღვთისად“. შეუსაბამობა მდგომარეობდა იმაში, რომ ბიბლიური შემოქმედი იყო ერთი, ერთსაწყისიერი და ამასთან მხოლოდ მამა, მისი ანარეკლი და მსგავსი კი, ანუ ხატი ღვთისა – დედაკაციცა და მამაკა-

ციც, რაც უსათუოდ ნიშნავდა იმასაც, რომ ხატად ღვთისად განკუთვნილობის უფლებამოსილება და ღირსება თანაბრად ჰქონდათ მინიჭებული დედაკაცსაც და მამაკაცსაც. ეს თეოლოგიურ – ლოგიკური შეუსაბამობა შემოქმედსა და შექმნილს შორის ეთიკურ ლეიტმოტივად გასდევს ბიბლიის მთელ პირველ ნაწილს, ანუ მოსე წინასწარმეტყველის მიერ გადმოცემულ ცხოვრების წესებსა და ზნეობრივ კანონებს. უფრო ზუსტად: დედაკაცისა და მამაკაცის ეს თანაბარი უფლებამოსილება ხატად ღვთისად ყოფნისა, სამყაროს და ადამიანის შექმნის ბიბლიური გადმოცემის შემდეგ, ანუ „შესაქმის“ პირველი თავის შემდეგ, მთლიანად ამოვარდნილია და სინას მთიდან ჩამოტანილი და გამოცხადებით მიღებული მოსეს სჯულით დაკანონებულია მამაკაცის უპირატესობა და დედაკაცის კნინი მიმართება უფალთან. მარტო ეს ფაქტიც საკმარისია იმისათვის, რომ დაკვირვებულმა მკითხველმა დაასკვნას ორი სხვადასხვა ცნობიერების არსებობა ბიბლიაში, რომელთაგან პირველი, ანუ დედაკაცისა და მამაკაცის თანაბარი უფლებამოსილების წარმომჩენი, არამოსესეული, ანუ არაებრაულია. ჩვენ მივაგენით, რომ გელათის ფილოსოფიურ აკადემიაში, დავით აღმაშენებლის მიერ „სხუად ათინად და მეორე იერუსალიმად“ დაფუძნებულ ქართულ-შემეცნებით სავანეში, ბიზანტიის იმპერიიდან თავად საქართველოს დიდად მოაზროვნე მეფის მიერ მოწვეული მოძღვართ-მოძღვრის, ნეოპლატონურ-ქრისტიანულად მოაზროვნე ქართველი ფილოსოფოსის, იოანე პეტრიწისეული ხედვით, ბიბლიური თეოლოგიის ერთი ღმერთი ორსაწყისიერ ღვთაებრივ რეალობად განიმარტებოდა, ანუ დედურ-მამურ ღვთაებრივობად. სწორედ იმის გამო, რომ სამყაროს შემოქმედი ძალა არ შეიძლებოდა დაშვებულიყო, როგორც ერთსაწყისიერი ღმერთი, ნეოპლატონიზმმა, **„ერთი“,** როგორც უზენაესი ღვთაებრიობა, შემოქმედზე მაღლა აიყვანა, ხოლო ის, რაც სამყაროს შემქმნელ ღვთაებრივობად ცნობიერდებოდა, კანონიზირდებოდა ორსაწყისიერების გარდუვალ ერთიანობად, გამოსხივებულად და გამომდინარედ **ერთისაგან**. უნდა მიმეგნო, და ამეხსნა, როდის და როგორ მოხდა კაცობრიობის რელიგიურ – თეოლოგიური აზროვნების ისტორიაში დედური საწყისის ჩამოჭრა სამყაროს შემოქმედი ღვთაებრივი ძალისაგან, როდის დაკარგა ზეციურმა ევამ უფლებამოსილება ზეციური ტახტის ფლობისა და სამყაროს შექმნაში მონაწილეობისა?! რომელმა ადამიანურმა ცნობიერებამ ალაგმა სამყაროს დიდი დედა, ანუ ქართველთა დიდი დედა ნანა, იგივ სამყაროს დიდი „ადგილის დედა“ ზეციური ყოფიერებიდან? აი, რა მტანჯავდა და რა მაწუხებდა ასახსნელად. პრობლემას აშკარად მივყავდი ქალდეველებისაკენ, რადგან უნდა ამეხსნა, საიდან იწყებოდა ბიბლიური თეოლოგია?! სად იყო სათავე ებრაული ერთი ღმერთის. ხაზგასმით მინდა შევნიშნო, საკითხის თეოლოგიურმა ძიებამ მიმიყვანა ქალდეველებთან და არა ისტორიულმა პრობლემებმა, როგორც ეს ხდებოდა ჩემი წინამორბედი ქართველი მკვლევარების ხედვაში. მიმიყვანა ქალდეური და ბიბლიური რელიგიური ცნობიერების შეჯახების ისტორიულ მომენტთან. თუ თანამედროვე და გახმაურებულ პოლიტიკურ ტერმინოლოგიას გამოვიყენებ ცნობილი ამერიკელი ებრაელი პოლიტოლოგის, სამუელ ჰანტინგტონის თეორიისას „ცივილიზაციათა შეჯახების“ შესახებ, შეიძლება ითქვას, რომ სამყაროს დიდმა დედამ ზეციური უფლებამოსილება დაკარგა დიდი ქალდეური ცივილიზაციისა და პიროვნულ საწყისში მოცემული პოტენციური ებრაული ცივილიზაციის ისტორიული შეჯახების მომენტში. ებრაელთა პირველი მამამთავრის, აბრაამის ცნობიერებისა და ქალდეური ცნობიერების შეჯახების მომენტში. პირადად ჩემს ხედვაში თანამედროვე მსოფლიოს ახალი წესრიგი სათავეს იღებს ამ ორი ცივილიზაციის შეჯახების საიდუმლოებაში. და შესაძლოა, ეს დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკის სადავე-

თა პყრობის მომენტი კულმინაციაა აბრაამის სულისკვეთებისა, რომლის პერსპექტივაც მხოლოდ ფინანსურ ბერკეტებზეა დაშენებული და დამდგარი და არა ღვთაებრივი ჭეშმარიტების წვდომასა და წყურვილში (იხ. დანართი 1: „ქალდეველები და ქართველები“).

ჩვენ დაგვჭირდა ქალდეური ცნობიერების, როგორც მეხუთე საუკუნის, ანუ პეტრე იბერის დროინდელი ქართული ცნობიერების წინამორბედი ცნობიერების ამოწევა და ჩვენება მისი რელიგიური სურათისა, როგორც უფრო არქაული და ძალზედ ნათესაური, ქართული, ანუ იბერიული ცნობიერების განგრძობის, იბერიულ-ქართული ცნობიერების, როგორც კაცობრიობის ისტორიის ტოლი რელიგიურ-შემეცნებითი წარსულისა, ქართველი ანუ იბერიელი ხალხის. ამრიგად არეოპაგიტულმა ცენტრმა პეტრე იბერის „იბერობის“ ფენომენის განსაზღვრისათვის მსოფლიო მეცნიერებას მოუმზადა იბერიული ცნობიერების განმარტება, როგორც ქალდეურისა და ქართული ცნობიერების ერთმთლიანი ფენომენის, რომლის წარმომადგენელიც მეხუთე საუკუნეში პეტრე იბერი იყო. ბუნებრივია, არეოპაგიტულმა ცენტრმა კვლევაში ქართველოლოგიური მიმართულება მიიღო, რასაც შედეგად მოჰყვა საერთოდ მთელი ქართული ქრისტიანობის, როგორც ერთიანი მოვლენის სრულიად ახალი, ქალდეური გაგება... შემდეგ კი მთელი ქართული ქრისტიანობის, როგორც მსოფლიო ისტორიის უმნიშვნელოვანესი მისტერიის წარმოჩენა... ეს უკვე სრულიად საგანგებო საკითხია (იხ.: დენიზა სუმბაძე – „მცხეთელი მოგვები და ქართული ქრისტიანობის მისტერია“).

ჩვენდა სასიკეთოდ ისტორიკოსმა **ვახტანგ გოილაძემ** გამოაქვეყნა ინფორმაცია პეტრე იბერის მოხსენიებისა გარკვეულ კოპტურ წრეებში **„პეტრე კარდუხად“**, რაც ისტორიკოსისათვის მადასტურებელია ფაქტისა, რომ ქართველური ტომები მოიხსენიებოდნენ აგრეთვე ამგვარი სახელწოდებითაც. ჩვენის აზრით პეტრე იბერის კარდუხობა უმნიშვნელოვანესია სხვა რაკურსითაც: იგი უსათუოდ მეტყველებს იმაზედ, რომ ქრისტიანულ საიდუმლო წრეებში ინახებოდა ცოდნა იბერობისა, ანუ ქართველობისა და კარდუხობის, ანუ ქალდეველობის იგივეობრივობისა, რაც კოპტური მაგალითით გამოვლინდა. ეს ცოდნა დროთა ვითარებაში დაიკარგა მიზანმიმართულ გარემოებათა გამო. უკვე იოანნე პეტრიწის (XI-XII ს.) მსჯელობაშიც კი, როდესაც იგი საუბრობს ქალდეურ, ელინურ და ებრაულ სიბრძნეებზე, ეს იდენტიფიკაცია ჩამქრალია. მე-19 საუკუნეში, ევროპელთა სენსაციური არქეოლოგიური გათხრების შემდეგ, რომლითაც აღმოჩნდება რომ ბიბლიური კოსმოგენეზისის თეორია გადმოსესხებაა ქალდეური სიბრძნისმეტყველებიდან, საქართველოს მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი, კირიონ მეორე, ერისკაცობაში ისტორიკოს – არქეოლოგი გიორგი საძაგლიშვილი, მადლობის შეძახილით მიმართავს ევროპის მეცნიერებს, რომელთაც თავიანთი არქეოლოგიური შემეცნებით ქართველთა საქმე გააკეთეს. კირიონ კათალიკოსის ამ წერილს პირადად მივაგენით მის ისტორიულ არქივში და გამოვაქვეყნეთ. სამწუხარო აღნიშვნის ღირსია, რომ საქართველოს ეკლესიას არავითარი რეაგირება არ გამოუჩენია ასეთ მნიშვნელოვან დოკუმენტზე. ეს ყველაფერი ცალკე და ძალიან დიდი, ამასთან ჩვენი შემდგომი მსჯელობების დროს გასათვალისწინებელი საკითხებია...

ქრისტიანული ორიათასწლეულის გასრულებით, საქართველო, მსოფლიო ისტორიულსა და მსოფლიო-პოლიტიკურ პროცესებში ჩართული, და ამ პროცესების შედეგად, ე. წ. საბჭოთა იმპერიისაგან გამოცალკევებული, თავისი ფორმალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობით, გადის მსოფლიო რეალობის ერთიან დიდ სივრცეში, რომელშიაც მისი ნამდვილი ისტორიული ვინაობა ჩამქრალია. მსოფლიოს აქტიურ ცნობიერებაში, იგი, საქართველო, ქართველთა ქვეყანა, როგორც

ეროვნული სუბიექტი, თითქმის უცნობია. 90-იან წლებში, საქართველოში, თბილისში, იმდროის საქართველოს პრეზიდენტის, ბ-ნ ედუარდ შევარდნაძის რეზიდენციაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, ცნობილი ამერიკელი პროფესორი, **რიჩარდ პაიპსი** გულწრფელად აცხადებს, რომ ამერიკის კონგრესში, თავში არავის მოუვაო აზრად, თბილისი იგულისხმოს, როდესაც ჩვენ მივდივართო „ჯორჯიაში". „ჯორჯია", ინგლისური სახელწოდება „საქართველოსი", ამერიკელისთვის არისო მხოლოდ აშშ-ების ერთერთი შტატი.

პროფესორ **პაიპსის** ამ განცხადების მომენტში, საქართველოს ხელისუფლება მსოფლიოს დაინტერესებას საქართველოთი და მსოფლიოს მხედველობით არეში მოქცევას, მისთვის, მსოფლიოსთვის საინტერესო ნავთსადენების გაყვანით ჰპირდება ქართველ ხალხს. – ყველასთვის ცნობილი ბაქო – ჯეიჰანის ნავთსადენებით. ასე რომ, თანამედროვე ერაყსა, ანუ ქალდეველთა ისტორიული ქვეყნის ტერიტორიასა და დღევანდელი საქართველოს ტერიტორიას შორის, მსოფლიოს დილეტანტურ პოლიტიკურ ცნობიერებაში, მაერთიანებელი ცნება ხდება „ნავთი" და მიუხდავად იმისა, რომ პროფესორი **პაიპსი** ამ დილეტანტური ინფორმაციის წარმომადგენლია, რაღაც შინაგანი ძალის კარნახით, მაინც აცხადებს გულწრფელი გაფრთხილებით: საქართველო ჩაებაო მსოფლიოს ისეთ სახიფათო პოლიტიკურ თამაშებში, საიდანაც, შესაძლოა ის ყოველთვის ვერ გამოვიდესო გამარჯვებული... მადლობა მას ამ გულწრფელი გაფრთხილებისათვის! ასე რომ საქართველო და ქართველი ერი, ეს უზარმაზარი ისტორიისა და ცივილიზაციების გადამტანი ქვეყანა და ხალხი, თავისი საკაცობრიო მისიით, მსოფლიოს სახიფათო პოლიტიკურ თამაშებში გაუცნობიერებლად ჩაბმული, ამასთან კაცობრიობისათვის ვინაობა – დაკარგული და მნიშვნელობა-დაკარგული ხალხის სახით, ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე ღვთით დაწესებული, მსოფლიოსთვის უცნობი მგზავრივით და საკუთარი ისტორიის გადარჩენილი ნამსხვრევივით დგას კაცობრიობის კართან, და შესაძლოა, განგების ძალით, კაცობრიობის გადარჩენა ამ ნამსხვრევის თავად კაცობრიობისმიერ გადარჩენაში იყოს ჩადებული.

კაცობრიობის ისტორიაში ქართველი ერის ჩაკარგვის გოდება და საგალობელი, შექმნილი არა უგვიანეს მეათე საუკუნისა: „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი" – ქართული ენის ჩაკარგვის გოდებაში აცხადებს მისტერიას თავად ქართველი ერის ვინაობის ჩაკარგულობისას; აცხადებს „ერის ჩაკარგულობის", როგორც „ენის დამარხულობის" გრძლიობასაც ოთხი ათასეული წლით. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული საგალობლის გზით, ქართველი ერის ცნობიერებაში, მის ეროვნულ თვითგამორკვევაში, ზუსტად არის განსაზღვრული და მონიშნული საზღვრები ქართული ენის გაყვანისა კაცობრიული ისტორიის ასპარეზიდან. „ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს"-ო, გვაუწყებს საგალობლის ავტორი და „ყოველი საიდუმლოთი" მიგვანიშნებს არა ეროვნული ისტორიის იდუმალყოფაზე, არამედ უზოგადესად ყოველის, კაცობრიობის ისტორიის ყოველი საიდუმლოს დაკავშირებულობას ქართული ენის დამარხულობის საიდუმლოსთან ოთხი ათასეული წლით! უჩვეულოდ ერწყმის ერთმანეთს ქართული საგალობელი: „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი" და იოანეს სახარებაში გადმოცემული, ჯვარცმისწინარე აღთქმა იესო ქრისტესი: ჩემი წარმოგზავნილი სულიწმინდა ილაპარაკებსო ჩემგან და ის აგიხსნით და ის გაგიცხადებთო ყველა საიდუმლოს: „მე მამას შევევედრები და ის სხვა ნუგეშისმცემელს გამოგიგზავნით" (იოანე 14,16). „ხოლო ნუგეშისმცემელი კი, სულიწმინდა, რომელსაც ჩემი სახელით მოავლინებს მამა, ყველაფერს გასწავლით და ყველაფერს გაგახსენებთ, რაც თქვენთვის მითქვამს" (იოანე 14,26). „თუ არ წავედი, ნუგეშისმცმელი ვერ მოვა თქვენ-

თან... (16,7). „კიდევ ბევრი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ ვეღარ იტვირთავთ“ (იოანე 16,12). „როცა მოვა იგი, სული ჭეშმარიტებისა, შეგიძღვებათ ყოველ ჭეშმარიტებაში. თავისით კი არ ილაპარაკებს, არამედ იმას ილაპარაკებს, რასაც ისმენს, და მომავალს გაუწყებთ თქვენ. იგი განმადიდებს მე, რადგან ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ. ყველაფერი, რაც მამას აქვს, ჩემია. ამიტომ გითხარით: ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ-მეთქი“ (იოანე 16,7).

მაცხოვრის სიტყვები: „სულიწმინდა, რომელსაც ჩემი სახელით მოავლინებს მამა, ყველაფერს გასწავლით“ – ნათელს ხდის იმ ჭეშმარიტებას, რომ წმინდა სამებაში ერთარსული და თანაარსული არსებობით, მაცხოვარი განუყოფელია სულიწმიდისაგან და განუყოფელია სულიწმიდის მოვლინების ჟამსაც.

იოანეს სახარების ეს ჩვენს მიერ ხმობილი ფრაგმენტები ფუნდამენტური მნიშვნელობისაა სულიწმიდის მოვლინების გზით ქრისტეს ახალი მოსვლის მისტერიის შემეცნებისათვის. აქ არ არის საუბარი ღვთიური სულის გადმოსვლაზე სულთმოფენობის ფორმით, როცა მოციქულები ალაპარაკდებიან მათთვის უცხო ენებზე. აქ არა მხოლოდ განპიროვნებული სახეა სულიწმიდისა მოცემული, არამედ გარკვეული ფორმით ქრისტეს ახალი მოსვლის სახეც არის გაცხადებული: „მამისაგან ჩემით წარმოგზავნილი სულიწმინდა თავისით კი არ ილაპარაკებს, არამედ რასაც ჩემგან მოისმენს, იმას გაუწყებთო“. ფაქტიურად, იესო ქრისტე აქ, როგორც ვხედავთ, სულიწმიდის წარმოგზავნის ფორმით მოდის. სულიწმინდის სახით. შეიძლება ითქვას, რომ იესო ქრისტეს ალაპარაკება სულიწმიდის პიროვნულ მოვლინებაში იოანეს სახარებისეული განმარტებაა იესო ქრისტეს შემდგომი მოსვლისა. პირდაპირი განგრძობაა იოანეს სახარებისა იოანე ზოსიმეს სახელით ცნობილი ეზოთერული თხზულება-საგალობელი: „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“. ქართული ენის ამ ქრისტიანულ-ეზოთერული საგალობლით, ნაწინასწარმეტყველებია სწორედ ალაპარაკება უფლისა მეორედ მოსვლის ჟამს იმ ენაზე, რომლის ქება-დიდებასაც ეს საგალობელი ეძღვნება საგალობლის ავტორისა და წინასწარმეტყველისაგან. ამ წინასწარმეტყველებით უფლის მეორედ მოსვლა და ყველა საიდუმლოს გაცხადება, ქართულ ენაზე უნდა მოხდეს. ცხადია, აქ არ არის მეორედ მოსვლის, როგორც ქვეყნის დასასრულის შინაარსი. პირიქით. აქ საუბარია ქვეყნიერების განსაცდელის ჟამს ნუგეშინისმცემლის მოვლინებაზე იესო ქრისტეს სახელით.

ქართული ქრისტიანულ – ეზოთერული საგალობელი: „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, ხელნაწერი ტექსტი ამ საგალობლისა, დიდმა ქართველმა მეცნიერებმა, ივანე ჯავახიშვილმა და ნიკო მარმა, 1902 წელს ჩამოიტანეს სინას მთიდან. ამ დროს, 1902 წელს, ქართველი ერის დიდი პატრონი და უდიდესი ავტორიტეტი, „ქვათა ღაღადის“ ავტორი ილია ჭავჭავაძე ცოცხალი იყო, მაგრამ ილიას აზრი ამ საგალობელზე ქართული ენის შესახებ, არ გაგვაჩნია. როგორც ჩანს, იმ დროისათვის, ქართველ მეცნიერთაგან, ინტერესი და ჩაღრმავება ამ საგალობლისადმი, მის ტექსტოლოგიურ მნიშვნელობას არ გასცდენია და რა დასანანია, რომ ეს თხზულება აზრის გამოსათქმელად ილიამდე არ მიუტანიათ არც მარი ბროსესა და ალექსანდრე ცაგარელს, რომელთაც ეს თხზულება უფრო ადრე, ივანე ჯავახიშვილზე და ნიკო მარზე უფრო ადრე ჩაუვარდათ ხელთ... მარი ბროსეს მიერ ფრანგულად გამოქვეყნებული ტექსტისათვის არც ევროპელებს მიუქცევიათ თავის დროზე რაიმე ყურადღება...

ილია ჭავჭავაძე პირველი იყო ქართული ეროვნული თვითშემეცნების ისტორიაში, რომელმაც დაიწყო ძიება იმისა, თუ რა იყო მიზეზი ქართველი ერის ვინაობის ასეთი ამოშლისა ცივილიზებული მსოფლიოს ცნობიერებიდან. ამ თვალსაზრისით იგი საქართველოს დაწე-

რილი ისტორიითაც უკმაყოფილო იყო. ილია ჭავჭავაძემ ხმამაღლა გააცხადა თავისი კრიტიკული პოზიცია ქართველთა უძველესი მატიანის: „ქართლის ცხოვრების“ მიმართაც. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ შესასწავლია თავად ილია ჭავჭავაძე, რადგან არ ვიცით და გასარკვევია, რას გულისხმობდა იგი იმ სიტყვებში, როდესაც წერდა: „ჩვენს ისტორიას გვითითხნიანო“. ერთი კი ცხადია: ჩვენს ხედვაში, შეუმჩნევლად, თუ შესამჩნევად, საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენების ინტერპრეტაციას „ქართლის ცხოვრებაში“, ებრაული ინტერესების კვალი ამჩნევია, რაც ქართულ მეცნიერებაში ჯერ-ჯერობით მსჯელობის საგანი არ გამხდარა. რას ვგულისხმობთ ამ „ებრაული ინტერესების კვალში“?

ებრაული ინტერესების კვალი „ქართლის ცხოვრება“-ში

ქართველი ერის ქრისტიანული ისტორიის „ქართლის ცხოვრებისეული“, ანუ ქართველთა უძველესი მატიანისეული ასახვით, ქართველთა ქრისტიანობას ებრაელები იწყებენ, რამდენადაც ქრისტეს პირველ მაღიარებლებად საქართველოში, იქ, სადაც ქრისტიანობა იწყება, კერძოდ საქართველოს ძველ დედაქალაქში, და უძველეს რელიგიურ ცენტრში, მცხეთაში, ებრაელები არიან წარმოდგენილნი, ამასთან ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იესო ქრისტე ცოცხალია და ისინი, ეს ახალგაზრდა მცხეთელი ებრაელები, ჯერ არც იერუსალიმში წასულან და არც კვართი ჩამოუტანიათ იქიდან ებრაელი დედის დავალებით. „ქართლის ცხოვრების“(!) მიხედვით მცხეთელმა ებრაელებმა უკვე წინასწარმეტყველურად იციან, რომ მოახლოვებულია ჯვარცმა განკაცებული ღმერთისა – იესო ქრისტესი და მიდიან იერუსალიმში. და სწორედ მათ, ებრაელებს ჩამოაქვთ ქართველთა უდიდესი სიწმინდე იერუსალიმიდან: კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ე.ი. ჩვენი ჯვარცმული უფლის კვართი, იერუსალიმიდან მცხეთაში, ჩამოაქვთ მათ, მცხეთაში მცხოვრებ ებრაელებს, მოდგმასა და ნათესავს იმ ხალხისას, რომლის მწიგნობარნიც და ღვთისმსახურნიც ემზადებიან ქრისტეს ჯვარცმისათვის, ხალხისა, რომელთაც თავიანთ ქვეყანაში ჯვარს აცვეს მაცხოვარი. „ქართლის ცხოვრებით“ გამოდის, რომ თავიანთ ქვეყანაში ებრაელებმა ჯვარს აცვეს იესო ქრისტე, ხოლო საქართველოში, იმავე ებრაელებმა, ამბის გაგებითაც კი, რომ ჯვარს აცვეს მაცხოვარი, თავები დაიხოცეს. მხედველობაში გვყავს, რაღათქმაუნდა, დედა და და ელიოზ მცხეთელისა. ღვთის შეწევნით, ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა, გაგვერკვია, რომ, ეს იერუსალიმიდან მაცხოვრის კვართის ჩამომტანი „ებრაელები“, სინამდვილეში მცხეთაში დამკვიდრებული ქალდეველი მოგვები არიან და არა ებრაელები, ამასთან ქალდეველ მოგვთა იმავე წრის წარმომადგნელნი, რომელნიც, მათეს სახარების მიხედვით, ქრისტეს შობის საუწყებლად, იერუსალიმში ჩადიან „აღმოსავლეთიდან“ (იხ. გაზეთი „ივერია“, 2003, ნიუ იორკი, „მცხეთელი მოგვები და ქართული ქრისტიანობის მისტერია“, ასევე, ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ (რედაქტორი – ვაჟა ოთარაშვილი, 2005 წ.), დენიზა სუმბაძის მოხსენება: „ქართული ქრისტიანობის მისტერიალური მნიშვნელობის გაგებისათვის“, 2011 წ. 27 ივლისი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამავე თემაზე მოხსენება თსუ ფილოსოფიის ინსტიტუტში, **სერგი დანელიასადმი** მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე).

„ქართლის ცხოვრებისეული“ გვიანი, ცხრა საუკუნის შემდგომი ჩანაწერი ამ ისტორიული მოვლენისა, საუფლო კვართის ჩამოტანისა იერუსალიმიდან მცხეთას, მემატიანემდე მოღწეული ზეპირი გადმოცემის გზით, მცხეთაში მცხოვრები ქალდეველი მოგვების ვინა-

ობის აღრევას ვერ არკვევს მცხეთაში მცხოვრები ებრაელი ურიების ვინაობაში. ყოველივე ეს ინფორმაციულ დაწმენდას საჭიროებს. მაგრამ ეს კიდევ ცალკე საკითხია... საქმე იმაშია, რომ გარდა ამ კვართის ჩამომტანი „ებრაელებისა“, „ქართლის ცხოვრებით“ გადმოცემულ გარკვეულ ეტაპებზე, საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა მთელი წარმომადგენლობა, ფაქტობრივად, მთელი დინასტია, მეექვსე საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნემდე, საკუთრივ ქართველი ერისეული, ქრისტესთვის ჯვარცმული ერისეული ისტორიის მთელი ხანგრძლივობა, განმარტებულია, როგორც ისრაელიანთა მეფის – დავით წინასწარმეტყველისაგან გენეტიკურ შთამომავლებად გაგებულ მეფეთა ისტორია. ასე განსაჯეთ, „ქართლის ცხოვრებით“, თვით დავით აღმაშენებელი 78-ე თაობა ყოფილა დავითის, ისრაელიანთა მეფისა. აქედან გამომდინარე, ჩვენი **დიდი თამარი**, ძნელი დასაანგარიშებელი არ არის მერამდენე თაობა იქნება დიდი პაპისაგან. ქართველ ბაგრატიონთა ეს უხანგრძლივესი, უდიდესი და უდიადესი დინასტია, როგორც განსახიერება ქართველი ხალხის ღვთით მიმადლებული წარმომადგენლებისა: დავით აღმაშენებელი, მისი მამიდა, ბიზანტიის უბრწყინვალესი დედოფალი, მართა-მარიამ ბაგრატიონი, საქართველოს თორმეტი მეფე – გიორგის სახელით საქართველოს სამეფო ტახტზე, და ე.ი. თვით გიორგი ბრწყინვალე, რომელმაც მონღოლთაგან გაწმინდა საქართველო, თვით თამარ მეფე, რომელმაც უპრეცენდენტოდ კეთილშობილი პრინციპებით საქართველოს ისტორიის ოქროს ხანა შექმნა და ა. შ., ფაქტიურად მთელი ქრისტიანული საქართველოს ისტორია ებრაული წარმომავლობის მეფეთა ისტორია ყოფილა და სა-ქართველო სა-ებრაელო ყოფილა და არა სა-ქართველო. უკანასკნელ წლებში ისრაელიდან ჩამობრძანებულმა პროფესორებმა, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებით, ისიც გვაუწყეს, რომ პირველი ქართული ბაზილიკური ეკლესიები არქიტექტურულად ებრაული სამლოცველოების მოდელიდან, სინაგოგადან არიანო მომდინარენი, ხოლო ქართველთა განმანათლებელი და ქრისტეს რწმენაზე საბოლოოდ მომაქცეველი, წმინდა ნინოც – კაბადოკიელი ებრაელი ყოფილა. უფრო მეტი: ჩემთვის ერთერთი საპატივცემულო მოძღვარი ჩვენი ეკლესიისა, არც ისე დიდი ხნის წინ, მოულოდნელად აქვეყნებს პოეტურ ნოველას, რომელშიც ვახტანგ გორგასალის პირით გვიცხადებს: „ვართ სემის შთამომავალნი, ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს“-ო. ე.ი. ქართველები და ებრაელები, თურმე ორთავენი სემიტები ვყოფილვართ. თანაც ეს ვახტანგ გორგასალის ანდერძი ყოფილა, ვახტანგ გორგასალის, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, გარკვეულად გვიბარებს: „ეძიებდეთ სიკვდილსა ქრისტესთვის... და ნუ მოიშლითო სიყვარულსა ბერძენთათვის“. როგორც ვხედავთ, პატივცემული ღვთისმსახურის მიერ შექმნილი ლიტერატურული გმირი – ვახტანგ გორგასალი, მცხეთელი ქალდეველი დედების სულისკვეთებით გამსჭვალული და მაძიებელი ქრისტესთვის სიკვდილისა, თურმე ებრაელობის მაძიებელიც ყოფილა! ცხადია, დღევანდელი ქართული ეკლესიის წარმომადგენელი ღვთისმსახურისეული წარმოსახვით შექმნილი ლიტერატურული სახე ვახტანგ გორგასალისა და „ქართლის ცხოვრებით“ გადმოცემული ვახტანგ გორგასალი, თავიანთი ანდერძებით, არათუ სრულიად არ ესადაგებიან ერთმანეთს, არამედ ცა და მიწასავით განესხვავებიან.

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს, შევნიშნოთ, რომ ქართველი ხალხის უსაყვარლესი და სათაყვანებელი პოეტისა და მთარგმნელის, **ჯემალ აჯიაშვილის** ინფორმაციით, ისრაელში, საქართველოს საელჩოს დაჟინებული მოთხოვნით, თავად ჯემალ აჯიაშვილის ელჩობის დროს, ისრაელის ენის აკადემიას მიუღია ოფიციალური დადგენილება, რათა ისრაელის სახელმწიფო დოკუმენტაციაში, ჩვენი დღევანდელი ქვეყანა „საქართველო“ მოხსე-

ნიებულ იქნას, როგორც „გეორგია“ (ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, №? 2012). მართალია, „გეორგია“ ჩვენი ქვეყნის ძველ – ევროპული სახელწოდება და მოსახსენებელი, და ჩვენი სისხლხორცეული ისტორიული წოდებაა, როგორც „მიწათმოქმედი“ ქვეყნის, მაგრამ – რატომ უნდა აერჩიათ ჩვენი ქვეყნის ცოცხალი სახელწოდების სანაცვლოდ ჩვენს ძმებს, ებრაელებს, ჩვენს 26 საუკუნოვან მოყვრებს, ჩვენი ისტორიული სახელწოდება: „გეორგია“ და არა ცოცხალი სახელწოდება დღევანდელი ჩვენი ქვეყნისა: „საქართველო“?! რას ერჩიან ჩვენს ეროვნულ სიცოცხლეს?! რატომ აწუხებს ისრაელს ჩვენი ქვეყნის ყველაზე არქაული სახელწოდება: „სა-ქართველო“, რომელიც ბიბლიური ხალხის „ქალდეველთა ქვეყნის“ფონეტიკურად თანხვედრილი სახელწოდებაა. ესეც ხომ ფაქტია, რომ დაახლოვებით იმავე პერიოდში, როდესაც ისრაელმა ამგვარი ისტორიული სახელწოდებით მოხსენიება დაგვიკანონა თავის ქვეყანაში, საქართველოს ხელისუფლებამ იკადრა და მწერალ **დავით ტურაშვილის** პირით, საქართველოში დასვა საკითხი, „საქართველოს“, როგორც ქვეყნის სახელწოდების გადარქმევისა და მეორე ისტორიული სახელწოდების: „იბერიის“ (და ამ შემთხვევაში, არა „გეორგიის“) აღდგენის. ვის აწუხებს საქართველოს სახელწოდება, როგორც „სა-ქართველო“, ანუ როგორც „ქართველთა ქვეყანა“? ქვეყანაში, სადაც ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა თვითონ სახელმწიფომ ამოუშალა პირადობის აღმნიშვნელ ყველა დოკუმენტში ყველა ქართველს, ამჯერად დღის წესრიგში დაუყენა თავად ქვეყნის, როგორც ქართველთა ქვეყნის სახელწოდების ამოშლის საკითხი. ეს ბედნიერება არგუნა ქართველ ხალხს მსოფლიოს ახალმა წესრიგმა, საბჭოთა კავშირის დაშლით, „მოქალაქეთა კავშირითა“ და „ვარდების რევოლუციით“ შემოჭრილმა ქართველთა სამკვიდროში, ერთადერთ ქვეყანაში დედამიწის ზურგზე, სადაც არასოდეს ყოფილა ებრაელთა დევნა-შევიწროვება, ერთი მისხალითაც კი. ასე დაგვიფასა სიონისტურ-მასონურმა მოძრაობამ ქართველ ხალხს ებრაელი ხალხის საუკუნოვანი სიყვარული და თანადგომა საქართველოში. მაგრამ ესეც არ არის მთავარი: სახეზე გვაქვს დაუსრულებელი საინფორმაციო ომი ქართველი ერის ვინაობის ამოსაშლელად კაცობრიობის ცნობიერებაში. ხომ არ არის ნიშანდობლივი ბიბლიის ტექსტში ჩართული კურთხევა იაჰვესი – ებრაელთა ღმერთისა: „კურთხეულ იყოს იაფეთი, სემის კარვებში დაემკვიდროს“? ხომ არა გვაქვს აქ საქმე ბიბლიური ისტორიის ქვეტექსტით მოცემულ სიმბოლურ „კარვებთან“, რომლებიც სინამდვილეში ნიშნავენ ქვეყნებსა და მიწაწყალს ებრაელებისას და ქალდეველებისას, დღევანდელი ქართველებისას?! როგორც ცნობილია, ადამიანები არც წინასწარმეტყველური ჩანართების შექმნას ერიდებიან თავიანთი სურვილების გასამართლებლად. იაფეტის მოდგმას ისტორიულად არასოდეს დასჭირვებია სემის კარვები... ის მიწათმოქმედი ხალხის მოდგმა იყო და მყარად იდგა თავის სამკვიდრებელ მიწაწყალზე. სემის მოდგმა კი მომთაბარე იყო და მუდამ სჭირდებოდა შეხიზნულიყო სხვის „კარვებში“... ხომ არ არის აქ შეფარული და იაჰვეს კურთხევად გასაღებული ებრაელთა ლტოლვა იაფეტის მოდგმის სამკვიდრო მიწაწყლის მითვისებისაკენ?! ეს ინფორმაციული ომების ცნობილი მეთოდია, როდესაც რეალურ მცდელობებს ერთი ხალხისას მეორის დასასუსტებლად და დასარბევად ასეთი რამ სჭირდება...

ერთერთი ჩვენი თანამედროვე ქართველი ებრაელი, ავტორი წიგნისა ებრაელთა მონაწილეობის შესახებ საქართველოს ისტორიის პროცესებში, ებრაელთა დამსახურებად *გადმოგვცემს თამარ მეფის დაქორწინებას უწესო გიორგი რუსზე, რაც აშკარად მეტყველებს საქართველოს სამეფო კარის ცხოვრებაში ქართველ ებრაელთა გარკვეული გავლენების არსებობაზე და ქვეყანაში საკუთარი მიმართულების დანერგვის მცდელობაზე. თუ გა-*

ვითვალისწინებთ, რომ თამარის ქორწინებაში გიორგი რუსზე, ებრაული წარმომავლობის მოხელეებთან ერთად, ლომის წილი მიუძღვის ქართულ ეკლესიას, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ იმაზეც, რომ ებრაული ინტერესები გარკვეულ შემთხვევებში წარმატებით ახერხებდა ფესვის მოკიდებას სწორედ ქართულ ეკლესიურ ცნობიერებაში.

დავით აღმაშენებელს ქართველი ებრაელები არ მიჰყავდაო ბრძოლებში – წერს ჩვენს მიერ ხმობილი ავტორი წიგნისა: „ებრაელები საქართველოში". გამოდის რომ დავით აღმაშენებელი, რომელიც ათასობით ყივჩაღს ენდობოდა საკუთარი ქვეყნის სამხედრო გაძლიერებაში, არ ენდობოდა ერთ ებრაელსაც კი. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ისტორიამ არ იცის მაგალითი ებრაელთა თავდადებისა საქართველოს ბრძოლებში, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვან „თავდადებას" ნიშნავს საქართველოს ბრძოლებში, თამარის იძულებითი ქორწინების მოწყობა გიორგი რუსზე, საქართველოს ეკლესიასთან კავშირში. თამარმა შესძლო და ეს დაგებული მახე თავისი დიდი ზნეობით დაანგრია, გიორგი რუსი საქართველოდან ღირსეულად გაიყვანა, ქვეყანა თავისი კეთილშობილების გზით წარმართა და მთელი ქვეყნის ცხოვრება აზიარა თავის ოქროს ხანას... მაგრამ ახლა ყოველივე ზემოთქმულის კონტექსტში ძირითად საკითხს დავუბრუნდეთ...

ქართველ ბაგრატიონთა „ებრაელობის" აღზევება საქართველოს ეკლესიის გზით

ქართველ ბაგრატიონთა დავით წინასწარმეტყველისაგან გენეტიკურად წარმომავლობის აზრი, ქართველ მეცნიერთათვის, იმდენად აბსურდული იყო, მეფეთა განდიდების იმდენად ინფანტილურ და ზღაპრულ რომანტიკად იყო აღქმული, რომ ერთგვარად აკლდა კიდეც სერიოზული მიდგომა და სურვილი ამ აბსურდზე ფიქრისა და განმარტების; მაშინ როდესაც, ებრაული პრაგმატული გონი, რომელსაც შენი ისტორია, როგორც სავაჭრო ინფორმაციული კაპიტალი, შენზე უკეთა აქვს ათვისებული, და ებრაული მომთაბარული მიდრეკილება სხვათა ქვეყნებში დამკვიდრებისა, საუკუნეთა წიაღ ჩასაფრებული ელის მომენტს გულუბრყვილო ქართველთა სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად. და შედეგიც სახეზეა ჩვენს თვალწინ: მე-20-ე საუკუნის დასასრულს, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ხიბლში გახვეული და საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსული პატარა საქართველო, სრულიად დაუცველი შვლის ნუკრივით მიმზიდველი მსხვერპლი, მსოფლიო დაყაჩაღების პოლიტიკურ სივრცეში, სრულიად მოუმზადებლი და უმეცარი ხვდება ინფორმაციულ ომს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში, მისგან გაუცნობიერებლად მიმდინარეობს მის წინააღმდეგ.

დღევანდელი, 21-ე საუკუნის ქართული ეკლესიის ერთერთი ძალზედ პატივსაცემი ღვთისმსახურის ინტერვიუდან ამონარიდი, რომელსაც აქ წარმოგიდგენთ, ამ ღვთისმსახურის პირადი, ან სუბიექტური თვალსაზრისი როდია. ეს მთელი ჩვენი ქართული ეკლესიის ოფიციალური მსოფლმხედველობრივი და პოლიტიკური პოზიცია გახლავთ, რომელიც გარკვეულმა ძალებმა თავს მოახვიეს საქართველოს ეკლესიას და ამ გზით ქართველი ერი და მისი ქვეყანა, ამ ძალებს უკვე უკანასკნელი ორი – სამი ათეული წლის განმავლობაში, საქართველოს საპატრიარქოში ჩანერგილი საგანგებო მექანიზმით, რომელსაც ჩვენ ბიბლიური „მარდუქაი-ესთერის" სახელწოდება მივუსადაგეთ, მსოფლიოს ახალი წესრიგის ებრაულ- სიონისტური მიმართულბით მიჰყავთ:

„როგორც ვიცით, **ისრაელის, ღვთის რჩეული ერის პირველი მეფე იყო საული** – გვესაუბრება ქართული ეკლესიის ერთერთი შესანიშნავი მლოცველი და ლოცვით მკურნალი მოძღვარი, მამა **აკაკი მელიქიძე – საულის მერე**

ღმერთმა მეფედ გამოარჩია ღვთის მსახური დავითი, რომლის შთამომავლებიც, ახალი აღთქმის დამტკიცების შემდეგ, საქართველოში მოვიდნენ. დავით მეფე-წინასწარმეტყველისა და ჩვენი უფლის, ქრისტეს ნათესავების შთამომავლები ჩაუდგნენ საქართველოს სათავეში... ღვთისგან კურთხეული მეფის ხელისუფლების ვალია, რომ იყოს ეკლესიის გამაძლიერებელი... მეფე ხდება ღვთის ნების შემსრულებელი და ღვთის კურთხევის მომტანი მთელ ერზე... რათქმაუნდა მეფისა და პატრიარქის ხელისუფლებათა სიმფონია ხელს უშლის ბოროტებას... პატრიარქისა და მეფის მმართველობის დროს მთელი ერი განსაკუთრებული წესებით ცხოვრობს. პირველ რიგში ეს არის მორწმუნეობა... მათზე გადმოვა დიდი მადლი ღვთისაგან... სახელმწიფოს მეთაური სიმბოლურად იქნება წინასწარმეტყველის ხარისხის, რომელიც უშუალოდ უფალს ემორჩილება... ბაგრატიონთა გვარი... კიდევ იტყვის თავის სიტყვას... სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, დიდი მეუფის, ილია მეორის კურთხევაა, რომ საქართველოში მომავალში აღდგეს მონარქია“ (გაზეთი „ჯორჯიან თაიმსი“, 13-20 სექტემბერი, 2007 წელი, მთავარი რედაქტორი – გიორგი კაპანაძე). ინტერვიუ ჟურნალისტის ხელმოწერის გარეშეა გამოქვეყნებული. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული ინტერვიუ თითქმის გამეორებაა ამავე გაზეთის 2007 წლის 12-19 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული გაიოზ მამალაძის წერილისა: **„დავითიანების (ბაგრატიონების) დაბრუნება სამშობლოში 70 თაობის მერე“**. აქ არ შევუდგებით იმ აბსურდული, ილია ჭავჭავაძის სიტყვები რომ გამოვიყენოთ, საქართველოს იმ „შეთითხნილი“ ისტორიული დეტექტივების შესახებ მსჯელობას, რომელსაც მოხსენიებული წერილის ავტორი გვთავაზობს. მკითხველს განვუმარტავ მხოლოდ, რომ წერილის სათაურში: „ბაგრატიონების საქართველოში დაბრუნების“ ფაქტში „70 თაობის მერე“ ავტორი – ბ-ნი გაიოზ მამალაძე, გულისხმობს საქართველოს პირველ ბაგრატიონ მეფეს, გუარამ ბაგრატიონს, როგორც გენეტიკურ შთამომავალს ებრაელთა პირველი პატრიარქის, აბრაამისას. ამრიგად გაიოზ მამალაძის აზრით ქართველი ბაგრატიონები ჯერ „აბრაამიანები“ არიან. ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ გაიოზ მამალაძისავე განმარტებით, ზოგიერთი მეცნიერის აზრით აბრაამი არ იყო ებრაელი, ხოლო გუარამ ბაგრატიონის წარმომავლობა კამათის საგანია, ებრაელები, ბაგრატიონების სახით დაბრუნებულან „შინ“, „სამშობლოში“, ანუ საქართველოში, პირდაპირ საქართველოს სამეფო ტახტზე, აბრაამიდან 70 თაობის გასვლის მერე, ამასთან ისრაელის დედამთავრის, ანუ იაკობის ცოლის, რაქელის მოსახელე, მაგრამ არარსებული რაქელის მიერ ქრისტიანულად მოქცეულნი, და როგორც შემდგომში მამა აკაკი მელიქიძის პირით გვეტყვის ბ-ნი გაიოზ მამალაძე, ქართულ ქრისტიანობას ჩასდგომიან სათავეში! (დიდება შენდა, ღმერთო!). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც სიონისტური მოძრაობის ლიდერებმა ებრაული სახელმწიფოებრიობის აღდგენა დააყენეს დღის წესრიგში, სიონიზმის ზოგიერთი ცნობილი ლიდერის (თ. ჰერცლის, ლ. პინსკერის და სხვ.) აზრით მიზაშეწონილად ყოფილა მიჩნეული, ებრაელ ხალხს გაეროსაგან ეთხოვა პლანეტის რომელიმე დაუსახლებელი ახალი ტერიტორია, სადაც ისრაელი შექმნიდა საკუთარ სახელმწიფოსაც და საკუთარ ქვეყანასაც. როგორც ცნობილია, ებრაელი ერი მომთაბარე თემისგან მომდინარე ერია, რომელმაც, როგორც ბიბლია გადმოგვცემს, ეგვიპტური ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, მასზე დიდი და ძლიერი შვიდი ხალხის ქვეყანა მიითვისა ებრაელი ხალხის მფარველი ღმერთის შეწევნით და ადგილობრივ მკვიდრთა განადგურებით დაიმკვიდრა მათი ტერიტორია სათავისოდ. ებრაელებმა ეს იციან (იხ.: ქართველი ებრაელის, აბონ ციციაშვილისა და ოთარ

გაბიძაშვილის საეტაპო საუნივერსიტეტო გამოკვლევა: „იუდაიზმი და სიონიზმი“, 1982 წ.) ებრაელთა ერთერთი მომთაბარე თემი, რომლის წინამძღოლიც აბრაამია, მიჩნეული წამოსულად არაბეთის უდაბნოს სამხრეთი ნაწილიდან, თავის მიგრაციულ ცხოვრებაში ქალდეველთა ქვეყანაშიც აღმოჩნდა შეხიზნული, საიდანაც კვლავ განაგრძო ამ თემმა თავისი მომთაბარული ცხოვრება. მაგრამ რადგანაც დიდ ხალხად იქცა, ცხოვრების წესიც უნდა შეეცვალა და აქედან იწყება მისი შინაგანი მოთხოვნილებაც რჯულისაც და საკუთარი ქვეყნის აუცილებლობისაც. ბ-ნი გაიოზ მამალაძე აბრაამის შთამომავალთა დაბრუნებას „შინ“, „სამშობლოში“, 70 თაობის მერე, რატომღაც განგვიმარტავს ბაგრატიონთა საქართველოში დაბრუნებად, თანაც – **ახალი რჩეული ერის საბრძანისში** და პირდაპირ სამეფო ტახტზე! (თურმე შენი ქვეყნის ტერიტორია თავისი ისტორიითა და სამეფო ტახტით, შეთითხნილი ისტორიებითაც შეიძლება გაყიდო და მიჰყიდო ფულიან დამპყრობელს! ეს საინფორმაციო ომების რანგში ასული თაღლითობა სინდისზე ხელაღებულ ფსევდო-მეცნიერებს საჭიროებს და ასეთებს პოულობენ). გასათვალიწინებელია, რომ ბ-ნი გაიოზ მამალაძე გარდა იმისა, რომ საპატრიარქოს ოფიციალური კონსულტანტია მონარქიის საკითხებში, საპრეზიდენტო არჩევნების მონაწილეც არის, ანუ პოლიტიკური ფიგურაა, და წარმოიდგინეთ, რამხელა ციინიზმთან გვაქვს საქმე, როდესაც თავად ქართველ ხალხს ვთავაზობთ მის არჩევას, ანუ მისი იდეების არჩევას, საქართველოს პრეზიდენტად!

ზემოთ, ღრმად პატივცემული მამა აკაკი მელიქიძის დაუფარავ და ღია განაცხადში, ერთი რამ არის სრულიად ნათელი, რომ გაიოზ მამალაძის დამოძღვრილი საქართველოს ეკლესია, მონარქიისაკენ მიიმართება ხედვით, რომელიც თავისი შინაარსით „პატრიარქისა და მეფის მმართველობის **სიმფონიად**“ არის ფორმულირებული. ხოლო თუ ამ დროს საქართველოს პრეზიდენტადაც (ან პრემიერად!) ვინმე „გაიოზ მამალაძე“ იქნება, ამას რა სჯობს. პატრიარქისა და მეფის სიმფონიური მმართველობის ფორმულირებას, როგორც უკვე დამკვიდრებულს საქართველოს ეკლესიაში, პირდაპირ იმეორებს ჩვენი ეკლესიის ცნობილი პატივცემული მოძღვარი, დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი, სულ ახლახან, 2014 წლის 17(4) ვარდობისთვეს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისადმი მიწერილ წერილში: „...მირონცხებული მეფის გამოჩენა საქართველოს აღდგომის დასაწყისი იქნება, როცა **მეფე და პატრიარქი სიმფონიურად** დაჰმწყსიან ჩვენს მართლმადიდებლურ ერს... მანამდე კი მძიმე გზა გვაქვს გასავლელი“ (ვსარგებლობთ ინტერნეტში გამოქვეყნებული ტექსტით). ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პატრიარქისა და საქართველოს მეფის ამ მმართველობით **სიმფონიაში**, მამა აკაკი მელიქიძის მსჯელობიდან სრულიად ნათელია, რომ მას, საქართველოს ეკლესიას, მიაჩნია, რომ საქართველოს სამეფო დინასტიის, ბაგრატიონთა დინასტიის აღდგინების სახით, საქართველოს სამეფო ტახტზე აღადგენს „ღვთის რჩეული ერის“, ებრაელთა დიდი მეფის – დავით წინასწარმეტყველის შთამომავალთა ძალაუფლებასა და უფლებამოსილებასაც, რომლებიც, როგორც მამაო ბრძანებს, „საქართველოში მოვიდნენ“ და ქრისტიანულ „საქართველოს ჩაუდგნენ სათავეში“. ჩვენს თვალწინ სახეზეა საქართველოს მეცნიერებისა და საქართველოს ეკლესიის გათიშვის უმნიშვნელოვანესი ისტორიული ფაქტი! საქართველოს დღევანდელი ეკლესიის ხედვაში სრულიად არის იგნორირებული მთელი ქართული მეცნიერება, ქართველ მეცნიერთა ანალიტიკური ცოდნა ქართველ ბაგრატიონთა ქართული წარმომავლობის შესახებ. იგნორირებულია ივანე ჯავახიშვილის, პავლე ინგოროყვას, სიმონ ჯანაშიას და სხვათა საფუძვლიანი განმარტებები იმის შესახებ, რომ ბაგრატიონები წმინდა ქარ-

თული წარმომავლობის მეფენი არიან, მაგრამ **იმის გამო, რომ ქართულ ისტორიოგრაფიულ აზროვნებაში განუმარტავი დარჩა მიზეზი ბაგრატიონთა „დავითიანებად“ გამოცხადებისა, ანუ იმისა, თუ რატომ, რა მიზნით და როგორ მოხდა ბაგრატიონთა გაგება ბიბლიური დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად და დავითის მოდგმისად, ძალაში დარჩა ორივე, ანუ ორი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია: ისიც, რომ ბაგრატიონები წმინდა ქართული გენეტიკის მეფენი არიან და ისიც, რომ შთამომავალნი არიან ებრაელთა დიდი მეფისა, დავითის.** ერთი რამ არის აუცილებელი, რომ აღინიშნოს: ეს ორმაგი ინფორმაცია ოდნავადაც არ გაკარებია ქართველი ხალხის გონებაში მკვიდრად არსებულ საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა ერთმნიშვნელოვან ქართველობას. ქართველი ხალხისთვის ეს ორმაგობა არ არსებობს და საზომი ჭეშმარიტებისა სწორედ ქართველი ხალხია. ბაგრატიონთა ეს დავით წინასწარმეტყველისაგან შთამომავლობის გაგება, უფრო მწიგნობრულ-ისტორიოგრაფიული, და ამასთან უფრო ეკლესიური ვერსიაა, რომელზეც არც არასოდეს გაუმახვილებია ქართველ ხალხს ყურადღება, და იგი, ეს ვერსია, ეკლესიური კუთვნილებისად დარჩენილი, მაინც აღმოჩნდა რაღაც ფორმით სახეზე მყოფი, რომელსაც უსათუოდ ესაჭიროებოდა აკადემიურ-მეცნიერული განმარტება. ამ განმარტების ესოდენ მძაფრი საჭიროება არც დამდგარა და არც მოუცლია ამისათვის ქართულ მეცნიერებას. ამასობაში, განუმარტავმა ინფორმაციამ ბაგრატიონთა დავით წინასწარმეტყველისაგან წარმომავლობის ამ, ეკლესიურად წმინდა გადმოცემის მნიშვნელობა შეიძინა, მაგრამ არასოდეს იმხელა, რამხელაც დღევანდელ ეკლესიურ რეალობაში მოხდა. ეს მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების კონტექსტში, ეს მოხდა იმ პოლიტიკური პროცესების კონტექსტში, რომელსაც ეწოდა „მსოფლიოს ახალი წესრიგი“ და რომელსაც სათავეში ებრაულ-მასონური მოძრაობა უდგას. ცხადია, ეს არ მომხდარა ბუნებრივად და თავისით. **ქართველი ხალხისთვის, ცხადია, სრულიად წარმოუდგენელი იყო, და წარმოუდგენელია დღესაც, რომ მსოფლიო, თავისი ახალი წესრიგით, შეიარაღებული მსოფლიოს უზარმაზარი ფინანსური კაპიტალით და „ანკესზე“ წამოგების ტექნოლოგიით, საქართველოს სამეფო ტახტისაკენ მოიწევდა...** ცნობილი სიონისტი ჯორჯ სოროსი პირველად 1989 წელს ჩამოსულა საქართველოში, ე.ი. ორი-სამი წლით ადრე, ვინემ მისი იდეოლოგია შემოვიდოდა მოქალაქეთა კავშირის სახით... როგორც ბ-ნმა ჯუმბერ პატიაშვილმა მიამბო, ბ-ნი სოროსი მაშინ აბასთუმნით დაინტერესებულა...

მოგეხსენებათ, დავითის ფსალმუნთა კითხვა ერთერთი მთავარი კომპონენტია ქართული მართლმადიდებლური წირვა-ლოცვის. აქ, თითქმის ყოველი ფსალმუნი დავითისა თავდება ისრაელის დალოცვითა და ისრაელის ღმერთის დიდებით: „ვადიდოთ ღმერთი ისრაელისა!“ და „დიდება ისრაელსა ზედა!“ – გამოკვეთილად ისმის ქართული ეკლესიის წირვა-ლოცვებში, რომელიც დავითის ფსალმუნთა გარეშე არ არსებობს. ევროპამ, მისმა პროტესტანტულმა სულისკვეთებამ, და ეროვნული თავმოყვარეობისა და ღირსების გრძნობის გამძაფრებამ, რახანია შეწვიტა ფსალმუნთა კითხვა და ისრაელის დიდების ძახილი ევროპულ პროტესტანტულ ღვთისმსახურებაში.

„მე კათოლიკე ვარ – ბრძანებს მე-20-ე საუკუნის ერთერთი გამორჩეული მოაზროვნე, ესპანელი ფილოსოფოსი, უნამუნო – მაგრამ მე მინდა ვიყო ესპანელი კათოლიკე!“ ასე ჟღერს ეროვნული ინდივიდუალობის, ეროვნული მეობის ჯანსაღი გრძნობის შინაგანი მოთხოვნილება ევროპელი ფილოსოფოსის, მეოცე საუკუნის ეგზისტენციალური ხედვის ერთერთი დიდი წარმომადგენლის განცდაში. სამაგიეროდ, დავით წინასწარმეტყველისა და მეფსალმუნის დიდმა ეკლესიურმა ავტორიტეტმა, საუკუნეთა წინ დანერგილმა დოგ-

მატურ ეკლესიაში, და მიზანმიმართულად საკმაოდ ჭარბად აღზევებულმა ქართული ეკლესიის აღმავლობის დიდ ისტორიულ მონაკვეთში, მე-20-ე საუკუნის მეორე ნახევარსა და 21-ე საუკუნის საწყისებში, შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი ქართული ეკლესია საერთოდ გადახარა ბაგრატიონთა შესახებ არსებული ქართული მეცნიერული აზრის უარყოფისა და ისტორიოგრაფიულ ცთომილებაზე დამყარებული „წმინდა გადმოცემის" დაკანონებისაკენ: საქართველოს ბაგრატიონ მეფეთა და საერთოდ ბაგრატიონთა დინასტიის დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად დაკანონებისაკენ. ცხადია, უსათუოდ ისმის კითხვა: რატომ მოხდა ეს მაინცა და მაინც დღეს, ჩვენს თანადროულ ეკლესიურ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში?! მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ქართული ეროვნული მოძრაობის კვალდაკვალ და ეროვნული დამოუკიდებლობის იდეით ანთებულ საქართველოში?

რატომ აღმოჩნდა საქართველოს ეკლესია ინიციატორი ბაგრატიონთა ებრაული წარმომავლობის გაჩირაღდნებისა? რატომ ჩაეჭიდა ეკლესია ამ არამეცნიერულ გადმოცემას და რატომ არ მოისურვა ანალიტიკური აზროვნებისა და მეცნიერებისა და რწმენის ერთიანობის მქადაგებელმა საქართველოს ეკლესიამ სამეცნიერო კომისიის შექმნა და რაიმე ტიპის გადამოწმება იმ ისტორიოგრაფიული მონაცემებისა, რომლითაც კატეგორიულ დაპირისპირებაში იყო მოსული ეროვნულ მრწამსთან?! რატომ არ ისურვა გარკვევა დაპირისპირებისა ქართველ ბაგრატიონთა შესახებ არსებულ ისტორიულ-მეცნიერულსა და ზეპირ გადაცემაზე დამყარებულ, გამარტივებულ, ერთგვარად გაპრიმიტიულებულ და დასახიჩრებულ ეკლესიურ პოზიციათა შორის?! ამისათვის ხომ ეკლესიას ყველა შესაძლებლობა ჰქონდა! რატომ მისცა მონარქისტული იდეის გარკვეულ რეალიზაციას დღევანდელ საქართველოში კონსპირაციული ხასიათი? შესაძლოა წინამდებარე სტრიქონების მკითხველს გაუჩნდეს აზრი, რომ ჩვენ ჩვენი მხრიდან გვევალებოდა, განგაში მაშინ აგვეტეხა, როცა გაიოზ მამალაძისა და მამა აკაკის თვალსაზრისები გამოქვეყნდა პრესაში, 2007 წელს. მითუმეტეს, რომ ჯერ კიდევ ეს ის პერიოდია, როდესაც გამაჩნია შესაძლებლობა მის უწმინდესობასთან სიტყვის თქმის. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე, განვუმარტო მკითხველს, რომ ჩემი მორიდებული შეთავაზება მის უწმინდესობასთან, რომ მასთან ბაგრატიონებზე მქონდა საუბრის სურვილი, რეაგირების გარეშე დარჩა. ჩემი მცდელობა რომ პატრიარქის თანაშემწესთან გამერკვია, რა პოზიცია ეკავა ეკლესიას გაიოზ მამალაძის „თეორიებთან", დუმილით იქნა გასტუმრებული. როდესაც გაიოზ მამალაძემ ოფიციალურად განაცხადა, რომ ის იყო საქართველოს საპატრიარქოს კონსულტანტი მონარქიის საკითხებში და კერძოდ მეუფე იობის კონსულტანტი, რომელიც, მისივე უწყებით, საპატრიარქოში ხელმძღვანელობდა მონარქიის საკითხებს, და ეს განცხადება თავისი წიგნის ყდაზე მოათავსა დიდი ასოებით, აღმოჩნდა რომ მეუფე იობი მას საერთოდ არ იცნობს. ჩემი შეთავაზება მეუფე იობისადმი, რომ მას განცხადება გაეკეთებინა ამის შესახებ,დამთავრდა უარით. როდესაც ვისარგებლე სრულიად შემთხვევითი შეხვედრით დეკანოზ ზურაბ ცხოვრებაძესთან, საკმაოდ სერიოზულ ფიგურასთან ეკლესიური პოზიციების მართვაში, და მისალმებისთანავე ვუთხარი, რომ ბაგრატიონების დავითიანობას არა აქვს გენეტიკური მნიშვნელობა-მეთქი, გაურკვეველი დუმილი მივიღე, თუმცა აშკარად უარმყოფელი ჩემი ნაგულისხმარი პოზიციის. როდესაც ცნობილ ისტორიკოსს ქ-ნ მარიამ ლორთქიფანიძეს, ფეოდალური საქართველოს სპეციალისტს, შეშფოთებულმა შევჩივლე: – „ქ-ნო მარიამ, რატომ არ ეხმაურებით ბაგრატიონების ამისთანა გაებრაელებას ეკლესიის მხრიდან?!" – პირდაპირ მომახალა: – „ეგ საქმე უკვე იმდენად შორს არის წასული, რომ აზრი არა აქვს. ჩვენ ყველანი ებრაელები ვართ".

ქალბატონ მარიკას ძალიან მწარედ ვუპასუხე და პროტესტის ნიშნად მის საიუბილეო სხდომაზე არ მივედი. მაგრამ ამით, ცხადია, ვერაფერს ვუშველე. უბრალოდ დავრწმუნდი, რომ საქართველოში უკვე ყველა კარი იყო გადარაზული ქართველი ერის ეროვნული მეობისა და ეროვნული ღირსების დასაცავად. ამიტომ ჩემი, როგორც საპატრიარქოს ყოფილი პატროლოგის (1980-1992 წწ) მიერ წერილობითი განცხადებით როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ბ-ნ **თამაზ გამყრელიძის** მიმართ, ასევე საქართველოს პატრიარქის, მისი უწმინდესობის, **ილია მეორის** მიმართ, დავადასტურე, რომ საჭიროდ მიმაჩნდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში შექმნილიყო ბაგრატიონთა დინასტიის შემსწავლელი სამეცნიერო სტრუქტურული ნაწილი, რომელიც მოამზადებდა მეცნიერულ პასუხებს ბაგრატიონების ფენომენთან დაკავშირებულ, მთელ რიგ აუხსნელ კითხვებზე. აქაც ჩემი განაცხადები უპასუხოდ იქნა დატოვებული და ეს იმ დროს, როდესაც ქართული ეროვნული მოძრაობა ამ მოძრაობის ლიდერთან ერთად იქნა გაძევებული საქართველოდან და ქართველი ხალხის ეროვნულმა სულისკვეთებამ ეკლესიის გუმბათქვეშ შეაფარა თავი?

ეროვნული მოძრაობის გაძევებას საქართველოდან, ამასთან ქართველი ხალხისავე ხელით, საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა თავის ბოლო ინტერვიუში, რომელიც რუსულ ენაზე დაიბეჭდა, „სახელმწიფო გადატრიალების“ კვალიფიკაცია მისცა და ისიც განაცხადა, რომ ეს სახელმწიფო გადატრიალება დაიგეგმაო ოკეანის გადაღმა (გაზ.: „ნაროდნაია პრავდა“ №42, 1992). თუ ლოგიკურად გავაერთიანებთ მოვლენებს, უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირის დამშლელი ძალაცა და საქართველოში ამ „სახელმწიფო გადატრიალების მომწყობი“ ძალაც ოკეანის გადაღმიდან წამოსული ერთიდაიგივე ძალაა, რომელსაც დიდი გამორკვევა და მტკიცება არ სჭირდება. იგივ საბჭოთა კავშირის დამშლელმა ძალამ გააძევა ეროვნული მოძრაობა საქართველოდან და ამაში არც არაფერი არ არის საკვირველი, რადგან ყოველგვარი ეროვნულის გაძევება ეს იყო ლოგიკური განგრძობა საბჭოთა კავშირის ე. წ. „განვითარებისა“, რაც ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელ არც ხალხს და არც ლიდერებს გაცნობიერებული არა ჰქონდათ.

სადღეისოდ უკვე დიდი განმარტებები აღარ არის საჭირო და საქვეყნოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ საბჭოთა კავშირის მთავარი დამშლელი ძალა სიონისტურ-მასონური მოძრაობა იყო და ქართული ეროვნული მოძრაობაც საქართველოდან, პოლიტიკურად შენიღბულმა, ამ ძალამ გააძევა. ჯერ კიდევ შიგ, საბჭოთა სახელმწიფოში ამოქმედებულ სახელმწიფოს დამშლელ მოძრაობას, ე. წ. „პერესტროიკას“, რომელსაც იმ დროისათვის საბჭოთა კავშირის განვითარებისა და პროგრესული გარდასახვის ინტერპრეტაცია ჰქონდა მინიჭებული, და რომელმაც მსოფლიო მასშტაბით, სრულიად ღიად, „სიონისტური პერესტროიკის“ სახელწოდება დაიკანონა, საქართველოში, ცხადია, თავისი საკუთარი, სრულიად უნიკალური ტენდენციებითა და ჩანაფიქრებით აღმოჩნდა შემოსული. ეს უნიკალურობა მსოფლიოსთვისაც და თვით ქართველი ხალხისათვისაც შეუმეცნებელი, ასევე ქართული ეკლესიისათვისაც შეუმეცნებელი და გაუცნობიერებელი, ქართულ-ებრაული უძველესი ისტორიული ურთიერთმიმართების – ამ ურთიერთმიმართების ბიბლიურ გადმოცემათა გაგების ინფორმაციული დამარხულობა გახლდათ. მხედველობაში მაქვს ქალდეველებისა და ქართველთა იგივეობის საკითხი და ქალდეველებისა და ებრაელების ურთიერთმიმართების ბიბლიური ისტორია. აქვე შევნიშნოთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში, ყოველგვარი ქართულ-ებრაული ურთიერთმიმართების ბიბლიური ისტორიის გარეშე, წმინდა ისტორიული ხედვით, ყველაზე დიდი და ყველაზე კომპეტენტური მეცნი-

ერების მიერ აღიარებულია, რომ შუმერებიც და ქალდეველებიც ქართველთა წინაპარნი და წინამორბედნი, ქართველური მოდგმის ხალხები არიან. მართალია, საქართველოს პატრიარქი დღენიადაგ მოგვიწოდებს ანალიტიკური აზროვნების დამკვიდრებისაკენ, მაგრამ თავად ქართულმა ეკლესიამ ვერ მოასწრო ვერც ბიბლიური ისტორიის ანალიტიკური შემეცნება ქართული ცნობიერების გადასახედიდან და ვერც საკუთარი, ანუ ეკლესიური ისტორიის თეოლოგიური ანალიზი. და ამის ერთადერთი მიზეზი გახლდათ ეკლესიის მომწყვდევა საქართველოს ე. წ. დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის პოლიტიკური იდეოლოგიის მორჩილებაში და სახელმწიფოსმიერი აკრძალვა ქართული თეოლოგიური აზროვნების წინსვლისა საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის წიაღში. მაგრამ, ის, რაც მსოფლიოსთვისაც და ქართველთათვისაც ინფორმაციულად დამარხული იყო, ებრაული გონებისთვისაც როდი იყო დამარხული! ებრაული გონი საქართველოში მსოფლიოს ახალი წესრიგითა და „ანკესის“, ანუ მოწინააღმდეგის „მახეში გაბმის“ ტექნოლოგიით შემოვიდა... და დედა ეკლესია, აღმავალი და მოზეიმე, დედა კალმახივით, მსოფლიო პოლიტიკის მქუხარე დინების საწინააღმდეგოდ ასხლეტილი, ნებიერად გააბა მსოფლიო წესრიგის დიდი მებადურის ოქროსფერი ძაფებით მოქსოვილ სათხეველში (ბადეში)... მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის მიუღებელი და „დინების საწინააღმდეგო“ მარტო მერაბ კოსტავას და ზვიად გამსახურდიას ეროვნული მოძრაობით მოპოვებული „ნაციონალიზმი“ როდი იყო! მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის მიუღებელი და „დინების საწინააღმდეგო“ იყო რელიგიური ნაციონალიზმიც, ანუ ქართული სულის ის ეკლესიური აღმავლობა, რომელიც მსოფლიოს ახალი წესრიგის შემოსვლას უნებლიედ დაემთხვა, დაემთხვა საქართველოს საპატრიარქო ტახტზე, მისი უწმინდესობის ილია მეორის მობრძანებით. იმის გამო, რომ ამ ეტაპისათვის უკვე ვერც ზვიად გამსახურდიაზე და ვერც მერაბ კოსტავაზე ანკესის ტექნოლოგია ვეღარ გამოდგებოდა, ისინი დაუნდობლად იქნენ მოშორებულნი საქართველოსგან. ხოლო ეკლესია, სწორედ თავისი აღმავლობითა და ზეიმით აღმოჩნდა ამჯერად ნამდვილად საიმედო და საჭირო მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის საქართველოში. ეროვნულ მოძრაობას უკვე გაკეთებული ჰქონდა თავისი საქმე მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის: საქართველო უკვე გამოგლეჯილი იყო საბჭოთა კავშირისეული დამცავი მექანიზმისაგან. ამჯერად საჭირო იყო სწორედ ეკლესიური ეროვნული მოძრაობა. ერთი სიტყვით, ეროვნული მოძრაობა უკვე გამოყენებული იყო მსოფლიოს ახალი წესრიგისათვის, ანუ საქართველოს გამოსათავისუფლებლად რუსეთის მფარველობისაგან. ახლა უკვე შიგ საქართველოში იყო საჭირო მსოფლიოს ახალი წესრიგის დამკვიდრება. საჭირო იყო მექანიზმი, რომელიც ეკლესიას, საკუთრივ ეკლესიის ახლად მოპოვებულ დიდ ავტორიტეტს ჩააყენებდა მსოფლიოს ახალი წესრიგის სამსახურში. საჭირო იყო ახალი „მარდოქაი-ესთერის“ მექანიზმი, რომლითაც საქართველოს ეკლესია თავისი დიდი სახალხო ავტორიტეტით მსოფლიოს ახალი წესრიგის საქართველოში დამკვიდრებას საქართველოს ისტორიის ლაბირინთებში შეუძღვებოდა...

(გაგრძლება შემდეგ ნომერში)



უგა ოქროვირიძე

ეროვნული მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში 1977-1987 წლებში

1970-იანი წლებიდან განსაკუთრებით გაძლიერდა დისიდენტური მოძრაობა საქართველოში, რომელმაც იკისრა მოსახლეობისათვის სამართლის თქმის გზით თვალი აეხილა სახელმწიფოში, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა, გამეფებულ უკანონობას, სიყალბისა და უზნეობის ატმოსფეროზე, რომელიც ჩვენს სამშობლოს, საქართველოს უფსკრულისაკენ მიაქანებდა. თავდაპირველად ვრცელდებოდა ინფორმაციები საქართველოში ადამიანთა უფლებების დაცვის სფეროში არსებულ მნიშვნელოვან დარღვევებზე, აგრეთვე კულტურის ძეგლების განადგურებისა და ქართულ ეკლესიაში ფეხმოკიდებულ დანაშაულობათა შესახებ. დიდი ყურადღება ექცეოდა ქვეყნის განათლებისა და სახელმწიფო სტრუქტურებში თუ კულტურის სფეროში გამეფებული რუსიფიკაციის მხილებას.

1972 წლიდან ქართველი ადამიანის უფლებათა დამცველები მჭიდრო კავშირს ამყარებენ რუსეთის დისიტენტურ წრეებთან. თბილისში იბეჭდება ა. სოლჟენიცინის ანტისაბჭოთა სულისკვეთებით გამსჭვალული ნაშრომები და სტატიები, ხოლო 1974 წელს გამოცემული „გულაგის არქიპელაგი“ მიზეზი ხდება მწერლის სამშობლოდან გაძევებისა. მიუხედავად ამისა ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა კისრულობენ უმძიმეს მისიას აღნიშნული ნაშრომის საქართველოში გამოცემისა და გავრცელებისა, რასაც მათ წარმატებით გაართვეს თავი. ამის პარალელურად ძლიერდება საქართველოს დისიდენტური მოძრაობის საერთაშორისო კავშირები და იგი 1975 წლიდან ურთიერთობას ამყარებს ამავე წლის აპრილში მოსკოვში ჩამოყალიბებულ „საერთაშორისო ამნისტიის“ მოსკოვის ჯგუფთან (ვ.ტურჩინის, და ა. ტვერდოხლებოვის მიერ შედგენილი), ხოლო 1976 წელს მოსკოვში შექმნილი ჰელსინკის ხელშეკრულების საშემსრულებლო ჯგუფის ანალოგიურად იმავე წლის ივნისში ასეთივე ჯგუფს ქმნის საქართველოში ზვიად გამსახურდია, რომლის მიერ ადამიანის უფლებათა სფეროში შეკრებილი მასალები ქვეყნდება ჟურნალში „საქართველოს მოამბე“; ამავდროულად 1975-1976 წწ. გამოდის თავისუფალი ალმანახი „ოქროს საწმისი“, რომელშიც იბეჭდება კომუნისტური ცენზურის მიერ აკრძალული მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებები, რამაც საბჭოთა ოფიციალური სამეცნიერო და ინტელექტუალური წრის წარმომადგენელთა სასტიკი გააფთრება გამოიწვია. ამას 1977 წლის მარტიდან შედეგად მოჰყვა სასტიკი ბრალდებები ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას წინააღმდეგ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საბჭოთა საქართველოს თითქმის მთელმა „ნაღებმა ინტელიგენციამ“ და სამეცნიერო ელიტამ, რითაც მათ საფუძველი შეუმზადეს ამ პიროვნებათა წინააღმდეგ მიმართული სასამართლო პროცესის ფარსის გათამაშებას.

კარგად რომ გავერკვეთ 1977-1987 წლებში საქართველოში მიმდინარე ეროვნული იდეალებისათვის ბრძოლის მთელ სირთულეში, საჭიროდ მიგვაჩნია, საკმაოდ ფართოდ განვიხილოთ და გავერკვეთ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას წინააღმდეგ მთელი საბჭოური სისტემის მიერ მიმართული სპეცოპერაციის არსში რომელიც მათ საზოგადოებას სასამართლო პროცესად წარმოუჩინეს; ამით გვსურს მოვახერხოთ იმ გარემოს შინაგანი არსის შედარებით სრული სურათის აღდგენა, რომელშიც დისიდენტურ მოძრაობას თავისი საქმიანობის წარმოება უხდებოდა.

1978 წლის მაისში გაიმართა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სასამართლო პროცესი, რომლის შესამზადებლად მუშაობა დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა და მასში დიდი წვლილი შეიტანა, როგორც „ქართულმა წითელმა ინტელიგენციამ“ და საბჭოთა სისტემის იდეოლოგიურმა სამსახურებმა, თუ ამ საქმიანობაში დახელოვნებულმა „სუკმა“, ასევე აღნიშნული აქტიორების მიერ საღ აზრ გამოცლილმა, დაბეჩავებულმა, ნებაწართმეულმა ე.წ. ქართულმა საზოგადოებამ.

საქმე იმაშია, რომ გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში საქართველოში საგრძნობლად გააქტიურდა დისიდენტური მოძრაობა, რომელიც 1972 წლიდან მჭიდროდ უკავშირდება რუსეთის დისიდენტურ წრეებსა და მათ თვითგამოცემებს მოსკოვსა და ლენინგრადში (სანკტ-პეტერბურგი). თბილისში იწყება ა. სოლჟენიცინის, ა. სახაროვის, კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების, მერაბ კოსტავას წერილებისა და სტატიების ბეჭდვა და გავრცელება თვითგამოცემების საშუალებით. საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისა და ეკლესიისათვის განსაკუთრებით მტკივნეული იყო ზვიად გამსახურდიას სტატიები – „პოლემიკა დასავლეთის პრესასთან საქართველოს ეკლესიის მდგომარეობის შესახებ“, წერილი რედაქციას“, მისივე დოკუმენტური მასალები –„საზოგადოებრივი პრობლემები“, „თეიმურაზ ჯვარშეიშვილის დაკითხვის ოქმები“ და სხვა. მერაბ კოსტავამ და ზვიად გამსახურდიამ უზრუნველყვეს ა. სოლჟენიცინის ბესტსელერად ქცეული ნაწარმოების–„გულაგის არქიპელაგი“ – გამოცემა და გავრცელება საქართველოში [1, გვ. 4].

აღნიშნული საქმიანობა იმ პერიოდში ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდად ითვლებოდა, ხოლო მისი ავტორები სასტიკ დევნა-შევიწროვებასა და რეპრესიებს განიცდიდნენ. ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა სულ მალე დააპატიმრეს და გაასამართლეს. მათი საქმე №131-ის საბრალდებო დასკვნაში სწერია: „გამსახურდიამ მიზნად დაისახა მასიური გავრცელება ანტისაბჭოთა ლიტერატურისა. 1974 წლიდან იგი აქტიურად შეუდგა პოლიგრაფიული და საბეჭდი მოწყობილობით სპეციალისტების მიზიდვას, რომელთაც დიდი ფულადი ანაზღაურება ჰქონდათ“... 1974 წლის გაზაფხულზე მან მოიპოვა ა. სოლჟენიცინის „გულაგის არქიპელაგის“ ოთხივე ნაწილი, იმ ავტორისა, რომელიც გაძევებული იქნა სსრკ-დან მისდამი მტრული მოღვაწეობის გამო. „გულაგის არქიპელაგი“ გამოიცა პარიზში, უმკა-პრესში“, რომელიც გმობს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას სოციალისტურ რევოლუციაზე“... [იქვე, გვ.5] (დღეს წარმოდგენაც ძნელია, თუ ეს საქმეები რა შეუწყნარებელ ცოდვად და დანაშაულად ითვლებოდა მაშინ – უ. ო.) მანამდე კი, 1975 წელს ზვიად გამსახურდიას ირჩევენ მოსკოვში ჩამოყალიბებული „საერთაშორისო ამნისტიის“ ჯგუფში საქართველოს წარმომადგენლად, ხოლო 1976 წელს მოსკოვში შექმნილ ჰელსინსკის ხელშეკრულების საშემსრულებლო ჯგუფის ჩამოყალიბების კვალობაზე იმავე წლის ივნისში ზვიად გამსახურდია საქართველოში ქმნის ანალოგიურ ჯგუფს, რომლის მიერ შეკრებილი სტატიები და მასალები საქართველოში ადამიანის უფლებების საკითხებზე იბეჭდებოდა ქართულ თვითგამოცემის ჟურნალში „საქართველოს მოამბე“ [იქვე].

1975 წლის მაისში გამოვიდა ჟურნალის „ოქროს საწმისი“ პირველი ნომერი, რომლის გამოცემაც გაგრძელდა 1976 წელს. სულ გამოვიდა 4 ნომერი – ორი 1975, ორიც – 1976 წელს. მასში იბეჭდებოდა კომუნისტური ცენზურის მიერ აკრძალული მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებები: ივ. ჯავახიშვილის „XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები“, მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას სტატიები და ლექსები, კონსტანტინე გამსახურდიას ნოველა – „მტრების მეგობრობა“ და მისი არქივიდან ის სტატიები და მასალები, რომლებიც ცენზურამ აკრძალა და რომლებშიც იგი აკრიტიკებს სოვეტიზაციის შედეგად საქართველოში შექმნილ მძიმე მდგომარეობას. ჩვეული პირდაპირობით მსჯელობს ქვეყანაში როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ სფეროში შექმნილ ვითარებაზე. აქვე იბეჭდებოდა საბჭოთა გამოცემების მიერ უგულვებელყოფილი მწერლებისა და პოეტების – გაბრიელ ჯაბაშანურის, ადამ ბობღიაშვილის, ოთარ მაისურაძის, შოთა ჩანტლაძის, ასევე ქართული ლიტერატურის კლასიკოსების ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის, ლადო ასათიანის სხვათა გამოუქვეყნებელი და უცნობი ნაწარმოებები [იქვე, გვ. 6].

რაც შეეხება ჟურნალს „საქართველოს მოამბე“, იგი პოლიტიკური ხასიათის იყო და მიზნად ისახავდა საქართველოს მოსახლეობისათვის მიეწოდებინა ეროვნულ, რელიგიურ და სოციალურ პრობლემებზე, აგრეთვე სსრკ-ში შექმნილ საერთო მდგომარეობაზე მართებული ინფორმაცია. მის პირველ ნომერში დაიბეჭდა გაეროს ადამიანთა უფლების დაცვის დეკლარაცია, კრიტიკული წერილები საქართველოს ისტორიის სწავლების საკითხზე ქართულ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, საქართველოში გატარებულ რუსიფიკაციის პოლიტიკის, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობის, კულტურის ძეგლების დაცვის, საქართველოში ციხეებში პატიმრების წამების, პოლიტ-პატიმარ ვ. ჟვანიას დახვრეტის, საქართველოს საპატრიარქოს გაძარცვის, რომელშიაც მხილებული იქნენ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები, სახელმწიფო თანამდებობებისა და სასულიერო პირები და სხვა. მეორე ნომერში კი მხილებულია „წითელი ინტელიგენციის“ ზოგიერთი წარმომადგენელი სუკ-თან თანამშრომლობაში, რამაც საზოგადოების ამ ნაწილის დიდი აღშფოთება გამოიწვია. ამას მოჰყვა პრესაში თავდასხმები მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიაზე, რომელთა ავტორებიც დაუფარავად მოითხოვდნენ მათ დაპატიმრებას (რ. გორდეზიანი, ვ. ქვაჩახია, აკ. სურგულაძე გ. ხავთასი და სხვები) [იქვე, გვ. 6]. 1977 წლის 23 მარტიდან კი სეტყვასავით წამოვიდა ბრალდებები მათ წინააღმდეგ: „მოღალატე“, „იმპერიალიზმის აგენტი“, „ხულიგანი“, „მომხვეჭელი“, „მოღალატე ფარისეველი“ და სხვა საბჭოთა იდეოლოგიური მანქანისათვის დამახასიათებელი ბინძური გამონათქვამებით სავსე პასკვილებით გაივსო პრესა. მაგრამ ამასთანავე მათ ჰქონდათ ქართული საზოგადოების თანადგომაც. ამ აღვირახსნილი კამპანიის გამო აღშფოთება გამოთქვა ქართველი სტუდენტებისა და ინტელიგენციის პროგრესულმა ნაწილმა, ხოლო 1977 წლის 2 აპრილს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ მუშებმა მათზე თანაგრძნობის ნიშნად გაზეთში არ დაბეჭდეს ზვიადისა და მერაბის წინააღმდეგ მიმართული მორიგი პასკვილი და გაზეთის აღნიშნული ნომერის სტატიისთვის განკუთვნილი გვერდი გამოვიდა თეთრი, ანუ დაუბეჭდავი.

სრულად რომ ჩავწვდეთ მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას მიმართ გაჩაღებული ამ ბინძური კამპანიის არსს, აქვე მოვიყვანთ ციტატას ერთ-ერთი პასკვილიდან. „მოღალატენი“ – სხვაგვარად ვერ უწოდებ ერთ მუჭა ხალხს ზვიად გამსახურდიას წინამძღო-

ლობით, რომლებიც ცდილობენ შელახონ ყოველივე სისხლითა და დაკოჟრილი ხელებით მოპოვებული. სადღესასწაულო მარშის დროს თქვენ არ გაქვთ უფლება მხარში ამოუდგეთ იმ ხალხს, რომელთა წინააღმდეგ გამოდიხართ". აქვე გამოყენებულია საბჭოთა სისტემისათვის დამახასიათებელი „ჭეშმარიტების ერთადერთი მფლობელის" სსრკ კომ. პარტიის ცკ-ის მაშინდელი გენერალური მდივნის ლ. ბრეჟნევის ციტატა, რომ „სოციალიზმის მოწინააღმდეგეების, იმპერიალიზმის აგენტების მიმართ ჩვენ ვღებულობთ და მივიღებთ შესაბამის ზომებს, რომელსაც ითვალისწინებს ჩვენი კანონმდებლობა", რაც იმას ნიშნავდა, რომ ზვიადისა და მერაბის დაპატიმრება გარდაუვალი იყო [ოქროს საწმისი, თბ., 2006, გვ. 7].

მაინც რამ გამოიწვია „ქართული საზოგადოების" ამ ნაწილის ამგვარი გაცოფება, რომ კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალებისთანავე მშიერი სვავებივით დააცხრენ მის ნააზრევზე ამოზრდილ იდეებს, სიმართლისა და სამართლის ახალგაზრდა მეძიებელთა შესამუსრავად დაირაზმნენ? ეს რომ კარგად გავიგოთ ამისათვის აუცილებელია გადავხედოთ თვით კონსტანტინე გამსახურდიას ადრინდელი მოღვაწეობის შინაარსს და ზვიადისა და მერაბის მიერ გამოცემულ თვითგამოცემების მიერ აღებულ კურსს, რომელიც საბჭოთა წითელი ინტელიგენციისათვის სრულიად მიეღებელ „მკრეხელურ" ელფერს ატარებდა. ამ ჩვენი დებულების განსამტკიცებლად საჭიროა აქვე განვიხილოთ მაგალითები.

ჟურნალის „ოქროს საწმისი" წინასიტყვაობაში ზვიად გამსახურდია წერს: „საწმისი, საწომისი, ღრუბელს ნიშნავს... საწმისი, საწვიმისი, წვიმის მშობელს, ვითარცა ღვთისმშობელი ქრისტესი ლოგოსის, რომელიც გარდმოხდა უღვთობის გვალვით გადამხმარ მიწაზე ვითარცა წვიმა განხორციელებული. სანუკვარია წვიმა ხანგრძლივი გვალვის შემდგომ, ასევე სანუკვარია სიტყვა ხანგრძლივი იძულებითი მდუმარების შემდგომ – აი, რატომ დაერქვა ჩვენს ჟურნალს „ოქროს საწმისი"... [ჟურნ. „ოქროს საწმისი", №1, 1975 (მაისი)] უკვე ამ წინასიტყვაობაშია გამოხატული კომუნისტური იდეოლოგიური გვალვით გაბერწებული ქართული სინამდვილის შეცვლისა და ხანგრძლივი იძულებითი მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანის აუცილებლობა, და ამ თვალსაზრისს თავგანწირვით როგორ არ შეებრძოლებოდა ამ „ქართული სინამდვილის" შემოქმედი ქართული წითელი ინტელიგენცია და „გამასებული" საზოგადოება. ამ თვითგამოცემებში ხომ მათი სულიერი გაბერწების უდავო ფაქტები იყო დაფიქსირებული მხოლოდ იმითაც კი, რომ მათში იბეჭდებოდა ამ სინამდვილის ქართველ მსახურთა მიერ მრავალგზის უარყოფილ-დაგმობილი ავტორთა მამულიშვილური ნაღვაწ-ნააზრევი. თუნდაც გაბრიელ ჯაბაშანურის ანტისაბჭოთა ეპოპეა – „ინვექტივა-მონუმენტი" რად ღირს, სადაც იგი კომუნისტური რეჟიმისა და მის ერთგულ მსახურთა მართლაც მონუმენტურ ბოროტ სახესა და საქმეთ დაუნდობლად აშიშვლებს და ამბობს: „შენ დააბნელე მსოფლიო თალხით/, მზეს მოერკალე კუპრის ღრუბლებად,/ თავისუფლება წაართვი ხალხებს/ და თავისუფლად ფიქრის უფლებაც". ან, „რამდენი ღერი თმისა გასხია,/ იმდენი დედის გამძიმებს ცრემლი,/ სამყაროს რისხვა შენთვის ახია/ და ეს სამყაროც გრისხავს და გწყევლის" – „შენ აეშაგთა შავთა მსტოვართა/ ხარ შავს ხროვაში გამოკიდული./ შენდა საქებად ცრუ ხელოვანთა/ შენ ააყეფე ხმა მოსყიდული" [2]. ალბათ დღეს მაინც არავისთვის არ არის ძნელად მისახვედრი, რომ ამ ცრუ ხელოვანთა მოსყიდულ ხმაში პოეტი სწორედ წითელი ინტელიგენციის წარმომადგენელთა უმრავლესობის სამშობლოს ბედისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულებისა და კარიერისტული მისწრაფებებით ნასაზრდოებ ქვეგამხედველურ მოღვაწეობას გულისხმობდა. და, რა თქმა უნდა, ადრესატმა უცებ შეიცნო საკუთარი თავი, ამიტომაც, რადგანაც ჭკუაც არ ეყო, ხმაურით გასცა ის

მიმართულება, საითკენაც ამ სიტყვების დაწერისას პოეტის მზერა იყო მიპყრობილი.

ან ლეონ ქართველის ამ სიტყვებს როგორ მიიღებდა საბჭოთა იდეოლოგიურ სამსახურის ერთგულებაზე ყურებგაბასრული და დახელოვნებული „ხელოვანნი“ – „ვისაც ქართველი ჰქვია და ვისაც მამული აწუხებს,/ სანამდის არ დაგვიანდა/ ბრძოლა – მონობის მარწუხებს!.. [3], ან კიდევ მისივე „კავკასიონი განერთხო ფერხთით,/ვით ტახტრევანთან შეიხის მონა,/ ქართულ ტაძრებში რუსული ღმერთი/და ჩინ-მენდალი გახდა ბატონად./ სისხლის წვიმებმა ზეცას უწია“/... [ლ. ქართველი, უკანასკნელი ცრემლი, იქვე].

უფროსი რუსი ძმის წინამძღოლობით „ახალი ისტორიული ერთობა – საბჭოთა ხალხის“ ჩამოყალიბება-განვითარებისათვის მოქადაგე „წითელ ინტელიგენციას“ ეხამუშებოდა და უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა ამავე ჟურნალში გამოქვეყნებული ივანე ჯავახიშვილის სტატია „XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები“, რომელშიაც სასტიკადაა გაკრიტიკებული მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკა ამიერკავკასიაში და თვალნათლივ არის მხილებული კატკოვისა და მის მიმდევართა რუსიფიკატორული პოლიტიკა ამ რეგიონში. გამოაშკარავებულია სომხების საქართველოში ჩამოსახლების სულის ჩამდგმელებისა და განმხორციელებლების კანანოვხატისოვთა თანამოაზრეების ქართული მიწების მიტაცებისათვის გამიზნული ჭეშმარიტი ზრახვანი. იქვე ნათქვამია, რომ „ამ დროს ქართველი ხალხი არავის ახსოვდა. თავის მამაპაპეულ მიწა-წყალზე დასახლება ყველაზე უპირველესად ხომ მისი უფლება იყო, ამის გაგება და გაგონება არც რუსი ერის მთავრობას და არც მის სომეხ მოხელეთ არ სურდათ. ქართველი გლეხკაცობის სასიცოცხლო ეკონომიკური ინტერესები ფეხქვეშ ითვლებოდა, მას გადასახლების გზა თავის სამშობლოშიაც კი შეკრული ჰქონდა იმ დროს, როდესაც უცხოეთიდგან მოყვანილებს მიწაც ეძლეოდათ და ყოველგვარი დახმარებაც“. აქვე საუბარია სომხების მიერ ლორეს რაიონის მიტეცებასა და ჯავახეთ-ახალქალაქის მითვისების მცდელობაზე და საბოლოოდ დასკვნის სახით ნათქვამია: „თუ წინანდელი რუსეთის ბატონობის დროს ქართველი ხალხის ინტერესები საქართველოში ფეხქვეშ იყო გათელილი და თავისუფალი მიწა საქართველოში რუსი და სომეხი მოხელეების პოლიტიკის წყალობით მხოლოდ სომხებმა და რუსებმა ჩაიგდეს ხელში. ნუთუ ახლა შესაძლებელია, – მიმართავს ივ. ჯავახიშვილი საბჭოთა სახელმწიფოს მესვეურთ, – რომ ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესები სომეხ დაშნაკთა პოლიტიკურ ეროვნული პროექტების განხორციელებას შეეწიროს მსხვერპლად?“ [4].

მწერალი ნოდარ წულეისკირი ეხება რა ქართული ენის სავალალო მდგომარეობას საქართველოში რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითის მოყვანის შემდეგ დასძენს: „როგორც ვხედავთ, დასავლეთ საქართველოში ხალხს საკუთარი სახელი დავიწყნია, კახელ გლეხს ტაბიკის სახელი, თბილისში ძუძუთა ბავშვს რა ენაზე ებულბულებიან ხომ ვნახეთ... ჩვენი რესპუბლიკა უმაღლეს დამთავრებულთა ე.წ. დიპლომიანთა რესპუბლიკა გახდა, მაგრამ იშვიათად თუ იპოვით კარგ ექიმს, კარგ ინჟინერს, კარგ აგრონომს, კარგ პედაგოგს“, – აღნიშნავს მწერალი და აქვე სვამს კითხვას: „რატომ მოხდა ეს. რა არის ამის მიზეზი? – და იქვე პასუხობს: – „მიზეზი ის გახლავთ, რომ ახალგაზრდას ყველაფერს ვასწავლით გარდა მშობლიური ენისა, მშობლიური ისტორიისა, ამიტომ მისი აზროვნება შეზღუდულია, მკვდარია, რაღაც იცის, მაგრამ გამოთქმა უჭირს, საბოლოოდ ცუდი სპეციალისტია“ [5] ასკვნის მწერალი და განაგრძობს: „გამოუსწორებელ შეცდომასა და დანაშაულს სჩადის ჩვენი ინტელიგენცია, როდესაც ქედმაღლურად, ირონიულად უყურებენ ქართული ენის დამცველებს და ქარის წისქვილებთან მებრძოლ დონკიხოტებად ნათლავენ მათ, რადგან

ყოველივე ის, რაც დედა ენას ჭირს, ცხოვრების მოთხოვნა, ობიექტური კანონზომიერება ჰგონიათ...

ქართველი მწერალი, რა თქმა უნდა, მეშჩანებსა და უმეცრებს კი არა, ჩვენს სახელგანთქმულ ენათმეცნიერებებსაც კი ვერ დაეთანხმება ამ საკითხში. ვერ დაეთანხმება იმათ, ვისაც ქართულ ენაში სხვა ენის უსაზღვრო შემოჭრა ბუნებრივ მოვლენად მიაჩნია და მისი შეჩერება უიმედო საქმე ჰგონია.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ პატარა ერებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, სამწუხაროდ, თვით ამ ერების წიაღშიც გაჩნდა, სულერთია ერთ მშვენიერ დღეს მაინც აღარ ვიქნებითო, რა საჭიროა მშობლიური ენაო, – ასე ფიქრობენ და ბავშვები ქართულის ნაცვლად რუსულ სკოლებში შეჰყავთ“ – აღნიშნავს მწერალი [იქვე]. ნოდარ წულეისკირის სიტყვაში გატარებული თითქოსდა პროკომუნისტური პათოსისა, ვის მოხვდებოდა ყველაზე მწარედ მისგან მოქნეული მათრახი, თუ არა „წითელი ინტელიგენციის“ კომუნისტური წყობილების სამსახურისადმი თავშეწირულ ღამურებს, ამ საბჭოთა სისტემის სამსახურში ნებით ჩამდგარ ყოველივე მშობლიურის თვითმკვლელობაზე ხელის მომწერ, ამავე სისტემის მიერ ნაშობ სიბარიტებს?

იგივე განცდები იქნებოდა ამ კატეგორიის წილხვედრი, როცა ჟურნალის ამავე ნომერში ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას გურამ რჩეულიშვილისადმი მოსაგონარს წაიკითხავდნენ, რადგან პირველის ამ სიტყვებში უმალ საკუთარ თავს შეიცნობდნენ: „შენ დაამსხვრიე ის ბორკილები, რომელსაც ატარებდნენ სხვები. შენ ვერ იგუე ის ბორკილები“ [6] (ამათ კი იგუეს და თავსაც მშვენივრად გრძნობდნენ – უ. ო.) ხოლო მათი უმრავლესობა მერაბის მიერ წარმოდგენილ ამ სცენაში, რომ „ალავერდის გუმბათზე მდგომი ჭაბუკი, შემოქმედებითი ცეცხლის ჩადებას ჰლამობდა ინერტიული ბრბოს მიხრწნილ გვამში“ [7] თავს ვერასდროს წარმოიდგენდა, რადგან ეს მხოლოდ იმ რჩეულთა ხვედრია, ვისაც მოყვასისათვის თავგანწირვა უშურველად შეუძლია.

ამავე ჟურნალში მოყვანილია საბჭოთა ქართულ მწერლობისათვის დამახასიათებელი ნიშანდობლივი ფაქტი, რომლის მიხედვითაც ზვიად გამსახურდიას მეგობართან მისულა „ერთი ჩვენი პოპულარული მწერალი, რომელსაც წაუკითხავს მისთვის ადგილები თავისი, გაბედული“ რომანიდან. კარგა ხანს კითხულობდა თურმე მწერალი. ბოლოს შეეკითხა მეგობარი – რაშია გაბედულება შენი რომანისა? მწერალმა მიუგო: განა ვერ მიხვდი, როდესაც რომანის გმირები იმყოფებიან ერთ დიდ, მაღალჭერიან ოთახში, ეს ოთახი ეკლესიას ნიშნავს? (?!) ვაგლახ! განა წარმოსადგენია სულიერი კასტრირების ამ დონემდე დაშვება?! და ნუ დაგავიწყდება, რომ ეს მწერალი უკეთესია დაცემულთა შორის“ – შენიშნავს ზვიად გამსახურდია თავის მინაწერში და იქვე ამბობს, რომ „დღევანდელი ქართულ პროზა მე ერთ იგავს მაგონებს: ოთახში დასვენებულია მიცვალებული, მის ირგვლივ იმყოფებიან ნათესავები, ახლობლები, უეცრად ოთახში ბუზი ბზუილით შემოფრინდება. იქ მყოფთა ყურადღება მთლიანად ბუზზე კონცენტრირდება: იხილავენ მის არსებას, მის ფრენას, აანალიზებენ, მსჯელობენ მასზე. მათ დაავიწყდათ გლოვა მთავარზე და ბუზით ერთობიან“... [ზვიად გამსახურდია, მინაწერი, იქვე], ხოლო ამათ საპირისპიროდ, „ოქროს საწმისის“ მე-2 ნომერში უდიდესი პატივისცემით იგონებს ემიგრაციაში გარდაცვლილ ქართველ პოეტს გიორგი გამყრელიძეს (გრიგოლ ზოდელი) და აღნიშნავს, რომ „თავის შესანიშნავ ლექსებში მან დაიტირა იავარქმნილი მამულის ბედი, თუმც მამულმა ველარ დაიტირა იგი და ამჯერად, გერმანიის მიწას მიაბარეს ნოსტალგიით გულგასერილი“; [8], აქვე ბეჭდავს მის პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე ლექსებს, რომელთაგან ერთერთი ასე მთავრდება: „ვერას დამაკლებს/ დუშმანი ვერას,/ კვლავ მოვესწრები/ თავისუფალ მზის

ამოწვერას“, ხოლო ლექსში „როსინანტი“ პოეტი ამბობს: „ახლა ძეგლებით ჩვენ არ გვაკვირვებს/ დავიწყებული მისი მხედარი,/ და დარჩა სანჩოს და იმის ვირებს/ მას შემდეგ ბურთი და მოედანი“ [იქვე]. აქვეა გამოქვეყნებული ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას, (მერაბ კამარელის ფსევდონიმით) ლექსები, ამ უკანასკნელის კრიტიკული სატირით აღსავსე იგავები: „იადონი და ბულბული“ და „ბულბულის განქიქება“, რომელშიც ბულბულის გამკრიტიკებელ ჩხიკვს, ძერასა, თუ ყორანში ბევრი იმ დროინდელი ე.წ. შემოქმედი შეიცნობდა საკუთარ თავს. აგრეთვე კონსტანტინე გამსახურდიას წერილები: „ველიკორუსები და არარუსები“ [9], „ღია წერილი ულიანოვ–ლენინისადმი“ [10], „პასუხი“ [11], „ვინ არის შოვინისტი?“ [12]; ამ წერილების შინაარსი დაინტერესებული მკითხველისათვის საკმაოდ ცნობილია, მაგრამ მაინც უნდა შევეხო ჩემს სტატიაში ზოგიერთ მათგანში გამოხატულ რამდენიმე კრიტიკულ მოსაზრებათ. წერილში „ველიკორუსები და არარუსები“ კონსტანტინე გამსახურდია ამბობს: „როცა საფრანგეთის რევოლუციონერმა ხალხმა ბასტილია დაამხო, მთელმა საფრანგეთმა, მძიმე ტვირთმოხსნილ კაცსავით ამოისუნთქა, ხოლო რუსეთის „კრესტისა“ და პეტრე-პავლეს ციხის აღების შემდეგ კიდევ მრავალი ხუნდები დარჩა გაუხსნელი რუსეთში მობინადრე არარუს ერების მაჯებზე, კიდევ მრავალი „კრესტი“ დარჩათ მათ ასაღები.

შედარებით თავისუფლად ამოისუნთქა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთში გაბატონებულმა ერმა ველიკორუსებისამ და მასვე ხელში შერჩა ის მუხრუჭი, რომელიც დღემდისაც აბრკოლებს სხვა ერების წინსვლასა და განვითარებას“... (მართლაც წინასწარმეტყველური პასაჟია – უ. ო.).

„როგორც სინამდვილიდან მჟღავნდება, – აღნიშნავს ქართული ლიტერატურის კლასიკოსი, – რუსეთის პოლიტიკის სოციალისტურმა მესვეურებმაც ვერ შეიგნეს ის ხალასი ჭეშმარიტება, რომ დიდ სახელმწიფოებს მხოლოდ დარღვევისა და დაშლის უფსკრულისაკენ მიაქანებს თავის ფარგლებში ისეთი მცირე ერების ძალად მომწყდევა, რომელთაც საკმაოდ ძლიერ კულტურულ ტრადიციებს გარდა, სრულიად თავისებური ნაციონალური თვითცნობიერება და მკვიდრი ნაციონალური იდეალი მოეძევათ“ [იქვე, (გვ. 191, 193)], ხოლო ღია წერილში ულიანოვ-ლენინისადმი პირდაპირ მიუთითებს, რომ „დღეს სულ ორიოდე თვეც არ გასულა და წითელმა რუსეთმა მოსპო ჩვენში ისეთი მთავარი ატრიბუტები სახელმწიფოებრიობისა, როგორიცაა საზღვრები, რკინის გზა, და ვინ არ იცის, რომ ქართული ენა საქართველოში პრაქტიკულად სახელმწიფო ენა აღარ არის [იქვე, (გვ. 197)]. ვიღაც რუსი ს. პ.-სადმი მისივე პასუხი შეიცავს ასეთ პასაჟსაც, – რომ „ყოველი დაპყრობა ისტორიის მანძილზე მუდამ განმათავისუფლებლის როლში მოუხდენია დამპყრობელს. პეტრე დიდიდან დაწყებული ალექსანდრე მეფემდის რუსი იმპერატორები განმათავისუფლებლის როლში აგზავნიდნენ თავიანთ ჯარებს ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე პატარა ერების დასაპყრობად. ნაპოლეონიც ათავისუფლებდა ხან იტალიას, ხან გერმანიის სამთავროებს, ხან პოლონეთს და ხან ეგვიპტეს... არ ვიცი, ჩემი მოკამათე იცნობს თუ არა საქართველოს, ის კი ვიცი, რომ როცა გიორგი სააკაძე სპარსეთის ჯარით შემოვიდა საქართველოში, შაჰ-აბასმა პროკლამაციებით ამცნო ქართველ ხალხს „საქართველოს ხალხს მეფისაგან ვანთავისუფლებთო“ [იქვე, (გვ. 202)] და იქვე ისევ იმეორებს, რომ ქართული ენა დღეს საქართველოში სახელმწიფო ენა აღარ არისო [იქვე, (გვ. 203)], მწერლის მისიაზე საზოგადოებაში კი, თავის სტატიაში, – „პასუხი“, ამგვარად მსჯელობს: „პირადად მე მგონია, რომ მწერალი არცერთი მთავრობის, არც ერთი პოლიტიკური პარტიის „მოჯამაგირე“ არ უნდა იყოს, რადგანაც მწერალი მხოლოდ თავისუფალი სულის და სიტყვის „მოჯამაგირე“ ყოფილა

მუდამ. იგი აწმყოში და მომავალშიაც ასე უნდა დარჩეს... იცვლებიან და ქრებიან პარტიები და მთავრობები, ხოლო ერი უკვდავია, ვითარცა მარადიულ ღირებულებათა შემქმნელი და მატარებელი სუბსტანცია“ [იქვე, (გვ. 204)].

სტატიაში – ვინ არის შოვინისტი? – საუბრობს რა ლ. ტოლსტოის მიერ შექმნილ რუსი სალდატესკას დაუვიწყარი სურათის შესახებ, „რომელიც ყოველივე „არა რუსულს დაპყრობილ ქვეყნებში, საოცარი ვანდალური ინსტიქტებით სდევნიდა და ანადგურებდა“, – იქვე განაგრძობს, რომ „ეს იმპერიალისტური რუსული სალდატესკა ასი წელიწადი სდევნიდა ქართულ ენას საქართველოში, ქართულ ზნეჩვეულებებს და ქართულ კულტურას. ამ რეჟიმის ხელით რუსი ბერები და ეპისკოპოსები სისტემატურად ანადგურებდნენ ქართულ მონუმენტალურ კულტურას.

ამ ხნის განმავლობაში რუსებს საქართველოში გარდა პოლიგონებისა, ყაზარმებისა, გამარუსებელ შკოლებისა და შხამიანი რუსული გაზეთებისა, არ დაუტოვებიათ რა და ნუთუ ვინმე მოითხოვს დღეს ქართული პატრიოტებისაგან, რომ ჩვენ ასეთი რუსები გვიყვარდეს? [იქვე, (გვ. 206)].

აბა, ის ხალხი, რომელსაც ევალებოდათ მხოლოდ რუსების სიყვარული, როგორიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, – და მთელი მათი სიცოცხლე, ნიჭი და უნარი მათი სურვილებისა და შოვინისტური მიზნების განხორციელების გამართლებისათვის უდრტვინელად უნდა შეეწირათ, შეძლებდა კონსტანტინესეული ამ შეფასებებისათვის უდრტვინელად მოესმინა და იგი თუნდაც ინფორმაციის დონეზე ისე მიეღო, რომ საკუთარი ბუნებიდან მომდინარე „მოჯამაგირული“ პროტესტები არ გასჩენოდა?! და ლადო ასათიანის ლექსშიც „დედისადმი“ გამოთქმული ტკივილი რომ, „დაიქცა ყველა დიდი ჯალაბი,/ ნაგაზს ჯაჭვს არვინ არ აღრღნევინებს,/ წინათ თუ ღვინოს დაგაძალებდნენ/ დღეს წყალსაც არვინ დაგალევინებს,/ დანატრებულან ციხე-კოშკები/ „მრავალჟამიერ“ არსად გუგუნებს,/ მე კარგად ვიცი, მალე მოვკვდები./ მე ვერ გავუძლებ ამ საუკუნეს“ (ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №3, 1976, გვ. 222-223)].

ანდა გიორგი ჯაყელის პოეზიის ეს სადარდებელიც – /„უხმოდ, უსისხლოდ უცხო თესლი სამშობლოს მართმევს/ და მე როზგებქვეშ ტაშს ვუკრავ და ვიძახი ვაშას!“ [არის საშველი, იქვე, (გვ. 240-243)].

ან კიდევ: „ვარძიის ცაო/ ამ ცასავით ძველო ანბანო,/ სვეტიცხოველო და ქართულო საგალობელო,/ თუ უცაბედად ამივარდეს ცრემლის ხარხარი/ ამის მიზეზი ცნობა არის ახალთახალი/ ავსტრალიაში პაპუასებმა,/ სადაც ჯერ კიდევ ზოგ სოფელში დღესასწაულზე,/ პირველყოფილი ბედნიერებით,/ ადამიანის ცვრიან მწვადებით/ მიმოხატულ და ფართე პირებს იტკბარუნებენ,/ შექმნეს რესპუბლიკა დამოუკიდებელი და თავისუფალი/ – პაპუა“ – ვერ მოიპოვებდა მათ თანაგრძნობას. ხოლო მერაბ აბაშიძის ესსეში – მონა ღვთისა და მონა ერისა – რომელიც მან ზვიად გამსახურდიას მიუძღვნა, წინასწარმეტყველური სიზუსტით არის ასახული თავისუფლება შეცხადებული ერის ბრბოდ ქცევის, მის მიერ თავისუფლებისათვის მებრძოლთა ქვებით ჩაქოლვის შემზარავი სურათი და მისი კვლავ აღდგომის მისტერია. „უეცრად ციხის კარი გაიღო და სატანამ გამოიხედა... გამოიხედა და ახარხარდა, როცა დაინახა, როგორ ქოლავდა ხალხის საკუთარ სულს, საკუთარ სიწმინდეს, პოეზიასა და მესიას“... [13].

ვფიქრობ, აღნიშნულ პასაჟში ჩვენ არ უნდა გაგვიჭირდეს საქართველოს უახლესი ისტორიის უმძიმეს ჟამთა შეცნობა, თუმცა ასევე მრავლისმთქმელია ნაწარმოების დასასრულიც: „...სამ დღეზე მეტ ხანს გასტანა ხოცვა-ჟლეტამ. მთელი ამ ხნის მანძილზე სატანასთან პირისპირ შეყრას ნატრობდა მესსია... როცა ბრძოლა მისი ერის სასარგებლოდ გადაწყდა, ახლა დახოცილთა შორის დაუწყო ძებნა.

მალე მიხვდა რომ უწმინდური გაპარული-

ყო...“ [13; იქვე, გვ. 284] და მართლაც, დღევანდელობაშიც თვალნათლივ ვხედავთ, როგორ ცდილობს უწმინდური გაპარვასა და ხალხში შერევას, – ბრძოლა კი ახლა იწყება.

ვერც „ოქროს საწმისის“ მე-3 ნომერში გამოქვეყნებული სტეფან ცვაიგის – წინასიტყვა „გველის პერანგისა“ [14] და კონსტანტინე გამსახურდიას წერილი – „ქართველ მწერალთა კონფერენციაზე [15] მიანიჭებდა სულის სიმშვიდეს „წითელ ინტელიგენციას“, რადგან ორივე მათგანში ხაზგასმულია მათგან შერისხული ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებისა და საქმიანობისადმი დიდი ყურადღება. არც კონსტანტინეს „გაორებული საქართველო“ [16] და „წერილი პატიმარი პოეტისადმი“, [17] იქნებოდა მათთვის ადვილად მოსანელებელი. ამ უკანასკნელში ხომ მწერალი 1926 წელს ასეთ რამეს წერს უცნობ პოეტს: „...მე დიდი მწუხარების ზონებში მიხდება სუნთქვა... ისე გადიან თვეები, წლები, რომ ჩემს გულში ისევე იშვიათად ჩამოანათებს სიხარული, როგორც თქვენს საკანში სხივი ოქროვანი“... აღარაფერს ვამბობთ ამავე ნომერში გამოქვეყნებული სრულიად საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობაზე კონსტანტინე გამსახურდიას მიერ წარმოთქმული სიტყვის სტენოგრამაზე, რომელშიაც იგი ლაპარაკობს საქართველოში ქართული ენის ჩაგვრაზე, იმაზე, რომ სამურზაყანოში მეგრელ ბავშვებს ქართულად არ ასწავლიან, საქართველოში ქართველები ეროვნული უმცირესობის მდგომარეობაში არიან ჩაყენებული და სხვა [18] მათთვის საკითხსა ამავე რიგს მიეკუთვნებოდა – „საქართველოს საკითხი თავისუფალი მსოფლიოს წინაშე“ [19] მასში ასახულია ამერიკის კონგრესის სხდომაზე თეთრ სახლში კონგრესმენ ვაგონერის (ლუაზიანა) გამოსვლა 1975 წლის 13 მარტს, რომელშიც იგი ეხება აშშ-ს მიერ ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის დე იურე აღიარების გააგრძელებას და იქვე აღნიშნავს: „ესესაა შესრულდა თებერვლის თვეში 53-ე წლისთავი მნიშვნელოვანი შთამაგონებელი დოკუმენტის შექმნიდან, რომელიც მოდის საქართველოდან. საქართველო პატარა ერია, რომელიც ბალტიური რესპუბლიკების მსგავსად, ძალით შეიერთა საბჭოთა კავშირმა. 1922 წლის 7 თებერვალს საქართველოს ძველი მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქმა ამბროსიმ ამაღელვებელი მოწოდებით მიმართა ცივილიზებულ ქვეყნებს, რომლებიც მაშინ მონაწილეობას ღებულობდნენ გენუის ერთა საერთაშორისო კონფერენციაში, სადაც საბჭოთა რუსეთიც იყო წარმოდგენილი. ამ მოწოდების გაგზავნის შემდეგ პატრიარქი დააპატიმრა საბჭოთა საიდუმლო პოლიციამ. ამბროსი პატრიარქის მოწოდება ისევე აქტუალურია დღეს, როგორც 1922 წელს არა მარტო საქართველოსთვის, არამედ ყველა იმ ერისათვის, რომელიც მიელტვის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას“ [იქვე (ოქროს საწმისი, გვ. 313] შემდეგ კი წაიკითხა ეს ისტორიული დოკუმენტი, რომელშიც საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი ამხელს რუსული იმპერიალიზმის მიერ საქართველოს მიმართ ჩადენილ უსასტიკეს დესპოტიზმს, რომელმაც 1921 წლის 25 თებერვალს კვლავ დაადგა ჩაგვრის უღელი პატარა, ტანჯულ ქვეყანას. „მართალია, – აღნიშნავს პატრიარქი, – დამპყრობლები ამჟამად ცდილობენ ყველას დაუმტკიცონ, როგორც საზღვარგარეთ, ასევე თავიანთ ქვეყანაში, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს ქართველი ხალხი, მაგრამ მე, ჩემი ერის სულიერმა მოძღვარმა და ამჟამად მისმა ჭეშმარიტმა მწყემსმა, რომელსაც ხელთ მიპყრია უფაქიზესი სიმები მისი გულისა, და რომელიც ყველაზე უკეთ ვუგდებ ყურს მის გლოვასა და ცრემლებს, კარგად ვუწყი რა ბედნიერია დღეს ქართველი ერი!

„შეგვიძლია ვთქვათ გადაჭარბების გარეშე, რომ ის გაურკვეველი ექსპერიმენტები, რომელთაც აყენებენ ქართველ ხალხზე ამ ბოლო წლებში, მას უსათუოდ მიიყვანს ფიზიკურ გდაგვარებამდე და მორალურ დეგრადაციამდე“, – და ბოლოს მოითხოვს საქართველოს

ტერიტორიიდან რუსული ჯარების გაყვანას, რათა ქართველ ხალხს მიეცეს საშუალება თავისი ცხოვრების თავისუფლად მოწყობისა [იქვე, (გვ. 314-315)].

1970-იან წლებში აღნიშნულ პრობლემებზე, მსჯელობა და მათ შესახებ ჟურნალში გამოქვეყნება კი არა, ფიქრიც კი აკრძალული იყო, და, რა თქმა უნდა, ასეთი ნაბიჯის გადადგმას საბჭოთა წითელ ინტელიგენციაზე ისეთი ზემოქმედება ჰქონდა, როგორც სიბნელეში დიდხანს ნამყოფი ხარისათვის წითელი ნაჭრის აფრიალებას, რადგან ამგვარ აქციებში ისინი არა მარტო თავიანთი არარაობრივი არსებობის, არამედ მათი კოლაბორაციონისტული და ქვეყნის ინტერესებისადმი გამყიდველური დამოკიდებულების მხილებას ხედავდნენ; ამიტომაც უსინდისო თავგახელებით ებრძოდა ქართველი „ჰომო სოვეტიკუსიც“ მისივე ხელშეწყობით ჩამოწოლილ ბურუსში ნათელი სხივის შეჭრას. აი, ეს იყო სწორედ ის, რის შესახებაც ერის სულიერი მოძღვარი ჯერ კიდევ 1922 წელს გვაფრთხილებდა – ერის მორალური დეგრადაცია, რამაც XX საუკუნის 90-იან წლებში სხვადასხვა ფორმებში მსუყედ გამოავლინა თავი.

ჟურნალის ამავე ნომერში დაიბეჭდა გალაქტიონის გამოუქვეყნებელი ლექსი – „საქართველო“ [20] ვაჟა-ფშაველას – „სოციალდემოკრატისადმი“, [21] იოსებ გრიშაშვილის – „ახალ ხელისუფლებას“ და „ოცდახუთი თებერვალი“ [22] და სხვა. აქვეა პ. დიდებულიძის [23], გრ. ამაღლობელის [24], ოთ. მაისურაძის (ფაზისი, დაიბადა 1925 წელს, იყო საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი ორგანიზაციის წევრი, 1943 წელს გაასამართლა „ნკვდ“-ს ტრიბუნალმა, მიუსაჯა დახვრეტა [25], შეუცვალა 10 წლით. გარდაიცვალა ციხეში ერთი წლის შემდეგ). ადამ ალვანელის (ბობღიაშვილი) [დაიბადა 1912 წელს საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი რაზმის წევრი, 1943 წელს მოჰკლეს „ჩკ“-ს აგენტებმა თუშეთის ტყეში) [26] ანტისაბჭოთა სულისკვეთებით გამსჭვალული ლექსები და შემოქმედება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ზვიად გამსახურდიას „ღია წერილი საქართველოს მწერალთა VIII ყრილობის პრეზიდიუმისადმი“, რომელშიც საქართველოსათვის სხვადასხვა საჭირბოროტო სკითხების განხილვასთან ერთად იგი აღნიშნავს: „ოფიციოზური ქართული მწერლობა დაემსგავსა იმ დაყრუებულ ექიმს, რომელიც, მართალია დიდი გულმოდგინებით სინჯავს თავისი ყურმილით ავადმყოფის სხეულს, მაგრამ არაფერი გაეგება მისი ტკივილებისა. ეს უკეთეს შემთხვევაში. უარეს შემთხვევაში ეს არის ექიმი, რომელიც იყრუებს თავს, რათა ამით დამალოს თავისი უმეცრება და დანაშაულებრივი ინდიფერენტიზმი ავადმყოფის ბედისადმი. ეს ავადმყოფი დღეს ჩვენი ერია, რომელიც მოელის ჭეშმარიტ გულისხმიერ ექიმს.

ორი დღის განმავლობაში ყრილობაზე ათობით ორატორი გამოვიდა. არც ერთ მათგანს სიტყვა არ დაუძრავს ერის ტკივილებზე, საჭირბოროტო ეროვნულ პრობლემებზე. გაისმა ერთადერთი ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა: რევაზ ჯაფარიძის გამოსვლა, რომელსაც „ღია კარების მტვრევა“ უწოდა ე. შევარდნაძემ თავის დასკვნით სიტყვაში. ცხადია, რ. ჯაფარიძის გამოსვლას ოფიციალობის ენაზე დაერქმევა მწერლის „უცნაურობით“ და „ორიგინალობის ძიების წყურვილით“ გამოწვეული გამოხდომა. ეს იქიდანაც ჩანდა, რომ პრეზიდიუმის არც ერთ წევრს ტაში არ დაუკრავს მისთვის, თუმცა დარბაზი მქუხარე ოვაციებით შეეგება მას... ბევრი გაუგებრობა დაიბადა აგრეთვე ჩვენში „მავნე ჩვევებთან და ტრადიციებთან ბრძოლასთან“ დაკავშირებით. ამ ბოლო დროს სამწუხაროდ ცხადი ხდება, რომ ეს „მავნე ტრადიციებთან ბრძოლა“ ნიღაბია რელიგიასთან და ეროვნულ თვითმყოფადობასთან ბრძოლისა.

დღესდღეობით ყველაზე უფრო მახინჯი და ნეგატიური მოვლენა ის გახლავთ, რომ საქარ-

თველოში რუსიფიკაცია სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ გეზად იქცა. ქართული ენის კანონგარეშე გამოცხადება, ქართულ სკოლებსა და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში რუსული ენის გაბატონების ცდები, ქართველ მეცნიერთათვის აკრძალვა ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების წერისა, აი, რა არის ყველაზე მახინჯი და საგანგაშო მოვლენა. ქართულმა მწერლობამ უნდა სთქვას თავისი სიტყვა ამ მოვლენებთან დაკავშირებით, კმარა წაყრუება საჭირბოროტო ეროვნულ პრობლემებზე, კმარა ოცნება პრივილეგიებზე, თანამდებობებზე და „ჩინ-მენდლებზე“, დროა მივხედოთ ერის ტკივილებს.

დიდმა ილიამ მთელი თავისი მოღვაწეობის საზრისი ჩააქსოვა მოხევე ლელთ ღუნიას სიტყვებში: „ჩვენი თავი ჩვენამდე უნდა გვეყუდნესო“. ამას მიელტვოდა ქართველ მწერალთა რჩეული თაობა მეცხრამეტე საუკუნეში, ამას შეეწირა დიდი ილია, დეე, ნურც ჩვენი თაობა შეაქცევს ზურგს მამაპაპეულ იდეალს და ბრძოლის ველიდან გაქცევას ნუ ამჯობინებს. სირცხვილეული თავისუფლების საკურთხეველი უმაღლესი საკურთხეველია მუზებისა, მუზათა ჭეშმარიტი მსახური სჯობს შეეწიროს ამ დიდების პარნასს, ვიდრე მტრის წინაშე მუცელზე ხოხვაში დალიოს ნაძრახი სიცოცხლე“ [27]; ხოლო მერაბ კოსტავა თავის გამოსათხოვარში კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალების წლისთავისადმი, საუბრობს ქართულ სინამდვილეში მწერლის მიერ შესრულებულ როლზე, მისთვის ჩვეული პირდაპირობით ამბობს, რომ „ერის სულმა კონსტანტინე გამსახურდია გრიგალთა შორის უმძაფრესის, მეოცე საუკუნის გრიგალთან საბრძოლველად მოავლინა... და მისი მისიაც აქ გამოიკვეთა. სიტყვითა და კალმით უნდა შებმოდა იგი მეოცე საუკუნის გრიგალს უუფლებობის წყვდიად ღამეში, ამგვარ ყიამეთში უნდა აღეზევებინა... მშობლიური ისტორია, ლიტერატურა, განებანა, შეემოსა, სული შთაებერა და გვირგვინი დაედგა იმ ენისათვის, რომელიც ცოცხალმკვდარი წამოაყენეს საფლავიდან მეცხრამეტე საუკუნის სამოციანელებმა... ახლა მისი ბრძოლა ენათმეცნიერთა ნეგატიურ ნაწილთან, ყოველივე ახალსა და ცოცხალს რომ ებრძვიან ენასა და ლიტერატურაში? გრამატიკის უსულგულო დოგმებს, ამ სკელეტს ენისას მიიჩნევდნენ ნიადაგ ეს გვამის გამკვეთავნი მხატვრული შემოქმედების თაურად, ერეტიკოსობად მიითვლიდნენ ყველანაირ გაბედვას, თუმც ნებისმიერი იმათთგანი პირისფარეშივით იდრიკებოდა კონსტანტინე გამსახურდიას ცეცხლოვანი სიტყვის წინაშე. მრავალი გალახულა ამგვარად მისი პირუთვნელი და მკაცრი კრიტიკის შოლტით... ათწლეულების მანძილზე ებრძოდა საბჭოთა სახელმწიფო კონსტანტინე გამსახურდიას დაპატიმრებით, მუქარით, მწერალთა კავშირიდან გარიცხვით, უსაფუძვლო, მოსყიდული კრიტიკით, „ჭორის ღრუბლებით“, ცდილობდა მის გადმობირებას, იდეური პოზიციის შერყევას, თავის სამსახურში ჩაყენებას. ბოლოს თითქოს მოლბა იგი, მეტადრე მისი მსოფლიო აღიარების შემდეგ. აირჩიეს აკადემიის წევრად, პრესაში ხოტბა აღუვლინეს, გამოუცეს ტომეულები, გადაუხადეს იუბილე. გაირინდა მრავალთავიანი ჰიდრა, გულში ჩაიგუბა ბალღამი, თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივი გზით წარიმართა“ – მრავალმნიშვნელოვნად შენიშნავს საქართველოს ეროვნული გმირი და იქვე ამბობს: „ქართველი ხალხის სიყვარულმა გააპატიოსნა მისი ცხედარი, სიყვარულმა, რომელიც მწერალთა და მოღვაწეთა სიდიადის ერთადერთი უცდომელი ბარომეტრია. ამიტომაც ცხრათავიანმა ჰიდრამ ვერ მიჩქმალა, ვერც მიისაკუთრა მისი სახელი“... [28].

მაგრამ აღნიშნულმა ჰიდრამ კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალების შემდეგ ვეღარ მოახერხა გულში დიდი ხნის ნაგროვები ბოღმის დაფარვა და დაუნდობლად დააცხრა მის იდეურ მემკვიდრეთა ნავსაყუდელს, ქართულ თვითგამოცემასა და მის მესვეურთ. და რა გასაკვირია, რომ მისი გარდაცვალებისთა-

ნავე, ეს საბჭოთა იდეოლოგიური სამსახურების ნათხევზე აღზრდილ-დაფრთიანებული სიცრუის მანქანების ყურმოჭრილი მონები, თავგანწირვით დაეძგერნენ იმ „ბოროტებას“, რომელიც მათი მოჩვენებითი კეთილდღეობის საძირკვლებს შერყევით ემუქრებოდა. „ბრძოლის ველის“ შეტევისათვის მოსამზადებლად მისი ბომბადირება ქართულმა პრესამ და მასთან შერწყულმა „წითელმა პროფესურამ“ იკისრა, რომელსაც გვერდში ამოუდგა „წითელი ინტელიგენცია“ და სამწუხაროდ, ქართული ეკლესიაც. და წამოვიდა და წამოვიდა პასკვილებისა და ცილისწამებების ნიაღვარი, რომელთა სათაურებიც კომუნისტური რეჟიმისათვის ჩვეული ლექსიკით იყო შედგენილი და მათი ადრესატების რეპრესირება-განადგურებისათვის ნიადაგის შემზადებას მოასწავებდა, ამასთან სრულად გამოხატავდა მათ ავტორთა მთელ სულიერ საგანძურს. აი, ისინიც: „ვის აძლევს ეს ხელს?, [29), „მოღალატე ფარისევლები“, [30], „ძე ნაკლულოვანი“ [31], ცილისმწამებლებმა და პროვოკატორებმა პასუხი უნდა აგონ [32], და იქვე „რედაქციისაგან“ [33], მრავლისმეტყველი მინაწერით „საქართველოს მწერლების საკადრისი პასუხი“ [34], და ბოლოს – „არა ცილი სწამო! [35]. კომუნისტური პრესის დასახასიათებლად არსებობს ასეთი ანეგდოტი – ამერიკელს ეკითხებიან: რა აზრისა ხართ საბჭოთა პრესის შესახებ? – წარმოიდგინეთ ორი პიროვნება სქესობრივი აქტის დროს და შემდეგ წაიკითხეთ თქვენს გაზეთებში მოთავსებული სტატიების სათაურები – პასუხობს ამერიკელი.

რომ გავიგოთ თუ რა დონის სიბინძურესთან გვაქვს საქმე, აქვე წარმოვაჩენთ ერთერთი ავტორისა და იმ დროისათვის ყველაზე ანგარიშგასაწევი (ორგანიზაციების) დაწესებულებების მიერ გამოხატული პოზიციები. პ. ქართველიშვილი თავის პასკვილში – „ძე ნაკლულოვანი“ ბრალს დებს რა ზვიად გამსახურდიას ყველანაირი გზითა და მეთოდით მამის ქონების უკანონოდ მითვისების მცდელობაში, ბოლოს თავად ახმიანებს საკუთარ ბოროტმზრახველურ მიზანს, ქადაგებს რა მართლაც გაუგონარი უსამართლობის სასარგებლოდ და ასკვნის: „...გვინდა დავსვათ ასეთი საკითხი: რადგან ჩვენს გამოჩენილ მწერალს უღირსი შვილი ძე ნაკლულოვანი აღმოაჩნდა, ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი მის მიმართ გამოგვეყენებინა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 513-ე და 543-ე მუხლები მემკვიდრეობის ჩამორთმევის თაობაზე, რომ იგი სახელმწიფოს კუთვნილებად გამოცხადებულიყო?“ [31] – რა შეიძლება ამაზე ითქვას?!. „ჰომო სოვეტიკუსის“ ღირსების შესაბამისი ნააზრევია, – სხვას ვერაფერს იტყვი...

ახლა ვნახოთ როგორ ეხმაურება აღნიშნულ ამბავს მაშინ საქართველოში ერთადერთი საუნივერსიტეტო დაწესებულება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც ჩანს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია არ დააკმაყოფილა ვ. ქვიჩახიას პასკვილმა „ცილისმწამებლებმა და პროვოკატორებმა პასუხი უნდა აგონ“ და იქვე გააკეთა მინაწერი „რედაქციისაგან“, რომელშიაც ვკითხულობთ: „გუშინწინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა რექტორატის გაფართოებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ პარტიული კომიტეტის წევრები, ფაკულტეტის დეკანები, პროფესორ-მასწავლებლები.

დამსწრენი პრესაში გამოქვეყნებულ წერილებთან ერთად გაეცნენ ზვიად გამსახურდიას და მის თანამზრახველთა ცილისმწამებლური და პროვოკაციული ხასიათის მასალებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მისი ზოგიერთი პროფესორისა და მასწავლებლის შესახებ.

სხდომაზე აზრი გამოთქვეს პროფესორმა ზ. ჭარხალაშვილმა, იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, დოცენტმა მ. ლეკვეიშვილმა, პრორექტორმა ზ. ფორაქიშვილმა, ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ბ. ლუტიძემ, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანმა,

დოცენტმა მ. ბაჩიაშვილმა, პროფესორმა გ. ხავთასმა, პროფესორმა ი. ვაშაკიძემ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა აკ. სურგულაძემ, დოცენტმა ა. გაჩეჩილაძემ, ეკონომიკური ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა ა. ბურძგლამ. სხდომაზე გამოვიდნენ უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანი, პროფესორი რ. გორდეზიანი და უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი დ. ჩხიკვიშვილი.

თავიანთ გამოსვლებში ყველა ერთხმად გამოსთქვამდა გულისწყრომას და აღშფოთებას იმ აშკარა ანტისაზოგადოებრივი საქმიანობის გამო, რასაც ზვიად გამსახურდია და მისი თანამოაზრეები ეწევიან, ეს ვაჟბატონები ადამიანის უფლებების დამცველთა სახელით გამოდიან და თავი ისე მოაქვთ, თითქოს ჰუმანური და მამულიშვილური გრძნობები ამოქმედებდათ, სინამდვილეში კი ცილისმწამებლური და დემაგოგიური გამოხტომებით საკუთარი სამშობლოსა და ერის წინააღმდეგ გამოდიან.

თავიანთ სამარცხვინო ხელნაწერის გამოცემას (ზემოთ აღნიშნულ თვითგამოცემებს გულისხმობენ – უ. ო.) მათ „საქართველოს მოამბე“ შეარქვეს. ეს ფაქტი უკვე მიუთითებს იმაზე, რომ ამით დაუპირისპირდნენ მეცნიერებათა აკადემიის ცნობილ გამოცემას, რომელიც მეცნიერთა შრომებსა და გამოკვლევებს აქვეყნებს. პირდაპირ დაუშვებელი საოცრებაა ამ სახელწოდებით გამოდიოდეს „სამიზდატი“, რომელშიაც ანტისაბჭოთა მასალებია მოცემული და ამავე დროს ყოველგვარი მონაჭორი მეცნიერ მუშაკების ერთი ნაწილის პრესტიჟის ხელყოფის მიზნით.

ზვიად გამსახურდიას მთელი პირადი ცხოვრება იმის მაგალითია, რომ მას მუდამ აკლდა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა. იგი ყოველთვის რაღაცით უკმაყოფილო და უმადური იყო... პატივმოყვარეობასა და უპრინციპობას იჩენდა... და ბოლოს ისე დაეცა რომ ცილი დასწამა კოლექტივსა და კოლეგებს“, – აღნიშნავს ეს მართლაც ცილისწამებებისა და პროვოკაციების საბუდარი და შემდეგ ჩამოთვლის მეცნიერებს, იმ ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეებსა და მწერლებს, რომლებსაც ზვიად გამსახურდია საბჭოთა საიდუმლო სამსახურის მუშაკებად ასახელებს, და ბოლოს აკეთებს დასკვნას, რომ „დროა საგნებს თავისი სახელი ვუწოდოთ. ზვიად გამსახურდია და მის თანამოაზრეთა მოქმედება სამშობლოს, სოციალიზმის წინააღმდეგ მოქმედებად უნდა შეფასდეს და მათ მიმართ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები უნდა იქნეს განხორციელებული.

ასეთია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი და სახელოვანი კოლექტივის წევრთა საერთო აზრი“ – [33] რიხით აცხადებს კომუნისტური პარტიის ეს ორგანო; მაგრამ აქვე მინდა აღვნიშნო, როგორც იმ დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა, კარგად ვიცი, რომ აქ გამოხატული მოსაზრება სრულებითაც არ იყო ამ, მართლაც დიდი და სახელოვანი კოლექტივის წევრთა საერთო აზრი, და აქ იყვნენ მართლაც ქართული ეროვნულ სატკივარზე მოფიქრალი პატრიოტები: გივი ჟორდანია, დიმიტრი ლეთოდიანი, გია ავალიშვილი, სოსო კვიციანი, დევი კაჭარავა, ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები – თამარ ჩხეიძე, გია ჩხიკვიშვილი, გელა ნიკოლაიშვილი და სხვები, რომელთაც არავითარი კარიერისტული ქვენა გრძნობები არ ამოძრავებდათ და თავდაუზოგავად რაზმავდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ-ახალგაზრდობას ეროვნული იდეალების გარშემო.

ხოლო რაც შეეხება სტატიას „არა ცილი დასწამო!“ – მისი ავტორები არაფრით ჩამორჩებიან, პირიქით ზოგჯერ კიდევაც აჭარბებენ ინსუნაციების დონით, მწერალთა კავშირის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თუ ლიტერატურის ინსტიტუტის „სახელოვანი კოლექტივებს“, როცა ისინი წერენ: „...ეს ყველაფრის მკადრებელი მანიაკები, რომელთაც მამულიშვილობისა და კეთილმორწმუნეობის

ნიღაბს ამოფარებული ზვიად გამსახურდია მეთავეობს – თვალთმაქცობენ, ბინძურ ხერხს მიმართავენ, ეროვნული გრძნობების სპეკულაციას ეწევიან და ნადავლს კი რადიო „თავისუფლების“ და ზოგიერთი უცხოური ჟურნალ-გაზეთის ჭუჭყიან ბაზარზე ეზიდებიან გასასაღებლად... ყველა ქართველისათვის, ვინც ზ. გამსახურდიას ცოტად თუ ბევრად იცნობს, ნათელია, რომ ეს ფსევდო ინტელიგენტი ვაჟბატონი „სიყრმით თვისითგანვე“ გამოუსწორებელი ხულიგანი, გვარიანად გაწვრთნილი შანტაჟისტი და პროვოკატორია. მისი მოქმედების მთავარი იარაღია მემკვიდრეობით დარჩენილი ფული და გარეცხილი სინდისი. ნებივრობაში, უსაქმურობაში გაზრდილი, მამის ავტორიტეტს შეხიზნული, ერისა და ეკლესიის ცრუ პატრიოტი“... – ამბობენ ისინი და ბინძურ სარკაზმებს არ იშურებენ ზვიად გამსახურდიასა და მის თანამგრძნობთა განსაქიქებლად, შემდეგ კი იქვე განაგრძობენ: „...საოცარია, საქართველოს ეკლესიის „განახლების“ აზრს გადამთიელთა საზოგადოებრიობა წყვეტდეს... ვინ ჩამოართვა მორწმუნე ქართველს ერს საქართველოს ეკლესიაზე ზრუნვის უფლება, რომ მასზე ფიქრით ოკეანესგაღმალები „იტვირთავენ“ თავს?“ – კითხულობენ ისინი და თვითონვე პასუხობენ, – „ალბათ გამსახურდიასა და ფაილოძის მრევლად წოდებულმა მ. კოსტავამ და ს. კაჭარავამ, ეკლესიის რომ „ჭირისუფლობენ“, და თავიანთ „მოძღვრებთან“ ერთად სხვათა ხელით ნარის გლეჯის ნაცად ხერხზე გადადიან“... და სხვა. დასკვნის სახით კი აღნიშნავენ: „საქართველოს ეკლესია ჯერ არ დაცემულა და არც არასოდეს დამდაბლდება ისე, რომ ვიღაც პარანოიკების დაცვა და მხარში ამოდგომა დასჭირდეს მას...“ და ბოლოს სახელოვან წინაპართა სიტყვებით ასე ამთავრებენ: „არა სადა გეცრუვნოთ შენ სიწმინდით მშობელო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცეთ შენ სიქადულო ჩვენო მართლმადიდებლობაო, რომელსა არა განმცემელ ვქმნილვართ“! იყავნ, იყავნ!“ [35].

თუ რამდენად პასუხობს თვით მოცემული წერილი თუნდაც ამ დაბოლოებაში გამოხატულ ქრისტიანულ-მართმადიდებლურ კრედოს და უფლის ჩვენდამი, მოკვდავთადმი განკუთვნილ სწავლებას, – „არა მოიღო სახელი ჩემი ამაოსა ზედა“, – ამის განსჯა სჯულის მეცნიერთ მივანდოთ, მაგრამ არ შეიძლება არ ვთქვათ, რომ ასეთ შემთხვევებში რაოდენი სიფრთხილე და წინდახედულება მართებთ ერის სულიერ მოძღვართ... და ამას ვერაფერს უშველის თითქმის 33 წლით დაგვიანებული მონანიება-აღიარება, რომ „როგორც ყოფილმა მღვდელთმთავარმა, არ შემიძლია ვთქვა, რომ ზვიად გამსახურდია იყო ერთ-ერთი უგანათლებულესი და ღრმად ეროვნული ცნობიერების მატარებელი პიროვნება, რომლის ინტელექტიცა და სამშობლოს სიყვარულის მუხტი ძლიერ სჭირდება დღეს საქართველოს“... [36]. მითუმეტეს თუ ისიც კარგად უწყი, რომ „...ეკლესიამ ვერ შესძლო და არ შესწევდა საამისო ძალა და უნარი, და, რა თქმა უნდა ნება, რომ დაპირისპირებოდა საბჭოური იდეოლოგიის იმ უზარმაზარ ურჩხულს, რომლის არაერთგზისი მსხვერპლიც თავად გამხდარა 1921 წლიდან მოყოლებული“... [იქვე] – ზემოთ მოყვანილი წერილის მსგავს რაღაცაზე ხელი არ უნდა მოაწერო.

პრესის მიერ განხორციელებული ამგვარი „ბომბარდირების“ შემდეგ დაიწყო საყოველთაო შეტევა ქართულ საბჭოთა სინამდვილეში გაჭიატებული განსხვავებული აზრის მატარებელი პლაცდარმის გასანადგურებლად. 1977 წლის 1 აპრილს საბჭოთა საქართველოს მწერალთა კავშირში შეიკრიბა მისი პრეზიდიუმის სხდომა, რომლის შესახებ მეორე დღეს გაზეთი „კომუნისტი“ იტყობინებოდა: „გუშინ, 1 აპრილს მწერალთა სასახლეში შედგა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი მწერალთა კავშირის წევრის, ზ. კ. გამსახურდიას საბჭოთა მწერლისათვის შეუფერ-

ებელი საქმიანობის შესახებ.

საკითხის განხილვისას სიტყვით გამოვიდნენ მწერლები: გ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, გ. ასათიანი, ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი, ნ. დუმბაძე, ი. თარბა, ა. კალანდაძე, კ. კალაძე, მ. ლებანიძე, რ. მარგიანი, კ. მარგიევი, ე. მაღრაძე, ვ. მერკვილაძე, გ. ნატროშვილი, შ. ნიშნიანიძე, ი. ნონეშვილი, გ. ჟორჟოლიანი, ა. სულაკაური, გ. ფანჯიკიძე, მ. ფოცხიშვილი, დ. შენგელია, გ. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, ს. ჭილაია, თ. ჭილაძე, ფ. ხალვაში, რ. ჯაფარიძე. მათ ერთსულოვნად დაგმეს ზ. გამსახურდიას საბჭოთა მწერლისა და მოქალაქის სახელთან შეუთავსებელი საქციელი.

პრეზიდიუმმა ერთხმად გარიცხა ის სსრკ მწერალთა კავშირის რიგებიდან (საქინფორმი)“ [34].

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის აღნიშნული სხდომის სტენოგრაფიული ანგარიში ასეთი მრავლისმეტყველი სურათით მთავრდება:

თავმჯდომარე (გრ. აბაშიძე – უ. ო.) – „ნუ ჩამაყენებთ ბრალმდებლისა და მოსამართლის როლში. ჩვენ მოვუსმინეთ აქ გამოთქმულ აზრებს. თუ მართლა ზვიადი დაამტკიცებს, რომ არავითარი ურთიერთობა არა აქვს, ჩვენ გვეტყვიან და აღვადგენთ ისე, რომ წასული არ იქნება მისი გარიცხვა, ეს იქნება ჩვენთვის დიდად სასახელო და ჩვენი ყველას რეაბილიტაცია“. განა მარტო ზვიადი, არამედ მთელი ორგანიზაციაა უხერხულ მდგომარეობაში. ვის გაუხარდება ეს. ხვალვე დავარღვევთ ამ დადგენილებას, ოღონდ დაამტკიცეთ. როგორ გეკადრებათ?!

ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენი კავშირის წევრისათვის ეს შეუთავსებელია და შენ თვითონ უნდა დაასაბუთო შენი სიმართლე. შენ ვერაფერი სთქვი.

კენჭისყრა მაინც უნდა მოხდეს. ფორმალურად ხომ უნდა ვუყაროთ კენჭი იმას, რაც აქ ითქვა.

რ. ჯაფარიძე – არ უნდა კენჭისყრა.

თავმჯდომარე – ვინ არის მომხრე იმ წინადადებისა, რომელიც თქვენ სთქვით?... არ არის კენჭისყრა საჭირო?... ვინ არის მომხრე იმ წინადადებისა, რომელსაც ყველა აწერს ხელს?

ი. აბაშიძე – რომ გაირიცხოს?!

თავმჯდომარე – ვინ არის მომხრე რომ გაირიცხოს? გთხოვთ ასწიოთ ხელი, გთხოვთ დაუშვათ, ვინ არის წინააღმდეგი? არავინ. თავი ვინ შეიკავა? არავინ. მაშასადამე წინადადება მიღებულია ერთხმად“... [37].

როგორც ჩანს, წინასწარ საქმის განხილვამდე მოუწერიათ ხელი ზ. გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვაზე... ვერაფერს იტყვი, მართლაც შთამბეჭდავი გამოხატულებაა საბჭოთა მწერლის ზნეობრივი სახის. ამგვარად დაასაჭურისა საბჭოთა სინამდვილემ მწერლის ის ღვთაებრივი დანიშნულება, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში აღნიშნავდნენ საქართველოში – „მე ერი მზრდის და ცა მნიშნავს“-ო... ხოლო ერის რა წინამძღოლობას იკისრებდა ამგვარად კასტრირებული ქართული საბჭოთა მწერლობა, ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ... და რა გასაკვირია, რომ ასეთ სიბინძურეში მონაწილეობის შემდეგ ისინი შიშით შესცქეროდნენ ზვიად გამსახურდიას გახელისუფლებას, ხოლო საქართველოს ხელისუფლების სათავეში მისი მოსვლის შემდეგ ძილი და მოსვენება დაუკარგა მათ შესაძლო შურისგებაზე ფიქრმა. ასე, რომ ქართველ მწერალთა ამ ნაწილის დაუნდობელი მტრობა ზვიად გამსახურდიას მიმართ, ზემოთ აღნიშნულ უმსგავსობებში მათი ნებაყოფლობითი მონაწილეობისათვის მხილებისა და მის მიერ მოსალოდნელი შურისგების შიშითაც იყო ნასაზრდოები (კოკასა შიგან რაცა სდგას...).

ყოველივე ზემოთ ნათქვამს თუ გავითვალისწინებთ, აი, ეს არის, მართლაც, საბჭოთა მწერლების საკადრისი პასუხი, რომელსაც მხარში ამოუდგა შოთა რუსთაველის სახელობის ქართულ ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტიც, რომლის 1977 წლის 5 აპრილის გა-

ფართოებული სხდომის ოქმში აღნიშნულია – „ესწრებოდნენ: ა. ბარამიძე, გ. გვერდწითელი, მ. დუდუჩავა, ი. ბოგომოლოვი, გ. იმედაშვილი, დ. ლაშქარაძე, ი. ლოლაშვილი, გ. მერკვილაძე, ს. ყუბანეიშვილი, მ. ჩიქოვანი, ს. ცაიშვილი, გ. ციციშვილი, მ. მახათაძე, ჯ. ბარდაველიძე, ნ. ჭოლოკავა, თ. დოიაშვილი, მ. გუგუშვილი, ი. მეგრელიძე, დ. თევზაძე, რ. ბარამიძე, ამათ გარდა სხდომას ესწრებოდნენ ძველი ქართული მწერლობის, რუსთველოლოგიისა და საზღვარგარეთის ხალხებთან ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილების თანამშრომლები. სხდომაზე გამოძახებული იყვნენ ზვიად გამსახურდია და ირაკლი კენჭოშვილი.

დღის წესრიგი: ინსტიტუტის თანამშრომლების ზვიად გამსახურდიასა და ირაკლი კენჭოშვილის საბჭოთა მეცნიერებისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხილვა [38]. აღნიშნული სხდომის შესახებ პრესაში გამოქვეყნდა შემდეგი ინფორმაცია: „5 აპრილს შედგა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელზეც განიხილეს ინსტიტუტის თანამშრომლების ზვიად გამსახურდიასა და ირაკლი კენჭოშვილის საბჭოთა მეცნიერებისათვის შეუფერებელი საქმიანობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ალ. ბარამიძე, აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო საბჭოს წევრებმა: პარტორგანიზაციის მდივანმა ნ. ჭოლოკავამ, პროფესორებმა გ. იმედაშვილმა, გ. ციციშვილმა, მ. ჩიქოვანმა, მ. დუდუჩავამ, გ. მეკრკვილაძემ, ი. ლოლაშვილმა, ს. ცაიშვილმა, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ გ. გვერდწითელმა“ [იქვე].

საქინფორმის ცნობაში სრულიად იგნორირებულია ამავე სხდომაზე ლია ანდღულაძის მიერ გამოთქმული ერთადერთი საღი აზრი, რომ „ის საკითხები, რომლებიც ზვიად გამსახურდიას აწუხებს, ყველა ჩვენგანს აღელვებს. მახსოვს, როგორ აგვაღელვა ჩვენ (მიმართავს გ.იმედაშვილს) X საუკუნის გუმბათიანი ტაძრის კუმურდოს – ნანგრევების ხილვამ, მისმა სავალალო მდგომარეობამ.

ზვიად გამსახურდიას, სათანადო განათლებასთან ერთად, გვარიც შველოდა, რომ ამ საკითხებზე ზრუნვა გაბედულად გამოეხატა და, როგორც თვითონ განაცხადა, არაერთგზის მიემართა სათანადო დაწესებულებებისათვის.

ჩემი წარმოდგენა ზვიადის განათლებაზე რამდენადმე სხვაა. აქ მსჯელობენ მის ნაკლოვანებაზე, მაგრამ არაფერს ამბობენ მის დადებით მხარეებზე. შინაგანად მჯერა, რომ ზვიად გამსახურდია თავის ცოდნას, მამისეულ შემართებას და დედის კეთილშობილებას ჩვენი ქვეყნის სამსახურს მოახმარს“... [იქვე, გვ. 35-36] – და „სამეცნიერო საბჭომ ერთხმად დაგმო ზ. გამსახურდიასა და ი. კენჭოშვილის მოქმედებანი. საბჭომ მოუწოდა ამ გზააბნეულ თანამშრომლებს დაუფიქრდნენ, ვიდრე გვიან არ არის, თავიანთ საქციელს, ხელი აიღონ საბჭოთა მეცნიერებისათვის შეუფერებელი ნაბიჯების გადადგმისაგან, შეწყვიტონ თვითმარქვია ჟურნალების გამოცემა და ცილისმწამებლური განცხადებებისა და წერილების პუბლიკაცია, აქტიურად ჩაებან ინსტიტუტის სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პატიოსანი საქმით აღიდგინონ მეცნიერ-მოქალაქის და ნამდვილი პატრიოტის საპატიო სახელი“ [იქვე, გვ. 41]. აი, სამწუხაროდ, ასეთი იყო ამ „მეცნიერ-მოქალაქეებისა“ და „ნამდვილი პატრიოტების საპატიო სახე“. ხოლო ზვიად გამსახურდიამ და მისმა თანამოაზრეებმა გააგრძელეს რა თავიანთი გზა, იგი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის მესაძირკვლე და მისი პირველი პრეზიდენტი გახდა.

საქმის ამგვარი მეთოდებით შემზადების შემდეგ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა 1977 წლის 7 აპრილს დააპატიმრეს. საქმე

№131 აღიძრა საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდას ითვალისწინებდა. საქმის წარმოება მიმდინარეობდა თითქმის ერთ წელიწადს და 1978 წლის 7 მარტს დასრულდა.

ზვიად გამსახურდიას მეუღლე მანანა არჩვაძე-გამსახურდია იგონებს, რომ „დაპატიმრებისთანავე სუკ-ის თანამშრომლებმა პროკურორის სანქციის გარეშე დაიწყეს ოჯახებში შემოჭრა ჩხრეკის ჩასატარებლად. ჩხრეკა ერთდროულად მიმდინარეობდა მერაბ კოსტავას ბინაზე ჯავახიშვილის ქუჩა №1 და გალის ქუჩა №16 „კოლხურ კოშკში“... ჩემი დის ლედა არჩვაძის კუთვნილ ბინაზე ვახტანგ ჩიქოვანის №28-ში მიმდინარეობდა ჩხრეკა... სუკი მოქმედებდა თავისუფლად. ოჯახებიდან მათთვის უშუალოდ საინტერესო მასალების გარდა გატანილი იქნა კ. გამსახურდიას ხელნაწერები და ნივთები, რომელთა დაბრუნება ვეღარ შევძელით“... [39] ამუშავდა საბჭოთა დეზინფორმაციისა და ცილისწამების მთელი მანქანა, პატიმრებზე სხვადასხვა ფორმით ზეწოლის რთული მექანიზმებითურთ, რის გამოც პატიმრებმა შიმშილობა გამოაცხადეს. მათ მიმართ გამოყენებული იქნა საბჭოთა უშიშროების სისტემის მიერ კარგად დამუშავებული ურჩი პატიმრების ფსიქიატრულ საავადმყოფოში მოთავსების პრაქტიკაც. მერაბ კოსტავა მოათავსეს ორთაჭალის ციხის ფსიქიატრულ განყოფილებაში. ზვიად გამსახურდია კი ჯერ მოსკოვში, სუკ-ის ლეფორტოვის ციხეში გადაიყვანეს, შემდეგ კი სერბსკის სახელობის ფსიქიატრიულ კლინიკაში. ამავე პერიოდში ჰონოლულუში მიმდინარე მსოფლიო ფსიქიატრების კონფერენციამ სასტიკად დაგმო საბჭოთა ფსიქიატრიაში გამოყენებული პოლიტიკური პატიმრების ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში წამების პრაქტიკა და სსრ კავშირი გარიცხა მსოფლიო ფსიქიატრიული ასოციაციიდან. მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისა და ფსიქიატრების ზეწოლის შედეგად მოხერხდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ფსიქიატრიული დაწესებულებებიდან გამოხსნა. 1977 წლის დეკემბერში „საბჭოთა ფსიქიატრებისაგან“ დაკომპლექტებულმა „კომისიამ“ ისინი ფსიქიურად ჯანმრთელად ცნო [იქვე, გვ. 9].

ამავდროულად 1977 წელს სსრ კავშირში დააპატიმრეს ჰელსინკის ხელშეკრულებათა საშემსრულებლო ჯგუფის ორმოცამდე წევრი. აშშ კონგრესმა პატიმრების ფიზიკურად გადარჩენის მიზნით ისინი ნობელის პრემიაზე წარადგინა. მათ შორის იყვნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა.

1978 წლის 18-19 მაისს ჩატარდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სასამართლო პროცესი, რომელმაც „ბრალდებულთ“ გამოუტანა „განაჩენი“ 3 წელი მკაცრი რეჟიმის კოლონიაში პატიმრობა და 2 წელი გადასახლება. ზვიადი სასჯელს იხდიდა ნოღაის სტეპში დაბა კოჩუბეიში, ხოლო მერაბი – პერმის ოლქში, ხოლო რაც შეეხება საბჭოთა უშიშროების კომიტეტის სპეცსამსახურების მიერ ინცინირებულ ზვიად გამსახურდიას ე.წ. მონანიებას, ამის შესახებ ჩვენ ნაშრომში [40] უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ აქ საჭიროდ ვსცანით მოგვეტანა აღნიშნულ საკითხზე „მერაბ კოსტავას განცხადება“ რომელშიც ის ამბობს: „...მსურს აღვნიშნო, რომ ჩემზე უკეთ არავინ იცის სიმართლე ამ ყველაფერზე, რადგან მთელი წლის განმავლობაში ვაკვირდებოდი ჩვენი საქმის მსვლელობას, სასამართლო სხდომების დროს ხშირად ვხვდებოდი ზ. გამსახურდიას და ვიცი ყოველი დეტალი იმ სასამართლო საქმისა, რომელიც 56 ტომისაგან შედგებოდა.

სასამართლოზე ზ. გამსახურდიას არ მოუნანიებია მისი უმთავრესი საქმიანობა, უარი არ უთქვამს იმ პატრიოტულ წერილებზე, რომლებიც ეხებოდა ქართულ ეკლესიას, ჩვენს ენას, კულტურის ძეგლებს და ჰელსინკის კავშირის განცხადებებს. უფრო მეტიც – სასამართლოზე მან კიდევ ერთხელ მოითხოვა იმ მოთხოვნათა შესრულება, რომელიც ეხებო-

და აღნიშნულ საკითხებს და სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო, რომ მათი ნაწილი გაითვალისწინა კიდეც ხელისუფლებამ... სასამართლოზე ჩემი უკომპრომისო (მე არ ვაღიარე თავი დამნაშავედ) და ზ. გამსახურდიას ნაწილობრივ კომპრომისული პოზიცია იყო ჩვენი წინასწარმოლაპარაკების შედეგი, გარდა ამისა შევთანხმდით იმაზეც, რომ გადასახლების დროს ის დაწერდა თხოვნას გათავისუფლებაზე და ჩემზე ადრე დაბრუნდებოდა საქართველოში, რაც აუცილებელი იყო ჩვენი საერთო საქმისათვის, რათა მას მოეხდინა ჩვენი მოძრაობის მობილიზაცია და ებრძოლა ჩვენი მოთხოვნების შესასრულებლად. მსურს აღვნიშნო, რომ ზვიადმა მართლაც შეასრულა ეს ყველაფერი და გათავისუფლების შემდეგ კვლავაც აგრძელებს ეროვნულ მოღვაწეობას.

მე არა მხოლოდ ვამართლებ მის ასეთ საქციელს, არამედ მივიჩნევ, რომ იმ სიტუაციაში ეს იყო აუცილებელი ნაბიჯი. აქვე დავსძენ, რომ სასამართლოზე ზვიადს არ დაუსახელებია არც ერთი პიროვნება და მის გამო არავინ დაუბარებიათ დასაკითხად „სუკში“.

ის სამშობლოსათვის ყოველთვის სწირავდა საკუთარ სიცოცხლეს და ამ აუცილებელი ნაბიჯითაც უდიდესი მსხვერპლი გაიღო“... [41] მათი მეგობრობის შესახებ კი მერაბ კოსტავა 1989 წლის 31 მარტს შენიშნავდა: „ბევრი ეცადა ჩემი და ზვიადის მეგობრობაში ბზარის გაჩენას, მაგრამ ეს ვერავინ ვერ შეძლო, ეს არასოდეს მოხდება, მაგრამ თუ მოხდა სასწაული და ჩვენს მეგობრობაში ბზარი გაჩნდა, მაშინ მე ვიტყვი, რომ მეგობრობა საერთოდ არ არსებობს, ეს კი უკვე ქვეყნის დანგრევას უდრის“ [ოქროს საწმისი, იქვე, გვ. 9].

ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ მთელი თავიანთი ცხოვრებითა და მოწამეობრივი აღსასრულით დაამტკიცეს როგორც ერთმანეთისადმი, ასევე იმ იდეალებისადმი უსაზღვრო ერთგულება, რომელთა განხორციელებისათვის ბრძოლასაც ისინი შეეწირნენ. ხოლო სასამართლო პროცესი, რომელიც მათ საბჭოთა რეჟიმმა და მისმა ერთგულმა ლაქიებმა მოუწყვეს, დარჩება როგორც ამ ანტიჰუმანური სისტემის უმახინჯესი შინაარსის გამომხატველი კიდევ ერთი მონუმენტი. ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დაპატიმრებას სასწრაფოდ გამოეხმაურნენ ახალგაზრდა ქართველი პატრიოტები და სტუდენტური მოძრაობის ეროვნული ფრთის ლიდერები, რომელთაც პროკლამაციები დაყარეს პირდაპირ რუსთაველის პროსპექტზე, მაღაზიებში, აკრავდნენ აფიშებზე და სხვა. პროკლამაციებში აღნიშნულია:

1. „თავისუფლება ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას!

ქართველებო, ისინი იბრძოდნენ ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენ შემოგვწირეს თავიანთი პირადი კეთილდღეობა და თავისუფლება: ახლა ჩვენ გავერთიანდით უკანონოდ დაპატიმრებული ჩვენი თანამემამულეების დასაცავად.

გაუმარჯოს ქართველ პატრიოტებს“...

ან. 2. „თავისუფლება ქართველ პატრიოტებს!

ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დაპატიმრება არის სრულიად უკანონო აქტი, რომელიც იწვევს ქართველი ხალხის აღშფოთებას. ქართველები გავერთიანდეთ თვითნებურად დაპატიმრებული ჩვენი თანამემამულეების დასაცავად. ეს ჩვენი ეროვნული ღირსების საქმეა!

გაუმარჯოს ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას!“ [42].

გავრცელდა დაბეჭდილი უამრავი მოწოდება „თავისუფლება ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას“ [იქვე]. ცნობილი გახდა, რომ სუკ-მა ხელში ვერ ჩაიგდო ამ პროკლამაციების ვერცერთი გამავრცელებელი.

ამავე დროს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დაპატიმრებას გამოეხმაურნენ რუსეთის დემოკრატიული მოძრაობის ლიდერები. 1977 წლის 12 აპრილს „სსრ კავშირში მორწმუნეთა უფლებების დაცვის ქრისტიან-

ულმა კომიტეტმა“ მიმართა მსოფლიოს ქრისტიანთა საზოგადოებას აღნიშნულ პიროვნებათა უკანონო დაპატიმრების შესახებ. მიმართვას ხელს აწერდნენ გლებ იაკუნინი, ვარსონოფრი ხაიბულინი, ვიქტორ კაპიტანჩუკი.

აკადემიკოსმა სახაროვმა სპეციალური პრეს-კონფერენცია გამართა აპრილში უცხოელ კორესპონდენტებთან ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დაპატიმრებასთან დაკავშირებით, ხოლო 1977 წლის ივლისში მანვე, დოქტორმა ტურჩინმა და სხვებმა მსოფლიო საზოგადოებას მოუწოდეს სსრ კავშირში დაპატიმრებული დემოკრატიული მოძრაობის 9 წევრის დასაცავად, რომელთა შორის ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავაც იყვნენ დასახელებულნი [იქვე, გვ. 15].

ზვიად გამსახურდიას დაპატიმრება და მისი სახლის ჩხრეკისას ჩადენილი უკანონობანი გააპროტესტეს რუსმა სამართალდამცავებმა პ. გრიგორენკომ და ს. კალისტრატოვმა 1977 წლის 14 აპრილის მიმართვაში სსრ კავშირის პროკურორისადმი [იქვე, გვ. 25].

ქართველ პატრიოტთა მიმართ გატარებულ რეპრესიებს ფართოდ გამოუხმაურა დასავლეთის რადიოსადგურები, განსაკუთრებით „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქცია, რომელიც პერიოდულად აშუქებდა ქართველ პატრიოტთა მდგომარეობას. მანვე გვამცნო ინგლისელი პროფესორის პიტერ როდდეევეის ღვაწლი და თავდადება ქართველი პატრიოტების საქმისათვის [იქვე, გვ. 15-16]. მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, საბჭოთა რეპრესიული მანქანის შეჩერება შეუძლებელი იყო და მანაც ბოლომდე მიიყვანა მის მიერვე ინსპირირებული სასამართლო პროცესად გაფორმებული ფარსი.

როგორც ჩანს, აღნიშნული სასამართლო პროცესი, საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას ე. შევარდნაძით სათავეში, სჭირდებოდა მოახლოებული ე.წ. საბჭოთა კონსტიტუციის ქართულ ვარიანტში, მისთვის საჭირო ცვლილებებისათვის შესამზადებლად, რათა ფრთა შესხმოდა საბჭოთა იდეოლოგიური მანქანის მიერ გამოგონებული მორიგი ნაბოდვარის „ახალი ისტორიული ერთობის – საბჭოთა ხალხის“ ცნების დამკვიდრებასა და ამისთვის საჭირო და აუცილებელი მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებიდან მშობლიური ენის სახელმწიფო სტატუსის ამოღებას და მის ადგილზე რუსული ენის კონსტიტუციურ დამკვიდრებას. საქართველოში ადრევე იყო მცდელობა სახელმწიფო და განსაკუთრებით უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებიდან ქართული ენის გაძევებისა (საქმის წარმოების რუსულ ენაზე დანერგვის ცდა, ქართულ ენაზე უმაღლესი სასწავლებლებისათვის წიგნების გამოცემის აკრძალვა, თუ დისერტაციების რუსულ ენაზე დაცვის შემოღებაზე აქცენტირება და სხვა) რისი განხორციელებისთვისაც ძალისხმევას არ იშურებდნენ.

მე ბედნიერება მხვდა წილად სწორედ ამ პერიოდში – 1976-1981 წლებში მესწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, სადაც ჩემი თანაკურსელები იყვნენ სტუდენტობაში ეროვნული მოძრაობის იდეალების გაღვივებისათვის ბრძოლის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ თამარ ჩხეიძე, გელა ნიკოლაიშვილი, გია ჩხიკვიშვილი, ნინო შანშაშვილი. ზეინაბ ბუაჩიძე, თამარ გვიანიაშვილი და სხვები.

როგორც ცნობილია 1977 წელს მიიღეს საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია, რომელშიც დაფიქსირებული იყო დებულება „ახალი ისტორიული ერთობის – საბჭოთა ხალხის“ ჩამოყალიბების შესახებ. აღნიშნული დებულების პრაქტიკულად განხორციელების მცდელობას წარმოადგენდა მოკავშირე რესპუბლიკების ახალი კონსტიტუციებიდან მშობლიური ენის სახელმწიფო სტატუსის ამოღება და მის ნაცვლად რუსული ენის ამ სტატუსით დამტკიცება. ამგვარი მცდელობა რიგ რესპუბლიკებში და მათ შორის საქართველოში, სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას სასამართლო პრო-

ცესების ერთ-ერთი მიზანიც ამ წინააღმდეგობის შესუსტება და ჩახშობაც იყო, – და ზოგიერთი ავტორის მიერ დღეს იმის მტკიცება, რომ თითქოს ისინი ცდილობდნენ მოვლენები ეროვნული ინტერესების შესაბამისად წარემართათ [43], ისეთივე ფარსი და ტყუილია, როგორც აღნიშნულ სასამართლო პროცესის მთელი არსი.

ამ არგაგონილმა მკრეხელურმა მცდელობამ ფეხზე დააყენა და ერთ მუშტად შეკვრა ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობა (უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა) და პატრიოტულად განწყობილი ქართული ინტელიგენცია, რომელთაც შეძლეს საზოგადოების (განსაკუთრებით ახალგაზრდების) მობილიზება და კონსტიტუციის ქართული ვარიანტის მიღების წინა დღეებში 1978 წლის აპრილის დასაწყისში მოაწყვეს გრანდიოზული მიტინგი-მანიფესტიციები ქ. თბილისში. მანამდე კი საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების მესვეურნი, ე. შევარდნაძით სათავეში ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ახალ კონსტიტუციაში ასეთი ცვლილების შეტანა „ისტორიულ გარდაუვალობად“ წარმოეჩინათ. ამ მიზნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქტო დარბაზში ე. შევარდნაძის მიერ ორგანიზებული შეხვედრა სტუდენტთა ნაწილმა, თამარ ჩხეიძის ხელმძღვანელობით, პროტესტის ნიშნად დატოვა, ხოლო ამავე მიზნით მოსულ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მაღალჩინოსანი, ამავე უნივერსიტეტის 103-ე აუდიტორიიდან კინწისკვრით (პირდაპირი მნიშვნელობით) გამოაგდეს. 1978 წლის 14 აპრილს კი ქართველი ახალგაზრდობის შემართებამ და ერთსულოვნებამ კიდევ ერთხელ იხსნა ჩვენი სამშობლოს ღირსება და საბჭოთა კავშირის სახელისუფლებო ლიდერები აიძულა უკან დაეხიათ. საბჭოთა საქართველოს ე.წ. კონსტიტუციის 75–ე მუხლში შესატანი ცვლილება უკუგდებული იქნა და ხელშეუხებელი დარჩა საქართველოში ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი.

აღნიშნულმა მარცხმა კიდევ უფრო გააბოროტა საბჭოთა საქართველოს სათავეში მდგარი კომუნისტური ელიტა და ამუშავდა მისი რეპრესიული მანქანა. დროებით პატიმრობაში აიყვანეს სტუდენტური მოძრაობის ლიდერები – თამარ ჩხეიძე, გელა ნიკოლაიშვილი და სხვები. ფართო ხასიათი მიიღო მათმა დაკითხვებმა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის წარმომადგენელთა მიერ და გააქტიურდა მუშაობა მათი გადაბირება-დაშინების მიზნით. სტუდენტური მოძრაობის ლიდერთა მიმართ გამოყენებული იქნა საბჭოთა „სუკ“-ის მიერ შემუშავებული დეზინფორმაციისა და მათთვის სახელის გატეხვისაკენ მიმართული მთელი უბინძურესი არსენალი. იქამდეც კი მივიდნენ, თამარ ჩხეიძეს უნივერსიტეტის წითელი დიპლომი რომ არ აეღო, ფრიადი შეფასება სადიპლომო სახელმწიფო გამოცდაზე ე.წ. მეც. კომში, არ დაუწერეს მის თანაჯგუფელ არცერთ სტუდენტს. შემდეგ კი სცადეს მისივე თანაკურსელების მასზე მისევა, სპეციალურად ავრცელებდნენ რა მათში ხმას, რომ ეს ყველაფერი თამარ ჩხეიძის გამო მოხდა; მაგრამ საბედნიეროდ ამას არ აყვნენ თამარ ჩხეიძის სტუდენტი მეგობრები, ხოლო ამ ოპერაციის სიხისტემ და მასში ჩადებულმა სიბინძურემ გამოამჟღავნა „სუკ“-ის მიერ სტუდენტ ახალგაზრდობაში ჩანერგილი მისივე აგენტურა.

არ გამოუვიდათ რა ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკაში „ახალი ისტორიული ერთობას – საბჭოთა ხალხი“-ს კონსტიტუციური გაფორმება, საბჭოთა იდეოლოგიურმა მანქანამ გააძლიერა მუშაობა შემოვლითი გზით მიზნის მისაღწევად და დაიწყო პროპაგანდა ამ რესპუბლიკებიდან მოსახლეობის რუსეთში მიგრაციის და პირიქით, რუსების მოკავშირე რესპუბლიკებში კიდევ უფრო მომრავლების სასარგებლოდ. აი, რას წერს ამის შესახებ გ. თვალელის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში „აჭარელი ლტოლვილნი“ (რიბაკოვის გეგმა მოქმედებაში):

„1981 წელს გაზეთ პრავდაში გამოქვეყნდა წერილები სსრ კავშირის მოსახლეობის მიგ-

რაციის შესახებ, რომელთაგან ერთ-ერთი, „მიგრაციის საქანელა“ „პროფესორ“ რიბაკოვსკისა (პრავდა, 11 სექტემბერი), პირდაპირ აცხადებდა, რომ ამერიკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკათა მოსახლეობა ზედმეტ მიჯაჭვულობას ამჟღავნებს იმ ტერიტორიისადმი, ანუ „შეჩვეული პეიზაჟებისადმი“, რომელზედაც იგი ოდითგანვე მკვიდრობდა, არ იჩენს მიდრეკილებას სხვა რესპუბლიკებში (კერძოდ რსფსრ-ში) გადასახლებისაკენ და რომ ეს მავნე ტენდენციაა, რომელსაც უნდა ვებრძოლოთ. რსფსრ-ს მოსახლეობის მიდრეკილება გადაადგილებისაკენ კი, მოწონებული იყო და წერილის ავტორი მოუწოდებდა სხვა რესპუბლიკათა მკვიდრთ, მიებაძათ რსფსრ-ს მოქალაქეთათვის.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ავტორი მოითხოვდა მოკავშირე რესპუბლიკების ნებაყოფლობით რუსეთში გადასახლებას, ხოლო რუსეთის მოსახლეობას მოუწოდებდა ამ რესპუბლიკათა ტერიტორიაზე დამკვიდრებისაკენ“, – აღნიშნავს ავტორი და შემდეგ წარმოაჩენს ამ მიმართულებით საქართველოში და კერძოდ, აჭარის ასსრ-ში შექმნილ უმძიმეს ვითარებას, ბოლოს კი დასკვნის სახით ამბობს: „... საქართველოში დღითიდღე უარესდება ეკონომიკური პირობები, გლეხს არ გააჩნია საძოვრები, პირუტყვის საკვები, სახნავ-სათესი, არ ვითარდება მეცხოველეობა, ვინაიდან საქართველო ქცეულა ჩაისა და ციტრუსის კოლონიად. დღითი დღე ძნელდება მშენებლობა, რთულდება საბინაო საკითხი, ძვირდება ცხოვრება, ხოლო ხელმძღვანელობა ყოველნაირად ცდილობს ხელი შეუწყოს მიგრაციის ზემოთხსენებულ ტენდენციას. საერთოდ „ინტერნაციონალური რესპუბლიკა, ანუ საქართველოს სსრ, დედად ევლინება ყოველი ჯურის არაქართულ მოსახლეობას, უქმნის მათ ყოველგვარ პირობებს, აძლევს პრივილეგიებს, ხოლო საკუთარი, ქართული მოსახლეობისათვის იგი – დედინაცვალია. დღემდე განსაკუთრებით მკაფიოდ მოსჩანდა ეს აფხაზეთის ასსრ-ში და სამცხე-ჯავახეთში (რომელნიც შესაძლოა მალე სომხურ ავტონომიურ ოლქად იქცეს), ხოლო ამჟამად აჭარის ასსრ-შიც გამოიკვეთა ეს ტენდენცია“, – აღნიშნავს წერილის ავტორი და ბოლოს მოუწოდებს ქართულ საზოგადოებას, რომ „...მთელის სერიოზულობით გააცნობიეროს ის გარემოება, რომ ჩვენი ერის ბედი რიბაკოვისეულ „მიგრაციის საქანელაზეა“ შეგდებული [44].

ასეთ პირობებში საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ მოსკოვისათვის თავისი ერთგულების დასამტკიცებლად დაიწყო მზადება გიორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის გრანდიოზული ფორმით აღსანიშნავად, რასაც ქართველმა ახალგაზრდობამ პროტესტით უპასუხა და რომლის შესახებაც საქართველოში შევარდნაძის კომუნისტური რეჟიმის მიერ დახვრეტილი უდანაშაულო ღვთისმსახურის, მღვდელ თევდორე ჩიხლაძის ქალიშვილი, რომელიც პირადად ე.შევარდნაძეს მიმართავს, ასე იგონებს: „...როგორც ინტერვიუდან ირკვევა, თურმე „არაფერი გცოდნიათ, არაფერ შუაში ხართ და არაფერი გახსოვთ“.

ძალიან ვწუხვარ, რომ გულმავიწყობის სენს შეუპყრიხართ (ე. შევარდნაძის ჩვეულებრივი თავის დაძვრენის მეთოდია – უ.ო.) ამიტომ თავს უფლებას მივცემთ ამხანაგო მინისტრო, თქვენი წითელი წარსულის ზოგიერთი ეპიზოდი შეგახსენოთ.

1983 წლის 18 ნოემბერს საქართველოს დედაქალაქ თბილისში ტრაგედია დატრიალდა. ადგილი ჰქონდა თვითმფრინავის გატაცების მცდელობას.

გამტაცებლები იყვნენ ზედმიწევნით განათლებული, ინტელიგენტი ახალგაზრდები, რომლებიც შემდეგ ბანდიტებად მოინათლნენ... მოსკოვის წინაშე დამსახურებები მოახლოებული „ჯერარნახული“ საზეიმო ცერემონიალით გსურდათ დაგეგვირგვინებინათ, რომ შემდეგ პარტიული იერარქიის ერთ-ერთ უმაღლეს საფეხურზე ასულიყავით... და უცებ ზეიმისათვის გამალებული მზადების პერი-

ოდში გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. ამხ. ე. შევარდნაძის დიქტატურის წინააღმდეგ ახალგაზრდათა ჯგუფმა საჯარო პროტესტი გამოხატა, მოაწყო პოლიტიკური აქცია, – თვითმფრინავის გატაცება, რომელსაც ბოლშევიკური ჭკუის მოუქნელობისა და „დერჟიმორდათა“ ნაჩქარევი გადაწყვეტილებების გამო მოჰყვა მსხვერპლი... მაშინ ამბიციებმა სული ისე დაგიბრმავათ, რომ მოსკოვიდან სასწრაფოდ გამოაძახებინეთ „სპეცჯგუფი“, აქაოდა მე არაფერ შუაში ვარ, ბატონ-პატრონები აქ თქვენ ხართ და დამეხმარეთ... ჰოდა, დაგეხმარნენ, ამხანაგო ედუარდ!... მშობლების თვალწინ „სპეცჯგუფმა“ 8 წუთში „გაუვნებელყო“ გამტაცებლები“. იმ მშობლების თვალწინ, რომლებიც გევედრებოდნენ, თვითმფრინავში შესვლის უფლება მიგეცათ, პირობას იძლეოდნენ, რომ შესძლებდნენ შვილების გამოყვანას. თქვენ უარჰყავით ეს ვედრება. მოსკოვს ხომ უნდა დაენახა ამხ. ედუარდის ერთგულება?!

...მერმე ის იყო, კბილებამდე შეიარაღებულმა „სპეცჯგუფმა“ 8 წუთში „გაუვნებელჰყო“ ორი გარდაცვლილი, ოთხი დაჭრილი მამაკაცი და ერთიც 19 წლის ქალიშვილი... მერე პოლიტიკური აქციის სტატუსი რომ როგორმე მიგეჩქმალათ, „ნარკომანებად“, „ბანდიტებად“ მონათლეთ მხატვარი სოსო წერეთელი, ექიმი კახა ივერიელი, ექიმი პაატა ივერიელი, მხატვარი დავით მიქაბერიძე, მსახიობი გეგა კობახიძე, მხატვარი გია ტაბიძე და მამაჩემი – ბერი მამა თევდორე, რომელიც საერთოდ არ ყოფილა თვითმფრინავში და აქციის მოწყობიდან მხოლოდ სამი თვის შემდეგ დააპატიმრეს... თქვენ გაასამართლეთ და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეთ სრულიად უდანაშაულო ადამიანს – მამა თევდორეს“ [45], აღნიშნავს ღია წერილში ავტორი და შემდეგ ხსნის, თუ რატომ გახდა საჭირო ე. შევარდნაძისათვის უდანაშაულო ღვთისმსახურის სიკვდილით დასჯა. „მამა თევდორე, – მიუთითებს ავტორი, – სუკისა და პირადად ამხ. შევარდნაძისათვის ძალზე მოუხერხებელი პიროვნება გახლდათ. ხოლო მას შემდეგ, რაც 1983 წლის პოლონეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს დაღუპულთ, მამა თევდორემ პარაკლისი გადაუხადა სამების ეკლესიაში, იგი ამხანაგი შევარდნაძისათვის საშიშიც გახდა. აი იმის ჭეშმარიტი მიზეზი, რატომ გაასამართლეთ და რატომ მიუსაჯეთ სიკვდილი უდანაშაულო ბერს“, – მიმართავს იგი ე. შევარდნაძეს და ბოლოს ამბობს: „1983 წლის 18 ნოემბრის ტრაგედიის შესახებ მან ისევე შეიტყო, როგორც მე და თქვენ... აქციამდე 10 თვის განმავლობაში მას ხომ საერთოდ არ ჰქონია შეხების წერტილი „გამტაცებლებთან“, 1984 წლის თებერვალში კი „ბანდის მეთაურის“ ბრალდებით დააპატიმრეს...

მამა თევდორეს მიმართ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი იყო სისასტიკისა და ცინიზმის გაუგონარი აქტი.

მამა თევდორე რწმენისათვის აწვალეს მწვალებლებმა.

ამხანაგო ედუარდ, ვერ დამარწმუნებთ, რომ „არაფერი იცოდით“, არაფერ შუაში ხართ და არაფერი გახსოვთ“. აი, რას ამბობდა სიკვდილმისჯილი ბერი „საბოლოო სიტყვაში“, – აღნიშნულია ღია წერილში,–„ღმერთო, მომეცი ძალა სიმართლე ვთქვა და თუ ღირსი ვარ, დამიცავი.

უპირველეს ყოვლისა მინდა გითხრათ, რომ მე, როგორც მსჯავრდებული აქ არ უნდა ვიყო. არც ერთ ქვეყანაში უდანაშაულო ადამიანს არ სჯიან, მით უფრო არ ხვრეტენ. თქვენ იცით, რომ მე ღვთისმსახური ვარ და ამის გამო მასამართლებთ...“ [იქვე].

აი, ამგვარი ხასიათს ატარებდა ე.შევარდნაძის იეზუიტური რეჟიმი საქართველოში. აქ ყველაფერი უნდა დამორჩილებოდა ერთი კაცის მისაღწევ მიზანს, ე. შევარდნაძისათვის კარიერის ახალ საფეხურზე ასვლის მოთხოვნას... და მან მართლაც მოახერხა ჩვენს სამშობლოში მისი მმართველობისათვის დამახასიათებელი ძალადობის დიქტატურის დამყა-

რება. ამ საქმეში მას მხარში ედგა ჩვენს მიერ ზემოთ მხილებული წითელი ინტელიგენციის ელიტარული კადრები და მისი „ავტორიტეტის“ ხიბლის ქვეშ მოქცეული, მათგანვე დაბოლებული და გამასებული საზოგადოების ნაწილი. ამიტომ მათთვის ბოლომდე მიუღებელი დარჩა ეროვნული იდეალები და მისი განხორციელებისათვის მებრძოლი პატრიოტების საქმიანობა. ამიტომაც დღემდე შემორჩენილი მისი ნარჩენები კვლავ კომუნისტური შემართებით ებრძვიან ყოველივე ეროვნულის მომძლავრებას (ეს იქნება ეროვნული ეკონომიკის გამოღვიძება, სახელმწიფოებრიობის საფუძვლების განმტკიცება თუ სხვა) რადგან ეს მათთვის არის მათი საბოლოო მხილების შანსის მოსპობისათვის ბრძოლა. აი, აქედან იღებს სათავეს ის ღვარძლი და შეურიგებელი მტრობაც ახალი ქართული სახელმწიფოს მიმართ, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში მათ სასტიკი მარცხი განიცადეს და ამიტომაც მის შემადგენლობაში ვერ ხედავდნენ თავიანთი გაშიშვლებული პოლიტიკური ჰაბიტუსისათვის პერსპექტივას და, რა თქმა უნდა, ადგილსაც. მათ, მასზე შურის საძიებლად დარჩათ ერთადერთი გზა, – ლანძღვა-გინებად უნდა დაინთხნენ და ამას აკეთებენ კიდეც, რაც მათი მარადიული კომუნისტური შიგთავსის გამომზეურებას წარმოადგენს მხოლოდ და არა ქვეყნის მომავალზე ფიქრის შედეგს, როგორც ეს მათ სურთ წარმოაჩინონ.

ყოფილ საბჭოთა კავშირში გამეფებული ტოტალიტარული რეჟიმის რამდენადმე ლიბერალიზაციისაკენ გადაიდგა ნაბიჯები ე.წ. „პერესტროიკის“ („გარდაქმნა“) პერიოდში, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა ქვეყანაში ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების განხორციელების მცდელობას; მაგრამ კოსმეტიკური ხასიათის ცვლილებები საკმარისი არ იყო ზემოთ წარმოჩენილი ატმოსფეროს შესაცვლელად. საბჭოთა საქართველოს ახალი ხელისუფლება კი, რომელიც ე. შევარდნაძის მოსკოვში გადაყვანის შემდეგ მოვიდა მმართველობაში, სრულებითაც არ აპირებდა ეროვნული მოძრაობის ძალების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შეცვლას და მისთვის განსაკუთრებით მტკივნეულად მოსანელებელ მომენტებში არ ერიდებოდა ამ მოძრაობის ლიდერთა განადგურების გეგმებზე მსჯელობასაც (ასლანიკაშვილის ვარიანტი – უ. ო.) 1987 წლის აგვისტო [46]. ამიტომ ქართული ეროვნული მოძრაობის მესვეურთ ამ პერიოდში დიდი სიფრთხილითა და წინდახედულობით უხდებოდათ მოქმედება. მათ ეკოლოგიური პრობლემების წინ წამოწევითა და გონივრული, სამართლებრივად დასაბუთებული არგუმენტების მოშველიებით ჯ. პატიაშვილის ხელისუფლებას ჩაუშალეს საქართველოში ტრანსკავკასიური რკინიგზის მშენებლობის გეგმა, რომლისთვისაც უკვე მილიარდობით მანეთი იყო გამოყოფილი [იქვე]. ამასთან წინ წამოსწიეს ისტორიულ ძეგლთა დაცვის პრობლემები, რომელთა შორის განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გადარჩენისათვის წარმოებულმა უშეღავათო ბრძოლამ. ამ ბრძოლის ბოლო ეტაპზე ქართველსა პატრიოტებმა მიმართეს მიმართეს სკკპ ცკ-ს გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვს, სკკპ ცკ-ს მდივანს ი. ლიგაჩოვს, საქართველოს კპ-ს პირველ მდივანს ჯ. ი. პატიაშვილის შემდეგი წერილით:

„დავით გარეჯის სამინისტრო კომპლექსი მსოფლიო კულტურის უნიკალური ძეგლია. VI საუკუნეში დაარსებული ეს გასაოცარი ქმნილება წარსულში არაერთხელ ააოხრეს თურქსელჯუკებმა, მონღოლებმა თუ სპარსელებმა. მაგრამ თემურ-ლენგისა და შაჰ-აბასის ჯარებისაგან მისი რბევა ოდნადავაც ვერ შეედრება იმ გაუგონარ ბარბაროსობას, რომელმაც იგი ჩვენს ეპოქაში სრული განადგურების პირას მიიყვანა. ამ საუკუნის 20-იან წლებში ეკლესია-მონასტრების ცნობილ ნგრევა-განადგურებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, 1948 წლიდან კომპლექსის ტერიტორიაზე სამხედრო პოლიგონი ამოქმედდა და იგი ბრძოლის

ველად, ხოლო მისი უიშვიათესი ფრესკები სამიზნეებად იქცნენ. ტყვიებით დაცხრილული, თვალებდათხრილი და აურაცხელი ნაჯღაბნით აჭრელებული ფრესკები, ეკლესიათა ჩამოქცეული კედლები. აი, რა სურათს ნახავს დღეს მნახველი გარეჯის უდაბნოში: „Осуществил перенесения огня на ету цель“, მიუწერია ბერთუბანში ეკლესიის ფრესკიან კედელზე ვინმე პოდპოლკოვნიკ არხანგელსკის 1952 წლის 15 ოქტომბერს.

ა.წ. 18 ივლისის გაზეთ „კომუნისტში“ ძეგლთა დაცვის სამმართველოს უფროსი ი. ციციშვილი საზოგადოებას აუწყებდა: „იმის გამო, რომ გარეჯის მიდამოები **გარკვეულ სამსახურებს ეკავა, აქ შეუძლებელი და უაზროც იყო გამაგრებითი ან სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება. უფრო მეტიც, კლდეში ნაკვეთი ნაგებობანი და კედლის მხატვრობა თანდათან ნადგურდებოდა და თითქმის განწირულიც იყო**. წლების მანძილზე ყველა ინსტანციაში გაგზავნილმა თხოვნამ ნაყოფი არ გამოიღო და მხოლოდ ახლა გადაწყდა გარეჯის მონასტერთა ბედი“... შემდეგ ვკითხულობთ, – აღნიშნავს ავტორი, რომ ამ საკითხზე მიმართეს სკკპ ცკ-ს მდივანს ლიგაჩოვს და მის მიერ გამოგზავნილმა საკავშირო სამინისტროს კომისიამ დადებითად გადაჭრა გარეჯის მონასტერთა დაცვის საკითხი. ამგვარად, ოფიციალობამ პირველად აღიარა, რომ სამხედრო პოლიგონის მოქმედების პირობებში ძეგლი განწირულია გასანადგურებლად და რას უნდა ნიშნავდეს მონასტერთა ბედის დადებითად გადაწყვეტა, თუ არა პოლიგონის მოქმედების შეწყვეტას? მაგრამ სინამდვილეში მონასტერთა ტერიტორიაზე დღესაც სეტყვასავით ცვივა ჭურვები, რყევებისაგან თანდათანობით ნადგურდებოდა ფრესკები, ინგრევა ეკლესიათა კედლები, რადგანაც ციციშვილის მიერ ნახსენები „გარკვეული სამსახურები“ კვლავაც ადგილზე არიან და სრულებითაც არ ფიქრობენ ამ ტერიტორიების დატოვებას. ცივილიზებული კაცობრიობის სულიერ ფასეულობათა სრული უგულებელყოფით ჩვენს თვალწინ ხდება ჩვენი კულტურისა და ისტორიის უბრწყინვალესი ძეგლის გეგმაზომიერი განადგურება.

ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ დავით გარეჯის ტერიტორიიდან სამხედრო პოლიგონის დაუყოვნებლივ გადატანას“, – [47], აცხადებს წერილის ავტორი.

ასეთი იყო ქართული კომუნისტური კოლაბორაციონიზმის მიერ უფროს ძმად შერაცხული საბჭოთა რუსეთის დამოკიდებულება თავისი „უმცროსი ძმისადმი“. როგორც ვხედავთ, როდესაც ე.წ. ერთიან საბჭოთა ოჯახში „მშვიდობიანი“ თანაარსებობის დროს იგი ვერ ახერხებდა აშკარა საომარი მოქმედების წარმოებას ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ და ქართველი ხალხის ფიზიკურ განადგურებას, საქართველოს ისტორიული ძეგლებისა და მისი უნიკალური რელიქვიების, სულიერი საფუძვლების მოსპობით ცდილობდა თავისი ბარბაროსული ჟინის მოკვლას. და ეს ასე იქნება ყოველთვის და მანამ, სანამ ქართული სახელმწიფოს მესვეურები ერთიანად არ დააფიქსირებენ ყოველივე ამის გამო თავიანთ პრინციპულ პოზიციას და დღემდე თავისი ხუშტურების მიხედვით მოქმედ გაუგნურებულ მეზობელს არ შეაგნებინებენ თვით რუსული სახელმწიფოს მომავლისათვის ამგვარი ქმედებების მავნეობას და პერსპექტივაში მის დამღუპველობას. დღეს კი ზოგიერთ ქართველ „ოპოზიციონერთ“ იმდენი ისტორიული მეხსიერება და ამასთანავე ღირსება მაინც უნდა გააჩნდეთ, რომ დღევანდელი რუსეთის ხელისუფლების ოპოზიციას არ ჩამორჩნენ ისტორიული სამართლიანობის და რაც მთავარია, თანამედროვე რეალობის სწორად აღქმასა და გაგებაში. უამრავი ისტორიული ფაქტებია, თუ რა მოგვიტანა რუსეთის წინაშე მუხლებზე ხოხვამ და მისი სახელმწიფოს წიაღში ჩვენი სამშობლოს არსებობის 200 წლოვანმა ისტორიამ.

ეს უკვე განვლილი ეტაპია და უკან დაბრუნება შეუძლებელია!!!

საბჭოთა საქართველოში, 1977-1987 წლებში არსებული ასეთი უმძიმესი მდგომარეობის მიუხედავად, აქტიურად მიმდინარეობდა ეროვნული იდეალების აღორძინებისათვის ქართველ პატრიოტების მიერ წამოწყებული უშეღავათო ბრძოლა, რამაც თავისი გამოძახილი ჰპოვა, უპ. ყოვლისა, სტუდენტ-ახალგაზრდობასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა პროგრესულ ფრთაში. ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას წინააღმდეგ ინსპირებულმა სასამართლო პროცესმა მიზანს ვერ მიაღწია. პირიქით, მან კიდევ უფრო აშკარად წარმოაჩინა ქართული საზოგადოების სიღრმეში გამჯდარი წყლულები და ხელი შეუწყო ამავე საზოგადოების გამიჯვნასაც, ერთი მხრივ, ეროვნულ და მეორე მხრივ, კოლაბორაციონისტულ პოზიციაზე მდგარ ნაწილებად. რომელთაგან პირველმა თავისი ბრძოლა თავდაპირველად მიმართა ქართული ენის, საქართველოს ბუნების, მისი ისტორიული ძეგლების დაცვისაკენ, რითაც გარკვეულ დრომდე თავიდან აიცდინა კომუნისტური რეჟიმის რეპრესიული მანქანის გამანადგურებელი დარტყმა და ეროვნული ძალები შეამზადა განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალ ეტაპზე გადასასვლელად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. არჩვაძე-გამსახურდია, ოქროს საწმისი (ქართული თვითგამოცემა 30 წლისაა), გამომც. „საქართველოს მაცნე“, თბ., 2006:

ა. ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №1, 1975 (მაისი);

ბ. ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №2, 1975 (ივლისი);

გ. ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №3, 1976;

დ. ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №4, 1976;

2. გ. ჯაბაშანური, ინვექტივა-მონუმენტი, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №1, 1975

3. ლ. ქართველი, სიტყვა ერისადმი, უკანასკნელი ცრემლი, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №1, 1975

4. ივ. ჯავახიშვილი, XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, „ოქროს საწმისი“, იქვე.

5. ნ. წულეისკირი, ნუ დავივიწყებთ მშობლიურ ენას, (სიტყვა წარმოთქმული ე.შევარდნაძესთან შეხვედრის დროს, მწერალთა კავშირში“, ჟურნ. „ოქროს საწმისი. იქვე.

6. ზვიად გამსახურდია, გურამ რჩეულიშვილის მოსაგონარი, ჟურნ. „ოქროს საწმისი, №1, 1975.

7. მერაბ კოსტავა, გურამ რჩეულიშვილი, იქვე.

8. გ. გამყრელიძე, „გლეხი ჩეროში“, „როსინანტი“, ჟურნ. „ოქროს საწმისი, №2, 1975.

9. კ. გამსახურდია, ველიკორუსები და არარუსები, გაზ. „სახალხო საქმე“,№25, 1917, 13 აგვისტო (ოქროს საწმისი, გვ. 190-194).

10. კ. გამსახურდია, ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი (ოქროს საწმისი, გვ. 195-199).

11. კ. გამსახურდია, პასუხი, გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“,№62, მაისის 15, 1921 წ. გვ. 1-2 (ოქროს საწმისი, გვ. 200-205).

12. კ. გამსახურდია, ვინ არის შოვინისტი“, გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“,№72, 1921 წ. მაისის 28, გვ.1-2 (ოქროს საწმისი, გვ. 205-209).

13. მ. აბაშიძე, მონა ღვთისა და მონა ერისა, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №3, 1976 (ოქროს საწმისი, 265-284).

14. ს. ცვაიგი, წინასიტყვა „გველის პერანგისა“, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, გვ. 287-288).

15. კ. გამსახურდია, ქართველ მწერალთა კონფერენციაზე, გაზ. „სახალხო საქმე“, № 77, 19127, 15 ოქტომბერი, გვ. 3 (ოქროს საწმისი, 289-292).

16. კ. გამსახურდია, გაორებული საქართველო, გაზ. „სახალხო ფურცელი“, №828, 1917, 11 აპრილი (ოქროს საწმისი, 295-297).

17. კ. გამსახურდია, წერილი პატიმარი პოეტისადმი, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №3, 1976 (ოქროს საწმისი, გვ. 297-298).

18. სრულიად საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობის სტენოგრამა, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №3, 1976 (ოქროს საწმისი, გვ. 298-307).

19. საქართველოს საკითხი თავისუფალი მსოფლიოს წინაშე, ჟურნ. „ოქროს საწმისი“,№4, 1976 (ოქროს საწმისი, გვ. 313-315).

20. გალაქტიონ ტაბიძე, საქართველო, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №4, 1976 (ოქროს საწმისი, გვ. 316).

21. ვაჟა-ფშაველა, სოციალ-დემოკრატისადმი, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №4, 1976 (ოქროს საწმისი, გვ. 317).

22. იოსებ გრიშაშვილი, „ახალ ხელისუფლებას“, „ოცდახუთი თებერვალი“, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №4, 1976 (ოქროს საწმისი, გვ. 318).

23. პ. დიდებულიძე, ლექსები, „ოქროს საწმისი“, №4, 1976 (ოქროს საწმისი, გვ. 21).

24. გ. ამაღლობელი, ლექსები, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №4, 1976 (ოქროს საწმისი, გვ. 339-344).

25. ო. მაისურაძე, ლექსები, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №4, 1976 (ოქროს საწმისი, გვ. 345).

26. ადამ ბობღიაშვილი, ლექსები, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №4, 1976 (ოქროს საწმისი, გვ. 352-364).

27. ზვიად გამსახურდია, ღია წერილი საქართველოს მწერალთა VIII ყრილობის პრეზიდიუმისაგან, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №4, 1976 (ოქროს საწმისი, გვ. 400-406).

28. მერაბ კოსტავა, გამოსათხოვარი, ჟურნ. „ოქროს საწმისი“, №4176, 1976 (ოქროს საწმისი, გვ. 407-415).

29. ვის აძლევს ხელს?, გაზ. „კომუნისტი“,№68 (16805), 1977, 23 მარტი.

30. მოღალატე ფარისევლები, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, №27, 1977, 28 მარტი.

31. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი დავით V, მიტროპოლიტი გაიოზი, წილკნელი, მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი ეპისკოპოსი გიორგი,ალავერდელი, 17, III 77 წ. თბილისი.

32. ვ. ქვაჩახია, ცილისმწამებლებსა და პროვოკატორებმა პასუხი უნდა აგონ, გაზ. „კომუნისტი“, №76 (16813), 1977, 1 აპრილი.

33. რედაქციისაგან, იქვე.

34. საქართველოს მწერლების საკადრისი პასუხი, გაზ. „კომუნისტი“, №77 (16814), 1977, 2 აპრილი.

35. არა ცილი სწამო!, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი დავით V, მიტროპოლიტი გაიოზი, წილკნელი, მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი, ეპისკოპოსი გიორგი, ალავერდელი, 17. III, 77 წ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №14 (2065), 1977 1 აპრილი.

36. გ. კერატიშვილი, მითი და სინამდვილე, გაზ. „ასავალ-დასავალი“, №1 (797), 2009, 28 დეკემბერი – 2010, 10 იანვარი, გვ. 2-18.

37. სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომისა, ოქროს საწმისი, თბ., 2006, გვ. 13-28.

38. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომის ოქმი, ოქროს საწმისი, 2006, გვ. 31-40.

39. ოქროს საწმისი, იქვე, გვ. 8-9.

40. უჩა ოქროპირიძე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის თანამედროვე პერიოდი და აჭარა (1988.X-1994.1.III), გვ. 22-23.

41. სოფიო ღლონტი, ზვიად გამსახურდიას ქრისტიანული მრწამსი („მერაბ კოსტავას განცხადება“), თბ., 2007, გვ. 41-42.

42. თამარ ჩხეიძის პირადი არქივიდან, გვ. 15.

43. ე. შევარდნაძე, ფიქრები წარსულზე და მომავალზე, თბ., 2008.

44. გ. თვალელი, აჭარელნი ლტოლვილნი (რიბაკოვსკის გეგმა მოქმედებაში), 1982.

45. ელისაბედ ჩიხლაძე, ღია წერილი ამხანაგ ედუარდ შევარდნაძეს, გაზ. „საქართველოს სამრეკლო“, №106 (136), 1999, 7-13 იანვარი, გვ. 3 და 8.

46. ანდრია კუპეტოვი, ზარი ბიჭვინთის აგარაკზე, „Независимая газета“, 18 июля, 1991.

47. თამარ ჩხეიძე, სკკპ ცკ-ს გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვს, სკკპ ცკ-ს მდივანს ი. ლიგაჩოვს, საქართველოს კპ-ს პირველ მდივანს ჯ. ი. პატიაშვილს (თ. ჩხეიძის პირადი არქივიდან).



სიმონ გიგიტიძე

კირნათის თემის მოსახლეობის ბრძოლა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ

საქართველოს წარსულში მრავალტანჯულ და განაწამებ კირნათ-მარადიდის მოსახლეობამ დიდი, ხანგრძლივი ეროვნული ჩაგვრა და ტანჯვა განიცადა სასტიკი და დაუნდობელი დამპყრობლებისაგან.

ჯერ კიდევ 1525 წლიდან იწყება სილამაზითა და სიმშვენიერით განთქმულ სოფელში ეროვნული ტრაგედია, მაგრამ, აქაურ მცხოვრებლებს ქედი არასდროს მოუხრიათ დამპყრობლების წინაშე და ვაჟკაცურად ინარჩუნებდა თავის ეროვნებასა და რწმენას.

აჭარის მოსახლეობას მსგავსი სენი არ ახლოვს თავისი არსებობის ხანაში: მოსახლეობის დაპყრობა-განადგურება, ძარცვა-გლეჯვა, მოსახლეობის სარწმუნოების წართმევა, ძალდატანებით გამუსლიმანება, მეურნეობისა და ეკონომიკის მოსპობა და ა. შ.

აჭარელი ხალხის გმირულ მატიანეში თავისი წვლილი შეიტანეს სოფელ კირნათის ტერიტორიაზე არსებულმა გვარას ციხემ. როგორც ცნობილია, ამ ციხის ისტორია დღემდე უცნობი და დაუდგენელია. მძიმე, აუტანელმა ისტორიულმა ხვედრმა ვერ დააჩოქა კირნათელი კაცი, მათი წინაპრები, მიუხედავად მრავალგზისი, გამუდმებული დევნისა და აწიოკებისა; ათასი ჯურის დამპყრობელმა, უფრო მეტად თურქ-ოსმალებმა ვერ მოახერხეს გულიდან ამოეგლიჯა და დაევიწყებინა აქაურებისათვის მშობლიური ქვეყნის – საქართველოს სიყვარული.

ამ დიად საქმეში აქაური ქალები მამაკაცების გვერდზე იდგნენ: რჯულის გამოცვლის გამო აჭარელმა დედაკაცებმა აიღეს ხმალ-ხანჯალი ხელში და გამოვიდნენ საბრძოლველად. მათ მტკიცედ გადაწყვიტეს – ან მამა-პაპათა რჯულზე უნდა დავრჩეთ, ან სულ, პირწმინდათ უნდა გავწყდეთო. ოსმალნი ათასობით დახოცეს, მაგრამ ბოლოს მაინც თურქები მოერივნენ. აჭარელი ხალხი დამარცხდა, ხალხი გაწყდა, ვინც გადარჩა, გარეკეს ოსმალეთში. ასეთივე გმირობა და ვაჟკაცობა გამოუჩენიათ კირნათელ ქალებსაც. ამ სოფლის უხუცესი კაცის, აწ განსვენებული მუსა კახაბერიძის გდმოცემით, როდესაც დაინახეს, რომ ბრძოლის გაგრძელება შეუძლებელი იყო და სხვა გამოსავალი არ არსებობდა, „კირნათის ტყეში ხანჯლით თავი მოიკლა ოთხმა აქაურმა ქალმა, სამმა კიდევ თავი ჩამოიხრჩო, ორმაც კიდევ თავი მოიწამლა“. რამდენია ასეთი, რომელთა შესახებ ისტორიამ მათი გმირობის შესახებ არაფერი არ შემოგვინახა.

მკვლევარმა ზ. ჩიტაძემ თურქების მიერ მარადიდში ჩადენილი მხეცობის შესახებ, მასალები ერთად მოაგროვა თავის წიგნში. გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს: ერთ დღეს მარადიდში 400 კაცს მოუყარეს თავი. ამავე დროს დამპყრობლებმა ეკლესიაც დაანგრიეს და მარადიდის ხიდიც დაწვეს, რომ ხალხი არ გაქცეულიყო. ამ მხარეში მარადიდის გარდა სხვა ხიდი ჭოროხზე არ არსებობდა. ლუკა ანდღულაძის ცნობით, მარტო ერთ დღეს აჭარაში 1400 კაცს მოჭრეს თავი და ჭოროხში ჩაყარეს, მათ შორის ბევრი ქალი იყო, რომლებმაც მაჰმადიანობა არ მიიღეს. მარადიდის 120 კაცმა თავი დაიხრჩო, ქვედა მარადიდიდან 50 კომლიდან

45 კომლმა ჭოროხში დალია სული, მთელი სოფლიდან 5 კომლი დარჩა.[1]

1461 წელს თურქმა დამპყრობლებმა აიღეს ტრაპიზონი და დაიკავეს მისი მიდამოები. აქედან მოყოლებული მათ გააფართოვეს საომარი მოქმედებები ქართული მიწა-წყლის ხელში ჩასაგდებად. 1474-1475 წლებში მათ დაიკავეს ლაზეთი, ჭოროხის ხეობა, მოგვიანებით ბათუმი და აჭარაც.

სულთნის დავალებით ტრაპიზონის მოსახლეობა ზამთარში გარეთ გაყარეს და ბინებში მუსლიმანები ჩაასახლეს. როგორც სხვაგან, ასე აქაც თურქები უმსგავსო მხეცობას ჩადიოდნენ.[2] ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ 1500 წელს სასტიკი ბრძოლა გამართულა ბათუმთან. ქართულ ჯარს ხელმძღვანელობდა ათაბაგი ქაიხოსრო ჯაყელი. ბათუმის მოსახლეობა მეზობელი სოფლების დამხმარე ჯარის ნაწილებთან ერთად თავგანწირული ებრძოდა მტერს. მესხები და აჭარლები არ თმობდნენ სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში მყოფ ბათუმსა და მის მიდამოებს. 1504 წელს ქაიხოსრო 63 წლის ასაკში ერთ-ერთ ბრძოლაში მძიმედ დაჭრილა და მალე გარდაიცვალა.

ქაიხოსროს შემდეგ თურქი მოძალადეების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზატორობა მზეჭაბუკ ათაბაგმა იკისრა. სიკვდილამდე (1916 წ.) დაუღალავად და ენერგიულად ებრძოდა მომხვდურებს. 1517 წელს ოსმალეთის პირველი ლაშქრობები სამცხე-საათაბაგოზე XV ს. მეოთხედში დაწყებულა. ლიგანის ხეობა და მთელი აჭარა ამ პერიოდში სამცხე-საათაბაგოს შემადგენელი ნაწილი იყო. აქაური მოსახლეობა ათაბაგების ხელშეწყობით გმირულად იბრძოდა თურქი მოძალადეების წინააღმდეგ.

ლიგანის ხეველნი 1515-1516 და 1519 წლებში ათაბაგების მზეჭაბუკისა და ყვარყვარე III დროს იბრძოდნენ ბათუმისთვის. მურღულის მოსახლეობას თავი უსახელებია 1517 წელსაც კახაბერთან გამართულ ბრძოლაში. მურღულელი მეომრების თავდადებასა და ერთგულებას დიდად გაუკვირვებია ყვარყვარე III ათაბაგი. ამიტომაც, ისინი ათაბაგმა 1518 წლიდან ბატონყმობისაგან გაათავისუფლა და იქაური ადგილები მათ პირად საკუთრებაში დაურიგა. ამ ბრძოლაში თავი უსახელებიათ აგრეთვე მაჭახლელებს, ლივანელებს და მათ შორის კირნათისა და მარადიდის მოსახლეობას.[3]

ტრაპიზონის სანჯაყბეგმა მუსტაფა-ფაშამ XVI ს. შუახანებში ერთ-ერთი ლაშქრობის დროს დაარბია და დაანგრია მაჭახლის ხეობაში არსებული ოთხი ციხე-სიმაგრე. ისინი ამ ციხეებში მყოფ მებრძოლებს თავებს კვეთდნენ. ამ ციხეებიდან ერთ-ერთი გვარა ციხე უნდა ყოფილიყო.[4]

ერგეს მინდორში (რომელსაც შემდეგ ეწოდა კახაბერის სახელი) სასტიკი ბრძოლა გამართულა მომხვდურებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. ქართულ ლაშქარს ვინმე კახაბერი მეთაურობდა. იგი ზოგიერთების აზრით, გურიელის ვაჟი სვანთა ერისთავების ვარდანისძეთა შთამომავალი ყოფილა, ზოგიერთების ვარაუდით კი აბაშიძეთა თუ კახაბერისძეთა წინაპარია. დამპყრობლები 1519 წელს ისევ გამოჩენილან ბათუმთან, რომელსაც 25 ათასიანი ჯარი იცავდა კახაბერის მეთაურობით. ბათუმსა და მის მიდამოებს არც ამის შემდეგ ჰქონია მოსვენება. მტერი ხან ბათუმსა და გონიოს უტევდა, ხანაც ლიგანის ხეობის მხრიდან – მარადიდსა და მაჭახლის ხეობის სოფლების – მათ შორის კირნათს.

წერილობით წყაროებში დაცულია ამგვარი ცნობა: „თურქნი შთავიდეს მურღულს და ნიგალისხევს უვალთა ადგილთა, რომელნი მოისრნეს ხერხემლისძეთა აზნაურთაგან“. აზატ მოსეს შემოსევის დროს თურქებმა დაიპყრეს ჭოროხის ხეობის ქვეყნები: ბასიანი, ტაო და ნიგალისხევი. აღნიშნულ მიდამოებში თურქებს გზა გადაუკეტეს ადგილობრივი ფეოდ-

[1] ზ. ჩიტაძე. დამპყრობთა წინააღმდეგ აჭარის მოსახლეობის ბრძოლის ისტორიიდან, ბათ., 1974, გვ. 41-43.

[2] ხ. ახვლედიანი. სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათ., 1957 (1956), გვ. 18-19.

[3] ნ. ომერაძე. მაჭახლის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსული, აჭარის სახ. მუზ. შრომების ფონდი 1130, 1993.

[4] ნ. კახიძე, რ. მალაყმაძე, მატერიელური კულტურის ძეგლები ზედა მაჭახელში, ჟურნ. მაჭახელი, ბათ., 2011, 5, გვ. 11.

ალების ხერხემლიძეების ქვეშევრდომებმა. ცნობილია, რომ ხერხემლიძეების აზნაურები ნიგალის ხეობას განაგებდნენ. მათ მეზობლად მოიაზრებიან თავდგირიძეები თავიანთი სამფლობელოებით. შემდეგ თავდგირიძეები დაწინაურებულან და თავის ყმობაში მოუქცევიათ ხერხემლიძეების ჩამომავლები.

სამხედრო ისტორიკოსი იაკობ პროსკურიაკოვი წერდა, რომ ბათუმი თურქებმა 1547 წელს დაიპყრესო და გარნიზონიც ჩააყენესო.[5] ამავე თარიღს მიუთითებდა ფიოდორ უსპენსკიც.[6] შესაძლებელია ისინი ემყარებოდნენ ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას, რომლის მიხედვით ოსმალებს ჭანეთი და აჭარა ბათუმითურთ დაახლოებით 1547-1548 წლებში დაუპყრიათ. ი. ბექირიშვილის მიხედვით, 1547 წელს თურქებს ბათუმში ციხე-სიმაგრე აუგიათ, რომელიც ახლანდელი ხის დამმუშავებელი კომბინატის, რკინიგზის სადგურის ცენტრალური გადასატვირთავი ნავთობგაზის ტერიტორიები ეკავა. გონიოს ციხე-სიმაგრეში კი ჯარი ჩააყენეს. ხ. ახვლედიანის ვარაუდით, 1552 წელს თურქებმა აიღეს მაჭახლის ხეობა და ბათუმს შემოუტიეს.[7] სხვათა შორის ამგვარი თარიღი დავაფიქსირეთ მარადიდში გამოკითხვის დროსაც. ამ სოფლის მკვიდრი დიდმანიძე ისმაილი (შოთა) მოგვითხრობს, რომ 1552 წელს შემოსულან თურქები მარადიდში. მაშინ აქ მხოლოდ დიდმანიძეთა ერთი ოჯახი დარჩენილა, დანარჩენები გაქცეულან. ესენი გამუსლიმანებულან და აქედან გამრავლებულან კიდეც. ე. ბრაიერისა და დ. ვინფელდის ვარაუდით, ბათუმი და მისი შემოგარენი თურქებს 1547-1552 წლებში დაუპყრიათ.

კირნათში (კობალეთი) მცხოვრები მუსა კახაბერიძე (დაბადებულია 1898წ.) ამბობდა, რომ მდინარე ჭოროხის მარცხენა მხარე და ლივანა თურქებმა 80 წლით ადრე დაიპყრო, ვიდრე ქვედა აჭარა.

[5] ი. ბექირიშვილი. აჭარის სტუმრები, ბათ., 1978, გვ. 4.

[6] Ф. Успенский. Старинная крепость на устье Чороха. - ИИАН, П., 1917, №2, с. 168-169.

[7] ხ. ახვლედიანი. სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათ., 1957 (1956), გვ. 18.

შუშანეთელი ოსმან შოთიძის გადმოცემით (რომელსაც თვითონ თავისი მამისგან გაუგონია), როცა თურქი დამპყრობლები ჩვენს სოფელს შემოესიენ და ხალხი ვერ გაუმკლავდა, გაიხიზნენ კირნათის მაღალმთიან ზონაში. იქ ეძებდნენ თავშესაფარს, სადაც ისინი შეჩერდნენ იმ ადგილს ნასადგომევი უწოდეს. ამ ადგილს ამჟამადაც ასე ჰქვია.

ლტოლვილები იმალებოდნენ აგრეთვე კირნათის ხევის შუა უბანში – ხუნდურათის მთის შეერთებაზე ვაივაფხეს გორაზე. თურქი დამპყრობლების დროს სოფელში იყო ორი შიდა თავადური გვარი წითელაძე და კახაბერიძე. მათ არ მიუღიათ მაჰმადიანური რელიგია და არც თურქული გვარი. თურქები ჩვენი ხევიდან მოსახლეობას განუწყვეტლივ ერეკებოდნენ.[8]

გ. ალასანია ეხება თურქი მკვლევარის დ. აიდინის აზრს, თურქთა მიერ ბათუმის დაპყრობასა და ბათუმის სანჯაყის შექმნის დროის შესახებ, დ. აიდინი წერს, რომ ბათუმი ოსმალებმა პირველად XV საუკუნეში მიიტაცეს, ხოლო მეორედ 1545 წელს. სანჯაყი 1549 უკვე არსებობდა, მისი პირველი სანჯაყბეგი ემირ ბეი იყო. იმ პერიოდში ბათუმის სანჯაყბეგები გონიოს ციხეში ისხდნენ. ბათუმის სანჯაყი 1564 წელს ხელახლა იქნა აღწერილი. ასევეა სხვა თურქი მეცნიერების შრომებში (ბ. ქუთუქოღლუ, მ. კირზიოღლუ).

გ. ალასანიას შენიშვნით, 1556 წლის ერთ-ერთი თურქული საბუთის მიხედვით, ტრაპიზონის სანჯაყი მხოლოდ მდინარე ჭოროხის შეერთებამდეა. აქედან ცხადია, რომ მარადიდი ამ დროისათვის თურქებს უკვე მიტაცებული აქვთ. 1579 წელს მათ ჩილდირის (ახალციხის) საფაშო შექმნეს. 1595 წელს დაპყრობილი მიწები გურჯისტანის დიდ დავთარში შეიტანეს. ამ დავთარში ლიგანი და მისი მასაზღვრე ოლქები არ შეუტანიათ, რადგან ისინი გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალების პირად მფლობელობაში იყო დატოვებული და აღწერას არ ექვემდებარებოდნენ.[9]

[8] ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორული ფონდი, №42, 1960 წ. ჩაიწერა ჯ. ნოღაიდელმა, გვ. 121-122.

[9] მ. სვანიძე. საქართველო – ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს. გვ. 81, 193-194; ა. ავალიანი. მიწათმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათ., 1960, გვ. 58.

თავად თურქი ისტორიკოსი ევლია ჩელები 1647 წელს მოგვითხრობს სეიდი ახმედ ფაშას ჯარის მიერ ლივანის დაპყრობის შესახებ: „სამოცდასამი სოფლიდან თხუთმეტი დამორჩილდა და დანარჩენი კი დააქციეს. ამის შემდეგ დაპყრობილ იქნა თაქხისი, ახჩაყალე, ლივანას ხეობა და ჯარი თორთუმში მოვიდა“ ევლია ჩელები. მოგზაურობის წიგნი, ნაკვ. I, თბ., 1971, გვ. 322. მოგზაური იმასაც მოგვითხრობს, რომ ლივანა 365000 ახჩას იხდიდა, მაჭახელა – 20322, აჭარა კი – 200000-ს.

1668 წელს მთელი აჭარა აუჯანყდა ოსმალეთს. ამის შემდეგაც ბრძოლა არ ჩამქრალა. 1685 წელს ლიგანის ხეობაში სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართა. ასე იყო შავშეთშიაც 1990 წელს, ხოლო 1697 წელს მთელი სამხრეთი საქართველო საყოველთაო აჯანყებებმა მოიცვა. ოსმალეთი სისხლში ახრჩობდა ამ გამოსვლებს.[10]

1985 წელს ლივანის ხეობასთან ერთად აჯანყებულა კირნათ-მარადიდის მოსახლეობაც. ცნობილია, რომ ეს სოფლები 1740 წელს სასტიკად გაუნადგურებიათ თურქებს. ცნობილია, რომ მარადიდელებმა თურმე აღდგომა იზეიმეს, თურქებმა ეს მოვლენა ღალატში ჩათვალეს და მცხოვრებლები აწამეს და დახოცეს. მერე კი ცინიკურად დაცინეს „ასი წითელი კვერცხისათვის ათასმა კაცმა დაღუპა თავი და ოჯახი“.[11]

1770 წელს მაჭახლიდან გაასახლეს 30 ათ. სული, კახაბრიდან 3 ათ. ქვედა აჭარიდან კი 10 ათასზე მეტი.

ერთი ხალხური გადმოცემის თანახმად ლივანელებს, კლარჯებს და სხვებს დაუდგა უბედურების დღეები. აქაურ მოსახლეობას გარს აუარებელი ოსმალეთიდან მოსული ჯარი შემოეკრა და იწყეს მათი დაპატიმრება. დედაკაცნი და მამაკაცნი ხმამაღლა ყვიროდნენ „არ გავთათრდებითო“. პატიმარ ქართველებს მოუყარეს თავი და ყველა, წყობა-წყობა მიჰყავდათ ართვინის ხიდზე. ხიდის გვერდით ერთ ალაგას დაასვენეს ერთი ძველი ხატი, რომელიც ართვინის ეკლესიისათვის წაერთმიათ ოსმალებს.ხატის გვერდით იყო თავსაკვეთი ქვა და იდგნენ ჯალათები. ვინც გათათრდებოდა, მას სიცოცხლეს უნარჩუნებდნენ, ვინც არა და მას თავს კვეთდნენ.[12]

ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, რომელმაც თურქ-ოსმალთა მიერ აწიოკებულ მხარეს მრავალი საინტერესო და საყურადღებო ნაშრომი უძღვნა, წერს, რომ მტერს ბევრი ბრძოლა დაჭირდათ, რომ დაპყრობილი ოლქების მოსახლეობა გაემუსლიმანებიათ. მისივე გადმოცემით, თურქები ლაზისტანის დაპყრობის შემდეგ ლივანაში შემოვიდნენ, ხოლო იქედან მაჭახელში. გათათრების საწინააღმდეგოდ აჭარლებმა ბევრი სისხლი დაღვარეს. „ერთ აღდგომის მეორე დღეს – ზ. ჭიჭინაძის ცნობით, მარადიდიდან 140 კაცი ჩაცვივდა ჭოროხში და დაიღუპა სამუდამოდ“.[13]

ჩვენი მხარის მოსახლეობამ მრავალი მწუხარება და გაჭირვება გადაიტანეს თურქთა მიერ ისლამის ძალით დანერგვის წინააღმდეგ ბრძოლაში. მესხი მღვდელი გვარამაძის სახელით დაცულია ასეთი საბუთი: „რომელ ხორციელ ენას შეუძლია, რომ წარმოთქვას თვითოეული იმ ქრისტიან მამათა და დედათა დასჯა-ტანჯვანი... ვის ცოცხალს ტყავს აძრობდნენ, ვის ოთხ პალოზედ გაკრულს ბაწრით გუდათ იღებდნენ, ვის ნაკუწ-ნაკუწად სჭრიდნენ ხმლითა და ვის ხანჯლით გულმუცელს უპობდნენ, ვის შამფურზედ წამოცმულს ცოცხლებრივ ცეცხლზედ მწვადივით წვავდნენ, ვის შიშველს გახურებულ საჯზე აგდებდნენ... ვის ადუღებულ წყალში ხარშავდნენ, ვის გამდნარ ტყვიას ასხამდნენ პირში, ვის ანთებულ კირში აგდებდნენ...[14] არის ხალხური გადმოცამაც, რომელიც ზ. ჭიჭინაძეს ჩაუწერია ჩვენს მხარეში: „ლივანელ-კლარჯებისათვის დადგა დიდი უბედურების დღე-

[10] ხ. ახვლედიანი. სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათ., 1956, გვ. 33.

[11] ე. დავითაძე. სოფლის აღმშენებელნი, გვ. 152-153.

[12] იქვე, გვ. 39.

[13] ზ. ჭიჭინაძე. მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913, გვ. 131.

[14] ხ. ახვლედიანი. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათ., 1978, გვ. 58.

ები, აქ მცხოვრებ ქართველობას გარს აუარ-ებელი ოსმალოდან მოსული ჯარი შემოეკრა და იწყეს ქართველების დევნა-დაპატიმრება. მოხუცებულნი ქართველის დედა-კაცნი და მამაკაცნი ხმამაღლა ყვიროდნენ – „არ გავ-თათრდებითო“. პატიმარ ქართველებს მოუყ-არეს ერთად თავი და ყველა, წყობა-წყობად მიჰყავდათ ართვინის ხიდზე, რომელი ხიდიც ჭოროხზე იდგა. აქ აყენებდნენ ქართველებს და გარს ჯარისკაცნი სცავდნენ... ერთ ადგი-ლას დაასვენეს ერთი ძველი ხატი, რომელსაც ქართველნი დიდ პატივს სცემდნენ. ეს ხატი ართვინის ეკლესიისათვის წაურთმევიათ ოს-მალებს. ხატის გვერდით იყო თავსაკვეთი ქვა და იდგნენ ჯალათები, თავსაკვეთით აღჭურ-ვილნი. ეუბნებოდნენ: ვინც გათათრდებოდა, სიცოცხლეს შეუნარჩუნებდნენ, ვინც არა და მას თავს მოკვეთდნენ.[15]

ერთი ცნობით, რომელიც მარადიდელ პედა-გოგს ონისე ლომაძეს დაუცავს, მოგვითხრობს ადგილობრივი მოსახლეობის დამცირების და წამების შესახებ. თურქებმა 4 მარადიდელს სარწმუნოება ძალდატანებით გამოაცვლევი-ნეს, რის გამოც მათ თავი ჩამოიხრჩვეს.

თურქების მხეცობის ერთი მაგალითი 1918 წელსაც გამოვლენილა სოფელ კირნათში. იქ-აური მცხოვრები შოთიძე სული მუჰაჯირო-ბიდან ამ წელს დაბრუნებულა. სახლი დამწვა-რი დახვედრია. ნასახლევთან სახლის კეთება დაიწყო. მიწის თხრისას პატარა ჭას წააწყდა, ამოთხარა და შიგ ადამიანის 30-მდე თავი ჩა-მარხული აღმოჩნდა. მუსა კახაბერის აზრით, თურქები, როცა მოსახლეობას ძალად ამუს-ლიმანებდნენ, ზოგიერთებმა არ მიიღეს მაჰ-მადის რჯული, რისთვისაც მათ თავები მოკვე-თეს და ჭაში ჩაყარეს ან თავები ერთად მოაგ-როვეს და ცალკე დაფლეს.[16]

ამგვარი თავსაკვეთი აჭარისწყლისა და ჭო-როხის შეერთებასთან ხიდზეც მდგარა. „მო-ხუც ქრისტიანებს ჯერ ენის წვერსა, ხოლო მერე თავს ჭრიდნენ და ფაშას უგზავნიდნენ“.

გამუსლიმანების შემდეგ აჭარლები კიდევ დიდხანს ინახავდნენ ძველ სარწმუნოებას. ისინი საიდუმლოდ ლოცულობდნენ ოჯახებში, ტყეებ-ში, გამოქვაბულებში და სხვა ადგილებში. მაგა-ლითად, სოფელ შუშანეთში ნაპოვნია მიწისქვე-შა ნაგებობა, საიდუმლო სამლოცველო[17] მტერი ანგრევდა ეკლესიებს. მარადიდის ტერიტორია-ზე რამდენიმე ეკლესია იყო, ამის დასტურია შე-მორჩენილი ტოპონიმები: ნაქილისვარი, საყდა-რი და შესაძლებელია სხვაც დადასტურდეს.

სანაცვლოდ თურქები აგებდნენ ჯამეებს. ფრენკელის მონაცემებით მარადიდში 4 ჯამე იყო: ქვემო მარადიდში ერთი, ერთიც მის უბ-ან ძაბლავეთში, ერთიც ზედა მარადიდში და ამდენივე მის უბან ბერძნევში. ამ პერიოდში ჯამეებს ემსახურებოდა თითო სასულიერო პირი. გადმოცემით ჯამე ბრევეთშიც ყოფილა (დიდმანიძე დურსუნი (არჩილი).

აჭარაში ისლამის გავრცელება, ჯამეებ-ის მშენებლობა XVI საუკუნის 70-იანი წლებში თურქთა შემოჭრის შემდგომი პერიოდიდან იწყება. ადგილობრივი მოსახლეობა მათ ვერ დაიმორჩილეს, რის გამოც მტერმა ისლამის მიღება პრივილეგიურ, წამახალისებელ საქ-მედ აქციეს და გარკვეულ შედეგსაც მიაღწიეს. ფეოდალებმა მემკვიდრეობითი ქონებისა და ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით მიიღო ისლამი და პირადი მაგალითით მნიშვნელო-ვანი გავლენა მოახდინა მოსახლეობის გარ-კვეულ ნაწილზე. ამ პროცესს ახალი იმპულსი მისცა XIX საუკუნის პირველ ნახევარში თურ-ქეთში გატარებულმა რეფორმამ თანზიმათმა, რომელიც სხვა მოთხოვნილებებთან ერთად აჭარელთა ოსმალოს ჯარში სავალდებულო სამსახურს აკანონებდა. მოსახლეობის აჯან-ყებების მიუხედავად ეს მოთხოვნა მეტ-ნაკლე-ბად მაინც აღსულდა. ჯარში მათი სამსახურის დროს იქმნებოდა თურქებისათვის ხელსაყრე-ლი პირობები თურქული ენის ასათვისებლად, მათ ზნე-ჩვეულებებში ახალი ელემენტები და-მკვიდრდა. აჭარელი ხალხი ისლამს თანდათა-

[15] ზ. ჭიჭინაძე. ქართველების გამაჰმადიანება, თბ., 1907, გვ. 7-8.

[16] შ. აბაშიძე. მარადიდის და მაჭახლის ისტორიულ-ეთნოგრა-ფიული მასალები, 1948 წ., მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონ-დები №395.

[17] ხ. ახვლედიანი, 1957, გვ. 43.

ნობით უფრო ღრმად ეზიარა და ჯამეების მშენებლობაც ნელ-ნელა იზრდებოდა.[18]

ჯამეების განახლება-მშენებლობა განსაკუთრებით დაჩქარდა რუსეთ-ოსმალეთის ომის (1877-1878 წწ.) დასრულების შემდეგ. მტრული ძალები შენიღბულად მოქმედებდნენ და ხელს უწყობდნენ აჭარის მოსახლეობის მუჰაჯირობაში წასვლისათვის. აჭარაში ჯამეთა რაოდენობამ 200 მიაღწია. 1921 წლიდან აჭარაში თანდათანობით შეიზღუდა ჯამეების მშენებლობა. ხოჯა-მოლების ნაწილი სახელმწიფოს მტრად გამოცხადდა და მათზე რეპრესიები განხორციელდა. 30-იან წლებში ძირითადად შეწყდა ოფიციალური კულტმსახურება ჯამეებში და მომდევნო წლებში მოისპო მინარეთებიც. ჯამეების მცირე ნაწილი სიძველის გამო დაინგრა, ზოგიერთი დაიწვა. ჯამეთა უმრავლესობა საწყობებად, საკოლმეურნეო კანტორებად და მაღაზიებად გადაკეთდა.[19]

ჭოროხის ხეობის დაპყრობის შემდეგ თურქებმა აღწერეს მოსახლეობა და შეადგინეს ე. წ. „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი“. დამყარდა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის თურქული წესი. მცხოვრებნი დაბეგრეს სხვადასხვა გადასახადებით. ქართული მიწა-წყალი გადავიდა სულთნის მოხელეთა ხელში. სულთანი მოსახლეობის გამუსლიმანებისათვის, გარდა ცეცხლისა და მახვილისა, მიმართავდა ეკონომიკურ იძულებას: ან გამუსლიმანება, სამხედრო სამსახურში შესვლა და მიწის შენარჩუნება, ან მამულის, ქონების დაკარგვა და გადასახლება“.

გურჯისტანის ვილაეთის კანონთა წიგნში მოცემულია საქორწინო გამოსაღები, ფუტკარსა და შინაურ ცხოველებზე დაწესებული გადასახადები.[20] ჯ. პალგრევის გადმოცემით, გადასახადი იყო აგრეთვე ქონებაზე, მიწის სარგებლობაზე, ცხვარზე და სხვა. საგანგებო გადასახადები ქონებაზე, საგზაო გადასახადები.[21]

XVII საუკუნის პირველ ნახევარში ჩილდირის საფაშოში შემავალი ჭოროხის მხარე იყოფოდა 9 სანჯაყად; მათ შორის ლივანა, ნისფი ლივანა, მაჭახელა, აჭარა და სხვა.

XIX საუკუნის 20-იან წლებში ჭოროხის აუზის ის ნაწილი, რომელიც ჩილდირის შემადგენლობაში შედიოდა იყოფოდა 12 სანჯაყად. ლივანის სანჯაყის ცენტრი იყო ართვინში. აქვე შემოდიოდა მარადიდიც.

1814 წელს ლივანა-შავშეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ბრძოლა სელიმ ხიმშიაშვილსა და ფეხლევან-ბაბა-ფაშას შორის. უთანასწორო ბრძოლაში სელიმი დამარცხდა და იმერეთს შეაფარა თავი.[22]

1844 წელს, გ. ყაზბეგის გადმოცემით, სელიმ ხიმშიაშვილის მეთაურობით თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმულა მთელი აჭარა, მათ შორის ლივანის ხეობის მოსახლეობაც. სელიმ-ბეგს საბრძოლო მოქმედება დაუწყია შავშეთიდან.[23]

1879 წელს დროება (№24) წერდა, რომ ამისთანა ძარცვა-გლეჯისაგან, ბათუმის მაზრისა და აჭარა-ლივანის ხალხი დაღარიბდა. დღეს ისინი სულ შიშველ-ტიტველნი და მშიერ-მწყურვალნი არიან.

1871 წელს რუსეთ-თურქეთის ომის წინ აჭარლებს აჯანყება მოუწყიათ ბეგარის მომატების გამო. მაჭახელი, რომელშიც შედიოდა 26 სოფელი, და, მათ შორის კირნათის სოფლებიც იხდიდნენ გადასახადს უძრავი ქონებიდან, მიწის შემოსავლიდან, პირუტყვიდან, განსაკუთრებული გადასახადი, სხვადასხვა.[24]

რუსეთ-თურქეთის ომის წინ მაჭახლის, ლივანის და აჭარის გავლენიანმა გვარებმა წერილი გაუგზავნეს რუსეთის იმპერატორს.

---

[18] ჯ. ვარშალომიძე. ხის საკულტო ნაგებობანი ჯამეები (მეჩეთები) აჭარაში. – ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და კოლხეთის ინსტიტუტის სამეცნიერო სერიის მასალები III, ბათ.მ 1998, გვ. 27-28.

[19] იქვე, გვ. 28-29.

[20] ო. თურმანიძე. საადგილმამულო ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის ხანაში, ბათ., 2001, გვ. 66.

[21] (Очет консула В. Джифорда Палгрева (за 1867-1868 гг.) о провинциях: Трапезондской, Сиваской, Кастямунийской и части Ангарской. – Матерялы для описании Азятской Турции и Батумской области. Приложения к VII тому «ИКОИРГО», т. VI, Тиф., 1882, №2, с. 43).

[22] Х. Ахведиани. Прогрессивные последствия географического трактата, Бат., 1983, с. 115.

[23] ხ. ახვლედიანი. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ბათ., 1978, გვ. 115.

[24] ხ. ახვლედიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი... გვ. 118.

მასში ისინი ითხოვდნენ მფარველობას, თავად კისრულობენ მეგზურობას მათი ჯარებისას და ხელგაშლით მიგებებას. ლივანისა და მაჭახლის მხრიდან ხელს აწერდნენ: ჰუსეინ-ბეგ ბათუმელი, სანჯაყ-ბეგ-ზადე, ალი-ბეგი სული-ბეგ-ზადე მაჭახლელი, სულეიმან-ბეგ ემინ-ბეგ-ზადე, ალი-აღა ბინბაში-ზადე, არიფ-აღა მუსტაფა-აღა-ზადე, ქუჩუკ-აღა კარა-აღა-ზადე, ჰუსეინ ბეგ-აზაბაღასი, ასლან-ბეგ ალი-ბეგ-ზადე, მემედ-აღა სანი-ბეგ-ზადე, ქიბარ-აღა თოფჩი-ოღლი, აჰმედ-ეფენდი, ჰაჯი-მემედ-ეფენდი-ზედე, უსუფ-ეფენდი ალი-ეფენდი-ზადე, იბრაჰიმ-აღა, მუსტაფა-აღა-ზადე, ოსმან-აღა იელქენჯი-ზადე, ხასან-აღა მირალაი-ბეგ-ზადე (ლივანელი), სანჯაყდარ-მემედ-აღა (ლივანელი)...

1877 წელს რუსეთ-თურქეთის ომის წინ კირნათ-მაჭახლის ხეობების სოფლებში ა. ხალვაშის მეთაურობით რუსეთის სასარგებლო საქმიანობა გაშლილა. ამ მოძრაობის ინიციატორი აჭარის მმართველი შერიფ ხიმშიაშვილი იყო.[25]

შემდგომში თურქებმა ყარს-ჩილდირის საფაშო შექმნეს, შემდგომ ეს საფაშოც გააუქმეს. ჭოროხის აუზი ტრაპიზონისა და ართვინის საფაშოებს შორის გაანაწილეს. ლივანა (ლიგანი) აჭარასთან და მაჭახელთან ერთად ტრაპიზონის ვილეთის შემადგენლობაში შეიყვანეს.

1864 წელს თურქეთში საზოგადო ხასიათის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რეფორმა ჩატარდა. თურქეთის იმპერია 20 ეალეთად დაიყო. თითოეული ეალეთი იყოფოდა სანჯაყად (შეეფარდებოდა რუსულ გუბერნიას), სანჯაყი კაზებად (რუსული მაზრა), რომელიც, თუკი ის დიდ ტერიტორიას მოიცავდა, იყოფოდა ნაჰიებად (რუსული უბანი), რომელიც თავის მხრივ მარკიაზებად (სასოფლო საზოგადოება) იყოფოდა. [26]

XIX ს. 60-70-იან წლებში ლაზისტანის სანჯაყი თურქული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით შემდეგი ნაწილებისაგან შედგებოდა: 1. ბათუმის კაზა – ბათუმის ნაჰიე, ჩურუკსუს ნაჰიე; 2. აჭარის კაზა – ზემო აჭარის ნაჰიე, ქვემო აჭარის ნაჰიე; 3. ლივანის კაზა – მაჭახლის ნაჰიე, ლივანის ნაჰიე; 4. ხოფას კაზა – გონიოს ნაჰიე, ხოფას ნაჰიე; 5. ათინის კაზა – ათინის ნახიე, ხემშინის ნაჰიე.

ლაზისტანის სანჯაყს, სულთნის მიერ დანიშნული მოხელე მუტასერიფი (შეესატყვისებოდა რუსულ გუბერნატორს) განაგებდა, რომლის რეზიდენცია ბათუმში იყო.[27]

უკვე 1878 წელს „ტრაპიზონის კალენდრის“ მიხედვით გონიოს ნაჰიეში შედიოდა 21 სოფელი, მათ შორის ზემო მარადიდი, ქვემო მარადიდი, გონიო, მირვეთი, სიმონეთი და სხვა. გონიოს ნაჰიეს მუდირი სოფელ მარადიდში ცხოვრობდა.[28]

მარადიდელი და კირნათელი ხანდაზმულები მწარედ იგონებდნენ წყეულ წარსულს, მოგვითხრობენ იმ ავბედობაზე, რაც ძველად კირნათელ-მარადიდლებს გადახდენიათ.

„ჩვენი ძველების ნაამბობით, თურქთა ბატონობის დროს, – მოგვითხრობს მარადიდელი ილიას დიდმანიძე, – ამ სოფლის ქვემო ნაწილში, ჭოროხის პირზე, არავინ არ ცხოვრობდა, ახლანდელი სოფელი ლომანაკეთი შემდეგ წარმოშობილა. ქვედა მარადიდში, სადაც 100 კომლი ცხოვრობდა,[29] ისინი უფრო მეტად მთებში იყო განლაგებული, რადგან ყაჩაღების ეშინოდათ, გოგო-ბიჭების ტაციობის გამო მოსახლეობა მთებში იხიზნებოდა. სახელმწიფო გზა, რომელიც ჭოროხის პირს მიჰყვებოდა და თურქეთში გადადიოდა, ყაჩაღების ბრბოებით იყო სავსე. სოფელ ფანჩვეთში დიდმანიძის ქალი ღომს თოხნიდა, მის ახლო 7 წლის ვაჟიშვილი თამაშობდა, დედას ბავშვის ყვირილი მოესმა და მისკენ გაიქცა, მაგრამ ბავშვი არსად იყო, იგი უღრან ტყეში ყაჩაღებს გაეტაცებინათ, ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერსად აღმოაჩინეს. ვინმე ხაილავა (შესაძლებელია ხალვაში), რომელიც ყაჩაღებს ხელს უწყობ-

[25] ი. ბექირიშვილი. ამას შენზე ამბობენ, აჭარავ, გვ. 46.

[26] ზ. ცინცაძე. გვ. 60.

[27] ზ. ცინცაძე, გვ. 65.

[28] Г. Казбек. Три месяца в Турецкой Грузии, Тиф., 1875, с. 100.

[29] იმავე ავტორს გამოუქვეყნებელ ნაშრომში 200 კომლი უწერია (შ. რუსიძე. მარადიდის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის მოკლე ისტორია (1959 წ.). – აჭარის სახ. მუზეუმის ფონდი №1217, გვ. 4.

და გოგო-ბიჭების მოტაცებაში, მარადიდლებს იგი შეუპყრიათ, ხელები შეუკრავთ, კისერში ქვა მოუბამთ და ჭოროხში ჩაუთრევიათ. მთელი სოფელი შეგროვდა. გამოუცხადებიათ, ვისაც ღმერთი სწამს, ხალხის მოღალატესა და ყაჩაღს ქვას ესვრისო. სოფლელები ერთხმად გამოსულან ძახილით „ფუი მოღალატეს, ფუი მოღალატესო“. ქვებს ესროდნენ და ასე ამგვარად მოღალატე და გამყიდველი ჩაქოლესო.

...მეფის რუსეთის დროსაც არ იყო ხალხი მოსვენებული“, მე მახსოვს მოგვითხრობს ილიას დიდმანიძე.[30]

მეორე ილიას დიდმანიძე (მუსტაფისძე) 1964 წელს ამ ამბის შემდეგ ვერსიას გვაწვდის. იგი გადმოგვცემს თავისი ბაბუის ნაამბობს:

მარადიდელნი წამებულ იქნენ ისლამის ღალატში, ამიტომ იმათგან ქრისტიანობის აღდგომა ღამის გამთენიისას 100 კაცზე მეტი გაზაფხულის აღელვებულ ჭოროხში დაიხრჩვნენ და ორი ამაზედ მეტნი ოსმალოს მთავრობამ შორს ქვეყნებში გადაასახლა, რადგანაც ამათაც სწამებდნენ სიმაგრეს. ეს ამბები მომხდარა 1740 წელს. ამ შემთხვევის ამბების შესახებ ბევრი რამ უთქვამთ, თან დაუმატებიათ ხოლმე, – „ასი წითელი კვერცისათვის ათას კაცმა დაიღუპა თავი და ოჯახიო“. სხვა რამ ცნობები ამაზედ არ იციან, თუ ეს გადასახლებულნი საით გარეკეს, ოსმალეთში სად დაასახლეს.

თურქებს ერთ დღეზე მარადიდში 400 კაცისათვის თავი მოუჭრიათ. ამავე დროს ეკლესიაც დაანგრიეს, მარადიდის ხიდიც დაწვეს, რომ ხალხი არ გაქცეულიყო. ამ მხარეში მარადიდს გარდა სხვა ხიდი ჭოროხზე არ ყოფილა. ლუკა ანდღულაძის ცნობით, მარტო ერთ დღეს ლიგანის ხეობაში 1400 კაცს მოკვეთეს თავი და ჭოროხში ჩაყარეს, მათ შორის ბევრი ქალი იყო, რომლებმაც მაჰმადიანობა არ მიიღეს.[31]

მარადიდში 120 კაცმა თავი დაიხრჩო. ქვედა მარადიდის 50 კომლიდან 45 ჭოროხში დალია სული, მთელ სოფელში 5 ოჯახი დარჩენილა.[32] თურქებმა მრავალი მხეცობა ჩაიდინეს კირნათ-მარადიდის სოფლებში. ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, მარადიდში 140 კაცმა თავი დაიღუპა. ვინც გათათრდა – გადასახადებისგან გაათავისუფლეს, ხოლო ვინც არა ორმაგად დაბეგრეს. თავად-აზნაურებიც შეისყიდეს, მაგრამ მალე თავადობაც და აზნაურობაც მოსპეს. მათ ეუბნებოდნენ რამდენ კაცსაც გაამუსლიმანებ იმდენ ალთუნს (10 მანეთი) მოგცემთო. თავად-აზნაურების შემდეგ სამღვდელო პირებსაც დაუწყეს დევნა და გათათრება. მათ დიდხანს შეიმაგრეს თავი, მაგრამ ბოლოს ქართლ-იმერეთის მხარეებში გადაიხვეწნენ.[33] მისივე გადმოცემით, 1850 წელს თურქებს კირნათის ხევის სოფლები გადაუწვავთ და აქედან მრავალი მოსახლე გაუსახლებიათ თურქეთის სხვადასხვა პროვინციებში.[34]

1889 წელს მომხდარა დიდი გადასახლება მაჭახლიდან. ასეთივე ხვედრი ხვდათ აჭარლებს, ლივანელებსა და ზეგნელთ. კირნათ-მარადიდის ახლო-მახლო სოფლები მთლად აიყარნენ და წავიდნენ სულის საცხონებლად. როგორც ქობულეთელ და მაჭახლელთ ამათაც დიდი უბედურება გამოსცადეს, დიდი გაჭირვება და მწარე წუთები. ამათაც ასევე ატყუებდნენ მქადაგებელნი, რომ ოსმალში კარგად იცხოვრებთ, ყველას კაი ადგილებს მოგცემენ, კაი ფულს, დახმარებას, არც არავინ გაგაქრისტიანებთ, არავის არას გიზამთ, მოშორდით გიაურების ქვეყანას და წადით იქით. ოსმალშია თქვენი სულის ქვეყნები. ასეთი მქადაგებლების წინააღმდეგი იყო ცნობილი ახმედ ეფენდი ხალიფაშვილი, მერისელი, ამ პირს დიდი შრომა მიუძღვის გადასახადების წინააღმდეგ ქადაგებით და ამიტომ სამართლიანია მას ვუწოდოთ თავის დროის კვალად შემჩნეულ შესმენილ არი, როგორც ქობულეთელთ, მაჭახლელთ, აჭარელთ და ზეგნელთ, ისევე ლივანელთა სახლის საქონელი და ავეჯეულობა ოხერ ფასად იყიდებოდა. ლივანაც დაიცალა

[30] შ. რუსიძე. მარადიდის კოლმეურნეობა. – აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, V, ბათ., 1961, გვ. 99-100.

[31] ზ. ჩიტაძე. დამპყრობთა წინააღმდეგ აჭარის მოსახლეობის ბრძოლი ისორიიდან, ბათ., 1974, გვ. 41-42.

[32] იქვე, გ. 43.

[33] ზ. ჭიჭინაძე. მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, თბ., 2013, გვ. 175.

[34] იქვე, გვ. 170.

თითქმის, მეორე ნაწილი აღარ ჩანდა... გადასახლებულთა რაოდენობა სულ არ ვიცით.

1890 წელს ლიგანის ხეობიდან წასულა 25 ათასი სული. 1879 წელს ლივანიდან და მაჭახლიდან უამრავი ხალხი წასულა. 1892 წელს კიდევ ერთი ნაკადი გადასახლებულა თურქეთში: კირნათიდან – 10 კომლი და ასევე მეზობელი სოფლებიდან მრავალი. დაბა დიდი მარადიდიდან გასახლებულა 60 კომლი, ხოლო პატარა მარადიდიდან 40 კომლი.

ერთს ქვემო მარადიდი ეწოდება, ხოლო მეორეს ზემო მარადიდი. ლივანის სოფლებში ყველაზე მეტი მტრობა ლივანის ხოჯებმა და მოლებმა გამოიჩინეს, მიუხედავად იმისა, რომ ამათი უფროსი იყო გონიერი ახმედ ეფენდი ხალვაში, რომელიც მოსახლეობას აწყნარებდა და აშოშმინებდა, რომ ოსმალეთში ნუ წახვალთ რუსნი არაფერს დაგიშავებენო, ისინი მაინც თავიანთ აზრს მკაცრად იცავდნენ. ამიტომ გადასახლდნენ ისე, რომ ორივე მარადიდი თითქმის მთლიანად დაიცალა.

ლივანის ხეობის მარადიდის მეზობელი ზოგიერთი სოფელი ისე დაცარიელდა, რომ იქ არავინ ცხოვრობს. სოფლები მთლიანად მოისპო, სახლები მთლიანად დაინგრა, ლივანიდან 2000 კომლი წავიდაო – გადმოგვცემს ზაქარია ჭიჭინაძე.

მარადიდის უფროსი, კაცი მახვილ-გონიერი ახმედ ხალვაში იყო დიდი მომდურავი ოსმალეთისა. მასზედ, რომ მათ საქართველო გაანადგურეს და ქართველი ერიც მოსპეს. იგი ყოფილა დიდი მსურველი, იმისა, რომ ქართველები თავიანთ ქვეყნიდან არ აყრილიყვნენ და ოსმალეთში არ გადასახლებულიყვნენ. ბატონი ახმედი ებრძოდა გადასახლების მქადაგებელსა და მომხვდურებსაც. გადასახლებაზე ვინც იქადაგებს სასტიკად დაგსჯითო – ასევე ამბობდა აქაურობის თავკაცი ახმედ ხალვაში.

ქართველ ქრისტიანთა გასათათრებლად, შესაშინებლად და თავის მოსაკვეთად დადგმული იყო თავსაკვეთები და სახრჩობელები. ერთი კინტრიშის ხეობაში, მეორე ბათუმში, სადაც აშენდა ქართველ კათოლიკეთა ტაძარი. მესამე მარან-დიდთან, მეოთხე ართვინის ხიდთან, კიდევ ლივანში, შავშეთში, არტაანსა და სხვაგან, თითქმის ყველა ადგილებში, სადაც ოსმალებმა ფეხი შედგეს. რაც ამ თავსაკვეთებსა და სახრჩობელაზე ქართველთ სისხლი დაიღვარა, მისგან დიდი ტბა დადგებოდა და აღწერა რომ იქნას, ვგონებ 24 ტომში ვერ მოთავსდება – გადმოგვცემდა ზაქარია ჭიჭინაძე.

სოფელ ნადარბაზევის მცხოვრები მოხუცის თიკანაძის (სოფიოშვილი) ნაამბობი: ოსმალებმა ლივანა დაიჭირეს, ლივანა არ ემორცილებოდა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ბევრი სისხლი დღვარეს. ლივანაში თურქებმა მათი კაცები გამოგზავნეს და მორჩილება ითხოვეს. უარი შეუთვალეს და ჩხალის ხეობა შეკრეს. გაამაგრეს ამ ხეობაში მდებარე თამარ მეფის ციხე. გაამაგრეს მაკრიალის გზები და მოემზადნენ საომრად. გაიმართა ომი ორივე მხარეს, მრავალი გაწყდა. ჩვენები სჯობნიდნენ იმათ. ჩვენს მხარეზე ქალებიც იბრძოდნენ. ბოლოს მაინც ოსმალებმა გაიმარჯვეს. ლივანა ხელახლა აიღეს და ხარკი დაადეს. ბევრი საქართველოში გამოიქცა. ჩვენებიც აქ დარჩენილან, რადგან მათთვის აღიობა მიუციათ, ქართველი მეფეების დროს ესენი აზნაურები ყოფილან. თამარ მეფის დროს მიუღიათ აზნაურობა და თიკანაძეც მაშინ დარქმევიათ გვარად, რადგან ისინი სამეფო თიკნების შემნახველი – უფროსი ყოფილან.

პირველ ხანებში ოსმალნი ოსტატურად მიეგებნენ ხალხს, ხარკის გარდა გათათრება არავის უთხრეს. რამდენიმე ხნის მერე ძალა დაატანეს, მაგრამ ვერაფერი ქნეს: „ამბობენ, რომ ერთ დღეს მარადიდში ოთხას კაცს მოჭრეს თავი გათათრების გულისთვისაო. მარადიდის დიდი ეკლესიაც დააქციეს და მარადიდის ხიდიც დაწვეს, რომ ხალხი აჭარაში არ გაქცეულიყო. ეს ხიდი ჭოროხზედ იყო. ძველად მთელ ლივანში ჭოროხზე ხიდი მარადიდის გარდა სხვაგან არსად ყოფილა. მარადიდის ეკლესიაც კაი დიდი ეკლესია ყოფილა. შემდეგ დროებში ქრისტიანებს საქმე გასჭირვებია, მაგრამ არც ოსმალონი ყოფილან მოსვენაბაში: ამათ უფრო გასძნელებიათ ხალხის

გათათრების საქმე“. ჭოროხის ნაპირებთან ახლომახლო მდებარე სოფლები ადვილად გაუთათრებიათ და რომლებიც მეტად შორს ყოფილან, იქ ვერაფერი მოუხერხებიათ. ხალხს დიდხანს უბრძოლია და ქრისტიანობაზე თავი დიდხანს შეუნახავს. ბოლოს ოსმალებს მოუგონიათ ასეთი ოსტატობა: მხარის მოწინავე კაცები დაუბარებიათ და გამოუცხადებიათ, რომ ვინც იმეცადინებს ხალხს გაათათრებს, იმას ჩვენ აღიობას მივცემთ და თითოეული ოჯახის გათათრებაში თითო ოქროს ფულსაც მივცემთო. მოწინავე კაცებს ეს ძალიან გახარებიათ. ამათ დაუწყიათ შორს, მაღალ სოფლებში სიარული და ხალხში მეცადინეობა – ლაპარაკი იმის შესახებ, რომ გათათრდით, რომ ბოლოს საქმე წაგვიხდება, ოსმალნი მაინც გაგვათათრებენ და ძალიან დაგსჯიან კიდევაცო, მეტი გზა არ გვაქვსო. ხალხი ისმენდა ამათ ლაპარაკს, ესენი მაშინვე მღვდლებს რეკავდნენ სოფლებიდან და ამათ მაგიერ ხოჯებს იბარებდნენ. პირველ ხანებში ხოჯები ეკლესიებში ალოცვინებდნენ ხალხს, და ხალხიც ამიტომ უფრო არ შინდებოდა თათრობის მიღებ-შეჩვევას. მოწინავე კაცებმა ამ საქმეებისგან ბევრი ფული იშოვეს და ამ ხალხის ბატონობაც მათ ჩაბარდა ოსმალეთისგან. ესენი რომ არ ყოფილიყვნენ და ამათ რომ არ ემეცადინათ აქ ხალხის გათათრებაზე, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა, რომ ლივანაში თათრობა 100 წლის შემდეგ შემოსულიყო რადგანაც ლივანის ზემოთ, ჭანეთს შუა ისეთი მივარდნილი და მიყრუებული მთებია და იქ სოფლები ისეთ ადგილებშია, რომ გათათრების შემდგომ იქ ოსმალებს ფეხიც აღარ შეუდგამთ დღევანდლამდის. შინაურებისაგან მომხდარა ჯაშუშობა და ღალატი, თორემ ოსმალნი აქ ადვილად ვერაფერს გააწყობდნენ და ვერც ხალხს გაათათრებდნენ მალე. თურქები ადგილობრივი მოსახლეობის გამუსლიმანებისათვის ასეთ ხერხს მიმართავდნენ:

ლიგანის ხეობის მოსახლეობა, მათ შორის კირნათისა და მარადიდის 1553 წელს ძალად მორეკეს, თან მოიყვანეს ძროხები. ვინც მუსლიმანობას მიიღებდა ძროხას ჩუქნიდნენ, და ვინც არა თავს ჭრიდნენ, თუთუნის საჭრელის მსგავსი იარაღით, რომელსაც თურქები ჰავანს უწოდებდნენ. ასევე ბატონი ზურაბ შალიკაძე მოგვითხრობს, რომ ვინც გადასახადს არ გადაიხდიდა, სანაცვლოდ მიჰყავდათ ძროხა, ქათამი, მიჰქონდათ ხორბალი, ქერი და ა. შ.

ლივანში ერხანს ძლიერ გასძნელებიათ ხოჯა-მოლებს ხალხის გათათრება, გასძნელებიათ მით უფრო, რადგანაც დღეში ხუთჯერ ლოცვას ვერ შეუჩვევიათ ხალხი და გარდა ამისა ფეხის ბანას ხომ უფრო გაუჭირვებია საქმე. ერთ დღეს ხალხს ხოჯისთვის უთქვამს:

– ხოჯა, ეს რაფერ იქნება, რომ დღეში ხუთჯერ ვილოცოთ და მასთანავე ზამთარში ფეხები ცივი წყლით ვიბანოთო.

– რა ვქნათ, ძმაო, ჩვენი რჯული ესეთი წმინდა არის, სუფთა, თქვენ რომ ქრისტიანები იყავით, მიტომაც არ გქონდათ ესენი და მურდლები (ცოდვილები) იყავით.

– ეგ-კი, მაგრამ მაინც გვიძნელდება, წაღების გახდა და სიცივეში დაბანვა.

– არა უშავს-რა წაღებს ნუ გაიხდით, ის მაინც მოახერხეთ, რომ ხელები წყლით დაისველოთ და სველი ხელი წაღებზედ სამჯერ წაისვათ, ვითომც წაღები გაგიხდიათ და დაგიბანიათ. მაჰმადი თქვენგან ამას არ იწყენს, რადგანაც თქვენ ჯერ კიდევ ახალი თათრები ხართ.

ასეთის ოსტატობით შეაჩვიეს მოლა-ხოჯებმა ახალი თათრები ფეხის ბანასო – გადმოგვცემდა ზაქარია ჭიჭინაძე.[35]

[35] გაზ. „ივერია“, №139, 4 ივლისი, 1895 წ.



თამაზ ალფელაძე

„რა ენა წახდეს, ერი დაეცეს“

ქართული ენა მეზობელი სახელმწიფოების ენების გავლენას საუკუნეების მანძილზე განიცდიდა, ამიტომ ამ ენებიდან ასეულობით სიტყვაა შემოსული, მაგრამ ამ პროცესს თითქმის არასდროს ჰქონია აგრესიული ხასიათი, მაშინაც კი, როცა XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან აჭარაში ფეხი მოიკიდეს ოსმალებმა და ყველაფერზე ზეწოლას ახდენდნენ, ენა მაინც გადარჩა. მაშინ შემოჭრილი ოსმალური სიტყვები დღესაც მრავლად გამოიყენება აჭარულ დიალექტში, მაგრამ ლიტერატურულ ნორმებზე მათი გავლენა თითქმის არ არსებობს.

ეს იყო ქართველთა მხრიდან ენის გამორჩეული დაცვის მაგალითი.

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ რუსული ლექსიკა მიეძალა ქართულს. ყველა სიახლე საქართველოში რუსეთის გავლით შემოდიოდა და მოჰყვებოდა ტერმინოლოგიაც. ძველი მძღოლები ავტომანქანის ყველა ნაწილს რუსულად მოიხსენიებენ და ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ რულს საჭე ჰქვია, კუზაოს – ძარა, პაკრიშკას – საბურავი და ა.შ.

დღეს ყველა ქართველმა, მგონი, იცის, როგორ დაიცვეს ქართული ენა და როგორ განავითარეს იგი თერგდალეულებმა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, ისიც ვიცით, ალბათ, როგორ მიეცა მეცნიერული ხასიათი ენის პატრონობას ქართული უნივერსიტეტის გახსნის შემდეგ.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ავტორები წერენ, რომ ქართულად ამეტყველდა უმაღლესი მათემატიკა, ტექნიკა, ფიზიკა და ქიმია, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგი, მედიცინა და სხვა.

ცნობილია, რომ ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის მიზნით 1935 წელს ჩამოყალიბებულ იქნა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა რესპუბლიკური კომისია, რომელმაც შეიმუშავა ენისადმი მიდგომის პრინციპები და არაერთი ნორმა. ამ კომისიის მიერ გამოიცა 1936 წელს „სალიტერატურო ქართულის ნორმების“ პირველი წიგნი.

სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის თვალსაზრისით დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ვ. თოფურიასა და ი. გიგინეიშვილის „სასკოლო ორთოგრფაიული ლექსიკონის“ გამოცემა 1941 წელს. 1968 წელს გამოვიდა იმავე ავტორების „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“.

სალიტერატურო ენის ნორმათა უნიფიკაციისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს რვატომიანი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემას, რაც დაიწყო 1950 წელს და დასრულდა 1964 წელს. მასში 112 949 სიტყვაა შეტანილი.

1935 წელს დაარსდა ცენტრალური სატერმინოლოგიო კომისია, რომლის მოღვაწეობას მოჰყვა 30 ტერმინოლოგიური ლექსიკონის გამოცემა.1936 წელს გამოიცა ამ კომისიის მიერ დამტკიცებული სალიტერატურო ენის ნორმების კრებული. 1969 წლიდან ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაარსდა ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება.

ისიც გავიხსენოთ, რომ მთავრობასთან არსებობდა სალიტერატურო ნორმების დამდგენი კომისია.

იმსახურებდა უძველესი ენა დიდ ზრუნვას და აკი მთელი ერი დადგა ფეხზე მისი სახელმწიფოებრივი სტატუსის დასაცავად 1978 წლის აპრილში. მაშინდელ გამარჯვებას მოჰყვა 1979 წელს ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „რესპუბლიკის სკოლებში ქართული ენა-ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

1991 წლიდან საქართველო დაადგა რა დამოუკიდებლობის გზას, ქართული ენის დაცვა-განვითარება უმაღლეს დონეზე უნდა ასულიყო, მაგრამ მოხდა პირიქით. ჯერ ენის ნორმების სამთავრობო კომისია გაქრა, შემდეგ ენის სახელმწიფო პალატა და...

დარჩა ერთადერთი განათლების სამინისტრო, რომელსაც შეეძლო ხელში აეღო ეს ეროვნული საქმე, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, მარტო ქართული ენის მასწავლებლები კი ვერაფერს ახერხებენ უვარგისი სახელმძღვანელოების პირისპირ დარჩენილი და ენა „წახდენის“ გზაზეა დამდგარი.

უწინ რუსულის პრიორიტეტულ მდგომარეობაში ყოფნა უშლიდა ხელს ქართულს, ახლა კი ინგლისური ავიწროებს ნება-ნება.

უცხო სიტყვების გარეშე ქართული აზროვნების განვითარება ნამდვილად შეფერხდება და იქნებ აღარც იყოს საკმარისი მ. ჭაბაშვილის 15 500 სიტყვიანი „უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, მაგრამ 2007 წელს სოლომონ თეზელიშვილის 27000-სიტყვიანით ჩანაცვლება, ნამდვილად ზედმეტად თავგამოდების ნაყოფს ჰგავს.

„ივერიაში“ ილიამ თავის დროზე დაბეჭდა რუსული სიტყვა „სმაროდინა“, ვერ იპოვა შესატყვისი ქართული. ვაჟა საგანგებოდ ჩამოვიდა თბილისში, „მოცხარია“ ქართული შესატყვისიო და მაშინვე მოგვარდა პრობლემა.

დღეს? დღეს როგორაა საქმე?

გვაქვს ქართული სიტყვები და გამოთქმები: სასწავლო გეგმა, სიახლის გამოცდა, საქაღალდე, წარდგენა, დახმარება, კვალიფიკაციის დადასტურება, ვარჯიში (წვრთნა). ამიხსნას ვინმემ, რატომ უნდა ჩანაცვლებოდა ამ სიტყვებს: კურიკულუმი, პილოტირება, პორტფოლიო, პრეზენტაცია, ფასილიტაცია, სერტიფიცირება, ტრენინგი?

ენის ნორმები შედარებით უკეთაა დაცული პრესაში, მაგრამ ტელევიზიაში პროვინციალიზმი და ჟარგონია წახალისებული, დაუდევრობის გარდა რა შიძლება დავარქვათ უწყებებსა და დაწესებულებების შენობებზე (ეგრეთწოდებულ ოფისებზე) მხოლოდ უცხოენოვანი წარწერების გამოჩენას?

* * *

ეს ერთგვარი შესავალი იმისთვის დამჭირდა, რომ მკითხველმა იოლად გაიგოს, რა დღეშია წარმოჩენილ ფონზე ქართული ენის სწავლება სკოლებში.

იქნებ არც მოელით კარგი სურათის ნახვას? ვნახოთ, მითუმეტეს, არ ვაპირებ დეტალურ და მოსაწყენ ანალიზს, მაგალითებს მხოლოდ იმისთვის მივმართავ, რომ დასკვნები გავაკეთოთ.

დღეს სიკეთეა, რომ სახელმძღვანელოების შექმნა აღარ არის ერთეულების პრეროგატივა, თუმცა, ის კია ანგარიშგასაწევი, ვის მისცემს ვიზას განათლების სამინისტრო. იმასაც ამბობენ, ცალკე ქართული ენის სახელმძღვანელოებიც არისო, მაგრამ ქედის რაიონში, სადაც მე ვმუშაობ, ასეთი სახელმძღვანელო არ მინახავს.

ზემოდან მოსული რეკომენდაციების საფუძველზე მე და ჩემი ქედელი კოლეგები ძირითადად ვმუშაობთ ქართული ენისა და ლიტერატურის ერთობლივი სახელმძღვანელოებით, რაც არაა უბედურება, აქ გულსატკენი სხვა რამეა, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ.

უფრო დაბალი კლასების სახელმძღვანელოებს ჰქვია „ქართული ენა“, თუმცა მათში ლიტერატურა უფრო ბევრია. ავტორები არიან ნ. გორდელაძე, გ. ჩხენკელი და თ. კუხიანიძე. ამავე ავტორების სახელმძღვანელოებით ვმუშაობთ V და VI კლასებში, ოღონდ ახლა წიგნს „ქართული ენა და ლიტერატურა“ ჰქვია. გამოდის, რომ დაწყებითი საფეხურის კლასების სახელმძღვანელოების ავტორები ერთი და იგივე პირები არიან და ეს კარგია, რადგან მათ შესაძლებლობა ეძლევათ ყოველ მომდევნო

წიგნში დოზირებულად ცვალონ და ზარდონ მასალა (ვგულისხმობ ქართული ენის გრამატიკაში).

საბაზო და საშუალო საფეხურების კლასების სახელმძღვანელოების ავტორები არიან: ვ. როდონაია, ნ. ნაკუდაშვილი, ა. არაბული, მ. ხუციშვილი. XI კლასის სახელმძღვანელოზე შემატებულია ლ. დათაშვილი.

ჩემს მიზანს არ წარმოადგენს ავტორთა ჯგუფების ნაღვაწის შედარება, რომელიმეს უპირატესობის გამოკვეთა, თუმცა წინასწარ ვგრძნობ, ვერ ავცდები ამ უხერხულ სიტუაციაში მოხვედრას.

დასახელებული სახელმძღვანელოები წინამორბედებთან შედარებით უდაოდ გაუმჯობესებულია და ეს მისასალმებელია. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ X-XII კლასების სახელმძღვანელოებში დაბრუნდა ისტორიზმის პრინციპი:X კლასში შეისწავლება ძველი ქართული მწერლობა, XI კლასში – XIX საუკუნის მწერლობა და XII კლასში – XX საუკუნის მწერლობა. აღვნიშნავ იმასაც, რომ დაბალი საფეხურის კლასებშიც ლიტერატურული მასალა ეროვნული გეგმის ჩანაფიქრს პასუხობს.

ასე ვერ ვიტყვი ქართული ენის ნაწილზე.

დასანანია, რომ ხმარებიდან ამოიღეს ა. შანიძის და ლ. კვაჭაძის მრავალჯერ აპრობირებული ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოები. მათში წარმოდგენილი იყო ენის სრული კურსი და ის პასუხობდა სრულად მისაღებ გამოცდებზე დასაძლევ ამოცანას. ხელთ მაქვს განათლების სამინისტროდან გადმოგზავნილი საამისო პროგრამა და მას თითქმის სრულად პასუხობს დიდი მეცნიერების ზემოთ დასახელებული სახელმძღვანელო.

უწინ ამ ავტორების სახელმძღვანელოები გამიზნული იყო V-VIII კლასებზე. ჩანაცვლებაში საგანგაშო არაფერია, მაგრამ ეს მაშინ, თუ განახლებული უკეთესია.

მისაღები გამოცდისათვის გამიზნული პროგრამა შედგენილია საკონსულტაციო საბჭოსთან შეთანხმებით, რომელშიც არაერთი ცნობილი მეცნიერია გაერთიანებული: ელენე ბაბუნაშვილი, ბაჩანა ბრეგვაძე, მაია ზალდასტანიშვილი, მარინე კომახიძე, მზექალა შანიძე, დავით წერედიანი.

სხვამ თუ არა, მზექალა შანიძემ ყველაზე უკეთ იცის თავისი მამის სახელმძღვანელოების ფასი და საგამოცდო საკითხები სწორედ ამ სახელმძღვანელოებს მიჰყვება, თუმცა განსხვავება მაინც არის და ეს ეხება სტილისტიკის საკითხებს.

ა. შანიძის და ლ. კვაჭაძის სახელმძღვანელოებს ერთი ნაკლი ჰქონდა მხოლოდ: ყველა საკითხს არ ახლდა პასუხი კითხვაზე – როგორ გამოვიყენოთ ეს მასალა მართლწერა-მართლმეტყველებისათვის. ამ კითხვის დასმას და პასუხის მოძებნას, დარწმუნებული ვარ, კარგი მასწავლებელი ყოველთვის ახერხებდა.

ახლა ვნახოთ, როგორი მდგომარეობაა დღევანდელ სახელმძღვანელოებში?

ჯერ ის მინდა აღვნიშნო, რომ ვ. როდონაიას ჯგუფმა სახელმძღვანელოებს დაურთო სამუშაო რვეულები. სახელმძღვანელოებში არის გრამატიკული მასალა, ძირითადად რვეულებისაგან განსხვავებული, რვეულებში კი მოკლე თეორიული გააზრების შემდეგ შეტანილია სავარჯიშოები, რომლებიც კარგად ხსნიან საკითხის არსს. ამ გზით მიღწეულია, რომ ზმნა და სინტაქსის საკითხები VII და VIII კლასებში კარგად შეისწავლება.

ალბათ, არ ჩავიდენ ცოდვას, თუ ვიტყვი, რომ მე ამ კლასებში რვეულებზე დაყრდნობით გავიარე მინიშნებული საკითხები და შედეგი კარგი აღმოჩნდა (მადლობა ავტორებს!), მაგრამ ვერაფრით ვერ გავიგე რა საჭიროა კიდევ გრამატიკული მასალა სახელმძღვანელოში, აშკარად განსხვავებული და ნაკლებად ეფექტური?

იქმნება საეჭვო ვითარება.

VIII კლასის სახელმძღვანელოში არის საკითხები მორფოლოგიიდანაც და სინტაქსიდანაც. მათგან ბევრი ადრე შესწავლილიც ჰქონდათ ბავშვებს. გაუგებარი სიტუაციაა, კარგი მასწავლებელი იოლად გაიგებს, რომელს მიანიჭოს უპირატესობა, მაგრამ რა საჭიროა მასწავლებლის გულზე, გრძნობაზე და ინტელექტზე თამაში?

გაჭიანურებული სერტიფიცირებით შეწუხებულმა მასწავლებელმა ხომ შეიძლება ერ-

თიც მიაგდოს და მეორეც, მითუმეტეს, დასკვნა მისი გასაკეთებელია.

რაშია საქმე?

ავტორების კვალიფიკაცია არაფერ შუაშია, მითუმეტეს, მათ შორისაა ა. არაბული, რომელმაც 2008 წელს ავტორთა ჯგუფთან ერთად X კლასისათვის შექმნა, მართლაც, უბრწყინვალესი სახელმძღვანელო „ქართული ენა (ტექსტების ანალიზი და მოდელირება, მართლწერის საკითხები)“. სხვათა შორის, ახლა ეს წიგნი გამოუყენებელია.

ისევ კითხვა: რა ხდება?

ის ხომ არა, რომ ვიღაცა არ იძლევა საშუალებას ქართულ ენაში სრულყოფილი სახელმძღვანელოები გვქონდეს. ვინმე მიპასუხებს, რატომაა უფრო მიზნობრივი სამუშაო რვეულები, ვიდრე სახელმძღვანელოები?

თუ ჩემი ეჭვი სიმართლეს შეიცავს, მაშინ საქმე გვაქვს ეროვნული საქმის ღალატთან.

ახლა დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოებზე მინდა ვთქვა, რომლის ავტორები, როგორც უკვე აღვნიშნე ნ. გორდელაძე და თ. კუხიანიძე არიან.

არაფერს ვამბობ I-II კლასებზე, ამ კლასებში გრამატიკა მცირე სახით არის საჭირო, თუმცა, მგონი, მოთხოვნებს არ პასუხობს აქ არსებული მდგომარეობაც.

ცოტა ვრცლად ვიტყვი III-VI კლასებზე. ოთხი კლასის მანძილზე (ორიც სავსებით საკმარისია) ავტორებს ისე შეეძლოთ წარმოეჩინათ ფონეტიკა და მორფოლოგია, რომ სწავლაც საინტერესო იქნებოდა და დაძლევაც ძალიან იოლი.

რა მოხდა სინამდვილეში? ავტორებს აურჩევიათ სქემატური სწავლება და არა თანმიმდევრული, გეგმაზომიერი. ნახეთ, როგორ ჰგავს ოთხივე კლასის მასალა ერთმანეთს: III კლასი: ანბანი, ასო და ბგერა, მარცვალი, არსებითი სახელი, სულიერი და უსულო არსებითი სახელები, ვინ თუ რა? მხოლობითი და მრავლობითი, რიცხვითი სახელი, ბრუნვა, კუმშვა, კვეცა, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნის დრო და პირი;

IV კლასი: ანბანი და ასოთა სახელები, არსებითი სახელი, ბრუნება, კვეცა, კუმშვა, ზმნა, დრო, რიცხვითი სახელი, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი;

V კლასი: არსებითი სახელის ჯგუფები, ბრუნება, ზმნა, დრო, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი.

VI კლასი: სამეტყველო ბგერა, არსებითი სახელი, ზედსართავი სახელის წარმოქმნა, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, პირი.

ამის შემდეგ აქვს კი მნიშვნელობა ზოგიერთ საკითხს, რომელიც განსხვავებულია? რა საჭირო იყო ერთისა და იმავეს ღეჭვა?

გაუგებარია ისიც, რატომაა ერთი თემა დაყოფილი კლასებზე – სირთულეში განსხვავდება და ეს პრინციპია გამოყენებული, თუ?...

ვითომ რა იყო იმაში ცუდი, რომ არსებითი სახელი ყოველმხრივ ამოიწურებოდა და იწყებოდა ზედსართავი სახელი?

ახლა არსებითი სახელის შესწავლა 4 კლასზე გრძელდება, შიგადაშიგ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მეორდება საკითხები და მაინც არსად დაფიქსირდა ფუძე და მისი მონახვის ხერხი, საკუთარ სახელთა ბრუნების თავისებურებანი, თანდებულიანი ბრუნვები და მათი მართლწერა.

ზედსართავი სახელის შესწავლა 4 კლასზე განაწილდა: III-ში – რაობა, IV-ში – ზედსართავის და არსებითის ბრუნება, V-ში – ხარისხის ფორმები, VI-ში – ზედსართავი სახელის წარმოქმნა. არ სჯობდა ერთად შესწავლილიყო ყველა ეს საკითხი და შემდგომ მასწავლებელს მისცემოდა საშუალება ვარჯიშისა, მოაძებნინებდა მოსწავლეს ზედსართავსა და დაახასიათებინებდა?

რიცხვით სახელს არ გაუმართლა და III და IV კლასებში სულ უყურადღებოდ დარჩა.

ნაცვალსახელი ერთ-ერთი ურთულესია და ისიც ვერ მოხერხდა, რომ გორდელაძე-კუხიანიძის მასალებში სრულად წარმოჩენილიყო ჯგუფები, ბრუნების ურთულები ბუნება. არსებული სახე ვერ მისცემს მოსწავლეს ცოდნას, მიხვდეს, რომ ეს და ამან ერთი ნაცვალსახელის სხვადასხვა ბრუნვის ფორმაა.

ამ ავტორების მიყრილ-მოყრილი გრამატიკა არ იძლევა შედეგს და მასზე გაყოლა არ შეიძლება.

არც გავყოლილვარ ასეთი მიდგომით, მე თანმიმდევრობით ვასწავლე გრამატიკა აკაკი შანიძითა და ლეო კვაჭაძით. ვაღიარებ და დამსაჯოს ვინმემ.

უფრო დაწვრილმანებას აღარ ვაპირებ, თუ მოინდომებენ ავტორები, შემდგომში დავულაგებ წინ მათ ნაცოდვილარს დეტალურად.

და მაინც არ მგონია, რომ ავტორებს შეგნებულად შეშლოდათ მიდგომებში და თუ ამას ვინმე შეგნებულად აკეთებინებს, აღარ ვიცი, რაღა ვთქვა ამის შესახებ.

ვეცადე მოკლედ წარმომეჩინა ენის სწავლების მდგომარეობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში და დამერწმუნებით, ალბათ, ამ სურათით სავალალოა.

ახლა მოკლედ მინდა ჩამოვაყალიბო აზრი: რაა საჭირო, რომ ენის სწავლება ნორმალურ ვითარებაში აღმოჩნდეს?

1. უნდა შეიცვალოს ენის სწავლებისადმი მიდგომა და უნდა შეიქმნას გრამატიკის სრული კურსი, რომელიც ნაწილ-ნაწილ შეისწავლება.

2. დაწყებით I-IV კლასებში ენას უნდა მიეცეს გამარტივებული სახე, რადგან ამ კლასებში მთავარი მაინც წერა-კითხვის შესწავლა და გააზრებაა.

3. ენის სრული კურსის შესწავლა უნდა დაიწყოს V კლასიდან. V-VI კლასებში შეისწავლება ფონეტიკა და მორფოლოგია, VII-VIII კლასებში-სინტაქსი და სტილისტიკა.

4. IX კლასში, ალბათ, უცვლელად უნდა ჩაისვას ა. არაბულის, ქ. რეხვიაშვილის, ნ. შარაშენიძის, მ. შაყულაშვილის წიგნი „ქართული ენა“, რომელიც გამოიცა 2008 წელს.

5. X-XI კლასებში უნდა მიდიოდეს მუშაობა შესწავლილი მასალების გასამეორებლად მართლწერა-მართლმეტყველების ნაწილში.

6. არსებულ სახელმძღვანელოებში თითქმის არაფერია ნათქვამი უცხო სიტყვათა მართლწერის შესახებ. საჭიროა აისახოს საკითხიც: სათაურებისა და სახელწოდებების მართლწერა.

7. სერიოზული დრო უნდა დაეთმოს სასვენი ნიშნების გამოყენების სწავლებას.

8. ვ. როდონაიას ჯგუფს ამჟამად IX კლასში გათვალისწინებელი აქვს მწერლების ენის შესწავლა. ეს უფრო სპეციალისტების საქმე მგონია და ასე დაწვრილმანება საჭირო არ არის.

დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ ენას მარტო ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებელი ვერ ასწავლის. ამჟამად სკოლებში შექმნილია მდგომარეობა, როგორიც არასდროს ყოფილა, – სხვა საგნების მასწავლებლები უხეშად არღვევენ ენის ნორმებს, ამიტომ უნდა შეიქმნას რაღაც ფორმა, რომლითაც მიიღწევა უკეთესი, უნდა ჩამოყალიბდეს შეფასების კრიტერიუმი, რომელიც არ მისცემს პედაგოგს უფლებას არად ჩააგდოს ნორმები.

ყველაზე განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, ეროვნული საქმეა, ენის დაცვის სამსახურის შექმნა. არ მეგონა, თუ ამ საკითხის გადაწყვეტა ამ ხელისუფლების დროსაც ასე დაგვიანდებოდა. ამას წინათ, როგორც იქნა, მიღებულ იქნა პარლამენტის გადაწყვეტილება, მაგრამ პრაქტიკული ჯერ არაფერი ჩანს.

ენა დღეს მზრუნველობის გარეშეა დარჩენილი, არ მინდა გამოვიყენო გამოთქმა, რომ ენა წახდენის გზაზეა, მაგრამ უკეთესად თქმა შეუძლებელია. ერის დაცემის ნიშნებსაც ხომ არ ამჩნევს მკითხველი?

ᲜᲣᲜᲣ ᲒᲣᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ-ᲙᲕᲐᲭᲐᲫᲔ

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ – ᲯᲔᲛᲐᲚ ᲮᲝᲤᲔᲠᲘᲐ

ჯემალი დიდი თავგადასავლების მქონე ადამიანი იყო გამომცემლობის თანამშრომლების მიმართ. ჩვენი ერთად მუშაობის მანძილზე უამრავი რაიმეს გახსენება შეიძლება, მე და ჯემალი 1970 წლიდან ვმუშაობდით გამომცემლობა „აჭარაში“, რომელიც მდებარეობდა გოგებაშვილის ქუჩაზე, ის ჩვენთან ხელვაჩაურის რაიონული გაზეთიდან გადმოვიდა კორექტორად. სტამბა, სადაც გამომცემლობაში დამუშავებული წიგნი გადადიოდა დასაბეჭდად, იყო (მაშინდელი ლიბკნეხტის) კოსტავას ქუჩაზე. ფაქტიურად წიგნის გამოცემაზე პასუხისმგებელი თანამშრომლები (გამომშვები, ტექნიკური რედაქტორი, საწარმოო განყოფილების გამგე და ხშირად კორექტორი) ძირითადად წიგნის გამოცემას სტამბაში აკონტროლებდნენ და ხშირად იქ უხდებოდათ ყოფნა.

საღამოს 5-საათის შემდეგ ბრუნდებოდნენ გამომცემლობაში, მუშაობას აჯამებდნენ და დღის ბოლოს მოახსენებდნენ გამომცემლობის მაშინდელ დირექტორს ბატონ აზიზ ახვლედიანს, თუ რომელიმე დღე წიგნის ბეჭდვისთვის წარმატებული არ იქნებოდა, ანუ სტამბიდან უკმაყოფილონი მოვიდოდნენ, თითოეულს სახეზე ეტყობოდა გამომეტყველების მიხედვით. ხოლო თუ დღე წარმატებულად ჩაიარდა და გეგმიურად გამოსაცემი წიგნი გამზადდებოდა, მაშინ ჯემალი მის კარგ ხასიათს იუმორით ასე გამოხატავდა, ჯემალის გვერდით ვისაც მოუწევდა ყოფნა (უფრო ხშირად კი ტექნიკურ რედაქტორს ქალბატონ ნორა ჭყონიას უწევდა) მსუბუქად მიდიოდა დილით გამომცემლობიდან სტამბაში, ჩანთით ხელში და საღამოს ხშირად ჩანთადამძიმებული ბრუნდებოდა ჯემალთან ერთად. შემოვიდოდნენ მოსაცდელში და ნორა იტყოდა, დღეს არაფერი მიყიდია და ეს ჩანთა რამ დაამძიმა ასეო.

ჯემალი თავს გვერდით მიაბრუნებდა, ირონიით ჩაიღიმებდა და ეტყოდა:

– შენ ახლა დაღლილი ხარ, მთელი დღე სტამბაში ნამუშევარი, დაზგის ხმაურში, ტყვიის სუნში და გეჩვენება ჩანთის დამძიმება, ასე დააჯერებდა და გაუშვებდა სახლში. სინამდვილეში ნორას ჩანთით მიჰქონდა ლინოტიპზე აწყობილი ტყვიის ასობგერები ხან ყავის ფინჯანი და ლამბაქი, ხან თუ ვერაფერს მონახავდა, ქვას მაინც ჩაუდებდა ჩანთაში. მეორე დღეს, დილით, როგორც კი ფანჯრიდან დაინახავდა ნორა მოდისო, მაშინვე გამოვიდოდა თავისი ოთახიდან მოსაცდელში, გახსნიდა ჩემი სამუშაო ოთახის კარს და მეტყოდა თვალებგაბრწყინებული:

– აქ ამბავი მოხდება ეხლა, დედა შვილს არ აიყვანს.

მე ვეტყოდი – რა მოხდა ჯემალ?

– ნორა მოდის.

გაბრუნდებოდა, ჩაჯდებოდა სავარძელში და იცდიდა სიგარეტით ხელში, თუ რა რეაქცია მოჰყვებოდა გუშინდელ დღეს. მაგრამ თუ ნორა ამ ყველაფერს შეგნებულად არ შე-

იმჩნევდა, ვითომც არაფერი მომხდარაო, შემოსვლისთანავე მიესალმებოდა და მის ოთახში შევიდოდა, მაშინ ჯემალი გაღიზიანდებოდა, დაიწყებდა ოთახიდან ოთახში სიარულს, იქნებ როგორმე გამოეწვია სასაუბროდ, ნორა იჯდა და კითხულობდა ან წიგნს ან გაზეთს. თუ ეს არ გამოუვიდოდა, მერე უკვე მე ჩამრთავდა საქმეში და მეტყოდა: – ნუნუ, მიდი ერთი ნორას შეეკითხე, ჩანთა თუ გახსნა გუშინ ან დღეს (რა თქმა უნდა, მე ამის შესახებ წინასწარ ვიცოდი), მეც ჩავერთვებოდი საუბარში და ნორას ვკითხავდი გუშინდელი დღის შესახებ.

ნორა მპასუხობს: – გოგო, გუშინ ჯემალიმ ტყვია გამატანა ჩანთით, მაგის კუბო არ დავდგი, როგორ ჩამომაგლიჯა ხელი, მთელი რუსთაველის ქუჩა მათრევინა ეს დასაწვავი ტყვია, კი მემძიმა, მარა რავა მეგონა, ამდენს თუ ჩამიყრიდა.

ჯემალის ქირქილი მესმოდა კარებს უკან, კმაყოფილი იყო: „ესე იგი ნახაო“. ასე გრძელდებოდა თითქმის წლების მანძილზე.

ძალიან უყვარდა ყავა და თუთუნი, მაგიდის გვერდით ედგა ძველისძველი ელექტროღუმელი. ამ ღუმელის სპირალი არანაკლებ 5-6 ადგილზე იყო გადაბმული, ზედ იდგა გაშავებული ყავის ფინჯანი, ფინჯანს დუღილისაგან ძირი ჰქონდა შემორღვეული, შიგ 4-5 ჯერ მაინც ჩადუღდებოდა ყავა, ან გადმოიღვრებოდა ღუმელზე. გადადგამდა, დაამატებდა წყალს ისევ აადუღებდა. 10-ჯერ მაინც დალევდა ყავას, სულ ჩამწვარი ყავის და თუთუნის კვამლი იდგა ოთახში, სიგარეტს სიგარეტზე აბოლებდა, „პრიმა“ და „ასტრას“ მეტი სხვა არ მახსოვს მოეწიოს; ბოლოს დაიწყო თუთუნის მოწევა, გაახვევდა სქელ ქაღალდში თუთუნს, გადაუსვამდა ენას, დააწებებდა, ელექტრო ღუმელზე მოუკიდებდა, ჯერ ქაღალდი აენთებოდა და იწვოდა, მერე თუთუნი აკვამლდებოდა და კვამლის ბუღი იდგა ოთახში. ესეც მისი, როგორც მწერლის ერთ-ერთი რიტუალი იყო, რაც ასე სიამოვნებდა. თუ ამ დროს შევაღებდი კარებს და ვეტყოდი, ჯემალ აქ როგორ ძლებ, რომ არ გახრჩობს კვამლი, შე საცოდაო, დაგიავადმყოფდება ფილტვები, ფანჯარა მაინც გახსენი. სიცილით მეტყოდა, – შენ რა იცი, ამაშია მთელი სიამოვნება, ამ ყველაფერს დაამატებდა ჭაჭის არაყს და იმ დღით სამუშაო საათებიც მთავრდებოდა მისთვის.

მე არ მახსოვს, ჯემალი ავად გამხდარიყო, ან სიცხე ჰქონოდა, ყინვაში და თოვლშიც კი პირველი მოვიდოდა სამსახურში, სულ ფეხით დადიოდა ბარცხანიდან გოგებაშვილის ქუჩაზე გამომცემლობაში.

წიგნზე მუშაობა იცოდა. გულით შეეძლო დილის 7 საათიდან დამჯდარიყო სამუშაო მაგიდასთან. საოცარი ფანტაზიის უნარი ჰქონდა, 20-25 გვერდი ნაბეჭდი ფურცლიდან შეეძლო 100 გვერდიანი წიგნი გაეკეთებინა, იყო კარგი კორექტორი, კარგი გამომშვები, კარგი რიგითი რედაქტორი, წიგნების შემდგენელი. 70-80-წლებში ჯემალის ავტორობით წიგნები ყოველთვის გაყიდვადი იყო. იგი რამდენიმე წიგნის ავტორია. კარგად აღწერდა თითოეულ დოკუმენტურ მოთხრობას. კარგი საკითხავი იყო მისი რომანები, მისი წიგნები იბეჭდებოდა სამი და ხუთი ათასიანი ტირაჟით. ამიტომაც დაფასდა მისი შემოქმედება და ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის დაჯილდოვებული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით, საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფოს კომიტეტის საპატიო სიგელით, მინიჭებული ჰქონდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება.

ჩემს მიმართ განსაკუთერბული სითბო და სიყვარული ჰქონდა. რატომ? – იმიტომ, რომ გურულების რძალი ვარ, ჩემი მეუღლე თემურ კვაჭაძე მუშაობდა სახანძრო სამმართველოში. მახსოვს, ცირკს გაუჩნდა ხანძარი, დაიწვა და განადგურდა შენობის შიდა მოწყობილობა, მთელი ქალაქი განიცდიდა ამ ამბავს. მეორე დღეს მოვედი დილით გამომცემლობაში და

ჯემალი დამხვდა მოსაცდელში, სიგარეტით ხელში.

– გოგო! რა ქნა თემურიმ, დაწვა ხომ ცირკი, ახლა ნახე შენ მაგი ვიცე პოლკოვნიკობას თუ არ მიიღებს?!. გავიდა რამოდენიმე თვე და მართლაც კარგი მუშაობისათვის და წლების ნამსახურის მიხედვით წარადგინეს ვიცე პოლკოვნიკის წოდებაზე. რა თქმა უნდა, ჯემალს ვუამბე, გაუხარდა და იწინასწარმეტყველა, ეხლა ერთი დიდი ხანძარი კიდევ რომ მოხდეს, პოლკოვნიკობას მიიღებსო.

ამის მერე გავიდა რამდენიმე წელი და ხანძარი გაჩნდა საზაფხულო თეატრში. ისევ ისეთი უსიამოვნო განცდები, რომ ბათუმის ბულვარში დაიწვა ულამაზესი საზაფხულო თეატრის შენობა. სამსახურში მივედი თუ არა (ჯემალს თავისი ოთახის კარი ღია ჰქონდა, რომ ჩემი მისვლა არ გამოპაროდა), მაშინვე მომძახა: – ა, დამაყურე შენ, თემური პოლკოვნიკობას თუ არ მიიღებს, მაგასაც ნახავ.

მართლაც გარკვეული დროის მერე წარადგინეს პოლკოვნიკის წოდებაზე, ისიც წლების ნამსახურის მიხედვით და კარგი ორგანიზატორობისათვის დააჯილდოვეს მამაცობის ორდენით, ხოლო რამდენიმე თვის მერე – ღირსების ორდენით (ესეც, რა თქმა უნდა, ჯემალის ნათქვამს დაემთხვა).

გადის წლები და მეკითხება.

– ნუნუ! ახლა რა უნდა დაიწვას, რომ თემურიმ გენერლობა მიიღოს?

ჩემი პასუხი იყო: ოღონდ არაფერი დაიწვას და არ უნდა გენერლობა. ასე შეხმატკბილებულად ვიმუშავეთ ერთად 36 წელი.

იყო იღბლიანი ადამიანი, ამ ყველაფერს მიაღწია თავისი შრომით. შექმნა ოჯახი (მეუღლე ნათელა ხაჯიშვილი). დარჩა ულამაზესი შვილები ანა და გიორგი. იყო სამი შვილიშვილის ბაბუა, ელოდებოდა მეოთხეს. კარგი იქნებოდა მისთვისაც შეევლო თვალი.

ვალმოხდილი წავიდა ქვეყნიდან – კარგი რომანების და მოთხრობების ავტორი (რომლებიც წერებოდა 70-80 და 90-იან წლებში).

მიწა შენთვის ბუმბულივით მსუბუქი იყოს, ჩემო ძვირფასო მეგობარო.

ცოცხალი

4 2015

ცოცხალი



4 2015

ISSN 0134-3459
15004
9 770134 345001

მალხაზ ფაღავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა

2015

malkhaz.pagava@mail.ru